ყოველკვირეული

# ალია



შსს ამ ჯარიმებით მინიმუმ 4 საქმეს აკეთებს, ყოჩაღ მინისტრ მღებრიშვილს, მაგრად მოუფიქრებია!

რატომ დაიწყო შსს-მ 10-ლარიან დარღვევაზე 200-ლარიანი ჯარიმების გამოწერა?

5

N10/738/ 7-13 მარტი 2016 წ ფასი 2 ლარი

ყოველკვირეული ალია · ოთხშაბათი ალია · პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## რამე გვეშველება? რა გველის ხვალ?



მერე რა, რომ დღეს ასეთი ნანატრი თავისუფლება გვაჩუქა ივანიშვილმა, სამაგიეროდ, დაგვიტოვა ხელისუფლება, რომელიც უუნარო, სამარცხვინოა და ვერ პასუხობს ამომრჩევლის მოთხოვნებსა და კითხვებს — ჩვენ რა გქნათ, ჩვენ?! ჩვენთვის მოიცლით როდესმე?.. გაიგებთ ჩვენს ხმას, თუ ისე დაყრუვდით და დაბრმავდით, რომ ვეღარც ამჩნევთ, რა ხდება დედამიწაზე...

6

## გიგლა ბარამიძე: „სულ მცირე, ოთხი-ხუთი მინისტრი არჩევნებამდე აუცილებლად შეიცვლება... ამას ვაცხადებ „ქართული ოცნებიდან“ მიღებული კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე“



შეიცვლებიან, თორე ამათაც ხალხზე ზრუნვა არ დაიწყონ ეგრევე?!

14

## „ყელში ამოვიდა სოსო ჯაჭვლიანის ამორალური საქციელი! უნდა გადადგეს!“



რას პასუხობს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი 170 სპორტსმენის ბრალდებებს?!

31

## მამუკა ახვლედიანი: „არ მინდოდა, ნინო გვენეტაძე ასე მომეხსენიებინა, მაგრამ ვფიქრობ, დადგა დრო, საზოგადოებამ ყველაფერი იცოდეს!“



რა ინფორმაციები მოიპოვა „ალიამ“ საქალაქო სასამართლოს ახალ თავმჯდომარეზე?

12

## ზაზა ხატიაშვილი: „ჩემი შვილების ასე ხსენებას არავის გაპატიებ!“

რატომ დაუპირისპირდა ადვოკატი ზაზა ხატიაშვილს?



26

## ისნის მეორადი ავტონაწილების ბაზრობა იხურება?



16

„ამ უწყებებს სამი თითის სამინისტრო დავარქვი — თეას, თინას და თამარის სამინისტროები — იუსტიცია, განათლება და თავდაცვა!“




8

## სტუდენტები ფართომასშტაბიან აქციებს იწყებენ



11

## მსოფლიო ჩემპიონი გიორგი კანდელაკი პოლიტიკაში მოდის



**გიორგი კანდელაკი:** „მე რასაც ვეთაყვანები, ჩემთვის რაც სიწმინდეა, იმას რატომ მიგინებ? არ მოვთხოვო ამაზე პასუხი? მოვთხოვ კი არა, დედას ვუტირებ!!!“

29

## „ჰომოფობ“ „ალიას“ ტრანსგენდერები შველას სთხოვენ!



30

## პორნოების გავრცელების ექსკლუზივი საქართველოში მხოლოდ შსს-ს აქვს!!!



9

## რატომ „გაღარიბდა“ ბიძინა ივანიშვილი 400 მილიონით?

1. ივანიშვილის სიმდიდრის შემცირება მის ბიზნესაქტივობის ნაკლებობას უკავშირდება? 2. ეს ის ფული ხომ არ არის, რაც ივანიშვილს ქართულ პოლიტიკაში მოსვლა დაუჯდა?




32

## ქუთაისში ჩვილის ცხედარი იპოვეს



ქუთაისში ნიჩბოსნობის სპორტსკოლის დასახლებაში ჩვილის ცხედარი იპოვეს. ფაქტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურშიც ადასტურებენ.

ჩვილი ცელოფნის პარკში იყო გახვეული. სავარაუდოდ, ის რამდენიმე დღის წინ არის გარდაცვლილი.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც დედის მიერ ჩვილის განზრახ მკვლელობას გულისხმობს. (ambebi.ge)

## „მაგ პარტიიდან შენივე კოლეგებმა რატომ გამოგაბუნძულეს, ის მოუყევი შენს რამდენიმე მხარდამჭერს“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ომარ ნიშნიანიძე, პოლიტიკური გაერთიანება „რეფორმატორების“ ლიდერ ირაკლი ღლონტს მიმართავს.

– კიდევ ერთხელ ირაკლი ღლონტს, ამჯერად ბოლოჯერ...– ირაკლი, ბიძიკო, კიდევ ერთხელ ვნახე რამდენიმე დღის წინანდელი შენი გამობაასება ტელე „იბერიის“ ეთერში და დავრწმუნდი, რომ შენ არა მარტო „ნაცების“ შნირი ყოფილხარ, რომელიც მითითებებს ისევ ოდესის გუბერნატორისგან იღებს, ამასთანავე, გვარიანად უზრდელი ბიჭიც ყოფილხარ. შენ რომ ასაკი გაქვს, იმდენი ხნის ლექციების კითხვის გამოცდილება მაქვს, რომ იცოდე. ჭკუა და პერსპექტივა რომ გქონდეს, ამას მაინც მოტვინავდი, ულტიმატუმებით ბებიაშენს ელაპარაკე (თუმცა მას ბოდიშს ვუხდი, შენ გამო რომ მიხდება ამის თქმა). მაგას ჯობია შენს „ფეისბუკზე“ შენი მხარდამჭერები დათვალო – კარგადაც რომ მოგიპარია სახელწოდება „რეფორმატორები“, ისე მაგ პარტიიდან შენივე კოლეგებმა რატომ გამოგაბუნძულეს, ის მოუყევი შენს რამდენიმე მხარდამჭერს ამ „ფეისბუკზე“....

იქნებ ოფისის მისამართიც გამოაქვეყნო, რომელიც არა გაქვს, თუ მაგის ფული არ მოგცეს ნაცებმა? ისე, მელიას და ვაშაძეს შეიძლება შენზე მეტი პატივი სცეს კაცმა – იმათ ნაცობა მაინც არ უარყვიათ შენსავით. კარგად გადათვალე, არჩევნებში რამდენი ხმა მიიღე და ახლა რამდენი წევრი გყავს. ისიც გაიხსენე, რაები იკადრე, რომ „რუსთავი 2“-ის ამბებთან დაკავშირებით ეთერში მოხვედრილიყავი.

მიხედე, ბიძიკო, საკუთარ თავს – იქნება მოხდეს სასწაული და კი დადგე კაცი, გაიზარდო კიდეც, – წერს ნიშნიანიძე. (marshalpress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაციონალური მოძრაობა“ იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას ითხოვს

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განცხადების საფუძველზე, რომლის თანახმადაც, მთავრობის მიერ მისი პირადი ცხოვრების ფარული ჩანაწერის უკანონოდ მოპოვება მოხდა, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს გამოძიება.

– სასამართლოს თავმჯდომარის თანახმად, მთავრობა, კერძოდ კი, იუსტიციის მინისტრი მას ამ ჩანაწერით ფაქტობრივად აშანტაჟებს. სწორედ ამიტომ იუსტიციის მინისტრი დაუყოვნებლივ უნდა დაიკითხოს. იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ გამოძიება ასევე უნდა დაიწყოს მის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეზე ზეწოლის ფაქტთან დაკავშირებით, როცა მან ბატონ პაპუაშვილს „თანამშრომლობის“ ნაცვლად ვენეციის კომისიის წევრობის გაგრძელება შესთავაზა.

საქართველოს ყველა უცხოელი პარტნიორი აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია. სწორედ საკონსტიტუციო სასამართლომ გადაარჩინა ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის პროცესი, როცა ბიძინა ივანიშვილს საშუალება არ მისცა ხელში ჩაეგდო „რუსთავი 2“. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს წინააღმდეგ ივანიშვილის შეტევა საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ შეტევაცაა.



ბიძინა ივანიშვილის მთავრობა, გარდა იმისა, რომ გააღარიბა ხალხი და ანიავებს ჩვენს სუვერენიტეტს, მასობრივად ნერგავს მისი მშობლიური რუსეთისთვის დამახასიათებელ ბინძურ მეთოდებს – მასობრივ თვალთვალს და შემდეგ ადამიანების შანტაჟს. მან უშიშროების სისტემაში მოიყვანა საბჭოთა „კაგებეში“ ნამუშევარი არაერთი კადრი, რაც თავისთავად უდიდესი საფრთხის შემცველია. ცხადია, ივანიშვილს აღნიშნული ბინძური მეთოდები ვერ უშველის. საკუთარ უნიათო და მავნებელ გუნდთან ერთად მას ქართველი ხალხი წელს უნდობლობას გამოუცხადებს და ხელისუფლებას ჩამოაშორებს, – განაცხადა გიორგი კანდელაკმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სურსათის ფასის ინდექსი თებერვალში სტაბილურია



მსოფლიოში სურსათზე ფასები სტაბილური დარჩა თებერვლის თვეში. შაქარსა და რძის პროდუქტზე შემცირებულმა ფასმა, მცენარეულ ზეთზე მომატებული ფასები დააბალანსა. ამის შესახებ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია **(FAO)** იტყობინება.

აღნიშნული ორგანიზაციის სურსათის ფასის ინდექსი, მსოფლიოში საბითუმო ფასს ზომავს სამომხმარებლო კალათაში შემავალი ძირითადი მოხმარების პროდუქტებზე: ხორბალზე, მცენარეულ ზეთზე, რძის პროდუქტებზე, ხორცსა და შაქარზე. თებერვალში სურსათის ფასის ინდექსმა 150,2 ქულას მიაღწია, ანუ თითქმის უცვლელი დარჩა იანვარში გამოცხადებული 150,0 ქულის შემდეგ, თუმცა 14,5 პროცენტით ნაკლებია გასული წლის თებერვლის მაჩვენებელთან შედარებით.

**FAO** პირველ პროგნოზს 2016 წლის ხორბლის მოსავალთან დაკავშირებითაც აქვეყნებს. წელს მსოფლიოში 723 მილიონ ტონა ხორბლის მოსავალს ელოდებიან, რაც 10 მილიონი ტონით ნაკლებია გასული წლის მოსავლის რეკორდულ მაჩვენებელთან შედარებით.

თებერვალში ყველაზე მკვეთრი ცვლილება მცენარეულ ზეთებზე აღინიშნა, რაც გასულ თვესთან შედარებით, ზეთზე **FAO**-ს ინდექსის 8,0-პროცენტიანი ზრდით გამოიხატა. ეს ზრდა დააბალანსა **FAO**-ს ინდექსმა შაქარზე, რომელიც 6,2 პროცენტით დაეცა იანვრის შემდეგ, რაც განპირობებულია მსოფლიოში შაქრის სოლიდური მარაგებითა და კარგი მოსავლიანობით ბრაზილიაში, რომელიც მსოფლიოში უმსხვილეს მწარმოებელ და ექსპორტიორ ქვეყნად ითვლება.

**FAO**-ს ფასის ინდექსი შემცირდა რძეზე 2,1 პროცენტით, ხორბალზე – დაახლოებით 0,5 პროცენტით, ხორცზე კი მაჩვენებელი მცირედ გაიზარდა ავსტრალიიდან და შეერთებული შტატებიდან მომარაგების შემცირების გამო. რაც შეეხება ფასს ფრინველის ხორცზე, მისი ფასიც მცირედ დაეცა, მიზეზად, ფრინველის საკვებზე ფასის შემცირება სახელდება. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „გაცილებით მნიშვნელოვანი კოალიციები დაშლილა“ – სოზარ სუბარი



დევნილთა მინისტრი სოზარ სუბარი კოალიციის დაშლას არ გამორიცხავს და აცხადებს, რომ გუნდს ცვლილებები სჭირდება და ამას საჭირო პროცესად მიიჩნევს.

– გაცილებით მნიშვნელოვანი კოალიციები დაშლილა, ბოლოს და ბოლოს, ერთა ლიგა დაიშალა, არა თუ ჩვენი კოალიცია. ცვლილებების გარეშე ღმერთმა არ გვამყოფოს, ცვლილებები და განახლება არის მუდმივი და კარგი პროცესი. ეს არის საჭირო არა მხოლოდ გუნდისთვის და კოალიციისთვის, არამედ თითოეული ადამიანისთვის, რათა მან იპოვის სხვა, ახალი გზა თავის ცხოვრების გაგრძელებისთვის, – თქვა კოალიციაში მიმდინარე პროცესების შეფასებისას მინისტრმა. (ნიუპოსტი)

## მამუკა არეშიძე „გაზპრომის“ წინააღმდეგ ჩატარებულ აქციაზე: ეს იყო ხელების ქნევა ჩხუბის შემდეგ



ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ „გაზპრომის“ წინააღმდეგ გამართულ აქციას აფასებს. ექსპერტი აცხადებს, რომ „გაზპრომთან“ მოლაპარაკების საკითხი „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან იყო პოლიტიზებული. მისი თქმით, აქცია იყო „აქცია აქციისთვის“.

არეშიძის თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ მსგავსი ნაბიჯებით საზოგადოების შეცდომაში შეყვანასა და დასავლეთთან ქულების დაწერას ცდილობს.

– ეს იყო პოლიტიზებული აქცია აქციისთვის. „ნაციონალური მოძრაობა“ ამბობს, რომ მათი ზეწოლის შედეგად მოხდა 10 პროცენტის თაობაზე შეთანხმება – ეს არის ნონსენსი. ვთქვათ, ჩვენს ხელისუფლებაზე მოახდინეს ზეწოლა, მაგრამ ამ პროცესში ხომ სხვა მხარეებიც იყვნენ ჩართულნი – რუსეთი, ირანი, აზერბაიჯანი, მათზე ზეწოლასაც ხომ ვერ მოახდენდნენ?!

მე დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთი ქმედების მიმართაც არ ვიშურებ კრიტიკას, როცა ამის საჭიროება დგება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თეთრი და შავი ერთმანეთისგან ვერ გავარჩიოთ. არსებობდა ტექნიკური პრობლემა, რომელიც მოგვარდა და დღეს აზერბაიჯანის მხრიდან დამატებითი მოცულობის გაზის მოწოდების შესაძლებლობა გაჩნდა. მე ვფიქრობ, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ და მთლიანად საქართველოს მთავრობამ ძალიან მომგებიანი შედეგი მიიღო საქართველოსთვის, ეს დასაფასებელია.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ რამდენიც უნდა ილაპარაკოს ამ თემაზე, ეს ისევ მათთვის იქნება წამგებიანი პოლიტიკურად. საზოგადოების დიდი ნაწილი არ მივიდა აქციაზე, რადგან მათ დაინახეს, რომ აქცია იქნებოდა ხელების ქნევა ჩხუბის შემდეგ, – განაცხადა მამუკა არეშიძემ. (kvira.ge)

## ნუგზარ წიკლაური: კოალიცია დაშლილია და ახალი ფორმატის შექმნაზე მოლაპარაკება მიმდინარეობს

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი ნუგზარ წიკლაური „ქართულ ოცნებაში“ შექმნილ ვითარებას საარჩევნო კვოტებს უკავშირებს და ხელისუფლებას ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარების იგნორირებაში ადანაშაულებს.

– პარლამენტის თავმჯდომარის განმარტებები ნიშნავს, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ დაშლილია და ამჟამად ქართულ ოცნებასა და რესპუბლიკელებს შორის ახალი ფორმატის შექმნაზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები, – განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა. (ნიუპოსტი)

## „პაპუაშვილზე ფარული ჩანაწერების გამოქვეყნება – ეს იქნება საერთაშორისო სკანდალი და საიმიჯო კატასტროფა“ – გაბაშვილი



საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებას მის შესახებ მოსალოდნელი ფარული ჩანაწერების გავრცელებასთან დაკავშირებით საერთაშორისო მასშტაბის სკანდალს უწოდებს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გიორგი გაბაშვილი. გაბაშვილის განცხადებით, ეს არის ივანიშვილის მმართველობის სტილი, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება „მწარედ ინანებს“.

– აბსოლუტურად აღმაშფოთებელია, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი ფორმით აშანტაჟებენ, მაგრამ არ მიკვირს, რადგან ჩვენ გვახსოვს, როგორ გამოუგზავნეს „რუსთავი 2“-ის დირექტორს და დაემუქრნენ მის შესახებ კომპრომატების გავრცელებით. ეს ჰაკიმფაშას ხელწერა ცნობილია. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ ასეთი მეთოდებით შანტაჟი არის საერთაშორისო მასშტაბის სკანდალი და კატასტროფა. ეს ხელისუფლებას ძალიან სერიოზულად დააზარალებს და თუ ხელისუფლებაში ვინმე გონიერი არსებობს, ამ გზით არ უნდა იაროს. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რეებზე წამსვლელი ხელისუფლებაა, როცა ისინი თვლიან, რომ რაღაც აქვთ გასაკეთებელი. მათ შეუძლიათ, დაანგრიონ საკონსტიტუციო სასამართლო, დაანგრიონ ეროვნული ბანკი, შეურაცხყოფა აყენონ საპრეზიდენტო ინსტიტუტს, აბუჩად აიგდონ პოლიციის ღირსება, ამ ადამიანებისთვის არაფერი არსებობს, თუკი ივანიშვილს აქვს გაცემული ამგვარი დავალება. თუმცა, ეს იქნება საიმიჯო კატასტროფა და საერთაშორისო მასშტაბით იქნება ის, რასაც მწარედ ინანებენ, თუკი ამ გზას დაადგნენ, – განაცხადა გოკა გაბაშვილმა. (ნიუპოსტი)

## გია ხუხაშვილი: დავით უსუფაშვილი ძალიან დაემსგავსა ედუარდ შევარდნაძეს



– ბოლო პერიოდში, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ედუარდ შევარდნაძეს ძალიან დაემსგავსა, – ამის შესახებ პოლიტოლოგმა გია ხუხაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, ამ ფაქტს პრემიერისა და „რესპუბლიკელების" შეხვედრის შემდეგ გაკეთებული განცხადებებიც მოწმობს.

– უსუფაშვილის განცხადებები იყო შევარდნაძის კლასიკური განცხადება – ილაპარაკა რაღაც გაუგებარ ორპარტიულ შეთანხმებაზე, რომელსაც სამი დღეა გვიხსნიან და ვერავინ აგვიხსნა, რას ნიშნავს. მათი მთავარი ამოცანა იყო სახის შენარჩუნება, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

პოლიტოლოგის შეფასებით, „რესპუბლიკურ პარტიაში" ერთადერთი ინტელექტუალური ფიგურა დავით უსუფაშვილია.

– სხვამ ყველამ დაამტკიცა, რომ, ამბიციის გარდა, იქ აღარაფერია დარჩენილი. „რესპუბლიკური პარტია", იმ რისკიდან გამომდინარე, რომ შეიძლება თამაშგარე დარჩეს, ყველაფერზე უარს იტყვის, ყველაფერზე თვალს დახუჭავს, ოღონდ კოალიციაში დარჩეს, – აღნიშნა პოლიტოლოგმა. (რეპორტიორი)

## „ბავშვები ტყვეების თავებით ფეხბურთს თამაშობენ" – როგორ წვრთნის ISIS მომავალ თაობას



გაეროს საექსპერტო მოხსენების თანახმად, „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტები სპეციალურად ამზადებენ მცირეწლოვან ბავშვებს. ისინი მათ სისასტიკის გრძნობას უნერგავენ.

მოხსენების თანახმად, მათი აღზრდის ერთ-ერთი მეთოდია მოკლული ტყვეების თავებით ფეხბურთის თამაში. ასევე, ბავშვები მასობრივი დახვრეტის პროცესსაც ესწრებიან.

ტერორისტები მიიჩნევენ, რომ ამ მეთოდებით მათ საიმედო ცვლა ეზრდებათ. ამასთანავე, ბავშვებს ხშირად იყენებენ სხვადასხვა ტერაქტების მოსაწყობად, რადგან მათ სამართალდამცავები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსეთი ქართველ „კანონიერ ქურდებს" იტალიაში ადეპორტებს



1-ელ მარტს კემეროვოს კოლონიიდან სასჯელის ვადის ამოწურვის გამო განთავისუფლდა 41 წლის ე.წ. კანონიერი ქურდი ჯემალ მიქელაძე, მეტსახელად ჯემო. თუმცა, მისი თავისუფლება ხანმოკლე აღმოჩნდა – კოლონიის გარეთ ის კვლავ დააკავეს და მისი საქმე განსახილველად კემეროვოს სასამართლოს გადასცეს.

როგორც ცნობილია, მიქელაძე ერთ-ერთ საკვანძო ფიგურად ითვლება ქურდულ კლანებს შორის არსებულ კონფლიქტში. სწორედ მას უკავშირებენ ცნობილი „დედ ჰასანის" მკვლელობის ისტორიას – უსოიანი ჯემოს მოსკოვში საიდუმლო ჩამოსვლიდან 2 კვირაში მოკლეს, რამაც ამ ჭორებს დაუდო საფუძველი. კიდევ ორი კვირის გასვლის შემდეგ მიქელაძე პოლიციამ თავის ქალაქგარეთ არსებულ რეზიდენციაში იარაღის შენახვის გამო დააკავა.

მიქელაძის წინააღმდეგ 2 სასამართლო პროცესი გაიმართა და საბოლოოდ მას 3 წელი მიუსაჯეს. „დედ ჰასანის" მკვლელობის ორგანიზება მას, ცხადია, ვერ დაუმტკიცდა, თუმცა, სავარაუდოდ, ამ მიზეზით, ციხეში, 2014 წლის 2 მაისს, ის სასტიკად სცემეს ვაგიფმა და ზვიადმა – ორმა „კანონიერმა ქურდმა". რადგან ჯემო ცოცხალი გადარჩა, ეს იმის აღმნიშვნელია, რომ ის ვერ „გატეხეს" და „დედ ჰასანის" მკვლელობა ვერ აღიარებინეს.

ამავე დროს, ევროპაში, კერძოდ, იტალიაში მიქელაძის რამდენიმე მომხრე დააკავეს, ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფის ჩამოყალიბების ბრალდებით, რაშიც ჯემო მიქელაძეც იყო გარეული. სასამართლომ მიქელაძეს დაუსწრებლად 15 წელი მიუსაჯა და მასზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა. ამ დროს მის მეგობრებს „წრიპას", „ჩხვინდის" და სხვებს, რომლებიც სასამართლო დარბაზში იმყოფებოდნენ, – მხოლოდ 3 ან 4 წელი.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის კოლონიაში ყოფნისას, მიქელაძეს ქვეყნის მოქალაქეობა ჩამოართვეს და იგი სამუდამოდ „პერსონა ნონ გრატად" გამოაცხადეს. სწორედ ეს „აცნობეს" მიქელაძეს, რომელიც ელოდებოდა, რომ თურქეთში მოახდენდნენ მის დეპორტაციას, მაგრამ, როგორც ჩანს, კემეროვოს სასამართლო მას უფრო მძიმე ხვედრს არგუნებს – იტალიაში დეპორტაციას და 15 წლის იქაურ ციხეში გატარებას. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ილია მეორე: შევაგროვოთ ფული, ვიყიდოთ სახლი, სადაც მივიღებთ გაჭირვებულ ადამიანებს



„ყოველი ადამიანი უნდა ეძებდეს გაჭირვებულ ადამიანს", – ამის შესახებ საკვირაო ქადაგებაზე ილია მეორემ ბრძანა. უწმინდესმა გაჭირვებული ადამიანებისთვის სახლის შესაძენად მრევლს ფულის შეგროვება დაავალა.

– ჩვენი შვილები უნდა გავზარდოთ მოწყალების სულისკვეთებით. მე მაქვს სურვილი, რომ ჩვენმა მრევლმა ვიყიდოთ სახლი და ეს სახლი გაჭირვებული ადამიანებისთვის მოვაწყოთ თავშესაფრად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს ინტელიგენციას, ჩვენს მწერლებს, მხატვრებს, ხელოვნების მუშაკებს, რომელთაც არ შეუძლიათ თხოვნა და არ შეუძლიათ ვაჭრობა. მათ უნდა დავეხმაროთ და უნდა ჰქონდეთ საშუალება, რომ გამოვიდნენ სტრესისგან. თქვენ ყველას გევალებათ, შევაგროვოთ ფული, ვიყიდოთ ასეთი სახლი, სადაც მივიღებთ გაჭირვებულ ადამიანებს, – მიმართა მრევლს პატრიარქმა.

მისივე თქმით, როცა ადამიანი დახმარებას გასცემს გაჭირვებულზე, დახმარების გამცემი უფრო ხარობს, ვიდრე ვინც დახმარება მიიღო.

– ის, რაც გაეცი, შენია და დაგხვდება, ის გაცხონებს და ის დაგეხმარება. შენი მოწყალება, როგორც ანთებული სანთელი, გაგიძღვება წინ და მიგიყვანს სასუფეველში. მრავალი ადამიანი მინახავს, რომელიც მოწყალებას აძლევდა და ბედნიერად დამთავრდა მათი ცხოვრება, – ბრძანა პატრიარქმა. (რეპორტიორი)

## სანდრო ბრეგაძე: ან ქართველი ხალხი, ან „რესპები"...



დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე სანდრო ბრეგაძე რესპუბლიკელების შესახებ „ფეისბუქში" წერს:

– მოდით, პირდაპირ ვთქვათ სიმართლე – „რესპუბლიკური პარტია" გახლავთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, გენერალ ალექსი ინაურის პროექტი. როგორც გამიგია, ამხანაგი ინაური საკმაოდ შორსმჭვრეტელი ადამიანი გახლდათ და მან წინასწარ განსაზღვრა, რა როლი ექნებოდა „რესპუბლიკურ პარტიას" მომავალ საქართველოში. ნამდვილი დისიდენტური და ეროვნული მოძრაობის საპირწონედ შექმნილი ეს ძალა მუდმივად ასრულებდა ჭეშმარიტი პატრიოტების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღის როლს. ამის თვალნათელი მაგალითია „რესპების" მიერ წარმოებული ბრძოლა ეროვნული მოძრაობის ჭეშმარიტი ლიდერის, ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ჩვენდა სამწუხაროდ, ინაურის აგენტურა დღესაც მოქმედებაშია და ყველა ანტიეროვნული საქმის პიონერები ისინი ბრძანდებიან.

ხშირად დაუსვამთ ესეთი კითხვა: რატომ ებრძვიან „რესპები" ეკლესიას? პასუხი მარტივია: მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საბჭოთა „კგბ"-ს წიაღში არიან აღმოცენებულნი, ხოლო საბჭოთა მზვერავი ან აგენტი არ შეიძლება მორწმუნე იყოს. სწორედ ეს გახლავთ ძირითადი მიზეზი იმისა, რომ სწორედ ისინი ეწინააღმდეგებიან ლუსტრაციის კანონის მიღებას, ხოლო ვინმე თუ წამოსწევს ამ საკითხს, მყისვე ბლოკავენ. ამ ფონზე აბსოლუტურად გაუგებარი იქნება რაიმე სახის ორმხრივ თანამშრომლობაზე საუბარი და ალბათ, იმ პიროვნებებს, რომლებიც ამ საკითხზე მუშაობენ, დაფიქრება მოუწევთ, ხოლო დაფიქრების შემდგომ არჩევანის გაკეთება – ან ქართველი ხალხი, ან რესპები. არჩევანი თქვენზეა, ხოლო მოქმედება ხალხზე! – წერს ბრეგაძე. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კალაძეს მარტის ბოლოს ან აპრილში გადააყენებენ?

„თავისუფალი თაობის" ლიდერი ლადო სადღობელაშვილი კახი კალაძის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების აუცილებლობაზე საუბრობს და ამბობს, რომ ენერგეტიკის მინისტრმა დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა. სადღობელაშვილი „გაზპრომის" საკითხს გულისხმობს და ამბობს, რომ არ არის გამორიცხული, მარტის ბოლოს, ან აპრილის დასაწყისში კალაძე ამ თემას გადააყოლონ. რაც შეეხება კალაძის წინააღმდეგ მის მიერ დაანონსებულ ბრძოლას, სადღობელაშვილი ამბობს, რომ აქციები და აქტივობები მისი ორგანიზაციის მხრიდან აუცილებლად იქნება.

– „გაზპრომთან" დაკავშირებით სიტუაცია ძალიან მარტივია, ამ ადამიანს ჰქონდა შანსი, გამოევლინა თავისი ნიჭი, რომელიც არ აღმოაჩნდა იმისთვის, რომ ურთიერთობა დაელაგებინა თუნდაც „გაზპრომთან", ნაკლებ ფასად მიგვეღო გაზი და გაგვეყიდა ეს გაზი. თუმცა მან ყველაფერი აურია, ვერ დაალაგა სიტუაცია და შესაბამისად, ამისთვის მისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. უპასუხისმგებლო მინისტრის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელმაც დაკისრებული ვალდებულება ვერ შეასრულა. „ქართული ოცნების" ოპონენტი პარტიები ხელისუფლებას უწოდებს უნიათოს, მე მათ ამაში არ ვეთანხმები, უნიათოები ნამდვილად არ არიან, მე კონკრეტულად ამ მინისტრთან დაკავშირებით ვამბობ, რომ ის არის უპასუხისმგებლო, რაზეც მან აიღო პასუხისმგებლობა, უნდა დაელაგებინა და ვერ დაალაგა. ამისთვის ახლავე რომ გადააყენონ და ჩამოიშორონ, მეეჭვება, ეს დაასხამს „ნაციონალური მოძრაობის" წისქვილზე წყალს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ დაახლოებით მარტის ბოლომდე ან აპრილის დასაწყისში, ეს პიროვნება გადააყოლონ „გაზპრომის" თემას. რაც შეეხება დაანონსებულ ომს, ჩვენ ჯერჯერობით ბეჭდური მედიის საშუალებით და სოციალური ქსელებით, ნელ-ნელა



ქუჩაშიც გამოვალთ, მე ვერ დაგპირდებით და ვერც საზოგადოებას დავუანონსებ აგრესიულ აქციებს, მაინც „ქართული ოცნების" გულშემატკივარი ვარ და მათი იდეების, თუმცა სხვადასხვა სახის აქციებსა და აქტივობებს ვგეგმავთ. არ მინდა უბრალოდ ამაზე წინასწარ საუბარი, – განაცხადა ლადო სადღობელაშვილმა (პირველი რადიო)

## ავსტრალიაში გეიაღლუმს პრემიერი და ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ესწრებოდნენ



ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი მაკლოლმ ტერნბული, პირველად ქვეყნის ისტორიაში, სიდნეიში გამართულ გეიაღლუმს დაესწრო. აღლუმში 12 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. პრემიერს მსვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია.

ადრე პრემიერმა განაცხადა, რომ ავსტრალიაში ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზების საკითხზე რეფერენდუმი ჩატარდება.

გეიაღლუმს ასევე ესწრებოდა წამყვანი ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ბილ შორტენიც, რომელიც მსვლელობასაც შეუერთდა. მისი საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი პუნქტი სწორედ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება იყო. (ნიუპოსტი)

## თურქულმა პოლიციამ ოპოზიციური გამოცემა „ზამანის" ოფისი შტურმით აიღო



თურქულმა პოლიციამ ოპოზიციური გამოცემა „ზამანის" ოფისი შტურმით აიღო. დასავლური მედიის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა შენობასთან შეკრებილი ასობით დემონსტრანტის წინააღმდეგ წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. საპროტესტო აქცია „ზამანის" ოფისთან მას შემდეგ გაიმართა, რაც სტამბულის სასამართლომ გაზეთისთვის ე.წ. გარე მმართველის დანიშვნა გადაწყვიტა, რამდენიმე საათის შემდეგ კი სამართალდამცველებმა რედაქციაში ჩხრეკა დაიწყეს.

„ზამანის" გენერალური დირექტორის აბდულჰამით ბილიჯის განცხადებით, კონსტიტუციის დაცვის ქვეშ მყოფი მედიასაშუალების მმართველობის უკანონოდ ხელში ჩაგდება, კონსტიტუციის უარყოფის ტოლფასია.

– ქვეყანაში მთავრობამ, მის მიერ ოპოზიციურად მიჩნეული მედიის გაჩუმების მოტივით, 4 თვის წინ მსგავსი ქმედებებით „კოზა-იფექ" მედიაჯგუფის მმართველობაც ჩაიბარა, გასულ დღეებში კი ჰოლდინგის მმართველობაში მყოფი ყველა მედიასაშუალება დაიხურა. გონიერი და დემოკრატიული ფასეულობების ყველა დამცავს მედიის თავისუფლებისა და გაზეთ „ზამანის" მხარდაჭერისკენ მოვუწოდებ, – განაცხადა აბდულჰამით ბილიჯიმ. (პირველი რადიო)

## „ჩემი ძმა იუსტიციის სახლში მივიდა, სადაც განუცხადეს, რომ 2015 წლის 25 დეკემბერს გარდაიცვალა“



უფლებადამცველი გიორგი მშვენიერაძე სოციალურ ქსელში კურიოზულ სიტუაციაზე წერს, რომელიც მის ძმას იუსტიციის სახლში შეემთხვა.

– ჩემი ძმა იუსტიციის სახლში მივიდა, სადაც განუცხადეს, რომ 2015 წლის 25 დეკემბერს გარდაიცვალა, რაც დადასტურებულია სასამართლო გადაწყვეტილებით, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობოდა ექსპერტიზის დასკვნას. რა კარგადაა ქვეყანა მოწყობილი...

პ.ს. ასეთი რამ „ნაცების“ დროსაც ხდებოდა, კომენტარები არ მიიღება. ბახუტოვი მახსოვს, – წერს მშვენიერაძე. (daijesti.pia.ge)

## ვინ აპირებს გვარამიასა და პაპუაშვილის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო-ფოტომასალის გამოქვეყნებას?



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილმა „კურიერის“ ეთერში სკანდალური განცხადება გააკეთა.

მისი თქმით, ხელისუფლება გეგმავს, მასზე ზეწოლის ახალი ტალღა დაიწყოს და უცხოეთიდან მისი საუბრების ფარული ვიდეოჩანაწერები გამოაქვეყნოს.

– ზეწოლის ახალი ტალღა იწყება. როგორც კონფიდენციალურმა წყარომ შემატყობინა, თითქოს აპირებენ ჩემს შესახებ ფოტო და ვიდეომასალის გამოქვეყნებას, სადაც რაღაც ულირს გამონათქვამებს ვამბობ. ბატონი მინისტრი მათ გამოქვეყნებას დაჟინებით ითხოვს და მას შიდა პოლიტიკური ხელმძღვანელობა ეწინააღმდეგება, – განაცხადა პაპუაშვილმა.

„რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს:

– კონფიდენციალურმა წყარომ მაცნობა, რომ ჩემი (გიორგი პაპუაშვილის) პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო და ფოტომასალის გამოქვეყნებას აპირებენ. განსაკუთრებით აქტიურობს იუსტიციის მინისტრი წულუკიანი და მოითხოვს ამ მასალების გასაჯაროებას. (ც) საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი ამ წუთებში აცხადებს „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში.

შანტაჟისტი პერვერტი ვუაიერისტების მთავრობა, რომელიც ქვეყნის უმაღლეს მოსამართლეს ფარულად ულებს და აშანტაჟებს. პორნოგრაფია არა და ეს მთავრობა ნამდვილად უნდა ამოვიღოთ სამოქალაქო ბრუნვიდან.

პ.ს. პირადი ცხოვრება აუცილებლად სექსს არ ნიშნავს, – წერს ნიკა გვარამია. (primenewsgeorgia.ge)

## „მეძახონ ბებერი სულელი, მაინც ვიტყვი, რომ ასეთი ნორმა შოკში მაგდებს“ – ალენ დელონი



ლიბერალებმა, მემარცხენეებმა და უმცირესობის წარმომადგენლებმა ალენ დელონის წინააღმდეგ კამპანია წამოიწყეს.

მსოფლიო კინოს კლასიკოსს შვეიცარიულ ფრანგულენოვან გაზეთში გამოქვეყნებული ინტერვიუს გამო უპირისპირდებიან.

– 40 წელია დე გოლისტი ვარ და ვიცი, რომ ფეხი დროსაც უნდა ავუწყო. თუმცა იყო დე გოლისტი ოლანდის სამყაროში, შეუძლებელია. ერთსქესიანთა ქორწინებას არ ვებრძვი, ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ. მე მხოლოდ მათ მიერ ბავშვების შვილად აყვანის წინააღმდეგი ვარ. ახლა ვიცი, მეტყვიან, ადაპტაცია გაკლია და ცხოვრებას ფეხს ვერ უწყობო. რას იზამ, ცუდი ურთიერთობა მაქვს ჩვენს ეპოქასთან, რომელიც ყველაფერ არაბუნებრივს ცხოვრების ნორმად ამკვიდრებს. მეძახონ ბებერი სულელი, მაინც ვიტყვი, რომ ასეთი ნორმა შოკში მაგდებს, – აცხადებს მსახიობი.

საქმე ისაა, რომ მოსაზრებების გამო, მას საკუთარი შვილიც დაუპირისპირდა და მამის გამონათქვამს „აღმაშფოთებელს“ უწოდებს.

ამ დღეებში „ტოლერანტისტებმა“ თანამდებობას ჩამოაცილეს „მის საფრანგეთის“ ჟიურის უცვლელი თავმჯდომარე, თუმცა ისინი ამით არ კმაყოფილდებიან და მას კინოსტუდიის, „საპატიო ლეგიონის“ ორდენისა და „ცეზარის“ პრემიის ჩამორთმევითაც ემუქრებიან. (geonews.ge)

## ბინიდან გასახლებული ოჯახის უფროსი გულის შეტევით გარდაიცვალა



გლდანის მე-7 მიკრორაიონში საცხოვრებელი ფართიდან გასახლებული იპოთეკით დაზარალებული ოჯახი დახმარებას ითხოვს.

ნერვიულობის ნიადაგზე გარდაცვლილი მამაკაცი, რომელიც საცხოვრებელი ფართის არქონის გამო, მეზობლის ავტოფარეხში იყო დასვენებული, ბათუმში გადაასვენეს. მისი მეუღლე კი სტენოკარდიული შეტევით რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება.

იპოთეკით დაზარალებული მრავალშვილიანი ოჯახი დახმარებას ითხოვს. (newspress.ge)

## ნანუკა ჟორჟოლიანი მკვლელობის სკანდალურ დეტალებს ამხელს




ნანუკა ჟორჟოლიანი მკვლელობის შესახებ სკანდალურ დეტალებს სოციალურ ქსელში, „ფეისბუკის“ გვერდზე ამხელს.

– 2-3 დღის წინ თბილისში კაცი მოკლეს. ვინაობას არ გავამხელ, იქნებ მის შვილებს არ სურთ. მოკლედ, ეს კაცი დარაჯად მუშაობდა მანქანების სახელოსნოში. იქ ვილაცას სცემდნენ, ეს გამოესარჩლა და „ბიტებით“ შეიარაღებულმა ახალგაზრდებმა ისეთ დღეში ჩააგდეს, გადარჩენა ვერ მოხერხდა.

დააკავეს დამნაშავეები და სასამართლომ 8.000-იანი გირაოთი დარბაზიდან გაათავისუფლა.

თეა წულუკიანის მადლი გფარავდეთ, მოსამართლეებო! – წერს ნანუკა. (galanews.ge)

# დავით მაჭარაშვილი: „წამლის ფასები უნდა შემცირდეს გაზრდილი კონკურენციის ხარჯზე და მიკვირს, „ჰუმანითი ჯორჯიას“ ბაზარზე შემოსვლამ რატომ გამოიწვია ასეთი აჟიოტაჟი“

**ჯანდაცვის ჟურნალისტთა ასოციაციისა და ინტერნეტპორტალ janfacva.ge-ის ორგანიზებით, janfacva.ge-ს პრესკლუბი ამოქმედდა, რომლის პირველი სტუმარი ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით მაჭარაშვილი იყო. საუბრის მთავარი თემა მედიკამენტების ხარისხი გახლდათ. მაჭარაშვილის განცხადებით, ეს არის რთული და სენსიტიური საკითხი, რომელიც საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს, რადგან პრობლემა თითოეულ ადამიანს უშუალოდ ეხება:**

**„როგორი სიტუაციაა საქართველოში მედიკამენტების ხარისხის თვალსაზრისით? ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებ, ორი სიტყვით საკითხის პრეისტორიას უნდა შევეხო“, — განაცხადა დავით მაჭარაშვილმა.**

– „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში 2009 წელს განხორციელდა ძირეული ცვლილებები და ხარისხის კონტროლის მთელი რიგი ბერკეტები ამოღებული იყო კანონმდებლობიდან. ლიბერალურმა მიდგომებმა გამოიწვია ის, რომ საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე გაიზარდა დაშვებული მედიკამენტებისა და ამ საქმიანობით დაკავებული დაწესებულებების რაოდენობა. დღეისთვის საქართველოს ბაზარზე დარეგისტრირებულია 16 ათასი დასახელების ფარმაცევტული პროდუქტი. აქედან 11 ათასზე მეტი არის ეროვნული და აღიარებითი რეჟიმით შემოსული, ხოლო 5000 – ე.წ. პარალელური იმპორტით. ასევე, ფუნქციონირებს 5 ათასზე მეტი ფარმაცევტული დაწესებულება, აქედან 1300-ზე მეტი, საბითუმო დისტრიბუტორია.

შედარება მინდა გავაკეთო, რა იყო საკანონმდებლო ცვლილებამდე და რა ხდება დღეს. მედიკამენტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, რამაც გარკვეული სირთულეების წინაშე დააყენა ჩვენი სამსახური. ხარისხის კონტროლის თვალსაზრისით, 2009 წლის ოქტომბრამდე, ანუ საკანონმდებლო ცვლილებამდე, არსებობდა კონტროლის სამი ბერკეტი: სამკურნალო საშუალებების შერჩევითი კონტროლი, სავალდებულო სერიული კონტროლი, წინასწარი კონტროლი, რომელიც ითვალისწინებდა იმ ჯგუფის შემოწმებას, რომელიც არ ექვემდებარებოდა სერიულ შემოწმებას. შესაძლებელი იყო ასევე რეგისტრაციის პროცესში წარმოდგენილი სარეგისტრაციო ნიმუშების კონტროლი და მათი შესაბამისობის დადგენა. სამკურნალო საშუალებების ზრდამ ისედაც შეამცირა მათზე ხარისხის კონტროლის მოცულობა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, ორი ბერკეტი – სავალდებულო და წინასწარი კონტროლი საერთოდ ამოიღეს კანონმდებლობიდან, – განაცხადა დავით მაჭარაშვილმა.




დღეს დარჩენილია მხოლოდ შერჩევითი კონტროლი. ეს გულისხმობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვას, შემდგომი ლაბორატორიული შემოწმების მიზნით. პროგრამის ფარგლებში შეუძლებელია ყველა სამკურნალო საშუალების კონტროლი, რისი იმპორტიც საქართველოში ხდება.

დავით მაჭარაშვილმა, ასევე, ისაუბრა იმის შესახებ, რას გეგმავს ჯანდაცვის სამინისტრო სამომავლოდ და რა შეიცვლება იმისთვის, რომ ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე წარმოდგენილი სამკურნალო საშუალებები გარანტირებულად ხარისხიანი იყოს:

– იგეგმება ძირეული ცვლილებები საკანონმდებლო ბაზაში. ცვლილებების პაკეტი, პრაქტიკულად, მზად არის. იქვეა კანონქვემდებარე აქტებიც, რომლებიც გულისხმობს მთელი რიგი საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებასა და დანერგვას. ეს მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ქართულ ბაზარზე აღარ მოხვდება უხარისხო ფარმაცევტული პროდუქტი და ბაზარი სრულად იქნება დაცული.

პირველ ეტაპზე, ვიდრე საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდება, წლევანდელ პროგრამაში ჩადებულია შემდეგი პუნქტები, რაც დამატებითი გარანტიაა ხარისხის კონტროლისთვის: სამკურნალო საშუალებების (ხაზს ვუსვამ, არა მარტო მზა პროდუქტის) გადამოწმება მოხდება არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ აკრედიტებულ, ევროპის რომელიმე ლაბორატორიაში. ამ ეტაპზე, მოლაპარაკებები მიმდინარეობს კონკრეტულ ლაბორატორიებთან.

ეს არ ნიშნავს, რომ ადგილობრივს უნდობლობას ვუცხადებთ. ლაპარაკია უფრო მეტი სანდოობის ხარისხზე. მომავალი წლიდან, ჯანდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში, ასევე, გვექნება ლაბორატორია, რომელიც აკრედიტაციას გაივლის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, რომ ყველა სარეგისტრაციო ნიმუში ადგილზე გადამოწმდეს და თავიდანვე დავიწყოთ პრობლემასთან ბრძოლა, რათა ბაზარზე არ მოხვდეს უხარისხო პროდუქტი. კონტროლი განხორციელდება იმ რაოდენობით და იმ სიხშირით, რასაც ჩვენ ჩავთვლით საჭიროდ.

როგორც დავით მაჭარაშვილი აცხადებს, საკანონმდებლო ცვლილებები ახლო პერსპექტივა არ არის, რადგან ადგილობრივ მწარმოებლებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, გადავიდნენ ახალ სტანდარტებზე, რათა დააკმაყოფილონ საერთაშორისო მოთხოვნები:

– იგეგმება რეგისტრაციის პროცედურის ცვლილება, რეგისტრაცია განხორციელდება ფორმატში, რომელიც რამდენიმე ათეული წელია, მიღებულია ევროპაში, ამერიკაში. ეს არის უნიფიცირებული ფორმა, რომელიც რამდენიმე მოდულისგან შედგება. ის იქნება გარანტი, რომ დავრწმუნდეთ, რეგისტრაციის პროცესშივე, ბაზარზე დაიშვება მხოლოდ ხარისხიანი პროდუქცია. რა თქმა უნდა, ლაპარაკი არ არის 100-პროცენტიან გარანტიაზე, რადგან წუნდების ფაქტები ამერიკისა და ევროპის შემთხვევებშიც გვხვდება. ამ შემთხვევაში, ჩვენ მინიმალური დანახარჯებით მივიღებთ მაქსიმალურ ეფექტს. მოსახლეობას არ ექნება არანაირი პანიკის საფუძველი, რომ ქართულ ბაზარზე ხვდება უხარისხო პროდუქცია.

## „ნაციონალების“ საპროტესტო აქციაზე „არა გაზპრომს“ ხალხი არ მივიდა



„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაგეგმილი აქცია „არა გაზპრომს“ ხალხის მცირე რაოდენობის მისვლის გამო ჩაიშალა.

აქცია ცოცხალი ჯაჭვის სახით კანცელარიიდან რუსეთის ყოფილ საელჩომდე უნდა გამართულიყო. ჯაჭვი ვერ შედგა და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების ჯგუფმა აქცია მხოლოდ მთავრობის ადმინისტრაციასთან გამართა.

შეკრებილებმა „გაზპრომთან“ საქართველოს ხელისუფლების მოლაპარაკებები გააპროტესტეს. აქციის მონაწილეებს ლურჯი ბუშტები წარწერით „არა გაზპრომს“ ჰქონდათ მიტანილი.

მცირერიცხოვან საპროტესტო აქციაზე „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები, „თავისუფალი ზონის“ წევრები და ის მოქალაქეები იმყოფებოდნენ, ვინც „გაზპრომთან“ მოლაპარაკებებს აპროტესტებდნენ.

აღნიშნულ აქციას „ნაციონალური მოძრაობა“ რამდენიმე კვირის განმავლობაში ანონსებდა და მოქალაქეებს პროტესტის გამოხატვისკენ მოუწოდებდა.

შეგახსენებთ, რომ აქციის ჩატარებამდე ორი დღით ადრე, „გაზპრომთან“ ყოველწლიური ხელშეკრულება განახლდა, ხოლო დამატებითი მოცულობა საქართველომ სამხრეთ კავკასიური მილსადენით მიიღო, სომხეთში ტრანზიტის მონეტარულ საფასურზე კი „გაზპრომს“ უარი ეთქვა. (pia.ge)

## ეს ათი ათასობით ფაილი შეგროვებული იყო „ნაციონალური მოძრაობის“ დროს — მიროტაძე პაპუაშვილს პასუხობს



საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის იმ განცხადებას ეხმაურება, რომელშიც გიორგი პაპუაშვილი მის წინააღმდეგ ფარული ჩანაწერების შესაძლო გამოქვეყნებაზე საუბრობს და ამის ინიციატორად იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს ასახელებს. მიროტაძის თქმით, 21-ე საუკუნეში მსგავსი მეთოდებით ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება.

– ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ვინმემ ჩვენი ხელისუფლების დროს რაიმე მსგავსი ტიპის მასალა მოაგროვა. დარწმუნებული ვარ, ეს ათი ათასობით ფაილი შეგროვებული იყო „ნაციონალური მოძრაობის“ დროს და იმედი მაქვს, რომ ის ადამიანებიც მივიდნენ იმ აზრამდე, რომ 21-ე საუკუნეში ამ ბინძური მეთოდებით ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლა უბრალოდ არ შეიძლება, – განაცხადა მიროტაძემ. (პირველი რადიო)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**მარჯვენასაჭიანი მანქანების რეგისტრაციის აკრძალვის ვადამ შესაძლოა, 2017 წლამდე გადაიწიოს. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, თემურ მაისურაძის თქმით, კანონი ძალაში 1 ივნისიდან აღარ შევა. ის ამბობს, რომ კომიტეტმა განიხილა კანონპროექტი და ბოლო ვერსიით, ბიზნესს უნდა მიეცეს ვადა, რათა ახალ რეალობასთან ადაპტირება შეძლოს.**

**რა მოხდა რეალურად, რატომ ჩავარდა კანონპროექტი? რა სადამსჯელო ღონისძიებები აამუშავა შს სამინისტრომ? რას პასუხობენ „ალიას“ სამინისტროში?**

**„ალიას“ „ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ ხელმძღვანელი, ვასო ურუშაძე ესაუბრა:**

– პარლამენტში გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, ხელისუფლების მმართველ გუნდში აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა შსს-ს მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივებთან დაკავშირებით. არაერთხელ მოვისმინეთ საჯაროდ, რომ კანონპროექტის განხილვა გადაიდო 2017 წლისთვის, ეს განაცხადა როგორც შსს-ს წარმომადგენელმა საჯაროდ ეთერში, ასევე ბიზნესომბუდსმენმა ავტოიმპორტიორებთან შეხვედრის დროს, მაგრამ ფაქტია, დღეს პარლამენტში კანონპროექტი რეგისტრირებულია უცვლელი სახით.

**— რეალურად რატომ ჩააგდო ხელისუფლებამ კანონპროექტი, არჩევნების გამო?**

– ჩვენი ინფორმაციით, მმართველ გუნდში განიხილება კანონპროექტის ამოქმედების ვადის წლის ბოლოსთვის გადადება. მათი ტრაფარეტული მოტივი არის ის, რომ არ დაზარალდეს ბიზნესსექტორი, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, რეალობას მოკლებულია. ის, რომ კანონპროექტი დააზარალებდა ბიზნესსექტორს, შსს-მ ძალიან კარგად იცოდა და მაინც შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, მაგრამ როცა ამას მოჰყვა სახალხო პროტესტი, ხელისუფლების პარტიული თანამდებობის პირები ალაპარაკდნენ მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე, რადგანაც არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ აწყობს პოტენციური ამომრჩევლის განაწყენება. კანონპროექტის ავტორებმა ეს ბრძოლა წააგეს, მაგრამ ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, არც ერთ მთავრობას არ მივცემთ უფლებას, მიიღონ მსგავსი მავნებლური კანონპროექტები.

ყველამ კარგად ვიცით, რა მოტივი ამოძრავებდა შსს-ს, როცა შეიმუშავა ეს საკანონმდებლო პაკეტი და ის რეგულაციები, რასაც ჩვენ ვაპროტესტებთ. სურდათ თბილისის მერია გამოეყვანათ ჩიხიდან, რეგულაციების მეშვეობით შეემცირებინათ ექსპლოატაციაში მყოფი ავტომობილების რაოდენობა, რაც, მათი აზრით, თბილისს აარიდებდა თავიდან სატრანსპორტო კოლაფსს, რომელიც, რა თქმა უნდა, აბსურდული მიდგომაა.

რადგან მარჯვენასაჭიანი ავტომობილების როლი საცობების წარმოქმნაში ისეთივეა, როგორც მარცხენასაჭიანი ავტომობილის. შესაბამისად, აღნიშნული რეგულაციის მიღებით ვერც საცობების პრობლემას აღმოვფხვრით და ვერც მოსალოდნელ სატრანსპორტო კოლაფსს ავირიდებთ თავიდან. თუ სურს თბილისში მოძრაობის განტვირთვა და საცობების პრობლემის მოგვარება, უნდა განავითაროს საგზაო ინფრასტრუქტურა, შეიმუშაოს სწორი სატრანსპორტო პოლიტიკა, მოაგვაროს პარკირების პრობლემა, გამართოს როგორც შუქნიშნები ასევე საგზაო ნიშნები, განავითაროს ქვეითების ინფრასტრუქტურა, შეიმუშაოს ქალაქის სატრანსპორტო და ურბანული განვითარების სწორი ხედვა და ა.შ. ამ და სხვა რეკომენდაციებით ჩვენ არაერთხელ მივმართეთ თბილისის მერიას.

**— ბოლო დროს ძალიან ბევრი ავარია ხდება. ამის მიზეზებზე რას იტყვით?**

– რაც შეეხება გაზრდილ ავტოსაგზაო შემთხვევებს და მათ პრევენციას. პირველ რიგში უნდა დაიწყოს ავტოსაგზაო შემთხვევების საფუძვლიანი შესწავლა, რომ დადგინდეს ავტოსაგზაო შემთხვევების ზუსტი მიზეზები და გარე ფაქტორები. წარმოუდგენელია, ყველა ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ პასუხისგებაში ვაძლევდეთ მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების მძღოლებს და ამით შემოიფარგლებოდეს გამოძიება, სამწუხაროდ, დღემდე ესე ხდება. რა თქმა უნდა, თუ მძღოლმა დაარღვია მოძრაობის წესები, მისი პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს, მაგრამ ამავდროულად აუცილებელია, საფუძვლიანად შევისწავლოთ, რა შეიძლება ყოფილიყო ავტოსაგზაო შემთხვევის მაპროვოცირებელი მიზეზი. ეს შეიძლება იყოს მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა; ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილი; არასწორად დამონტაჟებული საგზაო ნიშანი; უადგილო ადგილას მოწყობილი პარკინგები; კლიმატური პირობები; მესამე პირის გავლენა, რომელიც არ არის ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილე, მაგრამ მოახდინა შემთხვევის პროვოცირება; მძღოლის კვალიფიკაცია, კომპეტენცია, ჯანმრთელობა, ფსიქოლოგიური პორტრეტი და სხვა დეტალები. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გვექნება სრული ინფორმაცია ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ, შეგვეძლება, დავსახოთ სწორი და მიზანშეწონილი პრევენციული ღონისძიებები. ამ პრობლემების მოგვარების ნაცვლად, საპატრულო პოლიციამ თბილისში აქტიურად დაიწყო იმ სატრანსპორტო საშუალებების დაჯარიმება, რომლებიც „სითი პარკის“ ტერიტორიის მიღმა იმყოფებიან და ჯარიმა შეადგენს 200 ლარს.

**— ეს ჯარიმები უკანონოა?**

– რა თქმა უნდა, ეს არის სამართალდარღვევა და ამავე დროს, სადავოა ჯარიმის ოდენობა. მეორე ის, რომ საზოგადოებას ამ სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაცია თითქმის არ გააჩნია, იმიტომ, რომ ამ მუხლით საპატრულო პოლიცია მძღოლების დაჯარიმებას თავს არიდებდა და მხოლოდ რამდენიმე დღეა, რაც დაიწყეს მასობრივად დაჯარიმება მძღოლების. საზოგადოებაში გაჩნდა პროტესტი და გაურკვევლობა.

**— თავს არიდებდაო, ამბობთ. ახლა რატომ დაიწყეს?**

– გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ახალი რეგულაციები ამოქმედდა, სინამდვილეში კი ეს ძველი საჯარიმო სანქციაა, რომელიც წერია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125/2 მუხლში „დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევა“, რომლის მე-8 და მე-9 პუნქტში არსებობს ასეთი ჩანაწერი: ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე, დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარის ოდენობით. ამ მუხლის მე-8 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებულია სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის ისეთი შეფერხება, რომელმაც გამოიწვია საცობის შექმნა, გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

მას შემდეგ, რაც შსს-მ ვერ გაიტანა თავისი კანონპროექტი პარლამენტში, სწორედ ამ მუხლის საფუძველზე ახლა აამოქმედა მძღოლების წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებები და აჯარიმებენ თითქმის ყველა მძღოლს, რომელიც გააჩერებს ავტომობილს იქ, სადაც არ არის პარკირების საგზაო ნიშანი. ეს არასამართლიანი მიდგომაა დღევანდელ რეალობაში, როდესაც ავტომობილების რაოდენობა ბევრად აღემატება პარკირების ადგილების რაოდენობას, დღეს ერთ საპარკინგო ადგილზე 12 ავტომობილი მოდის, რაც აიძულებს მძღოლებს, გააჩერონ თავიანთი ავტომობილები ისეთ ადგილას, რომელიც კანონმდებლობით არ არის განკუთვნილი პარკირებისთვის. რადგან ასე იქცევა ხელისუფლება, მოქალაქეებს შეგვიძლია, გამოვიდეთ ინიციატივით, რამდენი ორმო, თავახდილი ჭა და ინფრასტრუქტურული უწესივრობაა ქალაქში, იმდენი 200 ლარი დავაკისროთ თბილისის მერიას, იმიტომ, რომ გაუმართავი ინფრასტრუქტურაც საცობის გამომწვევი მიზეზია. ჩვენ ამ უსამართლობას არ შევეგუებით და დავიწყებთ ფართომასშტაბიან კამპანიას სახელმწიფოს წინააღმდეგ.

**რა ხდება კანონპროექტთან და 200-ლარიან ჯარიმებთან დაკავშირებით? ამ კითხვით „ალიამ“ შს სამინისტროს პრესსამსახურს მიმართა: „კანონპროექტის საპარლამენტო განხილვების პროცესში, ჩვენ თავიდანვე ვთქვით, რომ გონივრული ვადები იქნებოდა მიცემული იგივე მარჯვენასაჭიანების საკითხზე. დამატებითი შეხვედრები მოხდა ბიზნესსექტორთან, მათი მოსაზრებები კიდევ ერთხელ მოვისმინეთ, რომ მათაც არ მიიღონ ზარალი. ორშაბათიდან, ისევ განახლდება საკომიტეტო შეხვედრები. არანაირად, კანონპროექტის ჩავარდნაზე არც კი ყოფილა საუბარი.**



## შსს ამ ჯარიმებით მინიმუმ 4 საქმეს აკეთებს, ყოჩაღ მინისტრ მღებრიშვილს, მაგრამ მოუფიქრებია!

## რატომ დაიწყო შსს-მ 10-ლარიან დარღვევაზე 200-ლარიანი ჯარიმების გამოწერა?

**რაც შეეხება 200-ლარიან ჯარიმებს — ეს ჯარიმები არ იწერება პარკირებაზე, ეს იწერება მოძრაობის შეფერხებისთვის. ეს ადრეც ასე იყოს და ასეა ახლაც. ეს მოქმედებს და იმოქმედებს, სანამ არსებობს ადმინისტრაციული კანონი“. — გვითხრეს პრესსამსახურში.**

**„სამართალდამცველთა რეფორმების ცენტრის“ წარმომადგენელი, ზვიად კუპრავა ამბობს, რომ პატრულებს დღეს გეგმას სთხოვენ და ყველაზე მაღალი ჯარიმების გამოწერას აიძულებენ. კუპრავა ამბობს, რომ უფროსის მითითებების უგულებელყოფა პატრულს, შესაძლოა, სამსახურის დატოვების ფასად დაუჯდეს:**

**„საპატრულო პოლიციას აძლევენ კონკრეტულ გეგმას. პატრულს ეუბნებიან, რომ მათ კონკრეტული რაოდენობის ჯარიმა უნდა გამოწერონ კონკრეტული მუხლით. მაგალითად, როგორიც არის, 125-ის მე-9, რომელიც არის 200-ლარიანი ჯარიმა და აუცილებლად ხუთი ოქმი უნდა მიიტანოს დღის ბოლოს. და რა ხდება? ჩვენ საბოლოოდ ვიღებთ იმას, რომ, თუკი პატრული დღის განმავლობაში ხუთ მსგავს დარღვევას ვერ აფიქსირებს, ის იძულებულია, უბრალოდ, ეს ჯარიმები შექმნას, მოიფიქროს რაღაც და ამით მოსახლეობა ზარალდება“...**

**შსს ამ ჯარიმებით მინიმუმ 4 საქმეს აკეთებს. 1. ლარს ამაგრებს — ამ ჯარიმებით ზედმეტ ლარს ამოიღებენ მიმოქცევიდან. 2. ქუჩებს ასუფთავებს ზედმეტი მანქანებისგან — 200 ლარით დაჯარიმება ბევრ მძღოლს დატოვებს საწვავის ფულის გარეშე და გააჩერებენ მანქანებს. 3. პატრულს შემოსავლებს უზრდის — როგორც ამბობენ, ამ ამოღებელი ჯარიმების რაღაც ნაწილს პრემიებად დაურიცხავენ. და 4. პარლამენტი აღარ შეწუხდება არაპოპულარული ახალი კანონების მიღებით (გავიხსენოთ, თუნდაც მარჯვენასაჭიანი მანქანების აკრძალვის მცდელობა)...**

**ყოჩაღ მინისტრ მღებრიშვილს, მაგრამ მოუფიქრებია!**

## პეტრიაშვილის ჩვენების საფუძველზე, საგამოძიებო უწყება ფოტორობოტის შედგენას შეძლებს



„თავისუფალი დემოკრატების“ გენერალური მდივანი გამოძიების შეკითხვებს 4 საათზე მეტხანს პასუხობდა. ალექსი პეტრიაშვილმა გამომძიებელს თავდასხმის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. „თავისუფალი დემოკრატების“ წევრის ინტერესების დამცველის განცხადებით, პეტრიაშვილის ჩვენების საფუძველზე, საგამოძიებო უწყება ფოტორობოტის შედგენას შეძლებს.

– ალექსი პეტრიაშვილმა აღიდგინა თავდასხმის დეტალები. თავდამსხმელებს ჰქონდათ ჩაქუჩი და ე.წ. ბეისბოლის ბიტები, რომლითაც ისინი თავის არეში, წელსა და ტანზე ურტყამდნენ. ასევე, მუცლის არეში აქვს შემავალი ჭრილობა. უმოწყალოდ სცემეს, შეიძლება ითქვას, რომ მჭიდი დააცალეს, თავდამსხმელს, სავარაუდოდ, ჰქონდა მაყუჩიანი იარაღი, რადგან გასროლის ხმა დაბალი იყო. ახლა ჯერი გამოძიებაზეა. ალექსი პეტრიაშვილისთვის უცნობია იმ პირების ვინაობა, რომლებიც თავს დაესხნენ, – განაცხადა ლევან სამუშიამ. (პირველი რადიო)

## პატრულს გეგმას სთხოვენ და მაღალი ჯარიმების გამოწერას აიძულებენ



– პატრულს ეუბნებიან, რომ მათ კონკრეტული რაოდენობის ჯარიმა უნდა გამოწერონ კონკრეტული მუხლით – ეს განცხადება, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართალდამცველთა რეფორმების ცენტრის“ წარმომადგენელმა, ზვიად კუპრავამ გახშირებული ჯარიმების გამოწერის საკითხთან დაკავშირებით გააკეთა.

კუპრავას თქმით, მის ძველ კოლეგებს გეგმას სთხოვენ და ყველაზე მაღალი ჯარიმების გამოწერას აიძულებენ. კუპრავა ამბობს, რომ უფროსის მითითებების უგულებელყოფა პატრულს, შესაძლოა, სამსახურის დატოვების ფასად დაუჯდეს.

– დღეს საპატრულო პოლიციას აძლევენ კონკრეტულ გეგმას. პატრულს ეუბნებიან, რომ მათ კონკრეტული რაოდენობის ჯარიმა უნდა გამოწერონ კონკრეტული მუხლით. მაგალითად, როგორიც არის, 125-ის მე-9, რომელიც არის 200-ლარიანი ჯარიმა და აუცილებლად ხუთი ოქმი უნდა მიიტანოს დღის ბოლოს. და რა ხდება? ჩვენ საბოლოოდ ვიღებთ იმას, რომ, თუკი პატრული დღის განმავლობაში ხუთ მსგავს დარღვევას ვერ აფიქსირებს, ის იძულებულია, უბრალოდ, ეს ჯარიმები შექმნას, მოიფიქროს რაღაც და ამით მოსახლეობა ზარალდება, – განაცხადა ზვიად კუპრავამ. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რომის პაპმა ეკლესიისთვის „ბინძური ფულის“ გადაცემაზე უარი თქვა



რომის პაპმა ფრანცისკმა განაცხადა, რომ მას არ უნდა, ადამიანებმა კათოლიკურ ეკლესიას „ბინძური ფული“ შესწირონ.

– ზოგიერთი ქველმოქმედი მოდის ეკლესიაში და ფულს გვთავაზობს, რომელიც ადამიანების სისხლით აქვთ ნაშოვნი, რომელთაც ექსპლოატაციას უწევდნენ, ამცირებდნენ, მონურად ექცეოდნენ და აიძულებდნენ, დაბალი ანაზღაურებით ეშრომათ.

მე მათ ვეუბნები: „წაიღეთ საკუთარი ფული უკან და დაწვით. ღმერთის ხალხს არ სჭირდება ბინძური ფული, მათ გული სჭირდებათ, რომელიც ღვთიური სასოებისთვის იქნება ღია“, – განაცხადა პანტიფიკმა.

რომის პაპი ფრანცისკი ცნობილია, როგორც კაპიტალიზმის კრიტიკოსი. (timer.ge)

## „100-ჯერ რომ მომიწიოს არჩევანის გაკეთება, ასივეჯერ ხიდაშელს ავირჩევ“ — ნიკა გვარამია



„რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია თავდაცვის მინისტრსა და გოგი თოფაძის დაპირისპირებასთან დაკავშირებით თავის მოსაზრებას სოციალურ ქსელში აფიქსირებს.

გვარამიას თქმით, ამ ორ სუბიექტს შორის არჩევანს ყოველთვის თინა ხიდაშელზე გააკეთებს, რადგან მიუხედავად უამრავი აზრთა სხვადასხვაობისა, ფასეულობათა ორიენტაცია მას და ხიდაშელს საერთო აქვთ:

– რადგან ამდენმა მკითხა, ერთხელ ვიტყვი და მეტს აღარ განვმარტავ:

რაც და რამდენიც არ უნდა ჰქონდეს თინა ხიდაშელს ნათქვამი ან გაკეთებული პირადად ჩემი ან „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ (და აქვს, ჩემი აზრით, ბევრი, ცუდი და არასწორი), 100-ჯერ რომ მომიწიოს არჩევანის გაკეთება მასა და გოგი თოფაძეს შორის, ასივეჯერ ხიდაშელს ავირჩევ. თუ რამე აქვს დაშავებული, მიეზღოს, ოღონდ გოგი თოფაძისგან არა.

ამით განვსხვავდები მე თუნდაც იგივე ხიდაშელისგან – ჩემთვის გადამწყვეტია ფასეულობითი ორიენტაცია, რომელიც ხიდაშელს ევროატლანტიკური აქვს, ისევე როგორც მე, ისევე როგორც „რ2“-ს.

**P.S.** თუ გინდათ, ხიდაშელისა და თოფაძის მაგივრად რესპუბლიკელები და მრეწველები იგულისხმეთ.

**P.P.S.** ზაქარეიშვილს რაც შეეხება, ამ არსებასა და მეორე არსება თოფაძეს შორის განსხვავებას ნამდვილად ვერ ვხედავ... (ნიუპოსტი)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# რამე გვეშველება?

## სამარცხვინო და გულისამრევია პოლიტიკოსების კვოტების გამო ომი, უმრავლესობა შიმშილით სულს ღაფავს და ხელისუფლებიდან არავინ

მაშინ, როცა ადამიანთა უმრავლესობა კარგავს ბინებს, ისინი ველარ იხდიან საბანკო დავალიანებებს, კოტრდებიან, მაშინ, როცა გაეროს მონაცემებით 60 ათასი ბავშვი შიმშილობს, პროდუქტებზე ფასი ყოველდღიურად იზრდება და იმის გამო ადამიანები ველარ ეწევიან ცხოვრებას და კარგავენ ყველაფერს, ზოგი ინფარქტით იღუპება, ზოგი ინსულტით (ამის მაგალითი ბოლოს იყო რამდენიმე დღის წინ, როცა გლდანის VII მკრ-

სამაგიეროდ, დაგვიტოვა ხელისუფლება, რომელიც უუნარო, სამარცხვინოა და ვერ პასუხობს ამომრჩევლის მოთხოვნებსა და კითხვებს – ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?! ჩვენთვის მოიცლით როდესმე?.. გაიგებთ ჩვენს ხმას, თუ ისე დაყრუვდით და დაბრმავდით, რომ ველარც ამჩნევთ, რა ხდება დედამიწაზე... სამარცხვინოა, როცა „მრეწველებსა“ და „რესპუბლიკელებს“ შორის გაჩაღებულია სპარინგი არა იმიტომ, ვინ უკეთ ხედავს ჩვენს პრობლემებსა და ცხოვრების მომავალს, არა იმიტომ, ვინ რაში

ნი წევრებისთვის, რას ნიშნავს „რესპუბლიკელების“ „საქორწინო კონტრაქტი“ „ქართულ ოცნებასთან“ და სად მოიაზრებიან სხვა დანარჩენები. ისინი, უბრალოდ, ხელისმომკიდენი არიან, თუ მაყრიონი?!.

პრემიერ-მინისტრი დელიკატური აღმოჩნდა და „რესპუბლიკელებს“ მიანიშნა, რომ ეს კონტრაქტი, რომლის პირობებსაც „რესპუბლიკელები“ სთავაზობენ, აპრიორი ვერ შევა ძალაში, რადგან კოალიცია შედგება მრავალპარტიული სუბიექტებისგან და ერთობლივად უნდა იქნას განხილული. თანაც, კვირიკაშვილ-

ციების შედეგი ვერ დაინახა, აქედან გამომდინარე, გააკეთა საჯარო განცხადებები, რომ, თუ კოალიციის შიგნით არ მოწესრიგდება პრობლემები, მაშინ ის მიიღებს გადაწყვეტილებას სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით, რასაც კოალიციის შიგნით მოჰყვა ვნებათაღელვა. ირიბად იკითხებოდა, რომ „რესპუბლიკელი“ მინისტრის, ქალბატონ თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად ყოფნაარყოფნის საკითხი დაისვა. ჩვენ ვნახეთ „რესპუბლიკელების“ მყისიერი რეაქცია, იმავე დღეს მოითხოვეს



»» ექსპერტი

ფორმატი, თავის დროზე ზვიად გამსახურდიამ გააკეთა შეთანხმება ეროვნული მოძრაობის რამდენიმე სუბიექტთან და შეიქმნა ბლოკი. შემდეგ შევარდნაძემ შექმნა ბლოკი, სახელწოდებით „მშვიდობა“, მერე იყო „აღორძინების“ ბლოკი, გვახსოვს ასევე „ნაციონალების“ ერთსახელწოდებიანი, მაგრამ მრავალსუბიექტური კოალიცია, ბოლოს მივიღეთ „ქართული ოცნება“, რამდენიმე სუბიექტით დაკომპლექტებული კოალიცია. ამ პოლიტიკურ ერთობას

**„ქართული ოცნების“ წევრები თავად უარყოფენ „რესპუბლიკელებს“ და ისინი მათ მიმართ ზიზღს ვერ მალავენ, მაგრამ მოდით, ისიც ვთქვათ, რომ „ქართული ოცნება“, როგორც პარტიული ორგანიზაცია, არ არსებობს. არსებობს ბიძინა ივანიშვილი და მის ქვეშ მყოფი სუბიექტები“**





**მერე რა, რომ დღეს ასეთი ნანატრი თავისუფლება გვაჩუქა ივანიშვილმა, სამაგიეროდ, დაგვიტოვა ხელისუფლება, რომელიც უუნარო, სამარცხვინოა და ვერ პასუხობს ამომრჩევლის მოთხოვნებსა და კითხვებს — ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?! ჩვენთვის მოიცლით როდესმე?.. გაიგებთ ჩვენს ხმას, თუ ისე დაყრუვდით და დაბრმავდით, რომ ველარც ამჩნევთ, რა ხდება დედამიწაზე...**

ნიდან ქუჩაში დარჩენილი ოჯახის მამა გარდაიცვალა გულის შეტევით, ხოლო მისი მეუღლე საავადმყოფოში სტენოკარდიული შეტევით აღმოჩნდა), მაშინ როცა, დღევანდელ ყოფაში სუიციდი ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი გახდა, ჩვენ ვხედავთ პოლიტიკოსების სამარცხვინო აღვირახსნილ პაექრობას, სამკვდრო-სასიცოცხლო ომს, ვის დარჩება უფრო მეტი ნადავლი, ვინ აღმოჩნდება კვლავ ხელისუფლებაში. მერე რა, რომ დღეს უკანალში ცოცხებგარჭობილი პატიმრები არ ითხოვენ შველას, მერე რა, რომ დღეს არ კლავენ ქუჩაში უმოწყალოდ ხელისუფლების მაღალჩინოსნები ახალგაზრდებს, მერე რა, რომ დღეს ასეთი ნანატრი თავისუფლება გვაჩუქა ივანიშვილმა,

ხედავს გამოსავალს ამ მძიმე ყოფიდან! არა, ბატონებო, ისინი ერთმანეთს ჭამენ, მზის ქვეშეთში ვის მეტი ადგილი ერგება. ამ ხელისუფლებაში ერთადერთი ადეკვატური საქართველოს პრემიერ-მინისტრია, რომელმაც ყვითელი ბარათი ამოუღო მმართველ პარტიას, სახელმწიფო მოხელეებს კი თავმდაბლობისკენ მოუწოდა. „რესპუბლიკელები“ საკუთარ ფორმულას იგონებენ და თავები გადაინომრეს, რომ თურმე ისინი მმართველ პარტიაში რიგით მეორენი არიან, ხოლო პირველი მოთამაშე პარტია „ქართული ოცნება“. ამიტომაც „ფორუმელებმა“ თავი წამოყვეს, ამ ნუმერაციაში ჩვენ რიგით რომელი ვართო?.. აბსოლუტურად გაუგებარი დარჩა მმართველი პარტიის დანარჩე-

მა საინტერესო მინიშნება გააკეთა, – თუ კოალიცია არჩევნებამდე არ დაიშლება, მაშინ გადაწყდება, რა ფორმატში ითანამშრომლებენ პარტიები „ქართულ ოცნებასთან“ და ეს არ იქნება მხოლოდ „რესპუბლიკური პარტიის“ გადასაწყვეტი.

**იურისტი ვალერი გელბახიანი ჩვენთან ინტერვიუში აცხადებს:**

– კოალიციის შიგნით სერიოზული კრიზისია, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების უნარი კოალიციას არ გააჩნია. პრემიერის საჯარო მიმართვებში იკითხება, რომ მან სავარაუდო კონსულტაციები გაიარა პოლიტიკურ ძალებთან. ვინაიდან მან კონსულტა-

პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა. თუმცა ეს პროცესი გაგრძელდება და „რესპუბლიკელები“ აუცილებლად შეხვდებიან ბიძინა ივანიშვილს. ახლა საკითხი ასე დგას, კოალიციაში დომინანტი პარტია არის „რესპუბლიკელები“ და უნდა განისაზღვროს, რომ ისინი არათუ რჩებიან კოალიციაში, არამედ იკავებენ უფრო მყარ პოზიციას.

**— თქვენ როგორ გესმით ორპარტიულობა, რაზეც „რესპუბლიკელები“ ამახვილებენ ყურადღებას? თავდაუსხმელობის კონტრაქტი გაფორმდება „ქართულ ოცნებასთან“ და შედგება დოკუმენტი, ვინ რა პოზიციებს დაიკავებს და ვის რა წილი ერგება ხელისუფლებაში?**

– ეს არის ჩვეულებრივი

ყოველთვის ჰქონდა საფუძველი, ყველა შემთხვევაში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ყალიბდებოდა პოლიტიკური ერთობა. მაგალითად, როცა მე „აღორძინებაში“ ვიყავი, გავაფორმეთ დოკუმენტი დანარჩენ პარტიებთან. ახლა ითხოვს ანალოგიურს „რესპუბლიკური პარტია“, რომ გაფორმდეს ასეთი ხელშეკრულება პარტნიორობის თაობაზე მხოლოდ „ქართულ ოცნებასთან“. თუ ასეთი ხელშეკრულება ოფიციალურად არ გაფორმდება, მერწმუნეთ, სერიოზული კონფრონტაცია იქნება და „რესპუბლიკელები“ სიტყვიერ შეთანხმებაზე არ წავლენ „ოცნებასთან“.

**— პრემიერ-მინისტრმა გან-**

**მარტა, რომ კონტრაქტი ვერ გაფორმდება კოალიციაში შემავალი სხვა სუბიექტების გარეშე.**

– კი ბატონო, პრემიერის განცხადება გასაგებია, მაგრამ „რესპუბლიკელები“ მხოლოდ ორმხრივ შეთანხმებას ითხოვენ „ოცნებასთან“. მართალია, „ქართული ოცნების“ წევრები თავად უარყოფენ „რესპუბლიკელებს“ და ისინი მათ მიმართ ზიზღს ვერ მალავენ, მაგრამ მოდით, ისიც ვთქვათ, რომ „ქართული ოცნება“, როგორც პარტიული ორგანიზაცია, არ არსებობს. არსებობს ბიძინა ივანიშვილი და მის ქვეშ მყოფი სუბიექტები. ლია... თუ ბიძინა ივანიშვილი და „რესპუბლიკელები“ დადებენ ხელშეკრულებას, მათ შორის პარტნიორობა გაგრძელდება და კოალიცია ექნებათ, ამ შემთხვევაში აუცილებლად დადგინდება, რამდენი კვოტა ექნებათ „რესპუბლიკელებს“ და რამდენი „ოცნებას“. ალბათ, „რესპუბლიკელები“ პარტიული სიიდან მოითხოვენ 10 დეპუტატს გამსვლელ სიაში და მინიმუმ 5 დეპუტატს მაჟორიტარულ ოლქებში. ისინი დღესაც 10 დეპუტატით არიან წარმოდგენილნი პარლამენტში და ითხოვენ, იგივე რაოდენობა მიანიპუბლიკელები“ ულტიმატუმს უყენებენ „ქართულ ოცნებას“, რომ გამსვლელ სიაში გაიყონ მანდატები.

— **სამარცხვინო და გულისამრევია პოლიტიკოსების კვოტების გამო ომი, თუ როგორ ვერ ელევიან ძალაუფლებას, მაშინ, როცა მოსახლეობის უმრავლესობა შიმშილით სულს ღაფავს და ხელისუფლებიდან არავინ არის ხალხის პატრონი და პასუხის გამცემი, რამე გვეშველება, რა გველის ხვალ?**

– ამათ ხალხი რომ აინტერესებდეთ, 4 წლის მანძილზე რამეს გააკეთებდნენ. ახლა უკვე გვიანია, რაც არ უნდა იძახონ, რომ ქვეყანას ფეხზე გამოწვევები. ასეც მოხდა, ყველა პრობლემა დაიჩრდილა და წინ წამოიწია „ქართული ოცნების“ საკითხმა. თემა გაცოცხლდა და „ქართული ოცნება“ მედიაში პირველ ნომრად ტრიალებს. დანარჩენი პოლიტიკური პარტიები კი აღარ ჩანან. რეიტინგულად ეს პროცესი „ქართული ოცნებისთვის“ წამგებიანი არ არის, თუმცა ფინალური გადაწყვეტილებისას წამგებიანი იქნება. რაც შეეხება მეჭიაურის, თოფაძის და სხვების გამონათქვამებს, ისინი ნამდვილად ვერ გაბედავდნენ „რესპუბლიკური პარტიის“ კრი-



»» ექსპერტი

თქვენ მიმართ უამრავი პრეტენზიაა არა მარტო ხალხის, არამედ ჩემი პარტიის მხრიდან. ჩვენც უნდა დავთმოთ და თქვენც. ამას დავარქმევდი სიტუაციის ხელოვნურად გაწელვის პროცესს, ყველანაირად ცდილობენ, ასეთ ფორმატში როგორმე ივნისამდე მივიდნენ, რადგან ივნისის ბოლოს პარლამენტი მუშაობას ამთავრებს და თუ „რესპუბლიკელები“ კოალიციიდან გავლენ, სახელმწიფოებრივად ნაკლები საფრთხე იქნება და ბუნებრივია, ივანიშვილი დარ-

# რა გველის ხვალ?

## თუ როგორ ვერ ელევიან ძალაუფლებას, მაშინ, როცა მოსახლეობის არის ხალხის პატრონი და პასუხის გამცემი



**„რაც შეეხება მეჭიაურის, თოფაძისა და სხვების გამონათქვამებს, ისინი ნამდვილად ვერ გაბედავდნენ „რესპუბლიკური პარტიის“ კრიტიკას, თუ მათ ივანიშვილისგან არ ექნებოდათ იგივე ტექსტები მოსმენილი“**



**„კოალიციაში მოუსმენენ ყველას, მაგრამ არავის აზრს არ გაითვალისწინებენ, როგორც ივანიშვილი იტყვის, ისე იქნება“**

**„ამათ ხალხი რომ აინტერესებდეთ, 4 წლის მანძილზე რამეს გააკეთებდნენ. ახლა უკვე გვიანია, რაც არ უნდა იძახონ, ქვეყანას ფეხზე დავაყენებთ, ხალხს ამოვასუნთქებთ და ცხოვრებას შევუმსუბუქებთო, აღარავინ დაუჯერებთ, ძალაუფლება და ფული მათ ხელში იყო, მაგრამ არაფერი გაუკეთებიათ“**

„ქართული ოცნება“ კი არ არის ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც რაიმე ტიპის გადაწყვეტილებას იღებს განსჯის შედეგად. არის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ერთპიროვნულად წყვეტს, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას და რა – არა. კოალიციაში მოუსმენენ ყველას, მაგრამ არავის აზრს არ გაითვალისწინებენ, როგორც ივანიშვილი იტყვის, ისე იქნება.

— **თუკი კონტექსტიდან ამოვარდებიან „სოციალ-დემოკრატები“, „ეროვნული ფორუმი“, „მრეწველები“, „კონსერვატორები“, შეიძლება ჩვენ მივიღოთ მხოლოდ ორპარტიული საარჩევნო ბლოკი „რესპუბლიკელებისა“ და „ქართული ოცნების“ სახით?**

– ყველაფერი შესაძლებელია... ჭონ, ოღონდ გამსვლელ სიაში. რაც ნიშნავს, რომ სიის პირველ 15 კაცში 10 უნდა იყოს „რესპუბლიკელი“. „ქართული ოცნება“ სიით 35 დეპუტატს რომ ვერ გაიყვანს, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაქსიმალური ზედა ზღვარი, რაც შეიძლება „ქართულმა ოცნებამ“ მიიღოს, ეს არის 20 მანდატი. 20 მანდატში „რესპუბლიკელები“ ითხოვენ 10 მანდატს და თუ ამ 20 მანდატში დანარჩენ პარტიას არც ერთი მანდატი არ შეხვდა, როგორ დარჩებიან კოალიციაში?.. ამაზეა მთელი დავიდარაბა, გარანტირებულ ადგილებს ითხოვენ „რესპუბლიკელები“ გამსვლელ სიაში. ჯერ ჩვენ შევთანხმდეთ და თუ დანარჩენებს აწყობთ, კი ბატონო, შემოგვიერთდნენ, მაგრამ „რესდავაყენებთ, ხალხს ამოვასუნთქებთ და ცხოვრებას შევუმსუბუქებთო, აღარავინ დაუჯერებთ, ძალაუფლება და ფული მათ ხელში იყო, მაგრამ არაფერი გაუკეთებიათ და ნაბან წყალს ბავშვი გადააყოლეს... ხომ ხედავთ, ხელისუფლებას ხალხისთვის დღეს არ სცალია, თითქმის მეხუთე კვირაა, „რესპუბლიკელებსა“ და „მრეწველებს“ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს არ არის სპონტანური პროცესი, პოლიტიკური ტექნოლოგიაა, როცა პარტია იძირება და ის ვერ ასრულებს ხალხის მოთხოვნებს, მოსახლეობას ყურადღება უნდა გადაატანინო და უნდა გადაფარო არსებული ტიკას, თუ მათ ივანიშვილისგან არ ექნებოდათ იგივე ტექსტები მოსმენილი. გამოვრიცხავ, რომ მის გარეშე ამ პოლიტიკურ სუბიექტებს გაებედათ „რესპუბლიკელებზე“ თავდასხმა. რა თქმა უნდა, არის სტიმული და წაქეზება ივანიშვილის მხრიდან, – მიდით, ცეცხლი დაანთეთ, რომ ჩავაჩოჩოთ და შევაჩეროთ „რესპუბლიკელების“ მადა. თქვენ გგონიათ, ეს ყველაფერი „რესპუბლიკელებს“ არ ესმით და არ ფიქრობენ, რატომ აკეთებენ ამ განცხადებებს მეჭიაური, თოფაძე და სხვები?.. ისინი ძალიან კარგად ფლობენ სიტუაციას, ხვდებიან, რისთვის ხდება გვერდითი დარტყმები. საბოლოოდ, როცა ივანიშვილს შეხვდებიან, მათ ეტყვის ივანიშვილი, ჩება მოგებული, „რესპუბლიკელები“ კი წააგებენ, მაგრამ გპირდებით, „რესპუბლიკელები“ ივნისის ბოლომდე არ მიიყვანენ პროცესებს და კატეგორიულად მოითხოვენ „ქართულ ოცნებასთან“ ხელშეკრულების გაფორმებას. სხვა შემთხვევაში ულტიმატუმს წაუყენებენ, რომ გადადგამენ რადიკალურ ნაბიჯებს. მაისის ბოლომდე კი მათ ისეთი მექანიზმი აქვთ ხელში, როცა მათ შეუძლიათ, უმთავრობოდ და უპარლამენტოდ დატოვონ არჩევნებამდე ქვეყანა. ასე რომ, „რესპუბლიკელები“ მთავრობაში საფრთხის მატარებელ ოქროს მანდატებს ფლობენ, ვიდრე კოალიციის ლიდერის, ივანიშვილის მხრიდან მკვეთრი ნაბიჯები არ გადაიდგმება.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დიდ დიღომში მილის დაზიანებისგან მიყენებულ ზარალს სადაზღვევო კომპანია აანაზღაურებს



საბურთალოს გამგეობის წარმომადგენლის ტარიელ ტყემალაძის განცხადებით, დიდ დიღომში მილის დაზიანების გამო მიყენებულ ზიანს **GWP**-ის სადაზღვევო კომპანია შეისწავლის და დატბორილი კორპუსებისა და დაზიანებული ავტომობილების ზარალს აანაზღაურებს.

**GWP**-ის წარმომადგენლის თეიმურაზ ჯანელიძის თქმით, ადგილზე უკვე მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, გამოძახებულია შესაბამისი სამსახურები, რომლებიც მდგომარეობის აღწერას და განხილვას მოახდენენ. (ნიუპოსტი)

## განსხვავებით სხვებისგან, ისტერიკის გარეშე მივიღებთ გადაწყვეტილებას — ზურაბ ტყემალაძე



„მრეწველთა პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე პრემიერის საგანგებო განცხადებას გამოეხმაურა. ტყემალაძე ეთანხმება გიორგი კვირიკაშვილს და აცხადებს, რომ ჯარის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა დაუშვებელია. მისი თქმით, თუ დაპირისპირებული პარტიების მიმართ რამე ღონისძიება გატარდება, ეს პროცესი ორივე პარტიას უნდა შეეხოს. ზურაბ ტყემალაძე პირობას დებს, რომ, თუ კოალიციის ლიდერი გადაწყვეტს, რომ კოალიცია „მრეწველებმა“ უნდა დატოვონ, ისინი ამას ისტერიკის გარეშე გააკეთებენ:

– მინდა დავეთანხმო პრემიერს იმაში, რომ ვინ დაიწყო, როგორ დაიწყო თავისთავად ჩანს ამ განცხადებიდანაც, დავეთანხმო იმაში, რომ ჯარის პოლიტიზება და ამ საკითხში ჩართვა ნამდვილად არ შეიძლება. ასევე, არ შეიძლება თავდაცვის მინისტრისგან მსგავსი განცხადებების გაკეთება. რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს კოალიციის ლიდერმა, ჩვენ მას დავემორჩილებით, თუ იქნება მიღებული გადაწყვეტილება, ალბათ, ორივეს მიმართ უნდა იყოს და არა ერთის მიმართ. მინიშნებაც თუ იქნება იმის შესახებ, რომ ჩვენ კოალიციისთვის ზედმეტი ვართ, უხმოდ და ყოველგვარი ისტერიკის გარეშე მივიღებთ გადაწყვეტილებას, განსხვავებით ყველა იმ პარტიისგან, ვინც ისტერიკას მართავს, – განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ. (ნიუპოსტი)

## „პოლიცია იწერდა ჩემს ჩვენებას“ — ვის უჩივის ნიკა გვარამია



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს მიუნხენის აეროპორტში პრობლემები შეექმნა. მისი თქმით, ეს პირველი შემთხვევა არ არის და ის კომპანია **Lufthansa**-სთვის ჩივილს აპირებს.

– მიუნხენის აეროპორტი ასე მარტივად ხომ არ გამიშვებდა?

ესეც პოლიცია იწერს ჩემს ჩვენებას, როგორ გავიღვიძე და არ დამხვდა ჩემი ნივთები. პრაქტიკულად ცარიელ აეროპორტში მოხდა ეს.

იმედია, თბილისში რომ ჩამოვალ და **Lufthansa**-ს ვუჩივლებ, ჩემი სარჩელი ურთმელიძეს არ დაეწერება, – წერს გვარამია სოციალურ ქსელში. **(daijesti.pia.ge)**

## „კარგია, რომ „რესპუბლიკელები“ მობილიზაციას პარტიაში გამოაცხადებენ და არა არმიაში“

ექსპერტი გია ხუხაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებას დადებითად აფასებს და აღნიშნავს, რომ გიორგი კვირიკაშვილს სხვა არჩევანი არც ჰქონია.

– ჩემი შეფასება დადებითია, პრემიერ-მინისტრს სხვა არჩევანი, არც ჰქონდა. გიორგი კვირიკაშვილი არა თუ უფლებამოსილი იყო ასეთი განცხადება გაეკეთებინა, არამედ ვალდებულიც. გოგი თოფაძის განცხადებები, გარკვეულწილად, საფრთხეს უქმნიდა საკუთრივ კოალიციას, თინა ხიდაშელის განცხადებები კი გასცდა ვიწროპარტიულ კონფლიქტს, შესაბამისად, ფაქტობრივად, უკვე იქმნებოდა სახელმწიფოებრივი, საკმაოდ სერიოზული რისკები. ხიდაშელმა, ქვეყნის გეოპოლიტიკურ არჩევანთან „რესპუბლიკური პარტიისა“ და თავისი პერსონის დაკავშირება დაიწყო. ეს ძალიან ჰგავდა იმას, რასაც თავის დროზე, მიხეილ სააკაშვილი აკეთებდა – ის თავის ბედს ქვეყნის განვითარების ვექტორს ცალსახად უკავშირებდა. იგივე გაიმეორეს ეპიზოდურად „თავისუფალმა დემოკრატებმა“. ეს ყოვლად მიუღებელია. მნიშვნელოვანია, არავის დაავიწყდეს, რომ თინა ხიდაშელი არის თავდაცვის მინისტრი. თავდაცვის სამინისტრო არის დეპოლიტიზებული უწყება და ყოვლად მიუღებელია, რომ ამ უწყების ხელმძღვანელი ასეთ განცხადებებს აკეთებდეს. ამას ისმენენ ოფიცრები, ჯარისკაცები და ხდება მათი თუნდაც, უნებლიე ჩართვა პოლიტიკაში. როდესაც ადამიანი თავდაცვის მინისტრი ხდება, ის პოლიტიკას უნდა გაემიჯნოს. სხვათა შორის, თავის დროზე, ირაკლი ალასანია ასე მოიქცა – ის თავმჯდომარეობიდან გადადგა და ცდილობდა, ბოლო მომენტამდე, პოლიტიკური განცხადებები არ გაეკეთებინა. თინა ხიდაშელი პოლიტიკაშია, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, მას პოლიტიკა ერთი დღითაც არ დაუტოვებია, – განაცხადა გია ხუხაშვილმა. **(pia.ge)**



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**29 თებერვალს პარლამენტის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის სხდომაზე, საგან „მე და საზოგადოების“ განხილვამ ხმაურით ჩაიარა. ამ საგნის სკოლებში სწავლების შემოღების მოწინააღმდეგეთა უმეტესობამ სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა.**

**რამდენიმე დღეში კი, მთავრობის სხდომის დაწყებამდე, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი „მე და საზოგადოების“ ირგვლივ განვითარებულ დისკუსიას გამოეხმაურა: „მინდა საჯაროდ განვაცხადო, ის რომ ადრეული ასაკიდანვე ჩვენ ჩვენს თანამოქალაქეებს უნდა ვასწავლოთ და განვუვითაროთ პასუხისმგებლობის გრძნობა, მგონი, ამაში დადებითის გარდა არაფერია. რისკები ყველაფერში არსებობს და, რა თქმა უნდა, ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ასეთი რისკები თავიდან იქნას აცილებული, პედაგოგების მომზადებას ექნება უდიდესი მნიშვნელობა, მაგრამ ის, რომ ასეთი რისკები შეიძლება არსებობდეს, არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი დისციპლინა საჭირო არაა. ამიტომ მინდა, მთელი მთავრობის სახელით მხარდაჭერა გამოვუცხადო განათლების მინისტრს. ასევე, მინდა მოვუწოდო მას, რომ მაქსიმალურად იქნას გახსნილი განათლების სამინისტროს კარი ასეთი დიალოგისთვის. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ის ბრალდებები და რაღაც ინსინუაციები ფსევდოტრადიციულ დებულებებზე ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია. არანაირი კავშირი ამ საგანსა და ამ სპეკულაციებს შორის არ არსებობს. არ უნდა შეგვეშინდეს, ვაკეთოთ ის, რაც სწორია და აბსოლუტურად გაბედული ნაბიჯებით განვახორციელოთ ის პროგრამები, რომლებიც ვთვლით, რომ ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.**

**რატომ და ვისი დავალებით გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი საგანს „მე და საზოგადოება“? ვის და რატომ შეჰყავს პრემიერი შეცდომაში?**

**„ალიას“ უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე ესაუბრა:**

– პრემიერ-მინისტრი და სრულიად მთავრობა შეაფუცხუნა დასავლეთის რეაქციამ, რომ სახიფათო სოციალური ექსპერიმენტები აქტიურად არ ინერგება საქართველოს რეალურ სივრცეში...

— **რას გულისხმობთ?**

– ვგულისხმობ იმ დოკუმენტს, რომელიც მედიის გაშუქების ეპიცენტრში აქტიურად არ აღმოჩნდა. საუბარია ევროპის საბჭოს კომისიის, რასიზმისა და შეუწყნარებლობის საკითხებში 23-პუნქტიანი შენიშვნაზე საქართველოს მთავრობისადმი, სადაც ისინი ღიად საუბრობენ იმ უკმაყოფილების შესახებ, რომ სექსუალური უმცირესობების გამომხატველი აბრევიატურა – „ლგბტ“, სამწუხაროდ, როგორც თავად აცხადებენ, არ ხვდება საგანმანათლებლო სივრცეში, რაც გაუგებრობას იწვევსო. აქვე საქართველოს პატრიარქი, ილია მეორე ამავე კომისიის მიერ დადანაშაულებული იყო სიძულვილის ენის გამოყენებაში, მაგრამ ამ საკითხის შეფასება ან რეპლიკა მთავრობის წევრების მხრიდან არ მოგვისმენია. როგორც ნახეთ, რასიზმისა და შეუწყნარებლობის საკითხებში ევროპული კომისიის დასკვნას მოჰყვა ბატონი პრემიერის გამოხმაურება. ამას დაერთო ისიც, რომ დასავლეთმა დაინახა, რომ დიდი პროტესტი მოჰყვა სტანდარტ „მე და საზოგადოებას“. ამის მერე დაევალა პრემიერ-მინისტრს, გამოსულიყო და ღია მხარდაჭერა გამოეხატა ამ სახელმძღვანელოსთვის. მან, ასევე, ახსენა ჯგუფი, რომელშიც ჩვენ მოგვიაზრა და თქვა, რომ თურმე ფსევდოლიბერალური ღირებულებებით ვხელმძღვანელობთ.

ბატონი პრემიერი, ახალი საგანმანათლებლო სტანდარტის მიღების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით ამბობს, რომ რისკები ყველაფერში არსებობს და, რა თქმა უნდა, ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ასეთი რისკები თავიდან იქნას აცილებული. პედაგოგების მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება, მაგრამ ის, რომ ასეთი რისკები შეიძლება არსებობდეს, არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი დისციპლინა არ არის საჭიროო...

ბუნებრივად გამიჩნდა შეკითხვა – მიზანი ამართლებს საშუალებას? რას გულისხმობდა პრემიერი რისკებში?! თუ იმას, რის გამოც საზოგადოებამ განგაშის ზარები დაარისხა, მაშინ მოკრძალებით ვკითხავ – რა ძალა გვადგას თავს, რომ ბავშვთა სოციალიზაციას რისკების ფონზე ვეწევით?!

ასევე, პრემიერი შეეხო პედაგოგთა მომზადების მნიშვნელობას. შევახსენებთ, რომ მათი მომზადება იმ სახელმძღვანელო ლიტერატურით წარმოებს, რომლებშიც 7-13 წლის ბავშვები პედაგოგმა გენდერულ სტერეოტიპებზე დისკუსიაში უნდა ჩააბას იმ ზღაპრის მოყოლით, რომელშიც პერსონაჟებს სქესი აქვთ შეცვლილი (ევროპის საბჭოს ქარტია „დემოკრატიული მოქალაქეობისთვის, განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლებისთვის“ დანართი სახელმძღვანელო რესურსი ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისთვის „კომპასიტო“, გვ. 112, სავარჯიშო №17 – იყო და არა იყო რა). ის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ სხვა სახელმძღვანელო რესურსებთან ერთად არის მითითებული 2012, 2013, 2014 და 2015 წლებში – ეს ყველაფერი, დემოკრატიის, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და გენდერული თანასწორობის სწავლების სახელით. ბატონო პრემიერო, თუ ევროპული არჩევანი ბავშვებისთვის ადრეულ ასაკში ჰომოსექსუალიზმის მიმღებლობის სწავლებას უკავშირდება, რაც ნათლად და მკაფიოდ სჭვივის დამხმარე სახელმძღვანელო მეთოდოლოგიებიდან, რომლებიც ევროპის საბჭოს ქარტიის დანართია, ჩვენ არც ასეთი ევროპა გვსურს და არც ის ხელისუფლება, ვისთვისაც მიზნის მიღწევის საშუალებად ყველაფერი მოსულა!

— **როგორ ფიქრობთ, არ იყო გათვითცნობიერებული დეტალურად ამ სტანდარტთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრი?**

– პრემიერი ძალიან განათლებული ადამიანია და ის ამით აუცილებლად დაინტერესდებოდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ მასთან მიაქვთ სტანდარტი და არწმუნებენ, რომ საგნის სტანდარტი არ შეიცავს არანაირ საფრთხეს. ჩვენ კი ვეუბნებით, სტანდარტის გარდა, არსებობს პედაგოგთა მომზადების მეთოდოლოგიური ლიტერატურა, რომელიც დამტკიცებულია განათლების სამინისტროს მიერ, რომელიც მოიცავს ტესტებს, როგორ უნდა იმუშაონ მოსწავლეებთან. იქ საუბარია ბავშვებისთვის ჰომოსექსუალიზმის მიმღებლობაზე. გადაშალოს ეს წიგნები ბატონმა პრემიერ-მინისტრმა, დეტალურად მივუთითეთ, სად და როგორ. დაიბაროს მინისტრი და მოსთხოვოს პასუხი თითოეულ იმ სავარჯიშოსთან დაკავშირებით, რომლითაც საკუთარ შვილებსა და შვილიშვილებს მისი შემდგენლები ნამდვილად არ ავარჯიშებენ. ეს არის დანაშაული – მორალურიც და პირდაპირი მნიშვნელობით სისხლის სამართლის დანაშაულიც, რომელიც ჰუმანიზმის პრინციპებითაა შენიღბული და თუ ამის დანახვა არ უნდა პრემიერს, მაშინ მასთან გვექნება სხვა პოლიტიკური დისკურსი.

— **რას გულისხმობთ?**

– მის შემდგომ ნაბიჯებს, ამ საკითხთან მიმართებაში, თუ არ იქნება გაცემული სწორი პასუხები, შევაფასებთ პოლიტიკურად. მეც ყელში ამომივიდა უკვე იმის მტკიცება, რომ გახსენით კონკრეტული სახელმძღვანელოები, მაგრამ ყველა თვალს იბრმავებს, არ უნდათ, რომ ნახონ ეს დოკუმენტები.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს პრობლემა გვაქვს. მინიმუმ სამი სახელმწიფო შემიძლია ჩამოგითვალოთ, რომლებიც სახელმწიფოს მართვიდანაა გასული და მათ მართავენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები. ამ უწყებებს სამი თითის სამინისტრო დავარქვი – თეას, თინას და თამარის სამინისტროები, იუსტიცია, განათლება და თავდაცვა. ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც დასავლეთიდან მოდის, მათ მიერ სრულდება.

— **როგორც დავინახეთ, მთავრობა არ აპირებს უკან დახევას. თქვენ რას იზამთ?**

– კარგად დაიმახსოვრონ – ქმედება უდრის უკუქმედებას. არ ესმით, რომ ამ კურთხეულ მიწაზე ეს არ გამოუვათ, არ ჩაუვათ ფეხი, ვინც არ უნდა გამოიყენონ, როგორი ნეფერტიტის სახეების მქონე გოგონებიც არ უნდა მოგვივლინონ. თუ ისევ გაგრძელდება ეს მიზანმიმართული კამპანიები, მოეწყობა მრავალათასიანი გამოსვლები. თუ როდის და სად, ამაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ.

## „ამ უწყებებს სამი თითის სამინისტრო დავარქვი — თეას, თინას და თამარის სამინისტროები — იუსტიცია, განათლება და თავდაცვა!“

## „მოეწყობა მრავალათასიანი გამოსვლები!“

## რატომ და ვისი დავალებით გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი საგანს „მე და საზოგადოება“?




## რას ამბობს შინაურულ წრეში ბიძინა

### ბოლო ერთი წლის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილი, ვისაც კი ცოტა ჭკუა

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



პოლიტიკა

საპარლამენტო კოალიციაში დაძაბულობა დღითი დღე მატულობს. როდესაც პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გოგი თოფაძე გაკენწლა, თავდაცვის მინისტრის გაკრიტიკება და „რესპუბლიკელების“ აუგად მოხსენიება კოალიციას აზიანებსო, მაშინ იგივე „რესპუბლიკელებს“ ეგონათ, აწი აღარაფერი გვიჭირსო, მაგრამ, როცა მოგვიანებით კვირიკაშვილმა თინა ხიდაშელს მიანიშნა, ცოტა დაამუხრუჭე, შენ ჯერ მინისტრი ხარ და მერე პარტიის ლიდერიო, ამის შემდეგ განგაში გამოაცხადეს და პირდაპირ ყაზარმულ მდგომარეობაზე გადავიდნენ. მეტიც, იმავე დღეს მოითხოვეს, პრემიერისგან პირადად მოესმინათ განმარტებები და მოისმინეს კიდეც. შეხვედრიდან გამოსულმა ძმებმა ბერძენიშვილებმა განმარტეს, „ქართულ ოცნებასთან“ სტრატეგიულ პარტნიორობას ვაპირებთ, ხელ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა ს გავაფორმებთ, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთო. რა ხელშეკრულება უნდა გააფორმონ, ან კი აქამდე არ იყვნენ კოალიციაში შემავალი სუბიექტების პარტნიორები?

კულუარული ინფორმაციით, გიორგი კვირიკაშვილმა „რესპუბლიკელებს“ პირდაპირ უთხრა, თუ დაპირისპირება გამწვავდება, ისინი მინისტრების სავარძლებს არჩევნებამდე დაკარგავენ. პირობა დაუდიათ, კოალიციას აღარ შევეხებით, დამაზიანებელ განცხადებებს აღარ გავაკეთებთო. თუმცა დავით ბერძენიშვილმა მაინც ვერ მოითმინა და განაცხადა, პროკურატურა საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით გამოძიებას დაამთავრებს და გოგი თოფაძეს მერე მოვიკითხავთო. როგორც ამბობენ, „რესპუბლიკელებმა“ კვირიკაშვილს პროკურატურასთან შუამავლობაც სთხოვეს, კარგი იქნება, თუკი გამოძიება საერთო საქმის სასიკეთოდ დამთავრდება. თუმცა პრემიერს პირდაპირ უთქვამს, მე პროკურატურის საქმიანობაში ვერ ჩავერევი, ეგ საკითხი დავხუროთო.

და ყველაზე მთავარი, რა ხდება ამ დროს ბიძინა ივანიშვილის კარზე? ალბათ, საქართველოში არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც დაიჯერებს, რომ ან გიორგი კვირიკაშვილი, ან გოგი თოფაძე, ან კიდევ თამაზ მეჭიაური და სხვები „რესპუბლიკელების“ წინააღმდეგ ბიძინა ივანიშვილთან შეუთანხმებელ განცხადებებს აკეთებენ. ინკოგნიტო წყაროს თქმით:

„რაც ახლა ხდება, ეს ამ დღეებში არ დაწყებულა და არც მთლიანად გოგი თოფაძის განცხადებებს უკავშირდება. ივანიშვილის კარზე უსიამოვნო საუბრები ჯერ კიდევ თინა ხიდაშელის გამინისტრებამდე იყო, გამინისტრების შემდეგაც განმეორდა და ახლაც ინტენსიურად მიმდინარეობს. ივანიშვილთან დაახლოებული პირები იმასაც ამბობენ, რომ ის ირაკლი ღარიბაშვილის გადაყენებამაც გაამ-

# პორნოების გავრცელების ექსკლუზივი საქართველოში მხოლოდ შსს-ს აქვს!!!



**„საერთოდ არ ვიცი, შსს-ს რატომ ეხება ეს ამბავი. ის, რაც მათ გამოსაძიებელი აქვთ, პორნოგრაფია კი არა, კრიმინალური საგამოძიებო მასალებია“**

**პარადოქსულია შსს-ს ძიების პრიორიტეტები, მაშინ როცა ზუგდიდში და სხვა რაიონებში „კასრების“ ცნობილი სექსუალურ-ძალადობრივი და დანაშაულებრივი ფაქტები დღისით-მზისით, ყოველგვარი ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე აჩვენეს დიდ ეკრანებზე**

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



უცნაური ქვეყანაა საქართველო, ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის სათავეში, პრაქტიკულად, სააკაშვილის რეჟიმის ამსახველი რეალური პორნოკადრების გავრცელების შედეგად მოვიდა, ნაცვლად იმისა, რომ სექსუალური ძალადობის რეალური ფაქტები გამოეძიებინა და დამნაშავეები მკაცრად დაესაჯა, დაკავებულია ფრანგი კინორეჟისორის, გასპარ ნოეს ეროტიკულ-პორნოგრაფიული ფილმის „სიყვარულის“ გამავრცელებელთა გამოვლენით და დასჯით.

ინფორმაცია ამის შესახებ პირველად ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ იურისტმა გიორგი მშვენიერაძემ გაავრცელა, ეს თავიდან ყველას ხუმრობა გვეგონა თუმცა, შსს-მ ოპერატიულად საპასუხო განცხადება გააკეთა, ფაქტი დაადასტურა და გამოძიებს მიზეზად მოქმედი კანონმდებლობის დაცვა და აღსრულება დაასახელა.

„კანონის მოთხოვნების შესაბამისად, შსს-ის ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოში, შემოსული ინფორმაციის საფუძველზე, დაიწყო გამოძიება საქართველოს სსკ-ის 255-ე მუხლით კონკრეტული საიტების მეშვეობით პორნოგრაფიული მასალების გავრცელების ფაქტზე. საქართველოში პორნოგრაფიის შემცველი მასალის გავრცელება აკრძალულია. შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია, დაიცვას და აღასრულოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა. ამასთანავე, კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის 109-ე მუხლის მე-11 ნაწილის მიხედვით, „მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურების მიმწოდებელი პირი სამაუწყებლო პაკეტში მოზრდილთათვის განკუთვნილი სამაუწყებლო არხის (მათ შორის, პორნოგრაფიული) განთავსების შემთხვევაში, ვალდებულია, აღნიშნული სამაუწყებლო არხი განათავსოს კოდირებული ფორმით“. აღსანიშნავია, რომ დაცვის მხარეს (გამავრცელებლებსა და მათ ადვოკატებს) უფლება აქვთ, დანიშნონ ალტერნატიული ექსპერტიზა“, – განაცხადეს შსს-ში.

„ალიასთან“ საუბრისას გიორგი მშვენიერაძე შსს განცხადებას დეზინფორმაციულს უწოდებს და ამბობს, რომ სამინისტროში ან უვიცები არიან, ან შეგნებულად დეზინფორმაციას ავრცელებენ და მათი საქციელი უფრო ცენზურას ჰგავს, ვიდრე კანონის დაცვას, მით უფრო, რომ არ არსებობს ჯერ კანონი, რომელიც ინტერნეტსივრცეს დაარეგულირებს.

რაც შეეხება თავად ფილმს, კრიტიკოსები როგორც ხელოვნების ნიმუშს მას საკმაოდ ცუდ შეფასებას აძლევენ. კინომცოდნე გოგი გვახარიას აზრით, „სიყვარული“ საკმაოდ ცუდი ფილმია, თუმცა არაა პორნოგრაფია (?!) და მის გამო ასეთი ამბის ატეხა უფრო ცენზურასთანაა ახლოს, ვიდრე პორნოგრაფიასთან ბრძოლასთან.

„ცუდია, რომ ამ ცუდი ფილმის გამო ატყდა ეს ამბავი, მაგრამ ეს არაა პორნოგრაფია“, – ამბობს გვახარია.

საინტერესოა, რა ხდება ამ ფილმის გავრცელების მხრივ თავად საფრანგეთში, როგორც „ალიასთან“ საუბარში საფრანგეთში მოღვაწე მწერალი და პუბლიცისტი პაატა ქურდაძე განმარტავს, ეს არაა იმ დონის ფილმი, მით უმეტეს დანაშაულებრივი კუთხით, რომ მას ამდენი დრო დაუთმოს შსს-მ.

„ეს ფილმი კანში შუაღამის სეანსზე აჩვენეს, საერთოდ კი კინოთეატრებში საფრანგეთში 18 წლის ასაკამდე მისი ჩვენება აკრძალულია. ინტერნეტში მისი ნახვა კი საერთოდ შეუძლებელია, მაგრამ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ აქ საავტორო უფლებებს იცავენ.

ხოლო ჟურნალი „ტელერამა“ (გარწმუნებთ, კინოს რაც შეეხება ძალიან ანგარიშგასაწევი ჟურნალია) ამ სტატიაში ფილმს კინემატოგრაფიული ონანიზმის მწვერვალს უწოდებს.

მეორე საკითხია, რას ნიშნავს გამოძიების დაწყება იმ საიტებთან მიმართებაში, რომლებმაც ეს ფილმი განათავსეს და არ მიუთითეს, რომ მისი ნახვა 18 წლამდე არ შეიძლება. მინდა გითხრათ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, ევროპული გაგებით – პირველ რიგში, საქმეს საიტების მიმართ უნდა აწარმოებდეს პირატული ფილმების განთავსებისთვის და მერე იძიებდეს ამ ფილმების შინაარსს, თუკი საერთოდ შინაარსი შედის მის კომპეტენციაში ქართული კანონმდებლობით. საერთოდ არ ვიცი, შსს-ს რატომ ეხება ეს ამბავი. ის რაც მათ გამოსაძიებელი აქვთ, პორნოგრაფია კი არა, კრიმინალური საგამოძიებო მასალებია. რაც შეეხება პორნოს, ეს ყველგან კონტროლდება და სულაც არ არის გასაკვირი, მხოლოდ ამას შსს რატომ აკეთებს, არ ვიცი, ამისთვის არსებობენ სხვა სამსახურები“.

აღსანიშნავია ასევე, რომ გასპარ ნოეს ეს ნამუშევარი ნაჩვენები იყო ბათუმის საავტორო კინოს მეათე საერთაშორისო ფესტივალზე და მისი პორნოგრაფიული ხასიათი, მაშინ რატომღაც არავის გაუპროტესტებია და არც კულტურის სამინისტროს გაუცია ფილმთან დაკავშირებით რაიმე დირექტივები. ეტყობა, არ ქონდათ ნანახი ან არ იცნობენ ეროტიკისა და პორნოგრაფიის გამმიჯვნელ კანონს.

თუმცა კინოსურათ „სიყვარულთან“ დაკავშირებით, საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი. როგორც ირკვევა, ის რუსეთშია აკრძალულ ფილმთა სიაშია.

რუსეთის ფართო ეკრანებზე ფილმი 3 სექტემბრიდან უნდა გასულიყო, მაგრამ კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილების შემდეგ, მას მხოლოდ კინოფესტივალებზე ჩვენების უფლება დართეს.

სანკტ-პეტერბურგის საკრებულოს დეპუტატმა ვიტალი მილონოვმა „სიყვარული“ და ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა“ შეადარა და განაცხადა, რომ „სიყვარული“ შესაძლოა, კინემატოგრაფიის შესწავლის მიზნით ნახო, დახურულ წრეში, ისევე, როგორც „მაინ კამპფი“, მაგრამ ღიად მისი ჩვენება დაუშვებელია. მე არ ვაპირებ ამ ფილმის ნახვას. ჩემთვის არაა საინტერესო ეროტიკული მელოდრამები. ეს ნორმალურ რუს მამაკაცს არ აინტერესებს, შესაძლოა, მოზარდები დააინტერესოს“, – აღნიშნა მილონოვმა.

აღსანიშნავია, რომ მილონოვისა და სხვათა კრიტიკული დამოკიდებულების შემდეგ „სიყვარული“ გაქრა სანკტ-პეტერბურგის ფესტივალის აფიშებიდანაც.

მოკლედ, ასეა თუ ისე, ძიება დაწყებულია, სავარაუდო შედეგი ონლაინსაიტების სანქცია იქნება, უბრალოდ, სრულიად გაუგებარი და პარადოქსულია შსს-ს ძიების პრიორიტეტები, მაშინ როცა ზუგდიდში და სხვა რაიონებში „კასრების“ ცნობილი სექსუალურ- ძალადობრივი და დანაშაულებრივი ფაქტები დღისით-მზისით, ყოველგვარი ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე აჩვენეს დიდ ეკრანებზე.

შემზარავი სექსუალური ძალადობის გამავრცელებლებისა და მჩვენებლების მიმართ საქმეც კი არ აღძრულა, დასჯაზე ხომ საუბარი ზედმეტია. კადრების ავტორები და პოლიტიკური დამკვეთები კი დღესაც მთავარ პოლიტიკურ ოპოზიციურ ძალად რჩებიან ქვეყანაში. სექსუალურ-ძალადობრივი ვიდეოკადრების დიდი ნაწილი კი ახლაც ინახება შსს-ში და, სავარაუდოდ, პოლიტიკურ იარაღად არაერთხელ იქნება გამოყენებული საჭირო დროს.

აქედან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება – პორნოების გავრცელების ექსკლუზივი დღეს საქართველოში მხოლოდ შსს-ს აქვს.

# ივანიშვილი ირაკლი ღარიბაშვილზე?

**მოეკითხება, ყველას უსვამს ერთ შეკითხვას: რა აზრის ხართ „რესპუბლიკელებზე“?**



წარა და ახლა უკვე დადგა ანგარიშების გასწორების დრო. ეს არ იყო ბატონი ბიძინას სურვილი, ის დააშანტაჟეს სწორედ იმ მეთოდებით, რა მეთოდებითაც იბრძვიან დღეს. მას უკვე ამოუვიდა ყელში „რესპუბლიკელების“ თავხედობა და დაუოკებელი მადა. არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ ამბობენ, თითქოს ახლო წრეში უთქვამს, ირაკლის დაჩაგვრას არავის ვაპატიებო. თავად ირაკლი ხმას არ იღებს, სამომავლო გეგმებზე ძალიან ახლობლებთანაც არ ლაპარაკობს. იყო რამდენიმე ვერსია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა თქვა,

ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრი იყო და ამაზე დაბალ თანამდებობაზე რატომ უნდა იმუშაოსო, თითქმის ყველა გაუქმდა და დარჩა მხოლოდ ერთი კულუარული ვერსია, ირაკლი უნდა მოემზადოს 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის.

სხვათა შორის, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილი, ვისაც კი ცოტა ჭკუა მოეკითხება, ყველას უსვამს ერთ შეკითხვას: რა აზრის ხართ „რესპუბლიკელებზე“? დღემდე დადებითი პასუხი ვერავისგან მოისმინა და ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩავარდა – მარგველაშვილმა არ გაუმართლა, ალასანიამ არ გაუმართლა, ახლა ესენი, ბოლოს და ბოლოს, საქართველოში დარჩა ვინმე, ვისაც უნდა ენდოს? ირაკლი ღარიბაშვილს ენდობა. ირაკლი კიდევ კონფლიქტში შეითრიეს, უკვე აშკარა დაპირისპირება მიდიოდა და იძულებული გახდა, ცოტა ხნით შეესვენებინა. „რესპუბლიკელები“ რომ კოალიციიდან უნდა გაუშვან, ამის შესახებ ივანიშვილის

კარზე ლაპარაკი და გარჩევა ჯერ კიდევ 2015 წლის ზაფხულში იყო. თუ გახსოვთ, თავიდან მაგათ თამაზ მეჭიაური დაეტაკა. მაშინ ისიც ისევე აიგდეს, როგორც ახლა თოფაძე, დაუწყეს ლადავი და განათლებაზე ლაპარაკი. ამ კუთხით ლევან ბერძენიშვილი აქტიურობს ხოლმე. გაიხსენეთ, რა თქვა იგივე ბერძენიშვილმა, როცა ირაკლი ღარიბაშვილი გადადგა, ეგ კაცი აღარ არის საინტერესოო“.

სხვათა შორის, როცა ივანიშვილის გარემოცვაში „რესპუბლიკელების“ ჩამოშორებაზე საუბრები დაიწყო, ერთ-ერთმა დეპუტატმა მაშინ მითხრა, რომ ეს აუცილებლად მოხდებოდა არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე. მე ვკითხე, როგორ ჩამოიშორებთ, როცა ამდენი მინისტრი ჰყავთ, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიც მათია და კიდევ 10 მანდატი-მეთქი? ეს აუცილებლად მოხდებაო...

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სახალხო დამცველი: საქართველოში უამრავი დედაა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას საჭიროებს



სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი დედის დღეს სოციალურ ქსელში ეხმაურება და საქართველოში ქალთა უფლებრივ მდგომარეობას ვრცელ პოსტს უძღვნის:

– სრულიად საქართველოს ვულოცავ დედის დღეს, რომელიც პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატვის დღეა. განუზომელია დედების წვლილი მომავალი თაობების აღზრდა-განვითარებაში და მნიშვნელოვანია, ყველა ჩვენგანმა გავითავისოთ, რომ ეს თანაბარი პასუხისმგებლობაა როგორც მშობლების, ასევე, სახელმწიფოსთვის.

სამწუხაროდ, საქართველოში კვლავ პრობლემას წარმოადგენს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვა და გენდერული თანასწორობის მიღწევა. არსებული გამოწვევების ფონზე, განსაკუთრებული საჭიროებები დედებს აქვთ, რომელთაც სტერეოტიპული შეხედულებებისა თუ მავნე პრაქტიკების გამო, ხშირად მარტოს უწევთ შვილების აღზრდაზე ზრუნვა.

მნიშვნელოვანია, გავიაზროთ, რომ საქართველოში უამრავი დედაა, რომელიც საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას და გამართულ სოციალურ სერვისებს. სწორედ ამიტომ მსურს, ეს დღე განსაკუთრებით მივულოცო დედებს, რომლებიც თავისი ღვაწლის მიუხედავად, არ მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ, თვითდასაქმებულ და მიგრანტ დედებს, რომელთაც განსაკუთრებული ზრუნვის საგნად აქვთ ქცეული შვილებზე ზრუნვა, თუმცა ხშირად რჩებიან ყურადღების გარეშე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დედებსა და განსაკუთრებული ზრუნვის საჭიროების მქონე ბავშვთა დედებს, რომელთაც ყოველდღიურად უწევთ არამეგობრულ სერვისებთან შეხვედრა. პატიმარ დედებს, რომელთა საზოგადოებაში რეინტეგრაციასა და შვილებთან ურთიერთობას ხშირად ხელს უშლის არსებული სტიგმა და ბარიერები.

სახელმწიფოს ვალდებულებაა, ხელი შეუწყოს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორ გაგებას და ბავშვის აღზრდისა და განვითარების საქმეში მშობლების საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების არარსებობა განაპირობებს ქალის როლის მხოლოდ რეპროდუქციულ ფუნქციამდე დაყვანას, – წერს ნანუაშვილი „ფეისბუქის“ პირად გვერდზე. (daijesti.pia.ge)

## ადიგენში დაპირისპირებულ მხარეებს შორის შეთანხმება შედგა



სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორ აკაკი მაჭუტაძის განცხადებით, სასაფლაო გაფართოვდება და ამ სასაფლაოზე მოხდება როგორც მუსლიმანების, ასევე, მართლმადიდებლების დაკრძალვა.

მისი თქმით, ადიგენში დაპირისპირებულ მხარეებს შორის კიდევ ერთი შეხვედრა შედგა.

– შეხვედრაზე იმყოფებოდა დასავლეთ საქართველოს მუფთი ბეგლარ ქამაშაძე, მისი მოადგილე ადამ შანთაძე და სამცხე-ჯავახეთის მუფთი მამუკა ვაშაყმაძე. მართლმადიდებლური კონფესიიდან წარმოდგენილი იყო მამა ანთიმოზი და სოფელ ადიგენიდან მუსლიმანი თემის სამი წარმომადგენელი და სამი ქრისტიანული თემის წარმომადგენელი. შეთანხმდნენ, რომ სასაფლაო გაფართოვდება და ამ სასაფლაოზე მოხდება როგორც მუსლიმანების, ასევე მართლმადიდებლების დაკრძალვა. სასაფლაო იქნება პირობითად შუაზე გაყოფილი მსუბუქი ღობით, რომ მართლმადიდებლებსა და მუსლიმანებს რიტუალის ჩატარებაში ხელი არ შეეშალოთ. სასაფლაოს შესასვლელს ექნება ცალ-ცალკე ჭიშკარი. ცალკე მუსლიმანებისთვის, ცალკე – ქრისტიანებისთვის, – განაცხადა აკაკი მაჭუტიძემ. (pia.ge)

## ზურაბ აბაშიძე: კოალიციაში შემავალ ყველა პოლიტიკურ ძალას, „ქართული ოცნების“ გარდა, ბარიერის გადალახვა გაუჭირდება



„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ აბაშიძის განცხადებით, კოალიცია „ქართული ოცნების“ დატოვების შემთხვევაში, კოალიციაში შემავალ ყველა პოლიტიკურ ძალას ბარიერის გადალახვა გაუჭირდება. მისი თქმით, „ქართულ ოცნებაში“ შემავალი ყველა პოლიტიკური ძალა შეეცდება, საპარლამენტო არჩევნებამდე კოალიციაში დარჩეს.

– ნამდვილად არ ვიცი, კოალიციის შიგნით რა ხდება, გარდა იმისა, რასაც ვისმენთ და ვუყურებთ. დარწმუნებული ვარ, კოალიციიდან გამოსულ ნებისმიერი პარტიას, გარდა პარტია „ქართული ოცნებისა“, ძალიან გაუჭირდება ბარიერის გადალახვაც კი.

აქედან გამომდინარე, კოალიციაში შემავალი პოლიტიკური ძალების ინტერესშია, რომ დარჩნენ კოალიციის შიგნით. დამოუკიდებლად პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ რომელიმე მათგანმა წარმატებას მიაღწიოს, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33



*თემის გაგრძელება*

და მაინც, რა წერია, ასეთი „მე და საზოგადოებაში“, რომლის აკრძალვის მოთხოვნით პეტიციაც კი გავრცელდა.

შეგახსენებთ, რომ ეს თემა ჯერ კიდევ შარშან გახმაურდა და საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტი მესამე-მეოთხე კლასის ახალი სახელმძღვანელოს – „მე და საზოგადოებას“ პროექტთან დაკავშირებით პროტესტს გამოთქვამდა. კერძოდ, დეამ პროცესში აუცილებლად გაითვალისწინებდნენ სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებისა და საპატრიარქოს მოსაზრებებს.

თუმცა, ეს სკანდალი ხელმეორედ ცოტა ხნის წინ კვლავ გაგრძელდა და ამ ამბავს მოჰყვა იმ პეტიციის შექმნა, რომელსაც არაერთი ცნობილი ადამიანი აწერს ხელს და სადაც დოკუმენტურად არის ჩაწერილი ის პუნქტები, რომლებიც აღნიშნული საგნების შინაარსობრივ დატვირთვას გამოხატავს. გთავაზობთ ამონარიდებს პეტიციიდან:

**I.** მამათმავლობისა და სქესთანაავტორი ნენსი ფლაუერსი)

„გენდერი.

წარმოიდგინეთ, რომ ერთ დღეს სხვა სქესის წარმომადგენელი გახდით. რის შეცვლა მოგიწევდათ? პირველ რიგში, ალბათ, თქვენს გარეგნობას შეცვლიდით – ტანისამოსს, ვარცხნილობას და, შესაძლოა, სამკაულს. შესაძლოა, აგრეთვე, ადამიანებთან ქცევის მანერის შეცვლაც მოგიწიოთ“. (გვ. 105)

(სამოქალაქო განათლების პედაგოგის დამხმარე სახელმძღვანელო (სტატიების კრებული) მარგარეტ ანდერსენი და ჰოვარდ ტეილორი)

**II.** რეკომენდაციები მთავალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე – საქართველო)“...

განათლების სამინისტრომ საჯაროდ განაცხადა, რომ ის, რაც პეტიციაშია აღნიშნული, სიცრუეა და რომ საერთოდ, სასწავლო პროგრამაში აღნიშნული საგნები 2016 სასწავლო წლიდან არ დაინერგება, რადგან საგნების ირგვლივ კონსულტაციები გრძელდება და საბოლოო ფორმა ჯერ არ აქვს მიღებული, სწორედ ამიტომ მათი სასწავლო პროგრამაში შეტანა დროებით გადაიდო.

### განხითქილოიბა

მიმართულად გავრცელებულ განცხადებებს, თითქოსდა ეს საგანი ითვალისწინებს მამათმავლობის და სხვადასხვა სექსუალური მიმართულებების სწავლებას, არის მტკნარი სიცრუე...“

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ის საგნები, რომლებსაც პეტიციის ავტორი და ხელმომწერები აპროტესტებენ, „რეალურად“ ბავშვებს ასწავლის ისეთ ელემენტარულ რაღაცებს, როგორიც არის ხელპირის დაბანა, შუქნიშნის ფერების დანიშნულება, გზაზე გადასვლის წესები და ასე შემდეგ.

# რა წერია ისეთი მიუღებელი „მე და საზოგადოებაში“, რასაც ასეთი დაპირისპირება მოჰყვა?

**„წარმოიდგინეთ, რომ ერთ დღეს სხვა სქესის წარმომადგენელი გახდით. რის შეცვლა მოგიწევდათ? პირველ რიგში, ალბათ, თქვენს გარეგნობას შეცვლიდით — ტანისამოსს, ვარცხნილობას და, შესაძლოა, სამკაულს“**



**„ვისაუბროთ სექსზე! გაიგე, პიტერი გეი ყოფილა?“**






კანოზი ანდრია ჯღამაიძე მაშინ ამბობდა, რომ სტანდარტში ნახსენები ყოველგვარი განსხვავებულობის მიმღებლობის უნარი, რაც ბავშვმა უნდა შეიძინოს, პედაგოგთა წიგნებში უმთავრესად განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მიღებას გულისხმობს, რისი დანერგვაც შესაბამისი სავარჯიშოებითა და აქტივობებით არის გამყარებული. განსხვავებულობის მიღების უნარი არ შემოიფარგლება იმით, რომ ბავშვი არ იყოს აგრესიული სხვა ადამიანის მიმართ, არამედ გულისხმობს იმას, რომ მან ნორმად, ნორმალურ მდგომარეობად მიიღოს ე.წ. სექსუალური უმცირესობების ცხოვრების წესი. პედაგოგთა სახელმძღვანელოს მიხედვით, მასწავლებელმა უნდა შეძლოს, ბავშვს ჩაუნერგოს, რომ ქორწინებამდე კავშირიც და ერთსქესიანთა კავშირიც ნორმალურ ოჯახს წარმოადგენს. თუ საგნის სტანდარტში ბავშვი ვალდებულია, ითამაშოს ოჯახის წევრებისა და მეზობლების როლები, პედაგოგთა სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ მათ ლესბოსელისა და მეძავის როლებიც უნდა შეასრულონ და როლური თამაში მოსწავლის შეფასების შკალაში შედის, – აცხადებდა დეკანოზი.

მაშინ ეს თემა თითქოს მიჩუმათდა, რადგან განათლების სამინისტრო ამბობდა, რომ საგნების შინაარსობრივი მხარე და მათი სტანდარტი დამუშავების პროცესში იყო და თა აღრევის შესახებ:

მასწავლებლების გადამზადებისა და სერტიფიცირებისთვის შექმნილ სახელმძღვანელოებში, რომლებიც დაწერილია უცხოელი ავტორების მიერ, ევროკავშირისა და იუესაიდის პატრონაჟით, შავით თეთრზე წერია შემდეგი:

„ვისაუბროთ სექსზე!

გაიგე, პიტერი გეი ყოფილა?

ამოარჩიეთ რამდენიმე ადამიანი, რომლებიც თავისუფლად საუბრობენ თავიანთ სექსუალობაზე, ჰეტეროსექსუალიზმის, ჰომოსექსუალიზმის, ბისექსუალიზმისა და ტრანსსექსუალი ქალებისა და მამაკაცების ჩათვლით“. (გვ. 186)

„რჩევები ხელმძღვანელებს.

როგორია ჰომოსექსუალების სქესობრივი ურთიერთობა?

გონებრივი შტურმი, რომელიც ეძღვნება იმ ცნობილ ადამიანებს, ვინც ღიად საუბრობენ საკუთარ სექსუალობაზე“. (გვ. 188)

„ოჯახი და ალტერნატიული მზრუნველობა.

რა არის ოჯახი?

„ტრადიციული“ ოჯახის გარდა, რომელიც გულისხმობს დაქორწინებულ მშობლებსა და ბიოლოგიურ ბავშვებს, ევროპელები სხვა ოჯახებადაც ცხოვრობენ, როგორიცაა: ოჯახი, რომელიც ერთი სქესის მშობლებისგან შედგება“. (გვ. 231)

(„კომპასიტო“ (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისთვის) რედაქტორი და რობას პრიორიტეტული ქმედებების შესახებ. შეიტანეთ ცვლილებები კანონმდებლობაში. კერძოდ:

1. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა მკაფიოდ უნდა იქნეს შეტანილი ყველა შესაბამისი კანონის ანტიდისკრიმინაციული საფუძვლების ჩამონათვალში; ამავდროულად, მოსამართლეებმა ფართო ინტერპრეტაცია უნდა მისცენ ამ დებულებებს და განმარტონ, როგორც სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმა“.

(ევროპის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის სექსუსაქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს:

– „ამ ეტაპზე, ეროვნული სასწავლო გეგმის დამუშავება გრძელდება... მესამე-მეოთხე კლასში საგან „მე და საზოგადოების“ და მეხუთე-მეექვსე კლასში „ჩემი საქართველოს“ სწავლება ითვალისწინებს მოსწავლის პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას საკუთარი თავის, ოჯახის, სკოლის, მეგობრების, თემის, ზოგადად, საზოგადოების მიმართ. მოსწავლეს ასწავლის ზრუნვას გარემოზე, სამშობლოზე, კულტურაზე, რაც თითოეული მოსწავლის ცნობიერების განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება მიზანოპონენტებს ამის არ სჯერათ და ამბობენ, რომ უამრავი შემთხვევაა, როცა ხალხის დიდი ნაწილის უარყოფითი პოზიციების მიუხედავად, ევროპის სახელით ჩვენი ტრადიციებისთვის მიუღებელი კანონიც კი „შეგვტენესო“... მოკლედ, ანტიდისკრიმინაციული კანონი ხომ ქიშმიშიანი „ბულკივით“ შემოგვაჩეჩეს, აქაოდა, ეს სულაც არ არის საგანგაშოო და ამას ერთსქესიანთა ქორწინების დაშვების აგიტაციებიც მოჰყვა. ამას მერე მოჰყვება „ლგბტ“-ების მხრიდან იმის მოთხოვნა, რომ მათ ბავშვის აყვანის უფლება მიეცეთ და „განსაკუთრებით მორწმუნე“ ჰომოსექსუალებმა შესაძლოა, ჯვრისწერის უფლებისთვის ბრძოლაც დაიწყონ...

### ხალხის აზრი

## „დანახვა არ მინდა საერთოდ არც ერთი პოლიტიკოსის“

**ზაზა, ხილ-ბოსტნეულის გამყიდველი, 37 წლის:**

– დანახვა არ მინდა საერთოდ არც ერთი პოლიტიკოსის, ისეთ თემებზე ხოცავენ ერთმანეთს, რაც არაა საერთოდ ხალხისთვის საინტერესო. არავინ არაა ჩვენი ხმა ამ პარლამენტში, ყველა სათავისოდ იბრძვის და არც ერთი დეპუტატი არაა ნამდვილად ხალხის მოთხოვნებისა და ინიციატივების შემსრულებელი. ასე მგონია, პოლიტიკოსები სხვა საქართველოში ცხოვრობენ და რიგითი ადამიანები – სხვაგან. იცი, დღეში რამდენი გაჭირვებული ადამიანი შემოდის და ერთ-ორ ცალ კარტოფილს და ხახვს ყიდულობს, რომ შიმშილით არ მოკვდეს? მერე კიდევ გამოვლენ პოლიტიკოსები და საარსებო მინიმუმად სასაცილო თანხებს გვიწესებენ. ამიტომ „რესპუბლიკელი“ და „მეოცნებე“ ჩემთვის სულერთია, თუ იბრძვიან, ისევ თავიანთი გავლენებისთვის. თოფაძე კიდევ ყოველთვის თავისი ბიზნესის ლობირებისთვის იყო პარლამენტში და ახლა რომ უკვირთ მისი გამონათქვამები, თავის დროზე, როცა კოალიცია შეიქმნა, მაშინ სახელმწიფოებრივი აზრი აინტერესებდათ? ისევ ერთმანეთი სჭირდებათ და იხმაურებენ და ერთად გავლენ მაინც არჩევნებზე, მაგრამ ტვინსა და გულს გვიჭამენ აქეთ კიდევ, ტელევიზორის ჩართვაც აღარ მინდა. აქ თუ შემოვლენ და დაიწყებენ საუბარს ადამიანები, თორემ რაც ნაკლებად გავიგონებ პოლიტიკოსების ხმას და დავინახავ, უკეთესია. უბედურება ისაა, რომ დღეს უკეთესიც არავინ გვყავს, „ნაციონალებმა“ იმდენად შეაზიზღეს ხალხს თავი, მათ დაბრუნებას ისევ ეს უსაქმურები ურჩევნიათ.

*მაკა დეკანოსიძე*

# სტუდენტები ფართომასშტაბიან აქციებს იწყებენ

## „თსუ-ში დიდი ომია 84 მილიონის დასაპატრონებლად!“

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**რა ხდება ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში? რატომ საუბრობენ სტუდენტები სააკაშვილის რეჟიმის ზონდერბრიგადების და მათი მხარდამჭერი ზოგიერთი სპეცსამსახურის თანამშრომლების მხრიდან უნივერსიტეტის გაკონტროლების მცდელობაზე? რა საშიში ტენდენციები იკვეთება და რით ვერ დაესვა წერტილი უნივერსიტეტის პოლიტიზებასა და მისით მანიპულირებას? ამ კვირაში უნივერსიტეტი საზოგადოების ფოკუსში აღმოჩნდება. სტუდენტები გეგმავენ ფართომასშტაბიან აქციას, ისინი გააპროტესტებენ უნივერსიტეტზე ძალადობას. სტუდენტები ასევე ითხოვენ, დაინტერესდეს პროკურატურა, სად მიდის ის თანხები, რომლებიც რეალურად უნდა მოხმარდეს უნივერსიტეტის განვითარებას, სტუდენტებს.**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ფორუმის თავმჯდომარე ნიკოლოზ მეტრეველი „ალიას“ საკმაოდ მწვავე ინტერვიუს აძლევს და იქ მიმდინარე მანკიერ პროცესებზე საუბრობს.**



**„არაადეკვატური თანხები იხარჯება იმ პირობებში, როცა მხოლოდ თსუ-ს რამდენიმე ათასი სტატუსშეჩერებული სტუდენტი ჰყავს, რომელთა უმრავლესობა სწორედ ფინანსური დავალიანების გამო ვეღარ აგრძელებს განათლების მიღებას“**



**„ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს, სად მიდის სტუდენტების ფული“**

– 10 მარტს დაგეგმილია კანცლერის არჩევნები, აკადემიური საბჭო წარუდგენს სენატს, რომელიც შედგენა 45 ადამიანისგან და ირჩევენ კანცლერს, ანუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რომელიც გახლავთ რექტორის შემდეგ მეორე ფიგურა. ფინანსებს, ფაქტობრივად, განაგებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ამ პოსტზე წარდგენილია ერთადერთი კანდიდატი და ეს გახლავთ გიორგი გაფრინდაშვილი, რომელიც 2012 წლამდე იყო ჯერ სტუდენტური თვითმმართველობის ეკონომიკური ფაკულტეტის ლიდერი, შემდეგ ავალიანის მოადგილე, რომელიც ვარძელაშვილის კადრი გახლდათ. ძალიან სწრაფად დაწინაურდა გაფრინდაშვილი და 2010 წელს ის წინა კანცლერის, დავით ჩომახიძის თანაშემწედ დაინიშნა. იმ პერიოდში, როდესაც სტუდენტებს ზონდერები უსწორდებოდნენ, არაერთ ვიდეოში ფიგურირებს, როგორც კანცლერის თანაშემწე, და სწორედ ის გახლდათ ერთ-ერთი მათგანი, ვინც თავისუფალი აზრის მქონე სტუდენტებს ებრძოდა.

**— ვინ არის ჩართული გიორგი გაფრინდაშვილის კანცლერად გაყვანის საკითხში?**

– ამ პროცესში ძალიან აქტიურადაა ჩართული რამდენიმე მხარე, უნივერსიტეტში არაფერი იმალება და პირდაპირ გეტყვით, რომ იურიდიული ფაკულტეტის დეკანის, ირაკლი ბურდულის ხელი ურევია, რომელიც გახლავთ ძმები კუბლაშვილების უახლოესი მეგობარი. მის გაყვანაში ასევე დაინტერესებულია პრეზიდენტის აპარატში მომუშავე ბატონი კვერენჩხილაძე და მე მაინტერესებს, რა როლს თამაშობს ამ ყველაფერში პრეზიდენტი მარგველაშვილი. ფაქტია, რომ მისი აპარატის წარმომადგენელი ღიად არის ჩართული გაფრინდაშვილის ლობირების საკითხში. შესაბამისად, არ გამოვრიცხავ, პრეზიდენტ მარგველაშვილის ინტერესიც იყოს, რადგან მარგველაშვილი ბოლო პერიოდში აბსოლუტურად დესტრუქციული მოქმედებით გამოირჩევა. ჩვენ ვხედავთ მის ღია ალიანსს „ნაცმოძრაობასთან“. აქედან გამომდინარე საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ამ საკითხით დაინტერესებულია. ფაქტობრივად, უნივერსიტეტზე გავლენები ჯერ კიდევ არ დაუკარგავს „ნაცმოძრაობას“, ისინი ცდილობენ, უფრო მეტად გაძლიერდნენ. მაგალითად, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი შამათავა, რომელიც თვითმმართველობის პრეზიდენტი იყო, სააკაშვილმა ადმინისტრაციაში გადაიყვანა, ხოლო რამდენიმე თვის წინ უკან დააბრუნეს სპორტისა და კულტურის დეპარტამენტში. ის იყო გამორჩეული ზონდერი, მე შემიძლია გავიხსენო ფაქტები, როცა სტუდენტების დარბევაში მონაწილეობდა. ასეთი გახლდათ გიორგი თოფურიას ცემის ფაქტი, სადაც ის მონაწილეობდა. მახსოვს, როგორ გვემუქრებოდნენ სტუდენტებს, შეიარაღებულები დადიოდნენ და ის ერთ-ერთი გამორჩეული ზონდერი გახლდათ, რომელიც დღეს აქტიურად ლობირებს გაფრინდაშვილის კანდიდატურას კანცლერის პოსტზე. ასევე, გვაქვს ეჭვი, რომ უშიშროების თანამშრომლები არიან ჩანერგილები. მაგალითად, არის ასეთი პიროვნება დიმა კავსაძე, რომელიც ოფიციალურად გახლავთ დავით ჩომახიძის თანაშემწე და ის უნივერსიტეტში გადაადგილდება რაციით. ასევეა ჩართული ეს პიროვნება კანცლერის არჩევნებში და ლობირებს გაფრინდაშვილის კანდიდატურას. უნივერსიტეტში არსებობს პრივილეგირებული კასტა, რომელიც თავის დროზე „ნაციონალებმა“ შექმნეს, ამ კუთხით სისტემა დაალაგეს, მისი ხელმძღვანელი იყო გიორგი ავალიანი, კირკიტაძის ნათესავი, მან დაიწყო ეს პროცესი, რასაც ჰქვია პრივილეგირებული კასტის შექმნა. 2007 წლიდან დღემდე ეს ტენდენცია, სამწუხაროდ, გრძელდება. დღეს ისევ „ნაცმოძრაობის“ მიერ შექმნილი პრივილეგირებული კასტაა ყველგან, ამ მდგომარეობაში კი სხვა სტუდენტები იჩაგრებიან, რადგან მხოლოდ მათ აქვთ ფინანსებთან წვდომა, რამდენიმე დღის წინ მათ გამოეყო 25000 ლარი, სწორედ ამის გამოა ორშაბათს, 7 მარტს, 15 საათზე დაგეგმილი სტუდენტების აქცია, თსუ-ს პირველ კორპუსში. ჩვენ გავაპროტესტებთ სააკაშვილის რეჟიმის ზონდერბრიგადების წევრებისა და მათი მხარდამჭერი ზოგიერთი სპეცსამსახურის თანამშრომლების მხრიდან უნივერსიტეტის გაკონტროლების მცდელობას და არ დავუშვებთ, უნივერსიტეტი კვლავ მათი კონტროლის ქვეშ აღმოჩნდეს. ასევე, თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მივმართო პროკურატურას, დაინტერესდეს, რა სახის დარღვევებს აქვს ადგილი უნივერსიტეტში, ეს გამოსაძიებელია და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს, სად მიდის სტუდენტების ფული.

**— ამ პრივილეგირებულ კასტას რისი მიღწევა სურს და რა ქვედა დინებებს აქვს ადგილი?**

– სამწუხაროდ, ვხედავთ, რომ ის მონაპოვარი, რომელიც სტუდენტებმა 2012 წელს მივიღეთ, საფრთხის ქვეშ არის, რადგან გარკვეულ ეტაპზე მოხდა ამ ადამიანების პორტირება „ქართულ ოცნებაში“. მე არ ვიცი, რამდენად მაღალ დონეზეა მათი ალიანსი, მაგრამ ფაქტია, რომ მათ შორის კოაბიტაციაა. ჩემი აზრით, ამის ერთადერთი მიზეზი არის ის, რომ გასვრილები არიან და არაერთ ბინძურ საქმეს აკეთებინებენ. გიორგი გაფრინდაშვილი არის პაიკი, რომელსაც გამოიყენებენ ბინძურ თამაშებში, იგი ძმებ კუბლაშვილების და საეჭვო ადამიანთა ხელში მარიონეტია.

**— სტუდენტური თვითმმართველობა, რომელსაც გამოეყო 25000 ლარი, რაში ხარჯავს და ვინ აკონტროლებს ხარჯებს?**

– ვერაფერს იტყვი, სტუდენტური თვითმმართველობა ისევ „ფორმაშია“, წინა წლის 19000 ლარის ნაცვლად, წელს ზამთარში ბაკურიანში გასასეირნებლად 24600 ლარი მოითხოვეს თსუ-ს ადმინისტრაციისგან. უამრავი კრიტიკის მიუხედავად, რომელიც ამ ტიპის პროექტების მიმართ მუდმივად გაისმის თსუ-ს პროფესორებისა და სტუდენტების მხრიდან, მაინც არ ჩერდებიან და კრიტიკას აიგნორებენ. ვითომ სემინარების მოსაწყობად მიდიან და რეალურად, ამ თანხას პირადი სიამოვნებისთვის ხარჯავენ. ეს არის არამიზნობრივად დახარჯული თანხები. არადა, ეს ყველაფერი იმ უნივერსიტეტში ხდება, სადაც ელემენტარული ჰიგიენური პრობლემები არ არის მოწესრიგებული, ტუალეტებში შარდი გვეწვეთება სტუდენტებს. სტუდენტების თვითმმართველობის თვითნებობას საზღვარი არ უჩანს, უკვე მრავალი წელია თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა ბიუჯეტიდან მიღებული თანხების კუთხით უპირობო მონოპოლისტია, ისინი ამ თანხას ერთპიროვნულად განაგებენ და სარგებლობენ საუნივერსიტეტო ფინანსებით, რაც, წესით, ყველა სტუდენტს თანაბრად ეკუთვნის, მათ კი ტრადიციად დაამკვიდრეს ზამთრობით ტრენინგგასვლები ბაკურიანში, სადაც არაადეკვატური თანხები იხარჯება იმ პირობებში, როცა მხოლოდ თსუ-ს რამდენიმე ათასი სტატუსშეჩერებული სტუდენტი ჰყავს, რომელთა უმრავლესობა სწორედ ფინანსური დავალიანების გამო ვეღარ აგრძელებს განათლების მიღებას. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა უარს ამბობს მანკიერი ტრადიციების შეცვლაზე. ჩვენი აქციის ძირითადი მიზანია, დადგინდეს, სად მიდის უნივერსიტეტის სახსრები, იმედი მაქვს უნივერსიტეტის რექტორი ვლადიმერ პაპავა ღიად და საჯაროდ დააფიქსირებს თავის პოზიციას.

**— რატომ არის უალტერნატივო კანცლერის პოსტზე „ნაციონალების“ მიერ ლობირებული კანდიდატი და რა მიზნები აქვთ მის პატრონებს?**

– შემდეგი წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტი 84 მილიონი ლარით არის გაწერილი. ამ თანხის ხელში ჩაგდებას ცდილობენ ისინი და მათი კანცლერის პირობებში უფრო კომფორტულად და ადვილად გააკონტროლებენ მილიონებს. 84 მილიონიდან მიზერი თანხა ხმარდება სამეცნიერო კვლევით სამუშაოებს, დანარჩენი ფული კი ეკუთვნის სტუდენტებს, მაგრამ რეალურად ამ ფულს სტუდენტებამდე არავინ უშვებს და წლებია „ნაციონალების“ კასტის ხელშია ეს ბიუჯეტი. ეს განუკითხაობა უნდა დასრულდეს და საშიში კრიმინალური დაჯგუფება მოშორდეს უნივერსიტეტს, მე ვიზიარებ იმ საფრთხეს, რაც შეიძლება ჩემს განცხადებას მოჰყვეს, მაგრამ ხაზგასმით ვამბობ, მე და ჩემი მეგობრები ბოლომდე ვიბრძოლებთ ამ უკანონობის წინააღმდეგ.

»» ხალხის აზრი

## „ასე რამ გადაგრიათ, ხალხნო, რას აფუჭებენ ამისთანას „რესპუბლიკელები“

**დალი, 48 წლის, დიასახლისი:**

– მე არ ვარ „რესპუბლიკელების“ მოტრფიალე, მაგრამ ისინი ნამდვილად არიან გამოცდილი პოლიტიკოსები. აბა, „ოცნებაში“ ნაყარნუყარი, პოლიტიკაში დუპლეტები, უცოდინარი და გაუნათლებლები არიან მეტი წილი. ან ძველბიჭური მენტალიტეტის მატარებლები, ან კოპუმპირებულები, ან გაუნათლებლები.

როცა 3 წლის თავზე პარლამენტში მჯდომმა კაცმა არ იცის, რა არის „იბიარდი“ და ბორდელი ჰგონია, თან ვილაცის დაწერილს კითხულობს თავაუწევლად, ასეთ ხალხს უნდა ებაროს ქვეყნის ბედი? ან იმ თაღლით ბებრებს, რომლებიც რუსეთს მისტირიან და ტანკების შემოყვანაზეც თანახმანი არიან, ოღონდ ფული იშოვონ და ქვეყანა ჭირსაც წაუღიაო. ასე რამ გადაგრიათ, ხალხნო, რას აფუჭებენ ამისთანას „რესპუბლიკელები“, რუსეთისკენ რომ არ ილტვიან, იმას? დაფიქრდით? ცალ-ცალკე ვერც ერთი პარტია, ვერ გადალახავს ბარიერს „ქართულ ოცნებაში“ შემავალი. ხმები მაშინ მისცა მოტყუებულმა ხალხმა ბიძინას მილიარდებს, ეგონათ, ბიძინა იყო შველა, ახლა ბიძინამ რაც არ უნდა დაარქვას ცალკე თავის პარტიას, ხმას მიიღებს იმათგან, ვისაც ფულს უხდის, ძირითადად ძველი ინტელიგენცია, რომლებიც უმეტესწილად რუსეთუმეებისგანაა შემდგარი, ეს არ არის ნამდვილად მთელი საქართველო და ძალიან ცდებიან, როცა ხალხის სახელით ლაპარაკობენ!

*მაკა დეკანოსიძე*

## „მე ვიზიარებ თავდაცვის მინისტრის განცხადებას“ — გიგლა აგულაშვილი



საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრი „რესპუბლიკელი“ გიგლა აგულაშვილი პრემიერის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა. როგორც მინისტრმა განაცხადა, ის ეთანხმება მოსაზრებას, რომ კოალიციის წევრებს შორის დაპირისპირების საკითხები კოალიციის შიგნით უნდა იქნას განხილული. ამასთანავე, აგულაშვილი საგარეჯოს არჩევნების საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით პროკურატურასთან თანამშრომლობის მზადყოფნას აცხადებს.

– სიამოვნებით ვითანამშრომლებ არა მარტო ამ საკითხზე, ნებისმიერ სხვა საკითხზეც. ის, რაც იყო რეალობა, რაც არის დადასტურებული დღემდე, მე ვვარაუდობ ალბათობის ძალიან მაღალი ხარისხი არსებობს, რომ ისევ დადასტურდება. რაც არ ყოფილა, ვგულისხმობ ბრალდებებს გაყალბებაზე და ასე შემდეგ, იმას ვერავინ ვერ შექმნის, – განაცხადა აგულაშვილმა.

აგულაშვილმა ქვეყანაში მომძლავრებულ პრორუსულ რბილ ძალაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის ეთანხმება თინათინ ხიდაშელის განცხადებას, რომ გარკვეული ძალები ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით ნიჰილიზმის დათესვას ცდილობენ:

– წინასაარჩევნო სიტუაციაა, როდესაც გარკვეული ძალები ცდილობენ, ფეხი მოიკიდონ ქვეყნის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში. ძალიან გააქტიურდა რბილი ძალა, მედიაში, სოციალურ ქსელში. ნიჰილიზმის დათესვა ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით, ყველაფერი ცუდი რომ დასავლეთიდან მოდის თურმე და ყველაფერი კარგი ჩრდილოეთიდან და მზე რომ ჩრდილოეთიდან ამოდის. ასეთი მესიჯები ინტენსიურად ისმის, რაც მიმართულია საზოგადოების დეზორიენტაციაზე და ამ თვალსაზრისით მე ვიზიარებ თავდაცვის მინისტრის განცხადებას, – აღნიშნა აგულაშვილმა. (ნიუპოსტი)

## აფეთქების შედეგად, 7 წლის ბავშვი დაიღუპა

სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო ბოდბეში აფეთქებას მსხვერპლი მოჰყვა. გარდაცვლილი ბავშვის მამა აცხადებს, რომ ტრაგედია ბუნებრივი აირის დაგროვებამ გამოიწვია.

იოსებ ქოქიაშვილი ყვება, რომ ქვაბიდან, რომელიც გაზქურაზე იდგა, გაზი ჩააქრო, რის შემდეგაც, ბავშვი გაზქურის ანთებას შეეცადა.

აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ბავშვი ადგილზე გარდაიცვალა.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე სისხლის სამართლის 116-ე მუხლით არის აღძრული, რაც სიცოცხლის მოსპობას გაუფრთხილებლობით გულისხმობს. გარდაცვლილს ექსპერტიზა გურჯაანის რაიონის სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ჩაუტარდა. (pia.ge)

ფაქტი... ახალი... მოვლენა...

## აშშ-ში საქართველოს საზღვაო ძალების ყოფილი სარდალი ბესიკ შენგელია დაიღუპა



ნიუ-იორკში ავტოსაგზაო შემთხვევას საქართველოს საზღვაო ძალების ყოფილი სარდალი ბესიკ შენგელია ემსხვერპლა. ის ბოლო პერიოდი აშშ-ში ცხოვრობდა.

როგორც „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ამერიკელ სამართალდამცავებზე დაყრდნობით იუწყება, პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ყოფილ დირექტორს, პირველი რანგის კაპიტანს ავტომობილი იმ დროს დაეჯახა, როდესაც საკუთარი ავტომანქანის სალონიდან ნივთის აღებას ცდილობდა. ინციდენტის შემდეგ ექვმიტანილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მის დასაკავებლად სამძებრო სამუშაოები უკვე დაწყებულია.

დაღუპულ საქართველოს საზღვაო ძალების ყოფილ სარდალს ბესიკ შენგელიას სამშობლოში პროცედურების დასრულების შემდეგ ჩამოასვენებენ. (ნიუპოსტი)

„ალია“ სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს!

## საავიაციო უშიშროების სამმართველოს მაღალჩინოსანი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსის მოადგილე გიგა კიკნაველიძე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გიგა კიკნაველიძემ, მოქალაქეს 50 000 აშშ დოლარის ღირებულების ოქროს ნივთების თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საკონტროლო-გამშვები პუნქტის გვერდის ავლით გატანის სანაცვლოდ 5000 ლარი მოსთხოვა.

გიგა კიკნაველიძემ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქრთამის სახით მის მიერ მოთხოვნილი 5000 ლარი აიღო, რა დროსაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს. (ნიუპოსტი)

---

ცენზორი

# მამუკა ახვლედიანი: „არ მინდოდა, ნინო გვენეტაძე ასე მომეხსენიებინა, რა ინფორმაციები მოიპოვა „ალიამ“ საქალაქო

**„მიხეილ ჩინჩალაძე ორი კვირის განმავლობაში რჩებოდა უზენაესი სასამართლოს შენობაში, თავის კაბინეტში იყო ჩაკეტილი, სახლში რომ მივიდე, მეშინია, შვილების თვალწინ არ დამაპატიმრონო. ვალერი ცერცვაძე ორი თვე იყო ამერიკაში გაქცეული, თბილისში დამიჭერენო. მაინტერესებს, დღეს რა შეიცვალა, რომ ეს ხალხი ისევ ბედნიერად გრძნობს თავს?“**





გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

29 თებერვალს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა, ლევან მურუსიძემ კოლეგებს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატი წარუდგინა. საბჭოს თავმჯდომარე, ნინო გვენეტაძე და წევრები თითქოს დაიბნენ, ამის თაობაზე არაფერი ვიცოდით, ჩვენთვისაც მოულოდნელი იყოო. კანდიდატის დამტკიცების პროცედურა რამდენიმე დღით გადაიდო. ამასობაში საქალაქო სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ, უკვე რიგითმა მოსამართლემ, მამუკა ახვლედიანმა, თავისავე „მშობლიურ“ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა დროებითი განჩინების გამოცემის თაობაზე, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავი შეეკავებინა და საქალაქო სასამართლოს ახალი თავმჯდომარე პროცესის დასრულებამდე არ დაენიშნა. შეგახსენებთ, მას შემდეგ, რაც მამუკა ახვლედიანი თანამდებობიდან გადააყენეს, მან აღდგენის თაობაზე სასამართლოში იჩივლა. თუმცა 4 მარტს უკვე ცნობილი გახდა, რომ შუამდგომლობა არ დაუკმაყოფილეს, ანუ ახალი თავმჯდომარის დასანიშნად იუსტიციის საბჭოს მწვანე აუნთეს და იმავე დღეს ამ თანამდებობაზე გიორგი მიქაუტაძე დაამტკიცეს. მას მხარი საბჭოს 12-მა წევრმა დაუჭირა, წინააღმდეგი იყო 1 წევრი — ვახტანგ მჭედლიშვილი. ვინ არის გიორგი მიქაუტაძე? ის დაიბადა 1982 წელს. 1999 წელს დაამთავრა თბილისის იპოკრატე შევარდნაძის სახელობის მრავალდარგობრივი ლიცეუმი. 2004 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2006-2010 წლებში მუშაობდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორად, 2010 წელს — უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსად. 2012 წლის იანვრიდან იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2015 წლის დეკემბრიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე და აჰა, ახლა კი გახდა მთლად თავმჯდომარე. ეს ის მოსამართლე გახლავთ, რომელმაც 2012 წლის ივლისში „ქართული ოცნების“ წევრი, რომან კუსიანი 150 ათასი ლარით, ანუ პარტიაში შემოწირულობის სახით შეტანილი 30 ათასი ლარის ხუთმაგი ოდენობით დააჯარიმა.

ახვლედიანის თქმით, გვეპატიჟეს, გვაპატიეს, მაგრამ მანდ იყო საჭირო, გამოეძიებინათ სასამართლოში შეტანილი საქმეები, ანუ შეკერილი საქმეები.

> ასევე, გამოსაძიებელი იყო აღსრულების ბიუროს საქმიანობა, რომელმაც აუქციონებით წაგვართვა ქონება და რომელშიც მივიღეთ მონაწილეობა. მეორე მხარეს აღსრულების ბიუროს თანამშრომლები გვესხდნენ, რომელთაც ბე გადახდილი არც კი ჰქონდათ. ამ ნიკა მელიას რომ „აგულავებენ“, მაშინ ეგ იყო აღსრულების ბიუროს უფროსი და მთავარი ორგანიზატორი. საჩივარი პროკურატურაში დევს 2012 წლიდან, მაგრამ არანაირად არ რეაგირებენ. ჩემს შემთხვევაში აუქციონზე მოვიგე ბინა, მაგრამ მოგებული აუქციონი მელიამ გააუქმა და წაიღო. ასევე იყო მანქანებზე, მაშინ თანხები გადაგვახდევინეს, მერე პარლამენტმა დააბრუნა, მაგრამ აღსრულების ბიურომ სააღსრულებო პროცენტი ჩაიტოვა. მაგალითად, ჩემს ნაწილში 7000 ლარი. იმის ნაცვლად, რომ საქმეები გამოიძიონ და დამნაშავეები დასაჯონ, მიქაუტაძით სულში მაფურთხებენ. აქეთ დამცხეს, ამ მამაძაღლებმა ასეთი რა ვალი აიკიდეს, რომ საბჭოს ყველა წევრმა მხარი დაუჭირა? მით უმეტეს, ეს ინფორმაციები წინასწარ ჰქონდათ. მიშა სააკაშვილი რატომ ენდო მიქაუტაძეს იმ დროს, მაინც ვერ ხვდებიან, ვისი კაცია"?

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი მიქაუტაძის სახელს უკავშირდება პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებით 2012 წლის ივლისში განხილული საქმე. მან პოლიტიკური პარტიებისთვის თანხის უკანონო შემოწირულობის გამო 17 პირი დააჯარიმა. რომან კუსიანი „ალიასთან“ საუბარში ამბობს, რომ პასუხი უნდა მოეთხოვოთ იმ ადამიანებს, რომლებიც ასეთ გადაწყვეტილებებს იღებენ და ოდიოზურ ფიგურებს აწინაურებენ: „პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება უნდა მოვითხოვოთ, ვინც ამგვარ გადაწყვეტილებებს იღებს. მე ვფიქრობ, ასეთი მოთხოვნები მალე წამოიწევს წინ და აუცილებლად მათ გვერდით ვიქნები. რაც შეეხება მაშინ ჩემთვის ჩამორთმეულ ქონებას, ეს საქმე პროკურატურაში დღემდე გამოუძიებელია და ყურადღებაც არავის მიუქცევია. პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება და ჯარიმები ჯარიმა. მათ მიერ გადასახდელმა თანხამ, ჯამში, 1 მილიონ 202 ათასი ლარი შეადგინა. კიდევ ერთი საყურადღებო მომენტი: გიორგი მიქაუტაძის მეუღლე, ნათია ცხადაია მთავარ პროკურატურაში ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე მუშაობს. ლევან მურუსიძე ამ ფაქტს ადასტურებს, მაგრამ ამავე დროს განმარტავს, რომ აქ არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, რადგან ნათია ცხადაია უკვე დიდი ხანია, მუშაობს პროკურატურაში და მის მიერ დაკავებულ თანამდებობას არანაირი შეხება არ აქვს სასამართლო სისტემასთან. მეტიც, თურმე რამდენიმე წლის წინათ მიქაუტაძის მეუღლეს სურდა, გამოცდები ჩაებარებინა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და მას საბჭომ მიღებაზე უარი უთხრა, უპირატესობა სხვა ადამიანის მიანიჭა. აბა, იუსტიციის საბჭო რომ უმწიკვლო არ იყოს, ასე მოიქცეოდაო? თუმცა სულ სხვანაირ სურათს ხატავს „ალიასთან“ საუბარში საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, **მამუკა ახვლედიანი**:

**— ბატონო მამუკა, თქვენს ადგილზე უკვე დანიშნეს მიქაუტაძე, ახლა სასამართლომ რომც აღგადგინოთ თანამდებობაზე, მაინც ვერ იმუშავებთ, ამ ადამიანს ხომ არ გადააყენებენ?**

– ზუსტად ეგ არის პრობლემა, იუსტიციის საბჭომ პრაქტიკულად უპატივცემულობა გამოხატა სასამართლოს მიმართ. არაფერი არ მოხდებოდა, ცოტა ხანს რომ მოეცადათ, ყოფილიყო მოვალეობის შემსრულებელი და ემოქმედათ სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით. ახლა გამოვიდა რა? მიქაუტაძეც ოფიციალურად დანიშნეს, მე უკეთეს შემთხვევაში ბოდიშს მომიხდიან და მეტყვიან, შეგიძლიათ, ზიანის თაობაზე დამატებით მიმართოთ სასამართლოსო. ეს იქნება საბოლოო შედეგი.

**— ანუ თქვენი აღდგენის ვარიანტი გამოირიცხა?**

– ვნახოთ, შეიძლება რაღაც იურიდიული გზები კიდევ ვიპოვო, მაგრამ ამჯერად შედეგი ეს არის. პრინციპში, მაგათ უკვე იციან, სასამართლომ რა გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს და ამიტომაც მოიქცნენ ასე. მიქაუტაძემ ისიც კი განაცხადა, მამუკა ახვლედიანის განთავისუფლება კანონიერად მოხდაო. მას ავიწყდება, რომ უკვე საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეა და პლუს, იმ ადმინისტრაციული კოლეგიის თავმჯდომარეა, რომელმაც ჩემი სამართლებრივი დავა უნდა განიხილოს, წინასწარ საიდან ასკვნის, ჩემი განთავისუფლება კანონიერად მოხდა თუ უკანონოდ? მეტიც, მიქაუტაძე სამი მოსამართლიდან ერთ-ერთია, რომელიც მსგავს დავებს იხილავს და ახლა უკვე თავისუფლად შეუძლია, აიღოს ჩემი საქმე.

**— ეს ხომ უკვე ანეკდოტია? საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ უნდა განიხილოს თავისი წინამორბედის საქმე?**

– დიახ, მიქაუტაძე უკვე ფიქრობს, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია. აი, ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რა მიდგომებია და საით მივდივართ. იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილება არ დგას სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მაღლა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ამათ დააყენეს, რაც ძალიან დიდი შეცდომაა.

**— თქვენ წინა ინტერვიუში მითხარით, რომ შეიძლება მაიძულონ და რიგითი მოსამართლის თანამდებობაც დავტოვოო, ამ მხრივ, რა ხდება, რაიმე ზეწოლას ხომ არ აქვს ადგილი?**

– სიტუაცია არ შეცვლილა... მე ამჟამად შვებულებაში ვიმყოფები. მათ თავიდანვე სასაცილო გარემო შექმნეს, როცა გადამაყენეს, ჟურნალისტებიც კი არ შემოუშვეს შენობაში, ეზოს გარეთ მომიწია კომენტარების გაკეთება. აგრესია იყო რამდენიმე ადამიანისგან, რაც ყოვლად დამამცირებელი და უხერხულია, არ მინდა, ამ ტიპის ურთიერთობები მქონდეს. კოლეგიის ორი ახალი წევრი ერთ მეტრში იდგა და მისმენდა, რას ვეტყოდი ჟურნალისტებს. ეს თითქოს არაფერია, მაგრამ შექმნეს მიზანმიმართული კონფლიქტური სიტუაცია. ამით ნამდვილად არ დაადგება ხეირი თვითონ სასამართლო სისტემას. ცხადია, ასეთ პირობებში ძალიან ძნელია მუშაობა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, როცა შვებულება დამიმთავრდება, მე არ მინდა, წინასწარვე უარყოფითი განწყობა შევქმნა. ალბათ, მოვიფიქრებ რამეს და გავერიდები კონფლიქტურ სიტუაციებს. ვფიქრობ, ჩემდამი აგრესიული განწყობა დაახლოებით ათ-თხუთმეტ ადამიანს ექნება, რომლებიც კლანური სისტემის რიგითი წევრები არიან და დაწინაურება სურთ. ჯერჯერობით ამ ფორმით აჩვენებენ თავიანთ ერთგულებას და ცდილობენ, შექმნან კონფლიქტური გარემო. ეს გახლავთ წინასწარ დაწერილი სცენარი, რომელიც არ დაწყებულა ე.წ. მენეჯმენტის თემით, სიახლეების დანერგვის მხრივ ერთ-ერთი პირველი ვიყავი, თუნდაც ელექტრონული სისტემა ავიღოთ, დისტანციური პროცესები და ასე შემდეგ. ჯერ მენეჯმენტზე ლაპარაკობდნენ, მერე თურმე რაღაც ბრძანება გამომიცია და ამიტომ გადამაყენეს, რომელი ბრალდება უნდა წამომიყენონ, ჯერ თვითონაც ვერ ჩამოყალიბდნენ. ერთი თვის წინ გამოცხადდა კონკურსი, სასამართლოში მოწმეთა დაკითხვის მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლოში უნდა გადმოეყვანათ ოთხი ადამიანი. ორი დიდი სასამართლოს თავმჯდომარე გადმოდის, ფაქტობრივად, ტექნიკურ სამუშაოზე, მოწმეთა დაკითხვა არ არის რაიმე რთული კატეგორია. აქედან გამომდინარე, ყველა მიხვდება, რომ ეს კონკურსი ფარსია, ორი ადამიანიდან ერთი გახადეს კოლეგიის თავმჯდომარე და 4 მარტს ორივე ჩასვეს სხვადასხვა კოლეგიაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სისტემაში. ეს ფარსი ერთი წელიწადია, რაც მიმდინარეობს, ახლა რომელ მენეჯმენტზე ლაპარაკობენ? რა, აქ მხოლოდ მამუკა ახვლედიანის პრობლემაა და ხვალიდან ყველაფერი გამოსწორდება? თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ იქ მართლა ლევან მურუსიძე მართავს პროცესებს? ამ ადამიანს არაფერს არ ეკითხებიან, რასაც ეტყვიან, იმას აკეთებს.

**— მურუსიძემ ისე წარადგინა კანდიდატურები, სხვებმა არაფერი იცოდნენ, ყოველ შემთხვევაში, ასეთი სურათი დაიხატა. თქვენ ფიქრობთ, რომ ესეც გათამაშებული იყო?**

– რა თქმა უნდა, გათამაშებულია... შეიძლება ვახტანგ მჭედლიშვილმა არ იცოდა, მაგრამ გვენეტაძემ ყველაფერი იცოდა. ეს ყველაფერი სპონტანურად მოხდაო, როგორ, კანდიდატები იუსტიციის საბჭოში ისე მიიყვანეს, რომ

# მაგრამ ვფიქრობ, დადგა დრო, საზოგადოებამ ყველაფერი იცოდეს!“

## სასამართლოს ახალ თავმჯდომარეზე?

**„გვენეტაძემ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა, მაქვს ეჭვი, რომ კიდევ უფრო ბევრი დანაშაულია ჩადენილი... ასევე, მაქვს ეჭვი, რომ აქ რაღაც შანტაჟს აქვს ადგილი, ყველა ხედავს გვენეტაძის სახის ცვლილებას“**





**„რა, აქ მხოლოდ მამუკა ახვლედიანის პრობლემაა და ხვალიდან ყველაფერი გამოსწორდება? თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ იქ მართლა ლევან მურუსიძე მართავს პროცესებს?“**

არაფერი უთხრეს? ეს ხომ აბსურდია?

**— თქვენ ამბობთ, მურუსიძეს არაფერს ეკითხებიანო, მაშინ ვინ მართავს პროცესებს?**

**— ეს არის საბჭოთა პერიოდის მსგავსი სიტუაცია, აქ არის „ტროიკა“ — ვალერი ცერცვაძე, მიხეილ ჩინჩალაძე და ლევან მურუსიძე. მურუსიძემდე იუსტიციის საბჭოს მდივანი იყო ცერცვაძე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე იყო ჩინჩალაძე. ისინი ისევ დარჩნენ იგივე პოზიციებზე, პლუს ცერცვაძე სააპელაციოს თავმჯდომარეა. მათ ახლა გადაინაცვლეს კულისებში და წინა პლანზე წამოსწიეს თავიანთი საცეცები — მურუსიძე და კიდევ რამდენიმე ადამიანი. მე პირადად ძალიან დავიღალე 2007 წლიდან მათთან ბრძოლით. კონფლიქტი მქონდა სამივესთან, ასევე ჰქონდათ სხვებსაც, მაგრამ ის სხვები ახერხებენ შეგუებასაც და ხშირად ამბობენ, რა ვქნათ, ასეთი პოლიტიკააო. არადა, ამ ადამიანებს არავითარი პოლიტიკური სახე არ აქვთ, ისინი მზად არიან, ემსახურონ ნებისმიერ ხელისუფლებას ნებისმიერი ბინძური მეთოდებით. ამ ადამიანებთან პოლიტიკოსობა არ არის საჭირო, ამათ სწორედ შიგნიდან უნდა ებრძოლო, ეს საშიშროება იგრძნეს და სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს ძალიან სწრაფად ყველაფერი. მართლა ვერ ვივარაუდებდი, რომ ძალიან მცირე ვადებში მომამთავრებდნენ. დარწმუნებული ვიყავი, ამ გზით წავიდოდნენ, მაგრამ მეგონა, ელემენტარულ წესებს მაინც დაიცავდნენ. რაც დღეს ხდება, ეს გახლავთ ქართული მართლმსაჯულების სირცხვილი.**

ახლა მოვისმინე რაღაც ისტორიები, თითქოს მე პირადი დაპირისპირება მაქვს ლევან მურუსიძესთან. თუ ვინმე ერთ ფაქტს მაინც დამიდებს, რომ მე ვინმეს პიროვნულად დავუპირისპირდი, ბოდიშს მოვიხდი ყველაფერზე. პირიქით, ზოგთან მეგობრული ურთიერთობა მქონდა, ზოგთან ნათესაური კავშირიც, მაგრამ ეს ადამიანები სხვა რეალობაში გაერთიანდნენ, ვირტუალური სამყარო შექმნეს და ცხოვრობენ ბედნიერად. ახლა ცდილობენ, ქართველი საზოგადოებაც აცხოვრონ ამ ვირტუალურ სამყაროში. ამათი მიდგომა ასეთია: 36-ჯერ დავარღვიეთ კანონი და ახლა რა მნიშვნელობა აქვს, 37-ჯერაც დავარღვევთ თუ არა? პასუხს მაინც არ მოგვთხოვენ, თუ შეგვეხებიან, ყველაფერი დაინგრევა.

**— ბატონო მამუკა, ერთი საკითხი რჩება ამოუხსნელი: როდესაც ნინო გვენეტაძე გერმანიიდან ჩამობრძანდა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნა, ყველას ეგონა, რომ ის დაუპირისპირდებოდა მურუსიძეებს, ჩინჩალაძეებსა და ცერცვაძეებს, მაგრამ მოხდა პირიქით, დაგიპირისპირდათ თქვენ. აი, აქ რა მოხდა, რასთან გვაქვს საქმე?**

– არ მინდოდა, ნინო გვენეტაძე ასე მომეხსენიებინა, მაგრამ ვფიქრობ, დადგა დრო, საზოგადოებამ ყველაფერი იცოდეს: ეს ყველაფერი მოხდა გვენეტაძის უუნარობისა და უცოდინარობის გამო. ყველა ხაფანგში, რაც კი დაუგო იუსტიციის საბჭომ, არა მხოლოდ ფეხი ჩადგა, არამედ ორივე ფეხით ჩახტა. მე პირდაპირ გეტყვით, ძალიან დიდი იმედი მქონდა, დიდი ენთუზიაზმით შევხვდი და პირველი საუბრისას ისიც კი ვუთხარი, თუ რაიმე კონკრეტული პრეტენზია ჰქონდა ჩემ მიმართ, მზად ვიყავი, განცხადება დამეწერა წასვლის თაობაზე. თუმცა არა ისე, მე არ მინდა და უნდა წახვიდე, ყველაფერი უნდა ყოფილიყო დასაბუთებული. მას შევთავაზე ყოველგვარი თანამშრომლობა, რაც კი შესაძლებელი იყო. სანამ ის მოვიდოდა, ერთი კვირით ადრე უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციამ და სააპელაციომ, კონკრეტულად ცერცვაძემ განმიცხადეს, ჩვენ არ მოგვწონს სასამართლო სისტემაში დანერგილი ელექტრონული წარმოება, მოსამართლეები უარყოფითად არიან განწყობილნიო. ამის შემდეგ დაინიშნა ნინო გვენეტაძე, რომელსაც პირველივე ვიზიტი ჰქონდა სააპელაციო სასამართლოში, დაჯდა ვალერი ცერცვაძის გვერდით და ჩინჩალაძე-ცერცვაძის პრეტენზიების მოსმენა დაიწყო. აქ, ფაქტობრივად, დამაყენა სხვა მხარეს. არ იფიქროთ, ამაზე გავნაწყენდი, მე მაინც შევეცადე, სიტუაცია ამეხსნა.

**— ესე იგი, გამოდის, მას თქვენდამი უარყოფითი დამოკიდებულება დასაწყისიდანვე ჰქონდა.**

– არა, ასე ვერ ვიტყვი, თავიდანვე უარყოფითი განწყობა არ ჰქონდა, უბრალოდ, ცერცვაძეებმა და ჩინჩალაძეებმა ნელ-ნელა წაიყვანეს და მოაქციეს თავიანთ მოჯადოებულ წრეში. გვენეტაძემ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა, მაქვს ეჭვი, რომ კიდევ უფრო ბევრი დანაშაულია ჩადენილი... ასევე, მაქვს ეჭვი, რომ აქ რაღაც შანტაჟს აქვს ადგილი, ყველა ხედავს გვენეტაძის სახის ცვლილებას.

**— თითქოს გვენეტაძემ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.**

– ის პირდაპირ გახდა ჩინჩალაძე-მურუსიძე-ცერცვაძის კლანის წევრი და ახლა ცდილობს, ამ კლანით ისარგებლოს. ვინაიდან სასამართლო სისტემაში მისი ავტორიტეტი ნულოვანია, დაახლოებით ათი ადამიანი თუ ეყოლება დაახლოებული, დანარჩენებს მის უნარზე არცთუ დადებითი წარმოდგენა აქვთ. მოკლედ,

**ნინო გვენეტაძე აღმოჩნდა სიტუაციის ტყვე, რაღაც მოვლენამ უცებ შეცვალა და მხარი დაუჭირა ისეთ ადამიანებს, რაც ყოვლად წარმოუდგენელი იყო. ამ ადამიანმა პირდაპირ ეთერშიც მოიტყუა, როცა თქვა, მამუკა ახვლედიანს არ შევხვედრივარო. 2 თებერვალს გავაკეთე განცხადება, მან მთხოვა შეხვედრა, დავთანხმდი და ვილაპარაკეთ — მან შემომთავაზა, აღარ გამეგრძელებინა ბრძოლა, თუ არ გაჩერდები, ფაქტობრივად, დავიღუპები, ჩემი გადადგომა არაფერში გამოგადგებაო. მეორე დღეს მას ჰქონდა სხვა შეხვედრებიც და უთხრეს, თუ გადარჩები, ჩვენთან ერთად გადარჩები, ამიტომ ერთად უნდა გავაგრძელოთ ბრძოლაო. მე ვფიქრობ, დღეს ნინო გვენეტაძე სასამართლო სისტემისთვის უკვე დიდი სირცხვილია, სკამს ებღაუჭება და სისტემის განვითარების რესურსი აღარ გააჩნია.**

**— როდესაც გთხოვათ, ბრძოლა აღარ გააგრძელოთო, რა უპასუხეთ, რამე პირობა მიეცით?**

– არავითარი პირობა არ მიმიცია, პირიქით, პირდაპირ ვუთხარი, მე დიდ პატივს გცემთ, მაგრამ, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, უუნარო ხართ, რაც ტესტებთან და კაზუსებთან დაკავშირებით მოხდა, ამაზე არ გავჩუმდები-მეთქი. სწორედ ამან გადააწყვეტინა, რომ დალაპარაკებოდა „ტროიკას“ და მიეღო გარანტიები.

**— ამიხსენით, რაში სჭირდებოდა ნინო გვენეტაძეს გაყალბება? ვგულისხმობ ტესტებს, რომელიც წინასწარ გაიცა ვილაცებზე.**

– მარტივად გეტყვით: მაგალითად, იუსტიციის საბჭოს წევრმა, ევა გოცირიძემ განაცხადა, შიდა სამზარეულო, ხმის მიცემა და ტესტები ფარული არ არის, ეს მხოლოდ საზოგადოებისთვის გახლავთ დაფარულიო. არადა, პირიქით, საბჭოს წევრებზე ვინმემ რომ გავლენა არ მოახდინოს, კანონით სწორედ მათთვისაა ფარული.

**ფაქტობრივად, შიგნით მიდის ასეთი გადანაწილება ჯგუფებს შორის: მაგალითად, 7 მოსამართლე ჩემი უნდა იყოს, 5 თქვენ დანიშნეთ, 3 იმას დავუნიშნოთ, 6 — იმას და ასე შემდეგ. გვენეტაძესაც მისცეს თავისი კვოტა, დასთანხმდა, მაგრამ საკუთარი გარემოცვაც კი არ ჰყავს, რომ იქიდან ვინმე თავისიანი დანიშნოს. მას უთხრეს, მოიყვანე ხალხი სამეცნიერო წრეებიდან, ნაცნობ-მეგობრებიდან, გაიკითხე, გამოიკითხე, სანამ ვილაცები მოსამართლეობას ისწავლიან, დრო გავა, დავნიშნოთ ისინი, სისტემა მოვაწესრიგოთო. როგორც უკვე გითხარით, ამაზე დასთანხმდა და გაება კიდეც მახეში.**

**— თქვენი აზრით, რას ნიშნავდა ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ მურუსიძე სისტემის მსხვერპლია და არა დამნაშავე? საერთოდ, მთელ ამ ორომტრიალში სადმე ივანიშვილის ხელი იკვეთება?**

– არ ვიცი, მე ყურმოკრულ ჭორებზე ვერ ვისაუბრებ. მე ერთი რამე ვიცი, ყველაზე რთულ პერიოდში ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, თუ უამრავი გამამართლებელი და პრინციპული გადაწყვეტილების მიღება მოხერხდა, ადრე რატომ არ აკეთებდნენ ამას ეს ადამიანები? ხელისუფლებას ყოველთვის ჰქონდა სურვილი, გავლენა მოეპოვებინა სასამართლოზე, აქვს და ექნება კიდეც. ეს ყველა ხელისუფლების სურვილია, ბუნებრივი ლტოლვაა, მაგრამ სასამართლო უნდა იდგეს თავის სიმაღლეზე. 2012 წლის შემდეგ სასამართლოს ნამდვილად შეუძლია, რომ იყოს დამოუკიდებელი, მიიღოს

### ცენტრალი

პრინციპული გადაწყვეტილებები და განვითარდეს, მაგრამ

**სწორედ ამ დროს ჩაიგდო ხელში „ტროიკამ“ მთელი სისტემა. კი, ბატონო, შეიწირონ ჩემი თანამდებობა, თუ უნდათ, მოსამართლის თანამდებობასაც დავტოვებ, მაგრამ ეს ყველაფერი დაუმთავრდებათ კრახით. მე რომ ცუდი წარსული მქონოდა, 2012 წელს ვერ გავბედავდი საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეობას.**

ის ადამიანები, რომლებიც დღეს წინაურდებიან, იმ დროს საქალაქოში მუშაობდნენ და გაიქცნენ. სად წავიდნენ, რატომ გარბოდნენ? ყველა კოლეგიის თავმჯდომარემ რატომ შეაფარა თავი რაიონებს და ახლა რატომ ბრუნდებიან უკან, რა მოხდა, რა შეიცვალა? ან მაშინ რისი შეეშინდათ? მაგალითად, მიხეილ ჩინჩალაძე ორი კვირის განმავლობაში რჩებოდა უზენაესი სასამართლოს შენობაში, თავის კაბინეტში იყო ჩაკეტილი, სახლში რომ მივიდე, მეშინია, შვილების თვალწინ არ დამაპატიმრონო. ვალერი ცერცვაძე ორი თვე იყო ამერიკაში გაქცეული, თბილისში დამიჭერენო. მაინტერესებს, დღეს რა შეიცვალა, რომ ეს ხალხი ისევ ბედნიერად გრძნობს თავს?

**— ჰოდა, რა მოხდა, ვინ და რატომ მოაბრუნა ეს ხალხი?**

– არ ვიცი, მე ვხედავ, რომ ისინი ისევ ბედნიერები არიან. სხვათა შორის, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, ხელისუფლების მხრიდან არის ნეიტრალური პოზიცია, ამ პროცესებში არავინ არ ჩარეულა, მე მსგავსი არაფერი მიგრძვნია, მაგრამ შეიძლება ზოგჯერ ჩაურევლობაც აფუჭებს საქმეს. როდესაც ხელისუფლება ხედავს, რომ მოვლენები არასწორად მიდის, რაღაც უნდა იღონოს. იმის თქმა, სასამართლო დამოუკიდებელია და არავინ უნდა ჩაერიოსო, ცოტა მცდარია, დამოუკიდებელია გადაწყვეტილებების მხრივ, იქ არ უნდა იყოს გავლენა, თორემ სისტემურ მოწყობაში როგორ არ უნდა ჩაერიოს? როცა სისტემა ჩაკეტილია და თვითნებობს, მთავრობამ უნდა მიხედოს.

## „კაცო, უკანალის მიცემა თუ გინდათ, გიშლით ვინმე?“



არქიმანდრიტი ანთიმოზი (თამაზ ბიჩინაშვილი) „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე სკანდალურ პოსტს აქვეყნებს:

– ელგებეტეს!

კაცო, უკანალის მიცემა თუ გინდათ, გიშლით ვინმე? მაგრამ რა გაყვირებთ, უკანალს ვაძლევო, – წერს არქიმანდრიტი სოციალურ ქსელში. (daijesti.pia.ge)

## წულუკიანი ბობოხიძეს — შენ დაგენაცვლა ამბის მომტანი, კაკო



საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ აკაკი ბობოხიძეს პასუხობს. ბობოხიძის მიერ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გაკეთებულ განცხადებას, რომ დიდ ჯიხაიშში, საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობაზე დასაქმებულ მუშებს ხელფასები არ მიუღიათ, წულუკიანი სოციალურ ქსელში ეხმაურება:

– „მშენებლობა დასრულდა“ – გარედან რომ შეხედა ნაციონალის გამჭრიახე თვალმა, შენ დაგენაცვლა ამბის მომტანი, კაკო. ობიექტი კი არ დასრულებულა. რასაც მე ვეძახი დასრულებას, თვარა აბა თქვენ რასაც ეძახით დასრულებას, კი ვიცი – დღესაც ვასწორებ შენი რჩეული, შენი ნაფერები და ქვეყნიდან თავქუდმოგლეჯით გაქცეული იუსტიციის მინისტრის ნაშენებ-ნაფერებ-ნარუდუნებ თბილისის იუსტიციის სახლის გაგრილება-კონდიცირება-სახურავ-სანიაღვრე-პარკინგებს.

ისე, ჩემებმა შანიძეებში იციან და მეც გამოვიყენებ ამ გამოთქმას – ნეტაი, იმის ტურა მქნა და გამაგებინა, შენი ნაფერები და კიევში გაქცეული რომ თბილისის იუსტიციის სახლს აშენებდა და მუშები სახურავიდან ცვიოდნენ (ხელფასს ვინ დაეძებდა), მაშინ რამე თქვი, კაკო? არა?! ხოხ, შეგირცხვა ცხვირ-პირი, კაკო!

ჰოდა, რაკი ობიექტი ჯერ არ ჩაბარებულა და შესაბამისად, არ დასრულებულა, სერვისების განვითარების სააგენტო (ეს რომელია, იცი, აი, ვაშაძე რომ იყო უფროსი, ის) ვერ გადაუხდის სამშენებლო კომპანიას დარჩენილ თანხას. მიღება-ჩაბარება ხომ იცი, აი, ის უნდა გაფორმდეს.

როდის გაფორმდება? როცა დავინახავ, რომ დასრულდა. მე რასაც დასრულებას ვეძახი, თვარა, შენი ჭირიმე, წვიმა რომ სახურავიდან მილში კი არ მიდის, კედელზე ჩამოდის და ჩამოწანწკარდება და შტეფსელიდან კომპიუტერს რომ გამორთავს და შტეფსელიც კედლიდან გამოდის და სახლში მოგყვება, ეს დასრულება არ არის, კაკო, – წერს იუსტიციის მინისტრი სოციალურ ქსელში თავის გვერდზე. (ინტერპრესნიუსი)

# დავით ზურაბიშვილი: ლევან ვასაძე ლიბერალიზმს ფეხებსაც ვერ მოსჭამს



– ჩვენმა ხალხმა კომუნიზმი და ფაშიზმი დაამარცხა და ლიბერალიზმსაც დაამარცხებს, – ლევან ვასაძის მიერ განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის სხდომაზე ნათქვამ ამ ფრაზას „რესპუბლიკელი“ დავით ზურაბიშვილი სოციალურ ქსელში გამოეხმაურა.

განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის სხდომაზე საგან „მე და საზოგადოების“ განხილვა მიმდინარეობდა, რომლის დროსაც ახალი დისციპლინის მოწინააღმდეგეებში სიტყვა „გენდერის“ ხსენებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და მათმა ნაწილმა განაცხადა, რომ „გენდერი“ და „მამათმავლობა“ ერთსა და იმავეს ნიშნავს.

– ადამიანს, რომელიც ლიბერალიზმის დამარცხებას აპირებს და ისეთი სიტყვები, როგორიცაა „ტოლერანტობა“, „შემწყნარებლობა“ და „გენდერი“ ესმის, როგორც „გაპიდარასტება“, იმის ახსნა კი არ უნდა დაუწყო, რომ ეს ასე არ არის, არამედ ძალიან დამაჯერებლად უნდა განუმარტო, რომ არც ტოლერანტობა ასცდება, არც შემწყნარებლობა, არც გენდერი და ლიბერალიზმს კიდევ ფეხებსაც ვერ მოსჭამს, – წერს დავით ზურაბიშვილი. (sazogadoeba.ge)

# „თუ აღმოჩნდება, რომ საჭირო აღარ ვარ, საქმიანობას პროფესიით განვაგრძობ“



პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე მანანა კობახიძის განცხადებით, კონკრეტულ შემთხვევაში თუ ის საჭირო აღარ იქნება, საქმიანობას საკუთარი პროფესიით გააგრძელებს.

„20/30“-ის პირდაპირ ეთერში მანანა კობახიძემ აღნიშნა, რომ პარლამენტში ყოფნა, მისთვის იდეაფიქსი არ არის.

– კონკრეტულ დროს, როცა გუნდში საჭირო გავხდი, სხვებთან ერთად, რისკის ფასად საერთო საქმეში მცირედი წვლილი შევიტანე. თუ ისევ საჭირო აღმოვჩნდები, საქმის საკეთებლად მთელ ჩემს რესურსს ისევ გამოვიყენებ. ხოლო თუ აღმოჩნდება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო აღარ ვარ, საქმიანობას პროფესიით განვაგრძობ. ამ მხრივ, პრობლემას ვერ ვხედავ, რადგან ჩემთვის პარლამენტში ყოფნა იდეაფიქსი არ არის, – განაცხადა მანანა კობახიძემ. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „სულ მცირე, ოთხი-ხუთი მინისტრი ვაცხადებ „ქართული ოცნებიდან“ მიღებული

## „ქართული პოლიტიკა ჭაობად იქცა, 25 წელია, არ კანონებზე იმუშაონ, ხალხს ცხოვრება შეუმსუბუქონ, ჩვენ

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



რას ფიქრობენ არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაზე მანდატების გადანაწილების პროცესში, რა ინფორმაციას ფლობენ კოალიციაში მიმდინარე პროცესებზე, არის თუ არა ლეგიტიმური ამ სახის კოალიცია, რომელიც 2012 წელს ფორსმაჟორში შეიქმნა და არც ერთი მათგანისთვის რეალურად ხმა ხალხს არ მიუცია. კოალიციის მანდატი ერთპიროვნულად ეკუთვნის ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ხალხმა მიხეილ სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ საღეობაზე, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფება. რასთან გვაქვს საქმე?

– რაც ხდება, ამას დავარქმევდი გამოცხადებული უუნარობის, თვალთმაქცობისა და საზოგადოების შეცდომაში შეტყუების ქრონიკას. ის, რომ სახელმწიფო თავის ადგილას არ დგას ფაქტია და პოლიტიკური იწილობიწილობით ცდილობს, თავისივე შეთითხნილი და ხელოვნურად შეკოწიწებული პოლიტიკური გაერთიანება გადაარჩინოს და სხვა ძირითად მიმართულებებს ივიწყებს, როგორიც არის სახელმწიფო ინტერესები, ტერიტორიული მთლიანობის აღდნებაში“ ხომ მოკალათებული არიან პიროვნებები და პოლიტიკური ძალა, რომლებიც ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე უშვებდნენ იმას, რომ რა მოხდა, იყოს საქართველო დამოუკიდებელი და აფხაზეთიც იყოს დამოუკიდებელი და როგორც დამოუკიდებელმა ქვეყნებმა, ხელი მოაწერონ ურთიერთობასო. და მეორე, მაშინ, როცა ქვეყნის უმრავლესობა ვალებში იხრჩობა, არ დასტაბილურდა ლარი, ხალხი შიმშილობს, ხალხს კატასტროფულად უჭირს, ფასები ყოველდღიურად იზრდება და ამ დროს, რა ხდება ყველა საერთო არ აქვთ. ამ ყველაფრის დასტურია ის, რაც ჩვენ თვალწინ ხდება.

**— ზოგადად, საქმე გვაქვს პოლიტიკაში „პარანორმალურ“ მოვლენებთან, ეს არის პრეცედენტი, როცა მმართველი გუნდის წევრი თავდაცვის მინისტრს ადანაშაულებს არჩევნების გაყალბებაში და პროკურატურა თავდაცვის მინისტრის საქმეს სწავლობს, ჩაიდინა თუ არა ხიდაშელმა სისხლის სამართლის დანაშაული და გააყალბა თუ არა არჩევნები? თუმცა ხიდაშელმა პროკურატურაში რუსეთის აგენტურა დაინახა, რადგან მას მიაჩნია, რომ ნატო — ეს თინაა და ევროპის ხმა — საქართველოში ხიდაშელია. ხიდაშელი**

### ანონსი

მოხსენიებას, მაგათზეა ნათქვამი, კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო... მიედ-მოედებიან, თითქოს თვითონ არიან დასავლეთის შუქურა, ნეტავ, რომელ ქმედებაში გამოიხატება ეს, როცა ჩვენკენ იშვერენ ხელს, დაავიწყდათ, რომ რუსეთში გამდიდრებულმა მილიარდერმა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა შეიფარა თავის ქოლგის ქვეშ ყველანი და პირველსავე დღეებში ორი მილიონი ლარი რომ დაურიგა, მათ შორის, „რესპუბლიკელებს“, ის რა, რუსული



**„ქვეყნის უმრავლესობა ვალებში იხრჩობა, არ დასტაბილურდა ლარი, ხალხი შიმშილობს, ხალხს კატასტროფულად უჭირს, ფასები ყოველდღიურად იზრდება და ამ დროს, რა ხდება ყველა აღმასრულებელ სტრუქტურაში, გრძელდება ხელფასების, დანამატებისა და პრემიების დარიგება, ამათი საქმე იცით, როგორ არის?..“**



**პირწონედ აირჩია. კოალიცია ლეგიტიმურია მაშინ, როდესაც პოლიტიკური სუბიექტები დამოუკიდებლად გადიან არჩევნებზე და ბარიერის გადალახვის შემდეგ ხდება კოალიციურ რეჟიმში თანამშრომლობა. მხოლოდ ასეთი კოალიცია შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანად...**

**„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტიკური მდივანი გიგლა ბარამიძე „ალიას“ კითხვებს პასუხობს...**

**— რას დაარქმევდით კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებს, რომელიც ლამისაა ერთმანეთის თავ-პირის მტვრევაში გადაიზარდოს, ცემა-ტყეპამდე მათ ძალიან ცოტა აშორებთ, არ ფიქრობენ მოსახ-**

გენა, ეკონომიკის გაჯანსაღება... ამის ორი ნათელი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. ნომერ პირველი ამოცანა ტერიტორიებდაკარგული ქვეყნისთვის არის ტერიტორიების დაბრუნება და ტერიტორიების დასაცავად დაღუპული ახალგაზრდები, როდესაც 5 მარტს სამების ტაძარში იყვნენ დასვენებულნი, კაციშვილი იქ არ მისულა და მოსახლეობას უმალავდნენ... არ მოუწოდებენ, მოდით, და დავიტიროთ ერთად ჩვენი გმირებიო, ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ნომერ პირველ საფიქრალად ამ ხელისუფლებას ეს საკითხი არ აქვს. ან რა გასაკვირია, „ქართულ ოცაღმასრულებელ სტრუქტურაში, გრძელდება ხელფასების, დანამატებისა და პრემიების დარიგება, ამათი საქმე იცით, როგორ არის? მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ და მგელი ამბობდა, გამიშვით, ცხვარი დამრჩა შესაჭმელიო... და ის, რომ პოლიტიკური სივრცე ამოავსო ამ ორმა „ვარსკვლავმა“, ბატონი თოფაძისა და ქალბატონი მთავარსარდლის ფარიკაობამ, გაუგებარმა შეხლა-შემოხლებმა, ეს ხომ საერთოდ, დამადასტურებელია იმისა, რომ ეს არის ამორფული გაერთიანება, რომელთაც არა მხოლოდ ეზიზღებათ ერთმანეთი, ერთმანეთთან არაფერი

**შანსს არ უშვებს ხელიდან, რომ თქვენი პარტიის დისკრედიტირება არ მოახდინოს. გახსოვთ, რამდენიმე თვის წინ ნატო გააფრთხილა, რომ, თუკი ვარშავის სამიტზე ნატოში არ მიგვიღებენ, მაშინ პარლამენტს რუსული ძალები დაეპატრონებიანო...**

– ვიდრე ამ კითხვებზე გიპასუხებდეთ, გეტყვით, რომ კოალიცია არჩევნებამდე არ დაიშლება, სულ ცემა-ცემით რომ გამოყარო პარლამენტიდან, ისინი პარლამენტიდან თავისი ნებით წამსვლელები არ არიან, მეტი არაა ჩემი მტერი, „რესპუბლიკელებიდან“ დაწყებული, რომელიმე პარტიამ საარჩევნო ბარიერი გადალახოს. რაც შეეხება ჩვენი პარტიის ყველა ბრუნვაში ფული არ იყო?!. თუ რუსული ფულით უფრო ტკბილია ევროპაში შესვლა?!. ამიტომ მათ ურჩევნიათ, ენას კბილი დააჭირონ.

**— როგორ ფიქრობთ, იქნება პოლიტიკური ცვლილებები?**

– ჩვენ ვაანონსებდით და ახლაც ვამბობთ, რომ პოლიტიკური ცვლილებები იქნებოდა, ირაკლი ღარიბაშვილი აუცილებლად გადადგებოდა და შეიცვლებოდა მინისტრთა კაბინეტი, ასევე, ვამბობდით, რომ ცვლილებები შეეხებოდა მერიას და ახლაც ვამბობ, აუცილებლად იქნება სამთავრობო ცვლილებები, რომელიც შეეხება მინისტრებს, დეპარტამენტებსა და თბილისის ამ უმოქმედო სა-

### ხალხის აზრი

**„რესპუბლიკურმა პარტიამ საერთოდ სახელი უნდა გამოიცვალოს და „წურბელების პარტია“ დაირქვას“**

**ჯემალი, 65 წლის, პენსიონერი, მეცნიერი თანამშრომელი:**

– ქრისტიანულ საქართველოში რესპუბლიკელების ადგილი არ უნდა იყოს არც მთავრობაში და არც პარლამენტში. „რესპუბლიკურმა პარტიამ“ საერთოდ სახელი უნდა გამოიცვალოს და „წურბელების პარტია“ დაირქვას... ასე უფრო ახლოს იქნებიან ჭეშმარიტებასთან.

30 წელი ჩრდილში იყვნენ და დამოუკიდებლად ვერაფერს მიაღწიეს. ერთხელ გამოვიდნენ პოლიტიკურ ოლიმპზე და პოლიტიკურმა სიცხემ ისე დააჭირათ, რომ მედუზებივით დნებიან. ჰოდა, ასე თუ გააგრძელებენ, დაბრუნდებიან ისევ ჩრდილში კიდევ 30 წლით. ასე რომ, თუ უნდათ კიდევ გაათრიოს ივანიშვილმა პარლამენტში, მაშინ ჭკვიანად დაეტიონ და ნუ მოაქვთ თავი კიტრებად. რა უნდოდა თავდაცვის მინისტრს, რომ დარბოდა საარჩევნო უბნებზე. დემოკრატიის მამებს ეს უნდა ეშლებოდეთ? რომელი ნორმალური ქვეყნის თავდაცვის მინისტრი გამხდარა ასე მეწვრილმანე, რომ თავისი მოგვარისა და თანამზრახველის პარლამენტში შესაყვანად ყველაფერი გაეკეთებინა?!

*მაკა დეკანოსიძე*

### ხალხის აზრი

**„მე მგონი, ქართველები ზედმეტად პრიმიტიული ხალხი ვართ“**

**დავითი, 32 წლის, პიარმენეჯერი:**

– „პარტიები და კოალიციები იქმნება არამხოლოდ იდეებისა და ხედვების ერთიანობის ნიადაგზე, არამედ ურთიერთგატანის ნიადაგზეც. ნუ მოგვთხოვთ იმას, რომ ყველას ისე უყვარდეს ერთმანეთი, რომ პურის გატეხას ვერ ბედავდნენ ერთმანეთის გარეშე“, – ეს განცხადება დავით უსუფაშვილმა ჯერ კიდევ დეკემბერში გააკეთა და როგორც ჩანს, არაერთიანმა ხედვებმა უკვე ერთმანეთის გატანაზეც იქონია საბოლოოდ გავლენა. ძალიან საწყენია, რომ არჩევნებამდე ერთი წლით ადრე ასეთი ღია განხეთქილება ხდება, საზოგადოებაც ვერ აღიქვამს „რესპუბლიკელებს“ და „ოცნებას“ ერთიან მმართველ ძალად და რამე თუ ფუჭდება, ეგრევე „რესპუბლიკელებისკენ“ იშვერენ ხელს, აუჩემებიათ, რომ ბოროტები არიან და ქვეყანა არ უყვართ, რაღაც ლეგენდებს ყვებიან და იჯერებენ თავად პოლიტიკოსებიც „ოცნებაში“ და მერე ხალხში ჭორის დონეზე ავრცელებენ ხმებს, თითქოს „რესპუბლიკელებმა“ დაანგრიეს ქვეყანა. ერთი კითხვა მაქვს: ამ ხალხს როდესმე დამოუკიდებლად უმართავს ქვეყანა? არა, ასე არ ყოფილა. თუ მხოლოდ იმიტომ უნდა ვერჩოდეთ რომ დასავლური კურსი აქვთ და სოროსის ფონდთან თანამშრომლობდნენ?

მე მგონი, ქართველები ზედმეტად პრიმიტიული ხალხი ვართ და დაუმსახურებლად და ზედაპირულად შეგვიძლია დასკვნების გამოტანა და ერთმანეთისთვის შეურაცხყოფის მიყენება, ასე დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ ქვეყანას ვერასდროს ავაშენებთ. თან, თუ ერთად თავმოყრილ ინტელექტუალებს ვხედავთ, ეს გვაშინებს და აუცილებლად ანტიეროვნულობა უნდა მივაწეროთ. რაც, არა მგონია, სამართლიანი იყოს.

*მაკა დეკანოსიძე*

მარცხვინო მერსაც, მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისით ვერ გადაუწყვეტიათ, გაქაჩავს თუ არა ხელმეორედ „ქართული ოცნება" თავის მერის დანიშვნას, მხოლოდ ეს აჩერებს მათ. მე თქვენ გეუბნებით, რომ, სულ მცირე, ოთხი-ხუთი მინისტრი არჩევნებამდე აუცილებლად შეიცვლება. ეს შეიძლება შეეხოს საგანმანათლებლო, სოციალურ და ეკონომიკურ ბლოკს და არ გამოვრიცხავ ცვლილებები განხორციელდეს სამართალდამცავ ბლოკშიც კი. ამას ვაცხადებ კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე, რაც ცინიან, ამავე დროს, „ქართულ ოცნებას" რესპუბლიკელები" სჭირდება იმიტომ, რომ არ დაირღვეს ხმების თანაფარდობა პარლამენტში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ეს ცვლილებები ამ ეტაპზე არ მოხდეს, თუ კიდევ არ დაიძაბა სიტუაცია და თავდაცვის მინისტრობა შეინარჩუნოს ხიდაშელმა. თუმცა გეტყვით, რომ ძალიან სერიოზული საუბრები მიდის, რომ მოხდეს „ქართული ოცნების" რებრენდინგი, აბსოლუტურად დამოუკიდებლად გავიდნენ არჩევნებზე, ყველა პარტიას დაემშვიდობონ, მათ შორის, ანეკდოტი, რასაც ამბობენ. დაგვიანებული, მაგრამ ძალიან საინტერესო იყო პრემიერის განცხადება, საინტერესო იყო თავისთავად აქცენტები, რომელიც მიმართული იყო „რესპუბლიკელების" ადეკვატურ ქმედებებზე, თუმცა შეიძლებოდა კვირიკაშვილი უფრო მკვეთრიც ყოფილიყო, მაგრამ მან დიპლომატიური ენა არ დაარღვია. დაგვიანებული იყო განცხადება იმიტომ, რომ პრემიერ-მინისტრსა და ივანიშვილს ეს განცხადება უფრო ადრე უნდა გაეკეთებინათ. მაგრამ მე ეჭვი მეპარება, პრემიერის განცხადებას აპირებს ხელშეკრულების დადებას „ქართულ ოცნებასთან". უსუფაშვილის ციტირებას მოვახდენ, ის ამბობს: „რესპუბლიკელები" სტრატეგიულ პარტნიორებად რჩებიან „ქართულ ოცნებაშიო". ჯერ ერთი, ეს არის „ქართული ოცნების" სათქმელი და მეორეც, ვის ამადლიან „რესპუბლიკელები" კოალიციაში დარჩენას, ვერ გამიგია. თუ რამე აქვთ, „ქართულ ოცნებაში" ყოფნით მიიღეს. მეორეც, სტრატეგიული პარტნიორობის რა რეჟიმი ჰქონდათ აქამდე, რომ ახალ რეჟიმზე გადადიან, ახლა გვი-

### ანონსი

იმის ნაცვლად, რომ კანონებზე იმუშაონ, ხალხს ცხოვრება შეუმსუბუქონ, ჩვენ ვუყურებთ ძალაუფლებისა და გავლენისთვის ბრძოლას. თავდაცვის მინისტრის ტრაფარეტული განცხადებები და კოხტაპრუწობა კი არ გვინდა, რომელიც ჯარს არჩევნებზე დაარბენინებს და გაყალბებისთვის იყენებს, არ შეიძლება ჯარი იყოს პოლიტიზებული. საქმე აკეთეთ ბატონებო, საქმე!.. შეიძლება ხიდაშელის მძღოლს და მის თანაშემწეს ჰგონია, რომ ის გამორჩეულად ევროპული ღირებულებების

# არჩევნებამდე აუცილებლად შეიცვლება... ამას კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე"

## დაიღალნენ ტყუილების ლაპარაკით, იმის ნაცვლად, რომ ვუყურებთ ძალაუფლებისა და გავლენისთვის ბრძოლას"



**„აუცილებლად იქნება სამთავრობო ცვლილებები, რომელიც შეეხება მინისტრებს, დეპარტამენტებს და თბილისის ამ უმოქმედო სამარცხვინო მერსაც"**




„ქართული ოცნებიდან" მოგვდის.

**— თქვენი ინფორმაციით, თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი შეინარჩუნებს პოსტს?**

– თინა ხიდაშელი ქართულმა მედიამ აქცია უფრო დიდ ფიგურად, ვიდრე რეალურად არის. ამ წუთას ხიდაშელს ცვლილება არ შეეხება და რატომ? იმიტომ კი არა, რომ მისი მოხსნა პრობლემაა, არც იმ ზღაპრების არავის სჯერა, რომ, თუ ხიდაშელს მინისტრობიდან გადააყენებენ, მაშინ გაჩნდება ეჭვი, რომ საქართველომ პროდასავლურ კურსს გადაუხვია. ეს ასე არ იქნება, საქმე ის გახლავთ, რომ, როგორც „რესპუბლიკელებს" სჭირდებათ სასიცოცხლოდ კოალიციაში ყოფნა და აეკიდონ ივანიშვილს, რომელსაც ფარულად დასტ „რესპუბლიკელებს". ერთი დეტალიც – როცა ჩვენ ვამბობდით, რომ ეს არის ეკლექტური კოალიცია, რომლის წევრებსაც საერთო არაფერი აქვთ ერთმანეთთან, მაშინ კოალიციის სუბიექტები გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ გავერთიანდით სააკაშვილის წინააღმდეგ და მის მოსაცილებლად. აღარ არის, ბატონო, „ნაცმოძრაობა" ხელისუფლებაში და მათ ნაცვლად ხართ თქვენ. მართალია, სისხლიანები არა, სამაგიეროდ, უმოქმედოები. ახლა რაღა გიშლით ხელს, ხომ აღარ არიან „ნაციონალები", გამოდით და ცალ-ცალკე იყარეთ კენჭი არჩევნებზე, დაგვიმტკიცეთ, ასეთი მაგრები როგორ ხართ, რომ, თურმე თქვენზეა დამოკიდებული საქართველოს საგარეო ვექტორი. ეს არის სასაცილო, მოჰყვება თუ არა შესაბამისი ქმედება, რადგან „ქართულ ოცნებას" შესაბამისი ნება და რესურსი არ გააჩნია. ამის გარდა, ისე მოიქუფრა ღრუბელი „რესპუბლიკელების" თავზე, რომ ახლა ყველა ბერკეტს აამუშავებენ, რომ პოზიციები შეინარჩუნონ, მივლენ ამერიკის საელჩოში, ცრემლებით დაუსველებენ იქ ფეხებს, არიქა, გვიშველეთ, თორემ თუ „ოცნებას" ჩვენს გარეშე დატოვებთ ხელისუფლებაში, დასავლურ კურსს გადაუხვევენო. ამ მეთოდებით ეცდებიან როგორმე შეკავდნენ ისინი კოალიციაში... და კიდევ ერთი, სასაცილოა, როდესაც ბატონი უსუფაშვილი გამოდის და მორიგ კარგად შეფუთულ ზღაპარს უყვება საქართველოს მოსახლეობას, რომ ახალი სტრატეგიული კუთხით თარგმნონ, მაგრამ ვერ გვითარგმნიან. აქ არის ერთი რამ, „რესპუბლიკელებს" თავში წამოარტყეს და უთხრეს, რომ არ კარგად იქცევიან, თქვენ არ ხართ მადლიერები, ისევ არასამთავრობო ორგანიზაცია გგონიათ თავი, რაც ენაზე მოგადგებოდათ, ყველაფერს რომ ტლიკინებდით, იმავეს აგრძელებთ. ვერ გაითავისეთ, რომ ხართ აღმასრულებელ ხელისუფლებაში და იმუშავეთ. მაგრამ მათ ეს არ უნდათ. ვერ კმაყოფილდებიან და მეტს ითხოვენ. ეს ბრძოლა უკავშირდება კვლავ ხელისუფლებაში მოსვლას, მეტი მანდატით. ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ „რესპუბლიკური პარტია" ივანიშვილის გარეშე არის ნული!.. მათ ამომრჩეველი არ ჰყავთ და 2%-საც კი ვერ აიღებენ. ერთია, რა უნდა „რესპუბლიკურ პარტიას" და მეორეა ის ქვეტექსტი, რაც პრემიერის განცხადებაში იკითხებოდა. მან თქვა, რომ კოალიციაში არიან სხვა სუბიექტებიც და შეთანხმება, ალბათ, არჩევნებამდე მოხდება. თუ კოალიცია არჩევნებამდე არ დაიშლება, არჩევნებამდე „რესპუბლიკური პარტიის" წინადადებას სხვა სუბიექტებთანაც შევათანხმებთო. ახლა „რესპუბლიკელები" ატეხენ განგაშს, ვაშინგტონში ფეხით ჩავლენ, როგორმე შეინარჩუნონ კოალიციურ ფორმატში ყოფნა. ქართული პოლიტიკა ჭაობად იქცა, 25 წელია, არ დაიღალნენ ტყუილების ლაპარაკით,

მატარებელია, მაგრამ უმრავლესობა ასე არ ფიქრობს, რადგან ევროპული ფასეულობების მატარებელი ადამიანი იმ ქმედებებს არ განახორციელებდა, რაც მან საგარეჯოში იკადრა და ევროპული ფასეულობების მატარებელი პოლიტიკოსი რუსეთში ჩამოყალიბებულ მილიარდერს არ აეკიდებოდა ტომარასავით. ვის ატყუებენ ესენი? თავის დროზე „ნაციონალებიც" აგინებდნენ მკვდარსა და ცოცხალს რუსებს, რეალურად რუსეთის მეფისნაცვალი ვერ მიაყენებდა იმდენ ზიანს საქართველოს და ვერ მოუტანდა სიკეთეს რუსეთს, რაც მათ საქართველოს გაუკეთეს. დაახლოებით ასე იქცევიან ესენიც.

**— მას შემდეგ, რაც დაპირისპირება გამწვავდა „მრეწველებსა" და „რესპუბლიკელებს" შორის, კულუარებში აქტიურად დაიწყო საუბარი, რომ იმ შემთხვევაში, თუკი თოფაძე კოალიციას დატოვებს, „მრეწველები", „გაერთიანებული დემოკრატები" და „პატრიოტთა ალიანსი", სავარაუდოდ, ერთ საარჩევნო ბლოკში გაერთიანდებიან. რამდენად რეალურია?**

– არ ვადასტურებ ამ ინფორმაციას, არაფერი გვჭირს საიმისო, ვინმეს ავეკიდოთ, როგორც „ქართულ ოცნებაში" შემავალი პარტიები აეკიდნენ ერთ კაცს, ახლა კი ერთმანეთს ჭამენ, რათა შეინარჩუნონ თავიანთი ადგილი. თუმცა პოლიტიკაში გამორიცხული არაფერია, ნათქვამია – არასოდეს თქვა არასოდეს...

### „ამათგან კარგს რას უნდა ელოდე?!"

**აკაკი, 59 წლის, ტაქსის მძღოლი:**

– არც „რესპუბლიკელები" უქნია ღმერთს და არც „ოცნება", საქართველოსთვის სიკეთე არავის უნდა. „რესპუბლიკელები", ვფიქრობ, ფარული გამზიარებლები არიან „ნაციონალების" იდეების. ანტიქართული განწყობისა და მენტალიტეტის არიან. ფაქტობრივად, თავიანთი განცხადებებით აღიარეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა. რაც შეეხება „ქართულ ოცნებას", ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჯერ კიდევ ვერ გაუაზრებიათ ბოლომდე ქვეყნის სათავეში ყოფნა, არ ჰგვანან სახელმწიფო მოხელეებს, თავმოუბმელები და გამოუცდელები არიან,

### ხალხის აზრი

ან ამათგან რას უნდა ელოდე კარგს?! ამათ შედარებაზე ერთი ამბავი გამახსენდა, გურულ კაცს ეკითხებიან, „მენშევიკებსა" და „ბოლშევიკებს" შორის რა განსხვავებააო? გურული ამ დროს ურმით მიდის და ფუნას გადაუვლის ბორბლით, ერთ მხარეს დიდი ნაწილი დარჩება, მეორე მხარეს შედარებით მცირე და კითხვის ავტორს ეუბნება: აი, პასუხი შენს კითხვაზე, შეხედე ამ გაყოფილ ფუნას, უბრალოდ, სხვადასხვა ზომისები არიან, თორემ ორივე ერთიაო.

ასეა ამ შემთხვევაშიც, ერთ მხარეს არიან გაქნილი ჭკვიანები, მაგრამ ბოროტები, მეორე მხარეს დაბნეული უბოროტოები, მაგრამ დებილები, საბოლოოდ კი ხალხისთვის არავინაა.

*მაკა დეკანოსიძე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნათესავის მიერ დამწყვდეული 88 წლის ქალი — სასტიკი მოპყრობის ფაქტი ლაგოდეხში



„კურიერის" ინფორმაციით, ბოლო 3 წელია 88 წლის ქალი ნათესავმა ერთ ოთახში გამოკეტა. როგორც ლიდა რეჟენკოვა ტელეკამერის წინ ყვება, ის საკუთარი საცხოვრებლიდან ვერსად გადის, რადგან ოთახში ჩაკეტეს.

გისოსებიანი ოთახი კი მხოლოდ რამდენიმე დღეში ერთხელ იღება, როდესაც ქალთან საკვები მიაქვთ.

თავისუფლების ასეთი აღკვეთისა და სასტიკი მოპყრობის მიზეზი შესაძლოა, სწორედ ის სახლი იყოს, სადაც ქალი ცხოვრობს.

ლაგოდეხში 3 წლის განმავლობაში არც ერთი სახელმწიფო უწყება არ დაინტერესდა გაუჩინარებული ქალის ბედით. (ნიუპოსტი)

## მეგონა, რომ ნაცები ქოცებზე მეტად პროგრესულები იყვნენ — ნანუკა ჟორჟოლიანი



პარლამენტის მიერ მარიხუანის დეკრიმინალიზაციის კანონპროექტის ჩაგდების საკითხს ტელეწამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი „ფეისბუკზე" ეხმიანება:

– დავიწყებ იმით, რომ მე მარიხუანას არ ვეწევი. იმიტომ კი არა, რომ არ მომიწევია. უბრალოდ, არ მომწონს, მაგრამ მე მასე თევზსაც არ ვჭამ და ეგ არ ნიშნავს, რომ ცუდია.

ამხელა შესავალი რატომ გავაკეთე. ამ თემაზე სულ ვაქტიურობ და არა ჩემი თავისთვის. ანუ მარიხუანის დეკრიმინალიზაციით მე ხეირს ვერ მივიღებ (მარტივად რომ ვთქვა), მაგრამ ბალახის გამო ადამიანებს ციხეში რომ არ უნდა სვამდნენ და არ უნდა აჯარიმებდნენ, ზუსტად ვიცი!

კანონს ქოცების ხმები რომ დააკლდა, გასაგებია, მაგრამ ნაცებისგან გამიკვირდა. მეგონა, ისინიც ფიქრობდნენ არათავის თავზე.

კიდევ მეგონა, რომ არაპოპულისტური ნაბიჯების გადადგმის აღარ ეშინოდათ.

კიდევ მეგონა, რომ ქოცებზე მეტად პროგრესულები, ქოცურად რომ ვთქვა „პრადვინუტები" იყვნენ.

მაგრამ მე რომ მეგონა, ერბო ქონია, ერბო ერბოა და ქონი ქონია, თურმე.

**P.S.** ახლა გავიგე, რომ გირჩის 4 წევრიდან 1 არ მისულა საერთოდ კენჭისყრაზე... რა უცნაური ქვეყანა ვართ, – წერს ნანუკა ჟორჟოლიანი. (ნიუპოსტი)

## კვირის მედია-ქრონიკა



**დიმიტრი ლორთქიფანიძე**, უფლებადამცველი: აგრესიული გენდერიზაციის გზას დაადგა ჩვენი ხელისუფლება სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, რომელთა ანგარიშებზეც ათასობით ლარი შემოდის უცხო ქვეყნებიდან. ის, რაც ამ საკითხის ირგვლივ ხდება ქვეყანაში, არის ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა“.



**თორნიკე შარაშენიძე**, ექსპერტი: სამწუხაროდ, ამ ხელისუფლებას არ აქვს პოლიტიკური ნება, რომ ნორმალური სასამართლო სისტემა შექმნას. სასამართლო რომ უნდა იყოს თავისუფალი, ამას ადრეც ვერ ხვდებოდნენ და ახლაც ვერ ხვდებიან. ჩვენ ვნახეთ, როგორ მიუტრიალდა წინა ხელისუფლებას ცუდი სასამართლო და, ასევე, ცუდად შეიძლება მიუტრიალდეს დღევანდელ ხელისუფლებასაც“.



**სერგო ჯავახიძე**, ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე: საქართველოში არსებული დოლარისა და ლარის მასის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დღეს რეალური კურსი უნდა იყოს 2,25, მეტი არა. ეს არის ბუნებრივი გაცვლითი კურსი“.



**ჯანსუღ ჩარკვიანი**, პოეტი: ჩვენ რომ პატრიარქი არ გვყავდეს, ალბათ, ჩვენზე უბედური ხალხი არ იქნებოდა ქვეყანაზე. დღემდე გვეუბნება, რომ გვიყვარდეს ღმერთი, ადამიანი, შევეშვათ უბედურებას“.

*ლაურა აბრამია*
*591 97-67-09*



**3 მარტს, დილას, ისნის ტერიტორიაზე არსებული მეორადი ავტონაწილების ბაზრობაზე მოვაჭრეებს ჯიხურები დალუქული დახვდათ. იქ მომუშავეები ყვებიან, რომ გვიან ღამით ბაზრობის ადმინისტრაციამ ათეულობით ჯიხურის კარი დაადუღა და ლუქი დაადო, მიზეზი ქირის გადაუხდელობაა. მეორე დილას მოვაჭრეებმა ბაზრობასთან აქცია გამართეს, აქციის მონაწილეები ტერიტორიის მეპატრონეებისგან გადასახადის შემცირებას ითხოვდნენ. ისინი აცხადებენ, რომ ორი თვის წინ დაიწყო ეს ამბავი, იმის გამო რომ ყოველთვიური გადასახადი 200 აშშ დოლარის ეკვივალენტია ლარებში და მათ ძალიან გაუჭირდათ ამხელა თანხის გადახდა, რადგან ვაჭრობა აქ დიდი ხანია, თითქმის გაჩერებულია, მათ მოსთხოვეს მეპატრონეებს შეღავათი, მაგრამ ამაზე უარი მიიღეს. მოხდა ისე, რომ ორი თვე ქირას არ იხდიდნენ, მეპატრონეებმა ამ ურჩი გადამხდელების დასჯა გადაწყვიტეს და ღამით ჯიხურების კარები ე.წ. სვარკით დაუდუღეს, აქციის მონაწილეებმა 3 მარტს ხელმოწერები მოაგროვეს და ისნის რაიონის გამგეობაში გაგზავნეს წარმომადგენლები, იმის გამო, რომ დედის დღე იყო და ისვენებდნენ, იქ არავინ დახვდათ.**

**შუახნის მამაკაცი შალვა ბ. თავად გამომელაპარაკა:**

– რა უნდა იყოს, გენაცვალე, ვდგავართ აგერ, ველოდებით, არ ვიცით, რას, მუშაობა ისედაც არ არის, ოჯახებს ძლივს ვარჩენთ და ამათი ჯიბეებისთვის ვიმუშაოთ? დღე ისე გავა, თითო-ოროლა კაცი თუ შემოვა კლიენტი, ნახეთ, იკითხეთ.

— **გამგეობიდან თუ იყო ვინმე?**

– კაციშვილი არ ყოფილა, არც დაინტერესებულან, აქვეა ისნის გამგეობა, იქნებ ვხოცავთ აქ ერთმანეთს, არ უნდა დაინტერესებულიყვნენ?

# ისნის მეორადი ავტონაწილების

### მოვაჭრე: „ლარის კურსი რომ გაიქცა, ვისი ბრალია? ეს მთავრობა არ გვპირდებოდა

### მეპატრონე: „ეს ბიზნესია და თუ მოგება არ მექნება, რა აზრი





**„იცით, რას გეტყვით, მთავრობიდან ვინმე მოვიდა? ჩვენ ვინც გამოგვიცხადებს მხარდაჭერას, იმას გავყვებით, სულ არ მაინტერესებს, „ნაციონალებიდან“ იქნება თუ მარსიდან“**

ეს სიტუაცია სულ არ გვეხალისება, სხვა გზა რომ არ დაგვიტოვეს? დოლარის ეკვივალენტიო, რატომ? ხომ ხედავთ, ყოველდღე როგორ გარბის ლარი, სადღა ან როგორ დავეწიოთ? სახლში რა წავიღოთ? ა, ბატონო, ამათ მილიონები აქვთ შემოსავალი და მაინც კისერში გვიჭერენ, ჩვენ თავის დროზე 1500 დოლარი გადავიხადეთ ამ ადგილებში, საქმეც კარგად მიდიოდა, გადასახადიც მისაღები იყო, მერე გაგვიზარდეს, 250 დოლარი გახადეს, ერთი წლის წინათ გავაპროტესტეთ და დიდი ბრძოლის შემდეგ 200 დოლარამდე ჩამოვიდნენ, ახლა ლარი რომ კიდევ გაუფასურდა, გაგვიჭირდა ძალიან გადახდა, ოჯახში არაფერი წავიღოთ? ის რამდენიმე ეკიპაჟი... შეკრებილებს რამდენიმეკაციანი ჯგუფი გამოეყო და ბაზრობის ადმინისტრაციას მიაშურა მოსალაპარაკებლად, მაგრამ მოლაპარაკებასაც არ უჩანდა დასასრული და მათ ნელ-ნელა ისევ თავიანთ სამუშაო ადგილებს მიაშურეს, პოლიციამაც დატოვა იქაურობა. თითქმის ორსაათიანი და ხმაურიანი მოლაპარაკების შემდეგ მოვაჭრეთა წარმომადგენლობამ უკომენტაროდ დატოვა ბაზრობის დირექტორის ოთახი. შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. სიტუაციაში გასარკვევად ადმინისტრაციას მივმართე. აი, რას პასუხობს „ალიას“ კითხვებს კომპანია „ტრანსსერვისის“ გენერალური დირექტორი **ბექა მახარაძე:**

– დიახ, ორი თვეა, რაც ეს ამბავია აქ, და რატომღაც არავინ დაინტერესებულა აქამდე, ლარის დევალვაციას უკავშირდება ის, რომ ინდმეწარმეთა, მოვაჭრეთა დიდი ნაწილი გამოვიდა პროტესტის ნიშნად, ეს გასაგებიცაა... აქამდე იყო, მოგეხსენებათ, ტყიბულის მეშახტეთა ამბები და ამას პერმანენტული ხასიათი ექლევა, ჩვენს კომპანიას ყველა ხელშეკრულება აქვს გაფორმებული დოლარში, დოლარის ეკვივალენტი ლარებში აქვთ გადასახდელი, კანონმდებლობით ჩვენ ამის მოთხოვნის უფლება გვაქვს, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ კომპანიას აქვს ვალდებულება როგორც სახელმწიფოს მიიმართ, საბიუჯეტო გადასახადს ვგულისხმობ, ასევე ბანკის მიმართაც დოლარში აქვს ვალდებულება აღებული, აქედან გამომდინარე, ჩვენ ჩვენი კომპანია გაკოტრებისგან რომ დავიცვათ, ყველა ხელშეკრულება დოლარში გვაქვს გაფორმებული... ვიცით, რა მდგომარეობაცაა, ვაჭრობაც არ არის, ცუდ მდგომარეობაში არიან, გვესმის, მაგრამ მეორეა, ახლა ყველა ბიზნესი, მცირე იქნება ის, საშუალო თუ მსხვილი, ორიენტირებულია მოგებაზე, კომპანიამ რომ იარსებოს, რაღაც მოგებაზე უნდა გავიდეს.

— **რას აპირებთ, გამოსავალი სად არის, რამეზე შეთანხმდით?**

– გამოსავალია თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ ჩვენ შევთავაზეთ მათ სამთვიანი

### პროლოგი

ვადით თანხის დაკლება, იანვარში მათთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა, მოხდა ისე, რომ მათ დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს, ასე ვთქვათ, აიყვანეს იურისტი, წარმომადგენელიც ჰყავთ და მისი მეშვეობით წერილობით მომმართეს, მოხდა ჩვენი მხრიდან მათი თხოვნის განხილვა და ოპოზიციიდან მოვიდნენ მაშინვე, მათთვის არავის დაუძახია, ესენი უფრო გაამწვავებენ სიტუაციას აქ, მაგრამ, თუ ვარგანან, ახლანდელები მოვიდნენ, გვკითხონ, რა გაგვჭირვებია.

სად იყო და სად არა, აქციაზე „ნაციონალი“, პროფესიით იურისტი და ადვოკატი გოგა ონიანი გამოჩნდა. მან აქციის მონაწილეებს მათი უფლებების დაცვაც კი შესთავაზა. აღმოჩნდა, რომ მოვაჭრეთა ნაწილს ჭკუაში დაუჯდა გოგა ონიანის ადვოკატობა, ნაწილს – არა.

დაპირისპირება მეორე დღემდე გაგრძელდა... ადგილზე მისულს ბაზრობის შესასვლელთანვე დამხვდა ხალხმრავლობა, შეხლა-შემოხლა და საპატრულო პოლიციშევთავაზეთ სამი თვით შეღავათის გაწევა, რაზეც არ წამოვიდნენ, მათ გაუჩერდათ ხელშეკრულება, ისინი ორი თვეა, არ იხდიან დაკისრებულ იჯარას. სხვა გზა არ დაგვრჩა და მოხდა ის, რაც მოხდა, დაილუქა ურჩ გადამხდელთა ჯიხურები, თუმცა ისინი კანონს ისევ არღვევენ, ლუქებს თვითნებურად ხსნიან და განაგრძობენ უკანონოდ ვაჭრობას... შევთანხმდით, რომ ორშაბათამდე დამფუძნებლებს შევხვდები და ავუხსნი მათ მოთხოვნებს, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ დავალიანება აქვთ დიდი და კომპანია ამის გამო გაკოტრების პირასაა, არ ვიცი, რომ შევძლოთ ამ ეტაპზე რაიმე დათმობაზე

*გაგრძელება ოცდამეხუთე გვ.*

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. პოეტი ნიკოლოზ ...
2. გულიანი კანფეტი
3. მეჩეთის კოშკი
4. მუშათა მოძრაობიდან: დოლორეს ...
5. კომპოზიტორი პეტრე ...
6. მხარე დას. საქართ.
7. ღრმა ორმო
8. თანამედროვე გიგანტ. ხვლიკი
9. ჩიტების დასაჭერი საცერი
10. გორკი. „... ჩუდრა“
11. ხის ჯიში
12. ქალაქი აღმ. საქართ.
13. ყვავის ბარტყი
14. ვიოლი-ნოს ჯოხი
15. რეჟისორი ... რიჩი
16. მხ/ფ „ქალაქი ...“
17. აფრა
18. სოფელი სოხუმთან
19. იარაღის შესანახი შენობა
20. მარტინ ... კინგი
21. ინდიელების ვარცხნილობა
22. ჭიდან წყლის ამოსაღები
23. ვაზის ჯიში
24. რეჟისორი ... მჭედლიძე
25. პირველი ოთხნიშნა რიცხვი
26. ცხიმოვანი სიმსივნე
27. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი
28. ჩინეთის დიდი ...
29. პოეტი აკაკი ...
30. კომპოზიტორი იან ...
31. ჩვენი პლანეტა
– თუ ჩვენ არ აღგვიდგება გაზის მოწოდება, მხოლოდ განახლებული კონკურენტუნარიანი ფასით, მაშინ წარმოება ვეღარ გააგრძელებს მუშაობას, უბრალოდ საწარმო ვერ შეძლებს ფუნქციონირებას. მიმდინარეობს მოლაპარაკება 6 თვეზე მეტია „სოკართან“. ჩვენ ვცდილობდით, გაგვეთვალისწინებინა მსოფლიო ტენდენცია, რაც დღეს არსებობს გაზთან მიმართებაში. ნავთობისა და გაზის ფასების უპრეცედენტო ვარდნაა და გვინდოდა ეს ტენდენცია შეგვხებოდა, მაგრამ შედეგს ვერ მივაღწიეთ. 1-ელ თებერვალს შეგვიწყდა გაზის მოწოდება, ამის შემდეგ მოლაპარაკებები განსაკუთრებით აქტიურ ფაზაში შევიდა, შევხვდით ენერგეტიკის სამინისტროს, „სოკარს“, მივიღეთ სიტყვიერი დაპირება, თუმცა უშედეგოდ. თუ ჩვენ არ მივიღებთ რეალურ ფასს, რომელიც დღეს საბაზრო რეალობას შეესაბამება, ჩვენი წარმოება მუშაობის გაგრძელებას ვერ შეძლებს და ერთ დღეს თანამშრომლების სახლებში გაშვება მოგვიწევს, – ამბობს ბურდილაძე. (bpn.ge)

## ზაზა ხატიაშვილი: „ჩემი შვილების ასე ხსენებას არავის ვაპატიებ!“

# რატომ დაუპირისპირდა ადვოკატი ზაზა ხატიაშვილს?



ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33

რამდენიმე დღის წინ ადვოკატმა ემზარ პაქსაძემ ბრიფინგი გამართა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი „ნაციონალურ მოძრაობასთან“ თანამშრომლობაში დაადანაშაულა. ამასთანავე, ხატიაშვილის არასრულწლოვანი შვილების სწავლის დაფინანსების საკითხით დაინტერესდა.

აღნიშნულ ბრიფინგს ზაზა ხატიაშვილი მალევე და მკაცრად გამოეხმაურა, – ჩემი არასრულწლოვანი შვილების ხსენებას არასასურველ კონტექსტში არავის ვაპატიებო. გთავაზობთ ამონარიდს ხატიაშვილის განცხადებიდან:

„პატივცემულო ადვოკატებო, ჩემმა ბრძოლამ თქვენი უფლებების დაცვის და სამართლიანი სასამართლოს დამკვიდრების კუთხით მიიღო შეუქცევადი ხასიათი. ვინაიდან ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ გამაჩერა, ახლა „ბინძური ადამიანები“, ადვოკატების გამოყენებით, ცდილობენ ჩემს ცილისწამებას. დღეს, 04 მარტს, ადვოკატმა ემზარ პაქსაძემ „სტუდია რეპორტიორში“ ჩაატარა პრესკონფერენცია, რისთვისაც გამოიყენა ჩემი არასრულწლოვანი შვილები. ჩემი 17 წლის შვილი, რომ თურმე იგი სწავლობს საფრანგეთში. პაქსაძე დაინტერესდა, რა თანხებით ვიხდი მისი სწავლის საფასურს? მთელმა ჩემმა სანაცნობო წრემ იცის, რომ ჩემი შვილი სწავლობს თბილისში, „მარი ბროსეს“ სკოლაში, მე-12 კლასში, საფრანგეთში გაუშვეს სკოლიდან, 3 თვით, მთელი კლასი, ნანტის მერიის დაფინანსებით. ემზარ პაქსაძემ ასევე ისაუბრა ჩემს 11 წლის ქალიშვილზე, რომელსაც ვუხდი სკოლაში 2 500 ლარს, მაგრამ შეგნებულად არ თქვა, რომ ეს არის წლიური გადასახადი. ჩემი მეუღლე სიცოცხლეში ერთხელ იყო საზღვარგარეთ, თავისი სახსრებით, ვინაიდან ავსტრიის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა თავად დაპატიჟა. ადვოკატმა ემზარ პაქსაძემ პრესკონფერენციაზე აჩვენა ჩემი ოჯახის სურათები და „ფეისბუკიდან“ ამობეჭდილი კომენტარები, ასეთი დაცემა არც ერთი ადამიანის მხრიდან არ მინახავს, მეცოდება ეს ადამიანი... კოლეგებო, ჩემი ოფიციალური ხელფასი შეადგენს 42 000 ლარს წელიწადში, ვფიქრობ, ჩემი ხელფასი მაძლევს საშუალებას, ჩემი შვილების სწავლისთვის გადავიხადო წელიწადში 7 000 ლარი, ჩემს ცოლს ავუღო ვენაში ბილეთი 825 ლარის ოდენობით. ბოლო 6 წელში, რაც ვარ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, არაფერი შემიძენია. მე ძირითადად არ ვხარჯავ ადვოკატთა ასოციაციის სახსრებს. უცხოეთში როდესაც მივდივარ, მაფინანსებს ევროპის საბჭო. ჩემი თავმჯდომარეობის დროს არ დამიფინანსებია არც ერთი პირის უცხოური ვოიაჟი, ვინაიდან ვუფრთხილდები თითოეულ თეთრს, მაგრამ ამას პაქსაძე მითვლის „ნაციონალებთან“ ალიანსად. პატივცემულო ადვოკატებო, მე არ ამიღია პრემია, თავმჯდომარედ ყოფნის პერიოდში შევიმცირე ხელფასი 30%-ით, უარი ვთქვი მანქანაზე და გავყიდე ასოციაციის ბალანსზე აღრიცხული „მერსედესი“, დავდივარ მეტროთი ან ჩემი პირადი მანქანით. ბიუჯეტის ასეთი დაზოგვით გიყიდეთ 5 საოფისე ფართი, სადაც ვიღებთ უფასო განათლებას და ვვითარდებით. ემზარ პაქსაძეს უნდა წარმომაჩინოს, თითქოს მე ასოციაციაში ფულის კეთებით ჩემს შვილს ვასწავლი საფრანგეთში, რაც არის სიბინძურე. ჩემს სიცოცხლეში არ გამომიყენებია შვილები რომელიმე ადამიანზე დასარტყმელად“.

აღნიშნულ დაპირისპირებას გამოეხმაურა ადვოკატი მამუკა ნოზაძე და განაცხადა, რომ ემზარ პაქსაძის მხრიდან მსგავსი „გამოხტომა“ პირველი შემთხვევა არ არის:

„ზაზა ხატიაშვილის ბრძოლა სასამართლო ხელისუფლებაში არსებული დამნაშავე სინდიკატის წევრებისა და იმ კონკრეტული მოსამართლეების მიმართ, რომლებიც წლებია, დანაშაულს სჩადიოდნენ, როგორც ვხედავთ, მავანთ ყელში გაეჩხირათ და მის წინააღმდეგ ვითომ მაკომპრომეტირებელი, სინამდვილეში კი უსუსური ბრალდებები გაავრცელეს. ადვოკატთა ასოციაციის წევრმა, ვინმე ემზარ პაქსაძემ ჩაატარა პრესკონფერენცია ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის წინააღმდეგ და მას წაუყენა სასაცილო ბრალდებები. ბუნებრივია, პაქსაძისნაირი ადამიანები, რომელთაც ავტორიტეტი არათუ საზოგადოებაში, არამედ ადვოკატთა კორპუსშიც არ აქვთ, ყოველთვის შეეცდებიან აბსურდული და არასერიოზული მოსაზრებები გაავრცელონ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს ვერ შეაშინებს ვერც ზაზა ხატიაშვილს და ვერც სხვა სამართლიან უფლებადამცველს... ემზარ პაქსაძის ეს გამოხტომა პირველი არ არის. ამას წინათ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სასტუმრო „რედისონში“ შეხვედრა დაგეგმა არასამთავრო-

### დაპირისპირება

ბო ორგანიზაციებთან, მაგრამ არავინ მივიდა. თუმცა იქ გამოჩნდა ვინმე ემზარ პაქსაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ყველა ადვოკატი არ ეთანხმება ზაზა ხატიაშვილს მოსამართლეთა კორპუსის საკითხთან მიმართებაში. მან პირფერობა დაუწყო იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და იმ მოსამართლეებს, რომლებიც მხილებულნი არიან უკანონობებში... საოცარია ის, რომ ემზარ პაქსაძემ, რომელიც ყოფილი პოლიციელია და ამ ხიბლიდან ვერ გამოსულა, ზაზა ხატიაშვილს ე.წ. „ბრალდებები“ პოლიციური სტილით წაუყენა. ანუ ისე, რომ არც კი გაარკვია სიმართლე. მერე რა, რომ რამდენიმე თვე ზაზა ხატიაშვილის შვილმა ისწავლა საფრანგეთში? ამაში გასაკვირი რა არის? თუ ვინმეს რაიმე სხვა მტკიცებულება აქვს, უნდა დადოს და თუ არ აქვს, უნდა შეწყდეს ასეთი ქაჯური ბრალდებები. არ შეიძლება, ადვოკატმა ჭორები ავრცელოს მტკიცებულებებისა და არგუმენტების გარეშე, რასაც აკეთებს ემზარ პაქსაძე. ყველამ კარგად იცის, რომ ეს ადამიანი არის ძმაკაცი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, კახა სოფრომაძის, რომელიც წარმოადგენს ლევან მურუსიძის კლანს. ამით, მგონი, ყველაფერია ნათქვამი და გასაგებიც, რატომ იკადრა პაქსაძემ ასეთი საქციელი“.

„ჩემი ოფიციალური ხელფასი შეადგენს 42 000 ლარს წელიწადში, ვფიქრობ, ჩემი ხელფასი მაძლევს საშუალებას, ჩემი შვილების სწავლისთვის გადავიხადო წელიწადში 7 000 ლარი, ჩემს ცოლს ავუღო ვენაში ბილეთი 825 ლარის ოდენობით. ბოლო 6 წელში, რაც ვარ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, არაფერი შემიძენია“





„ეს ადამიანი არის ძმაკაცი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, კახა სოფრომაძის, რომელიც წარმოადგენს ლევან მურუსიძის კლანს. ამით, მგონი, ყველაფერია ნათქვამი და გასაგებიც, რატომ იკადრა პაქსაძემ ასეთი საქციელი“.

### ხალხის აზრი

## „გოგი თოფაძისნაირების ბრალია, რომ ქვეყანა ასეთ დღეშია, წლობით იყვნენ პარლამენტში და როდესმე რამე გააკეთეს?“

**ნინო, 39 წლის, მაკლერი:**

– „რესპუბლიკური პარტია“ არ არის ქართული ძალა, მართულები არიან ამერიკისგან. არც ხიდაშელი მგონია, დაენიშნათ ამერიკის ინსტრუქციების გარეშე და იმიტომაც უჭირთ მისი გაშვება, თორემ აქამდე არ გააჩერებდნენ, მით უმეტეს, რომ გამოძიება დაიწყო მისი მისამართით, როგორც ვიცი. უბრალოდ, რომც წავიდნენ, არა მგონია, ამან ჩვენთვის რამე შეცვალოს. ისე, გოგი თოფაძის ნაირების ბრალია, რომ ქვეყანა ასეთ დღეშია, წლობით იყვნენ პარლამენტში და როდესმე რამე გააკეთეს? საინტერესოა. უმუშევარია ქვეყანაში ნახევარზე მეტი და რით გავიტანოთ თავი, აღარ ვიცით, ამიტომ საქმე აკეთონ ამდენ ლაპარაკსა და ჩხუბს, ენერგია სხვა რამეს მოახმარონ.

*მაკა დეკანოსიძე*

### ხალხის აზრი

## „იდიოტებითაა სავსე პარლამენტი“

**ბაია ბაქრაძე, 40 წლის, ლინგვისტი:**

– ვთვლი, რომ დაპირისპირებები და მსგავსი საკითხები კოალიციის შიგნით უნდა გაირკვეს. გარეთ ნუ გამოაქვთ და ნუ შეგვაწუხეს ამ ინტრიგებით. ისედაც გალიზიანებულია ხალხი მათი უნიათო პოლიტიკით. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ის, ვინც თოფაძეს გაამართლებს, არ მგონია, ადეკვატური იყოს და ამის გამო მოითხოვოს „რესპუბლიკელების“ წასვლა კოალიციიდან.

საერთოდ, რა უნდა ამ კაცს პარლამენტში ან პროდასავლურ კოალიციაში? ესაა საკითხავი, სტალინის სიყვარულიდან ვერ გამოსულა ჯერ. თან ძალიან ყალბი და არამართალია. სანამ თინიკომ არ აწყენინა, ხმას არ იღებდა. რამე დარღვევას თუ ხედავდა იმ საგარეჯოში და ამის შესახებ იცოდა, რატომ თავის დროზე არ განაცხადა ღიად? თუ, პირადად რომ შეეხო ვიღაც, მერე გახდა სამართლის მაძიებელი? „რესპუბლიკელები“ აუცილებლად უნდა იყვნენ კოალიციაში, იმიტომ რომ პარტიას არ აქვს დიდი რეიტინგი, მათ გარდა კი ვერავის ვხედავ პარლამენტში ნორმალურ კანონმდებელს, იდიოტებითაა სავსე პარლამენტი და ეგენი რომ გარეთ დარჩნენ, აი, მანდ უფრო დაგვერხევა.

*მაკა დეკანოსიძე*

# ფაქტებით ვამბობ, სანამ „ოცნების“ ხელისუფლებაა, არ აღდგება სამართალი! ახლა „ოცნების“ უღელი გვაქვს მხრებიდან გადასაგდები!

ნანა სულავა
599 07-01-89



სისხლის სამართლის საქმე №1/1732-07... მოსამართლე – რეზო ნადოი, სახელმწიფო ბრალმდებელი – ნუგზარ სალია, გამომძიებელი – მამუკა კაკალაშვილი – „ოცნების“ ხელისუფლებისგან თითდაუდებელი „მთელი კოჰორტა“, კარგად ჩაიხუტე, „ოცნება“!



**მე ამგვარი მოწმეები არ მყოლია, როგორც კობახიძე-ბესელიას, და მაინც მიმაბრძანეს „ვირის აბანოში“... გამოდის, მე, ჟურნალისტი, ვიყავი „განტევების ვაცი“?!**



საქართველოს სახელით გამოტანილი განაჩენი – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, საბრალდებო დასკვნა – 180-ე მუხლი, სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლება. პლუს 326-ე მუხლი: ყალბი დოკუმენტის დამზადება. საქმე ევროპის სასამართლოს მიერაა წარმოებაში მიღებული 2010 წლის 16 თებერვალს (საქმე №63493/09). მე, ჟურნალისტი ნანა სულავა, 2007 წლის 20 თებერვალს, სამსახურიდან გამოსული თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე საბურთალოს ბანკის ფილიალში მიმავალი, ოპერის წინ დამაკავეს. ეს ხდება დღისით, მზისით, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ოცამდე ახალგაზრდა მოულოდნელად წრეში მაქცევს. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც მეცნო, მომმართავს: „მე გამომძიებელი მამუკა კაკალაშვილი ვარ, თქვენ ეჭვმიტანილი ხართ სხვისი ქონების მითვისებაში...“ და ჩემთვის სრულიად უცნობი ქალის ვინაობას მისახელებს. მე ძალას ვიკრებ და ვეუბნები, – ამ პიროვნებას საერთოდ არ ვიცნობ, ჩემი უკანონო თავისუფლების აღკვეთისთვის თქვენ უთუოდ პასუხს აგებთ-მეთქი. გამომძიებელი კაკალაშვილი აღარაფერს ამბობს. ერთი სიტყვით, მანქანაში მსვამენ, სამარისებური სიჩუმე ისადგურებს, მანქანის სალონში მყოფთაგან ჩემ ყურადღებას ერთი იქცევს, რომელიც გამუდმებით, ჩუმად პირჯვარს იწერს. დამნაშავესავით თვალს ვერ მისწორებს, სახეზეც წამოწითლებულია. ნუ გეშინია, ყველაფერი გაირკვევაო... ამ „ყველაფერში“ რას გულისხმობს, ჯერ არ ვიცი!..

ფინანსურ პოლიციაში მიმიყვანეს, იქ კიდევ ერთმა მათგანმა გამაცნო თავი: პროკურორი ნუგზარ სალია!.. საშინელი სახე აქვს, ნამდვილი ზონდერპროკურორი. ისეთი, კაცს რომ მოკლავს და თვალს არ დაახამხამებს, ნამდვილი „მიშას პროკურორი“. წესით, უნდა შემეშინდეს, მაგრამ ჟურნალისტი ვარ და ჩათრევას ჩაყოლას ვამჯობინებ. მაინტერესებს, რისთვის დამაკავეს... პროკურორი სალია 9 საათის განმავლობაში ცდილობს ჩემს გატეხას „ნაცების“ ტექნოლოგიით: ჩაშვება-დაბეზღების მანქანა ამოქმედდა. თავისუფლების მოსაპოვებლად წინადადებას მთავაზობენ, ვითანამშრომლო მათთან. ისინი ბრალს მდებენ, თითქოსდა სხვისი ქონება მივითვისე. 9-საათიანი დაკითხვისა და ჩხრეკის მიუხედავად, პროკურორის არც ერთ მოთხოვნაზე არ წავედი, დუმილის უფლებით სარგებლობა ვარჩიე. ხელჩანთა ჩემ თვალწინ გადმოატრიალეს. სამსახურიდან გაცემული ბანკში წარსადგენი დოკუმენტები, სესხის აღებას რომ ვაპირებდი ვალის გადასახდელად, ჩაბღუჯეს და ჩანთიან-დოკუმენტიანად ყველაფერი ოთახიდან სწრაფად გაიტანეს. ამაოდ ვითხოვ კანონით მონიჭებული ერთი ზარის უფლებას ჩემიანებთან, ამაზეც უარზე არიან. ადვოკატის აყვანას ვითხოვ, ამაზეც უარი!..

9-საათიანი ზეწოლის შემდეგ უაპელაციოდ პროკურორმა სალიამ გასცა სანქცია ჩემი დაპატიმრების შესახებ. მერე „კაპეზე“, მერე ციხე, მანამდე ორთვიანი წინასწარ პატიმრობა და ბოლოს, ქართველ ქალთა წინა ხელისუფლების „სასაფლაო“, ავადმოსაგონარი „მატროსოვი“!.. აქ წინა ხელისუფლებამ ათასობით პატიმარი, ქალი თუ კაცი, საზარბაზნე ხორცად აქცია, მათ შორის მეც ვარ, ჟურნალისტი ნანა სულავა, რომელიც დაჟინებით ვცდილობ, ყველაფერი კარგად აღვწერო, მე ხომ ციხე მართლაც შიგნიდან გამოვანგრიე.

ყველამ კარგად მინდა იცოდეს, ჩემს წინააღმდეგ საჩივარი ჩემთვის სრულიად უცნობ პირს დააწერინეს, რომელიც, როგორც შემდეგ დავაზუსტე, ზონდერ კეზერაშვილის ნათესავი აღმოჩნდა, წარმოშობით ებრაელი... თითქოსდა, ცრუ მოწმეს გამოვძალე 13000 ლარი, მე სესხის ხელშეკრულება ნამდვილად მქონდა იგივე თანხაზე ნოტარიულად გაფორმებული, მაგრამ ძირითადი მევალე თითქოსდა ცასა და დედამიწას ჩაეყლაპა, ის არაფერს ითხოვდა, მის სანაცვლოდ კი სხვა ითხოვდა ჩემგან ვალის დაბრუნებას. ცხადი იყო, პროკურატურას ჩემთვის სრულიად უცნობი პიროვნება გამიზნულად ჰყავდა ჩართული. მიზანი კი ჩემი დაპატიმრება იყო. ჩემი დაჭერის სანაცვლოდ პროკურატურას იმ სხვა პიროვნების მეუღლე ციხიდან უნდა გაეთავისუფლებინა და ასეც მოხდა, ჩემი მოვალე კი სასამართლოზე არ გამოჩენილა. საპროცესო ენით რომ ვთქვათ, დაზარალებული საერთოდ არ მყავდა, ისე წამიყენეს ბრალი და ისე გამასამართლეს. ერთი სიტყვით, ჩემი დაჭერა გენპროკურატურის მითითებით მოხდა. განაჩენში მიწერია: „ახდენდა პროკურატურის ორგანოების დისკრედიტაციას“. აი, რისთვის გამისწორდნენ! ჩემს ცოდვაში ფეხჩადგმულმა უცნობმა პიროვნებამ კი, რომელიც მათთან თანამშრომლობაზე წავიდა, სესხის გაფორმებიდან სულ ორიოდე თვეში ციხიდან ოჯახის წევრი იხსნა, პროკურატურამ კი ერთ-ერთში მე გამცვალა და ამასთანავე, „ხურდაც“ მიიღო.

**აი, რა შავ-ბნელი საქმის თავდადგმას ვითხოვ დღემდე „ოცნების“ პროკურორებისგან, რომლებიც ისევ „ნაცების“ სახეები აღმოჩნდნენ. კიდევ უფრო მეტი, ჩემი პროკურორი სალია „ოცნების“ პოლიტიკური სახეც კი გახდა — ის ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილეა. ჩემი მოსამართლე რეზო ნადოი კი „ოცნების“ პროკურორია.**

თეთრი ძაფით ნაკერ ამ ჩემს საქმეს რატომ ერთხელ და საბოლოოდ არ უსვამს წერტილს ახალი დეპარტამენტი?! როგორც ჩანს, სამართლიანობის აღსადგენად კი არ შეიქმნა, არამედ დროებით ხალხის გასაჩუმებლად!..

მე, ჟურნალისტი, ყველა მათგანს მივმართავ, ვინც ახალი დეპარტამენტისგან სიმართლეს ითხოვს, ეს არ მოხდება, ეს უბრალოდ კიდევ ერთი ახალი რგოლია „ოცნების“ პირობებში, მათი ფავორიტების დასასაქმებლად!.. სამართლიანობის აღდგენის მომლოდინე ადამიანები კი არავის ედარდება, ჩვენს უბედურებაზე არავინ ფიქრობს, მერწმუნეთ, ისინი არ დაუპირისპირდებიან ჩვენს გამაუბედურებელ მოსამართლეებსა და პროკურორებს!..

ორიოდე კვირის წინ საგამოძიებო დეპარტამენტში გამომძიებელ ჯემალ ლომსაძესთან გახლდით, გვერდითა ოთახიდან გაოგნებულები, რომ იტყვიან, პარტიზანულად იჭრებოდნენ დროდადრო მის კაბინეტში, ჩემი ხმამაღალი ლაპარაკი ვერ აიტანეს, ხელი გვეშლებაო. იმაზე არავინ ფიქრობდა, როგორ ამიყვანეს უკანონოდ ჩემი სამუშაო მაგიდიდან მე, ჟურნალისტი, და წლობით თავისუფლება აღმიკვეთეს. რომელ მუშაობაში გიშლით ხელს, თქვენი გამოძიებული საქმე მაჩვენეთ-მეთქი, მივმართე შემოჭრილებს... საბოლოოდ დავასკვენი, პროკურატურა პოლიტიკური ანგარიშსწორების ორგანოდ იქცა. ეს ახალი სატყუარა კი კიდევ ერთი ცოდვის ბუდეა, ორი აზრი არაა, ახლა „ოცნების“ უღელი გახდა ჩვენი მხრებიდან გადასაგდები. ეს ახალმა არჩევნებმა უნდა გააკეთოს, მანამდე კი, რაც დღეს ხდება, ყველას თვალწინ იმაზე უნდა ვთქვა სიმართლე...

ყველას ვეკითხები, რომელ სიმართლეზეა ლაპარაკი, როცა სამართალი ჩაიკირა. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში მყოფი დეპუტატი ქალბატონები კობახიძე და ბესელია ხელს კარგად აფათურებენ სამართალ-უსამართლობაში!.. მათ პასუხს არავინ სთხოვს, მიუხედავად იმისა, ქვეყნის პრეზიდენტიდან დაწყებული, შეწყალების კომისიის ძველი და ახალი პერსონებით დამთავრებული, დანაშაულში ხელდადებულები რომ არიან და საზოგადოებასაც ეჭვი არაფერში ეპარება. მე ვიყავი „განტევების ვაცი“?!.

რაც ზემოთ მოგახსენეთ, შეიძლება ვინმემ განაწყენებულის ტონად ჩამითვალოს, მე ამგვარი მოწმეები არ მყოლია, როგორც კობახიძე-ბესელიას,

### უსამართლობა!

და მაინც მიმაბრძანეს „ვირის აბანოში“. ცრუმოწმის გამო პატიმრობაგამოვლილ ქალს, ის მაინც ინებეთ ახლა და, სამართლიანობა და ღირსება აღმიდგინეთ, იმ წლებს ხომ ვეღარავინ დამიბრუნებს, ამაზე ვსაუბრობ... ჩემს საქმეში არ არსებობენ უშუალო მოწმეები, ხოლო რაც კიდევ უფრო საგანგაშოა, ხელშეკრულების მონაწილე მთავარი მოწმე არავის დაუკითხავს და დაუმალეს სასამართლოს. მიზანი იყო ერთადერთი, ის, რომ არ დადგენილიყო სიმართლე სესხის რეალობასთან დაკავშირებით. ბესელია-კობახიძეს დანაშაულში 13000 ლარზე კი არ ედავებიან, არამედ ლამის მილიონებზეა საუბარი. ეს სკანდალი ორ თვეზე მეტია გრძელდება, სხვას მეორე დღესვე გაასამართლებდნენ. რატომ ითრევს ფეხს „ოცნების“ სასამართლო და პროკურატურა, რატომ აძლევენ დანაშაულში მხილებულ დეპუტატებს საშუალებას, დაპირისპირება ახალ ფაზაში გადაიყვანონ, გაღმა შეედავეს პოლიტიკით. როგორც ჩანს, ცრუ მოწმეების მონახვა-მოპოვებაში ხელგაწაფულები არიან „ნაცებიც“ და „ქოცებიც“. ზოგი პატიმარი კი, თავისუფლების სანაცვლოდ, ყველაფერზე მიდის, მაგის მეტი რა ვნახე, მაგრამ ეს წუთისოფელი ღმერთს მარტო იმიტომ ხომ არ შეუქმნია, ცოდვის ჩამდენებმა ცოდვები გაამრავლონ და იხეირონ?!.

**სანამ უფლის სამართალი დადგებოდეს, აქ, დედამიწაზე, ჩვენ, ადამიანებმა, უნდა დავამყაროთ ის. ქალბატონ დეპუტატებს კი გამოძიების დასრულებამდე დეპუტატის მანდატები უნდა დაეთმოთ და თუკი გამართლდებოდნენ, შემდეგ მობრუნებულიყვნენ. ეს იქნებოდა ზნეობრივი საქციელი. ეს მარტო ჩემი კი არა, საზოგადოების აზრია. მათ ეს არ გააკეთეს.**

ამიტომ ახალი არჩევნებისთვის მართლაც ღირსეულად უნდა მოვემზადოთ და ერთხელ და სამუდამოდ უარი ვთქვათ „ნაცურ“-„ქოცურ“ პარლამენტზე და იქ ისეთი ადამიანები გავაგზავნოთ, რომლებიც ჩვენ ქვეყანას ქვეყნად აქცევენ...

## ივანიშვილს „რესპუბლიკელებთან“ დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებული აქვს — გიგი წერეთელი



„ნაციონალურ მოძრაობაში“ მიაჩნიათ, რომ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბიძინა ივანიშვილის პოზიცია გაახმოვანა. როგორც თემის კომენტირებისას „ენმ“-ს ერთ-ერთი ლიდერი გიგი წერეთელი აცხადებს, კოალიციაში შემავალ სუბიექტებს შორის დაპირისპირება საარჩევნო სიების ფორმირების მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო გამძაფრდება.

– განცხადებამ აჩვენა, რომ კოალიციაში დაპირისპირება იმაზე რთულ ფაზაშია, ვიდრე ეს საზოგადოებას ჰგონია. ფაქტია, რომ ივანიშვილს „რესპუბლიკურ პარტიასთან“ დაკავშირებით გარკვეული გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს. უბრალოდ, კვირიკაშვილის საშუალებით გაავრცელა მესიჯები – თითი დაუქნია „მრეწველებსა“ და „რესპუბლიკელებს“, – აღნიშნა წერეთელმა.

მისი თქმით, როცა გაერთიანებაში პოლიტიკური ხედვების თანხვედრა არ არის და იქ ადამიანები მილიარდერის ფულის გამო არიან – ეს კოალიცია ადრე თუ გვიან დაიშლება.

– ივანიშვილის ფული და „ნაციონალური მოძრაობისადმი“ სიძულვილი – ეს არის მთავარი იდეა. როგორც არ უნდა შეეცადოს ვინმე, რომ როგორმე შეკრას ერთობა, ეს პერსპექტივაშიც კი შეუძლებელია, რადგან კიდევ უფრო მეტი დაპირისპირება დაიწყება მაშინ, როცა სიის ფორმირება დაიწყება, – აცხადებს გიგი წერეთელი.

მისივე თქმით, „ქართული ოცნება“ ქვეყნის მოსახლეობის მთავარი გამოწვევის მოგვარების ნაცვლად შიდა ინტრიგებითაა დაკავებული. (ნიუპოსტი)

## სიღნაღში ყოფილი პოლიციელი სცემეს



სიღნაღში ყოფილი პოლიციელი სცემეს. ინციდენტი სოფელ მაღაროში მოხდა. დაზარალებულ ილია ბარამაშვილს სამედიცინო დახმარება დასჭირდა. ადგილობრივთა თქმით, მომხდარი ბარამაშვილის პოლიციაში მუშაობის პერიოდს უკავშირდება. ამბობენ, რომ რამდენიმე წლის წინათ, ყოფილმა პოლიციელმა ახალგაზრდები ნარკოტიკების მოხმარების ბრალდებით დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მოქალაქის ცემის ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 125-ე მუხლით მიმდინარეობს.

როგორც უწყებაში აცხადებენ, ინციდენტში მონაწილე პირების შესახებ სამართალდამცავები ინფორმირებულნი არიან.

„შემდგომი მოქმედება ექსპერტიზის პასუხებზეა დამოკიდებული“, – ამბობენ შსს-ში. (ნიუპოსტი)

## „რესპუბლიკელები“ მმართველ კოალიციაში რჩებიან



„რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერებსა და პრემიერ-მინისტრს შორის გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ გაკეთებული განცხადებებიდან ირკვევა, რომ პარტია რჩება კოალიციაში და აგრძელებს მუშაობას სტრატეგიული პარტნიორობის რეჟიმში.

დავით უსუფაშვილის თქმით, ეს იყო საქმიანი შეხვედრა.

მთავრობის კანცელარიაში პრემიერთან შეხვედრას ესწრებოდნენ თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე და პარტიის პოლიტიკური მდივანი, დეპუტატი დავით ბერძენიშვილი.

გიორგი კვირიკაშვილმა „ქართულ ოცნებაში“ არსებულ დაპირისპირებაზე საგანგებო განცხადება გაავრცელა.

პრემიერმა გააფრთხილა პარტნიორები და მოუწოდა, სადავო საკითხები კოალიციის შიგნით განიხილონ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ცვლილებებიც არ გამორიცხა.

კვირიკაშვილი აცხადებს, რომ მიუღებელია დაპირისპირებაში თავდაცვის მინისტრის ჩართვა. (ნიუპოსტი)

## „მხოლოდ ერთ კაცს აქვს უფლება, მიუთითოს ვინმეს, რომ დატოვოს პარლამენტი“ — თამაზ მეჭიაური



თამაზ მეჭიაურის განცხადებით, იურიდიულად არავის აქვს უფლება, გოგი თოფაძეს პარლამენტის დატოვება მოსთხოვოს, მორალური უფლება კი მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს აქვს, რადგან „რესპუბლიკელებისა“ და „მრეწველების“ პარლამენტში მოხვედრა სწორედ მისი დამსახურებაა:

– იურიდიულად, მე მგონი, არავის აქვს მისთვის მანდატის ჩამორთმევის უფლება, გარდა მთლიანად პარლამენტისა, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში. მორალურად კი შეიძლება მხოლოდ ერთ კაცს ჰქონდეს უფლება, მიუთითოს ვინმეს, რომ დატოვოს პარლამენტი. ეს ერთი კაცი არის ის, ვინც ისინი გაიყვანა, ვინც უთითებს, ისიც და ვისაც უთითებენ, ისიც. მას, მე მგონი, არაფერი არ უთქვამს არავისთვის, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ახალი... მოვლენა...

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



» პროტესტი!

# „ბოლომდე ვიბრძოლებთ ირაკლი შიხიაშვილის გადასაყენებლად! ის უნდა წავიდეს!“

**„გვაინტერესებს, ხელისუფლებას სადამდე ეყოფა ნერვები და რამდენად უღირთ შიხიაშვილის თანამდებობაზე ყოფნა“**





**„ირაკლი შიხიაშვილი, როგორც ყოფილი „ზონდერი“, თარგამაძის, კეზერაშვილის, სააკაშვილისა და სხვების დავალებებს ასრულებდა და ის მათი ხელისბიჭი იყო“**

**„აქციებს ვგეგმავთ, ვივლით ქალაქში. მერე მასობრივ აქციებსა და შიმშილობას დავიწყებთ. ბოლომდე ვიბრძოლებთ ირაკლი შიხიაშვილის გადასაყენებლად!“**

**ვეტერანთა პროტესტი დღითი დღე მატულობს. ვეტერანებმა პრემიერ-მინისტრსაც მიმართეს და ვეტერანთა დეპარტამენტის ხელმძღვანელის ირაკლი შიხიაშვილის გადადგომას დაჟინებით ითხოვენ. თუმცა, გაუგებრობაა თვით ვეტერანებში, შიხიაშვილის მომხრეები და მოწინააღმდეგეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ... „ალიას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ვეტერანთა ლიგის“ ხელმძღვანელი გია ბერძენაძე დაუკავშირდა და ვეტერანთა პრობლემებზე ესაუბრა. გია ბერძენაძე აცხადებს, რომ ირაკლი შიხიაშვილი, როგორც ყოფილი „ზონდერი“, თარგამაძის, კეზერაშვილის, სააკაშვილისა და სხვების დავალებებს ასრულებდა და ის მათი ხელისბიჭი იყო:**

– შიხიაშვილი არბევდა უდანაშაულო ადამიანებს, მან მონაწილეობა მიიღო საკრებულოში დეპუტატების ცემაში. ეს იმ „ნაციონალების“ ბანდის წევრია, რომლებიც სცემდნენ, აუპატიურებდნენ და ქუჩაში ხოცავდნენ ადამიანებს! ახლა კი, ვეტერანები ერთმანეთს დააპირისპირა. ის, უნდა გადადგეს! 2005 წლიდან ვეტერანთა მოძრაობა გამოდიოდა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, როცა დაიწყო ვეტერანების დევნა, ციხეებში ჩასმა, სამსახურებიდან გამოყრა. ჩვენ მაშინ ქუჩაში გამოვდიოდით და მიტინგებს ვატარებდით. ყველა ვეტერანის უფლებებს ვიცავდით და ყველა ვეტერანს გვერდზე ვიდექით, ხელისუფლებას დაშანტაჟების უფლებას არ ვაძლევდით. ეს მაშინ, როცა ირაკლი შიხიაშვილი სააკაშვილის გუნდის წევრი იყო და ხალხს ატერორებდა. გია კრიალაშვილი ჩაცხრილეს, სერგო თეთრაძე აწამეს, შავაძე მოკლეს. დონეცკში რომ მიდიოდა, ინტერვიუ მისცა და ის სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს მხარს უჭერდა. ამის ჩანაწერები არსებობს. სააკაშვილის გუნდში იყო შიხიაშვილი და 26 მაისის მოვლენების გამო, ვეტერანებს ანტისახელმწიფოებრივ ელემენტებს ეძახდა. ამიტომაც შიხიაშვილს არანაირი მორალური უფლება არ აქვს, რომ ვეტერანთა ხელმძღვანელი იყოს. ციხეში ვეტერანი სოსო სესიაშვილი მოკლეს... ბეტონზე კიდებდნენ და ვეტერანებს წყალში ძირავდნენ.

**— ეს ძალიან მძიმე ბრალდებებია. უფრო კონკრეტულად მითხარით, შიხიაშვილს ვის ცემაში ადანაშაულებთ?**

– ნახეთ, ირაკლი შიხიაშვილის 26 მაისის გამოსვლა, სადაც გაიგებთ, ვინ სცემა და ვინ – არა. შიხიაშვილს მხარს უჭერს ყველა, ვინც სცემდა და აწიოკებდა ვეტერანებს და არამართო ვეტერანებს.

პრობლემა ის არის, რომ შიხიაშვილმა ვეტერანების დაშანტაჟება დაიწყო, მათ შორის, ვახტანგ მაჭავარიანის. 12 ათასი ადამიანი ციხეში გამოკეტეს. ირაკლი შიხიაშვილი თავად იყო ხელისბიჭი, მას პასუხს მოვთხოვთ. თუ ხელისუფლება არ გაითვალისწინებს ჩვენს მოთხოვნას, მაშინ მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყება აქციები. ირაკლი შიხიაშვილმა ვეტერანებს ჰოსპიტალი წაართვა. ამის შემდეგ, გაუგებარ ვითარებაში გადაწყვიტა ვეტერანთა მკურნალობა, რომელიც არ არის საიმედო. ვეტერანთა ჰოსპიტალი და მისი მოდერნიზება უნდა მოხდეს. ვეტერანთა სრულყოფილი მკურნალობა უნდა მოხდეს. ვეტერანთა ხელმძღვანელს ბუნდოვანი წარსული ჰქონდა, ის თარგამაძისა და კეზერაშვილის „ზონდერბრიგადის“ წევრი იყო. მისი მომხრე ვეტერანების გარდა, 90% აცხადებს, რომ ვეტერანთა ჰოსპიტალი უნდა დარჩეს. გადაიყვანეს, მაგრამ იქ არ ხდება სრულყოფილი მკურნალობა, მძიმე დაავადებებს ვეტერანებს ვერ უფინანსებენ. ჩატარდა ყრილობა და გადაწყდა, რომ შიხიაშვილის ქმედებები არის დანაშაულის ტოლფასი. შენობა მართლაც არის გასარემონტებელი. ვეტერანთა სამსახურს მისი რეაბილიტაციისთვის ერთი თეთრიც არ დაუხარჯავს. ახლა კლინიკა „ლანცეტში“ (რომელიც უცხოელმა იყიდა და ყადაღები ადევს) აგზავნიან ვეტერანებს, სადაც მკურნალობა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ჰოსპიტალში.

**— პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე ამბობს, რომ ვეტერანებს 100%-იანი დაფინანსება აქვთ, რამდენად რეალურია?**

– ზოგიერთ რაღაცას აფინანსებენ, თუმცა, გარკვეულ ოპერაციებს ვერ აფინანსებენ. ვეტერანთა სამსახური ამბობს, რომ ყველაფერს დააფინანსებს, მაგრამ ასე არ ხდება, ბევრს უმკურნალეს, ბევრს – ვერა.

**— ჰოსპიტალი უკვე გაიყიდა?**

– ჯერ არა, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა, მაგრამ უცხოელს სურს წაიღოს. ყველაფერი შიხიაშვილის ხელით კეთდება., ჩვენ ჩავატარეთ ყრილობა, სადაც მოვითხოვეთ, რომ განისაზღვროს სახელმწიფოს პოლიტიკა ომის ვეტერანთა მიმართ. რაც გვინდა შესაბამისობაში მოვიდეს. ომის ვეტერანთა სოციალური რეაბილიტაცია მოხდეს, ვეტერანების დევნა-შევიწროება შეწყდეს!.. ის, რაც ხდება ვეტერანთა დეპარტამენტში, შესასწავლია. იქ აუდიტის სამსახური უნდა შევიდეს. რაში დაიხარჯა 7 მილიონი ლარი, სად იხარჯება ის თანხები, რომელსაც სახელმწიფო იხდის? ვეტერანთა დეპარტამენტში აუდიტის სამსახურის გარდა, თუ საჭირო გახდა, პროკურატურაც დაინტერესდეს. ვეტერანები უპირობოდ ვითხოვთ ირაკლი შიხიაშვილის გადადგომას. ის უნდა გადადგეს! ვეტერანები არ გაჩერდებიან. იგეგმება მასობრივი საპროტესტო აქციები და შიმშილობა. ბოლომდე ვიბრძოლებთ ირაკლი შიხიაშვილის გადასაყენებლად. ის, უნდა წავიდეს. თუ ობიექტური გამოძიება ჩატარდება, მაშინ შიხიაშვილის ბრალეულობა დამტკიცდება.

**ვახტანგ მაჭავარიანი, „ომის ვეტერანთა სოლიდარობის კავშირის“ თავმჯდომარე:**

– ვეტერანებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ რიგ საკითხებზე. ამის გამო, დაშინება და ზეწოლის ფაქტები იყო. კოხტა ყორღანოვს ვეტერანთა დეპარტამენტში სცემეს. მასთან ერთად იყო კიდევ ერთი ვეტერანი, ისინი შეიყვანეს ცალკე ოთახში, სურათები გადაუღეს და საგამოძიებო მოკვლევები დაიწყეს. რეალურად იმ ვეტერანების შევიწროება ხდება, რომლებსაც განსხვავებული აზრი აქვთ. მძიმე სოციალური პრობლემები თითქმის ყველა ვეტერანს აწუხებს. როცა ვეტერანი აპროტესტებს დეპარტამენტის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ველარ მიიღებს იმ დახმარებასაც, რასაც იღებდა, უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. ხდება ვეტერანების დაყოფა ჩვენიანებად და სხვისიანებად.

**— როგორ ფიქრობთ, შეინარჩუნებთ თუ არა ჰოსპიტალს?**

– შესაძლებელია. სამედიცინო ჰოსპიტალს შევინარჩუნებთ, მედპერსონალს კი – არა. ჰოსპიტალის შენობას არ დავთმობთ და მასში უსახლკარო ვეტერანებს შევასახლებთ.

**— ბევრია უსახლკარო?**

– ძალიან ბევრია უსახლკარო, გაუბედურებული ვეტერანი. მათ „ბომჟებს“ ეძახიან. სამარცხვინოა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეა.

**— ვეტერანთა სოფლის იდეაზე რას იტყოდით?**

**— სოფელი? კარგი იდეა იყო. ვითომდა, ებრაელებს უნდა დაეფინანსებინათ, რაშიც 75 მილიონი დოლარი უნდა დახარჯულიყო. ეს იყო ირაკლი შიხიაშვილის უტოპიური იდეები. ჰოლანდიურ კომპანიას 200 ათასი დოლარი პროექტის ანალიზში გადაუხადეს. მე ამ პროექტის ანალიზი მოვითხოვე, მაგრამ არ მომცეს. როგორც ჩანს, შიხიაშვილს ჩაკეტილი სივრცე აქვს.**

**— ძალიან ხშირად ვეტერანთა ხელმძღვანელის წარსულზე აკეთებთ აქცენტს... კონკრეტული ფაქტები მითხარით. დამიმტკიცეთ, რომ ასეთი ცუდი წარსული აქვს...**

– თქვენ როგორ ფიქრობთ, კარგი აქვს? ყვარყვარეა, თან კვაჭი კვაჭანტირაძე, პარტიიდან პარტიაში ხტუნაობს, გვეგონა, რაიმეს გააკეთებდა, იმიტომ, რომ პირველი შემთხვევაა, როცა ვეტერანთა სამსახურში პოლიტიკური ფიგურა მოვიდა. მანამდე ფერაძე იყო, მასაც არაფერი გაუკეთებია.

**— პროტესტის გაგრძელებას აპირებთ?**

– არ გავჩერდებით, ვნახოთ, ხელისუფლებას როგორ ძვირად უღირს კვაჭი კვაჭანტირაძის ყოფნა ამ თანამდებობაზე! შიხიაშვილი თუ არ გადადგება, პროტესტი გაგრძელდება, აქციებს ვგეგმავთ, ვივლით ქალაქში. მერე მასობრივ აქციებს და შიმშილობას დავიწყებთ. გვაინტერესებს, ხელისუფლებას სადამდე ეყოფა ნერვები და რამდენად უღირს შიხიაშვილს თანამდებობაზე ყოფნა. რამდენი ხანია, პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ვითხოვთ, მაგრამ არ გვხვდება. არ ვიცით, რატომ? მიმართვაც გავუგზავნეთ, ვნახოთ, რა პასუხს დაგვიბრუნებს.

**ამ ბრალდებების პარალელურად, ირაკლი შიხიაშვილის ადვოკატი ალექსანდრე კობაიძე განმარტავს, რომ სასამართლოში სარჩელს შეიტანენ. მათი სასარჩელო მოთხოვნა იქნება ვეტერანების — ყორღანოვისა და მაჭავარიანის მიერ გავრცელებული ცრუ ინფორმაციების უარყოფა მოხდეს. ან მათ თავიანთი ბრალდებები დაადასტურონ და სასამართლოს წინაშე დაამტკიცონ.**

**ადვოკატის განცხადებით, ყორღანოვი შიხიაშვილს — ცემაში, მაჭავარიანი კი კორუფციასა და მის დაშინებაში სდებს ბრალს.**

**„ყორღანოვის თქმით, ის 15-მა პიროვნებამ სცემა. ამბობს, რომ მის ცემაში ირაკლი შიხიაშვილიც მონაწილეობდა. მისივე ინფორმაციით, ადგილზე მივიდა საპატრულო ეკიპაჟიც და ცემა თითქოს პოლიციელების თვალწინ განხორციელდა. ეს არის სრული სიცრუე. ყორღანოვი არავის უცემია. მას არც ცემის რაიმე ფაქტი ეტყობა. ბატონ ყორღანოვს მოუწევს, აღნიშნული ბრალდებები სასამართლოში ამტკიცოს, ან უარყოს. რაც შეეხება ვახტანგ მაჭავარიანს, მან ცრუ ინფორმაცია გაავრცელა, რომ თითქოსდა, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში შექმნილია საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც ვეტერანებს აშინებს. უკვე დროა, სასამართლოში გავარკვიოთ აღნიშნული ფაქტები. მაჭავარიანის მხრიდან ცილისმწამებლურ ფაქტებს ადგილი ადრეც ჰქონია, მათ თავიანთი ბრალდებების დადასტურება ან უარყოფა მოუწევთ“.**

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# მსოფლიო ჩემპიონი გიორგი კანდელაკი პოლიტიკაში მოდის

## გიორგი კანდელაკი: „მე რასაც ვეთაყვანები, ჩემთვის რაც სიწმინდეა, იმას რატომ მიგინებ? არ მოვთხოვო ამაზე პასუხი? მოვთხოვ კი არა, დედას ვუტირებ!!!“

**მოკრივე, მსოფლიო ჩემპიონი გიორგი კანდელაკი პოლიტიკაში მოსვლას აპირებს. ამ დროისთვის კანდელაკი საზოგადოება „გორელების“ თავმჯდომარეა. ამ ორგანიზაციაში 16 000 კაცია გაწევრიანებული.**

**რას და როგორ აპირებს გიორგი კანდელაკი, ამის შესახებ ექსკლუზიურად „ალიას“ ესაუბრა.**

– ამ ეტაპზე იმის თქმა შემიძლია, რომ, დიდი ალბათობით, პოლიტიკაში მოვალ. ეს მარტო ჩემი გადასაწყვეტი არ არის და მარტო მე არ ვაპირებ პოლიტიკაში მოსვლას. ჩემი პოლიტიკაში მოსვლა თავისთავად ნიშნავს საზოგადოება „გორელების“ მოსვლასაც. ამ საზოგადოების დამფუძნებლები კი ადგილობრივი, ყველასთვის პატივსაცემი ადამიანები არიან: ზურაბ წკრიალაშვილი, ზურაბ ბიჭიკაშვილი, ზაურ საგანელიძე, ნოდარ ექვთიმიშვილი, ვახტანგ ყანჩაველი, ბორის გოგიჩაიშვილი, ილია ელიკაშვილი, თემურ ხაციური, თემურ ნაოჭაშვილი, გელა აღდგომელაშვილი, ავთო შოშიაშვილი... მათთან ერთად გადავწყვეტ, მოვალთ თუ არა პოლიტიკაში და თუ მოვალთ, რა ფორმით...

**— რა ვიცი, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ უკვე გადაწყვეტილი გაქვს ეს ამბავი.**

– სიმართლე გითხრა, მეც ეგეთი შთაბეჭდილება მაქვს (იცინის)...

**— კარგი, ვთქვათ, მოხვედი პოლიტიკაში, საზოგადოება „გორელები“ გადაკეთდება პოლიტიკურ პარტიად და არჩევნებში მიიღებთ მონაწილეობას თუ სხვა პოლიტიკურ ძალებთან — კოალიცია-ალიანსში გამოხვალთ არჩევნებზე?**

– არც ერთი ვარიანტი არ არის გამორიცხული ამ ეტაპზე. შესაძლოა, „გორელები“ პოლიტიკურ პარტიად გადაკეთდეს. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, პარტიას სხვა სახელი დაერქმევა. მე უფრო მისაღებად მიმაჩნია, რომ სხვა პოლიტიკურ ძალასთან ერთად მივიღოთ არჩევნებში მონაწილეობა, ეს უფრო გონივრული იქნება. ბოლოს და ბოლოს, საზოგადოებრივი მოძრაობა ვართ, კი, ბატონო, 16 000 წევრითა და კიდევ უამრავი სხვა მხარდამჭერით, მაგრამ ეს ხალხი უმთავრესად შიდა ქართლის მაცხოვრებლები არიან. შესაბამისად, რეგიონულ ფარგლებს რომ გავცდეთ, უფრო სერიოზული ამბიციები რომ გვქონდეს, სხვა პოლიტიკურ ძალებთან გაერთიანება უფრო მნიშვნელოვანი და ეფექტური იქნება.

**— რამ გადაგაწყვეტინა პოლიტიკაში მოსვლა?**

– მოდი, რა, გულწრფელად გეტყვი. გორში პატარა ბიზნესი მაქვს, არავისზე არ ვარ დამოკიდებული, არავინ მერჩის და არც მე ვერჩი ვინმეს. ერთადერთი ქართველი მოკრივე ვარ, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი გახდა 1997 წელს, როცა ისიც გასარკვევი იყო, ქვეყანა საერთოდ გვექნებოდა თუ არა. ვარ საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მოკრივე, როგორც მოყვრულთა, ასევე პროფესიონალთა შორის. არ მინდა, რა, საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ ფაქტია, დაფასებული ადამიანი ვარ, ამ ქვეყნისთვის რაღაც კი არა, ძალიან ბევრი გამიკეთებია. წესით, ასეთ დროს კაცმა პოლიტიკისგან თავი შორს უნდა დაიჭიროს, ანუ აუტკივარი თავი არ უნდა აიტკიოს. თუმცა, ჩემნაირი კაცი ამ მოვლენებს, რაც ქვეყანაში ვითარდება, შორს ვერ დაუდგება და ამ თავს ვიტკიებ... არ შემიძლია, შორიდან ვუყურო, როგორ ირყვნება და ნადგურდება ეს ქვეყანა. ამ ფსევდოლიბერალებმა ძალიან აიშვეს. ყველა იმ ტრადიციის მოსპობა სურთ, რამაც დღემდე მოიყვანა საქართველო. ქართული ოჯახის განადგურება უნდათ, რაზედაც ეს ქვეყანაა დაფუძნებული. ეგენი თუ მიუშვი, ერთსქესიანთა ქორწინებასაც დააკანონებენ და მერე, მაგათ შვილის აყვანის უფლებასაც მისცემენ. აქედან არც ისე შორია ინცესტის დაკანონებამდე. ამის შეფარული პროპაგანდა უკვე მიმდინარეობს და ყველა უბედურება, რაც ევროპაში ხდება, მერე ჩვენთან გადმოდის და მის დამკვიდრებას აქ ცდილობენ. ახლა, ამაზე საშინელი რა უნდა იყოს? გარდა ამისა, უცხოეთიდან დაფინანსებული ეს ფსევდოლიბერალი არასამთავრობოები გააფთრებით ებრძვიან ქართულ ეკლესიასა და საქართველოს საპატრიარქოს, ისეთ უკადრებელს კადრულობენ ხშირად, ლამის ჭკუაზე გადაგიყვანონ კაცი და და ეკლესიისა და პატრიარქის შეურაცხყოფა ამათთვის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაა. მე რასაც ვეთაყვანები, ჩემთვის რაც სიწმინდეა, იმას რატომ მიგინებ? არ მოვთხოვო ამაზე პასუხი? მოვთხოვ კი არა, დედას ვუტირებ!!! ამათ აქვთ საქართველოს, ქართველი ხალხის გადაჯიშების გეგმა და ამ გეგმას მეთოდურად ასრულებენ. ეს რომ არ მოხდეს, ამისთვის იბრძვიან გარკვეული პოლიტიკური ძალები, მაგრამ ბევრნი არ არიან და მოვალედ ვთვლი თავს, რომ ამ ხალხს დავუდგე გვერდით.

დღეს საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა არ არის, ამერიკის ხელისუფლება წყვეტს საქართველოს ბედს. რუსეთს საქართველოს ტერიტორიების 20% აქვს ოკუპირებული, დანარჩენი 80% კი – ამერიკას. გორის საკრებულოს უკვე გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული, რომ სტალინის ძეგლი ძველ ადგილას დაედგათ, აღედგინათ. საკრებულოს 15 წევრიდან 13 თანახმა იყო და ყველას სათითაოდ ველაპარაკე. ამ დროს გამოხტა ამერიკის ელჩი იან კელი და აამუშავა თვისი ბერკეტები. ჩაშალა ეს საქმე. საკრებულოს წევრებზე სხვადასხვა სახის ზეწოლის შემდეგ, სტალინის ძეგლის დადგმის გადაწყვეტილება არ მიიღო საკრებულომ. ეს დამოუკიდებლობაა? ეს თავისუფლებაა? ერთი, თუნდაც სტალინის ძეგლის გორში დადგმა-არდადგმის ამბავი ამერიკის საელჩოში უნდა წყდებოდეს? შეხედე, რა ხდება ქვეყანაში. გოგი თოფაძე ლამის ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადეს იმის გამო, სიმართლეს რომ ამბობს და „რესპუბლიკურ პარტიას“ დაუპირისპირდა. რა თქვა განსაკუთრებული? „რესპუბლიკელებმა“ საგარეჯოში არჩევნები გააყალბესო და დაესივნენ. რა, არ გააყალბეს? დიახ, გააყალბეს!!! ახლა ვნახოთ, ამ საგარეჯოში გაყალბებულ არჩევნებს სადამდე მივყავართ. რა არის დემოკრატიის ფუნდამენტი და საფუძველი? თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნები და ამ არჩევნების შედეგად ხალხის მიერ არჩეული უმრავლესობის მიერ ქვეყნის, რეგიონის, ოლქის მართვა. აი, ეს არჩევნები, ანუ დემოკრატია, მისი საფუძველთა საფუძველი გამიყალბეს „რესპუბლიკელებმა“ საგარეჯოში, უშუალოდ თინა ხიდაშელმა და ეგენი მელაპარაკებიან ქვეყანაში დემოკრატიის აღმშენებლობაზე? დემოკრატიის საფუძველს მიყალბებ, შე ოხერო, დემოკრატიის ანბანს მიყალბებ და იმ დემოკრატიის დამცველად თავი მოგაქვს? ეგენი,

ჩემპიონი

„რესპუბლიკელები“ და მათი მხარდამჭერი არასამთავრობოები არიან დემოკრატიის მტერები. მაგათ ოღონდ ხელისუფლებაში ადგილი, ქვეყანაში გავლენა შეინარჩუნონ და ყველაფერზე წავლენ, მართლა სირცხვილია რა, ქვეყანას ჰყავდეს არჩევნების გამყალბებელი თავდაცვის მინისტრი.

**— კი ბატონო, ამ ყველაფერში გეთანხმები, მაგრამ სად არის ამ დროს ხელისუფლება, რომელსაც აქამდე არ უნდა მიეყვანა საქმე? სად არის „ქართული ოცნება“, რომელიც „რესპუბლიკელების“ „გაბლატავებას“ კი არა, ამგვარი ძალების ჩაჩოჩებას ჰპირდებოდა ხალხს და ეროვნულ ძალებზე დაყრდნობილ ხელისუფლებას? ამათ უნიათობაზე რას იტყვი?**

– ამ ხელისუფლებას სერიოზული შეცდომები აქვს და ამაზე არ დავხუჭავ თვალს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ქართულმა ოცნებამ“ ხალხს არ შეუსრულა მთავარი დაპირება, სამართლიანობა არ აღადგინა ქვეყანაში და ეს არჩევნებზე დახვდება წინ. არა, ამას გამართლება არ აქვს. თუნდაც ამ სამართლიანობის აღდგენის, ქონების დაბრუნების კუთხით ვილაპარაკოთ. გაკეთდა რამე? უმცირესი... ვისაც ქონება წაართვეს, 95% ისევ ქონებაწართმეულია და ამ ხალხის ქონება „ნაციონალებისა“ და მათთან დაახლოებული ბიზნესკლანების ხელშია. ამ ხალხს უნდა დაუბრუნდეს ეს ქონება. ამისთვის მე ყველაფერს გავაკეთებ, თუ პოლიტიკაში მოვედი. სამართლიანობა უნდა აღდგეს ქვეყანაში და ამას ალტერნატივა არ გააჩნია.

**— მოდი, სიმართლე ვთქვათ, გორში თუ მაჟორიტარად იყრი კენჭს, დიდი ალბათობით მოიგებ... ვიცი შენ მიმართ ხალხის დამოკიდებულება....**

– ალალად გეტყვი: კი, წესით, მაჟორიტარი ოლქის მოგება არ უნდა გამიჭირდეს, თუმცა ეს იმაზეც იქნება დამოკიდებული, რომელ პოლიტიკური ძალასთან ერთად ვიყრი კენჭს.

**— თუმცა, გორში არის ერთი დისკრედიტებული, მაგრამ მაინც რეიტინგული პოლიტიკოსი, ირაკლი ოქრუაშვილი, რომელმაც, შესაძლოა, სერიოზული წინააღმდეგობა გაგიწიოს. მასთან თუ გაქვს რამე საერთო?**

– არა, ირაკლი ოქრუაშვილთან არანაირი საერთო არ მაქვს.

**— დაბოლოს, რომელ პოლიტიკურ ძალებთან გექნება მოლაპარაკება და იგულისხმება თუ არა მათ შორის „ქართული ოცნება“?**

– მოდი, ვთქვათ რა პირდაპირ. არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც საქართველოს „პედერასტიზაციას“ მხარს უჭერს, არანაირი კონსულტაცია „გორელებს“ არ ექნებათ.



**„დაფასებული ადამიანი ვარ, ამ ქვეყნისთვის რაღაც კი არა, ძალიან ბევრი გამიკეთებია. წესით, ასეთ დროს კაცმა პოლიტიკისგან თავი შორს უნდა დაიჭიროს, ანუ აუტკივარი თავი არ უნდა აიტკიოს. თუმცა, ჩემნაირი კაცი ამ მოვლენებს, რაც ქვეყანაში ვითარდება, შორს ვერ დაუდგება და ამ თავს ვიტკიებ“**



**„რუსეთს საქართველოს ტერიტორიების 20% აქვს ოკუპირებული, დანარჩენი 80% კი — ამერიკას... ეს დამოუკიდებლობაა? ეს თავისუფლებაა? ერთი, თუნდაც სტალინის ძეგლის გორში დადგმა-არდადგმის ამბავი ამერიკის საელჩოში უნდა წყდებოდეს?“**

# „ჭორი გამოვიდა, რომ მაგდა და თავისი საყვარელი გაპარვას აპირებდნენ“ — პაპიძის დედამთილის სკანდალური ინტერვიუ



ქმარ-შვილის მკვლელობაში ბრალდებული მაგდა პაპიძის დედამთილი დუმილს არღვევს და „ნანუკას შოუსთვის“ მიცემულ ინტერვიუში დეტალურად იხსენებს იმ დღეს, როდესაც მისი შვილი და შვილიშვილი მოკლული იპოვეს.

ლილი მინდიკაურის თქმით, იმ ღამეს მის რძალს აღელვება არ ეტყობოდა და მშვიდად მოქმედებდა.

– მითხრა, რომ ომარმა ბავშვი ხაჭაპურის საჭმელად წაიყვანა. ძალიან რომ დააგვიანდათ, ვუთხარი, მოგვეკითხა. ომარის მეურნეობაში ჰყავდა ძმაკაცი. ვუთხარი მაგდას, დაურეკე, იქნებ იქ წაიყვანა ბავშვი-თქო. მითხრა, ვერ დავურეკავ, რადგან მიბრაზდება, როდესაც მას ან მის ძმაკაცს ვურეკავო. შემდეგ მე გადავწყვიტე, ომართან დამერეკა. ზარი გავუშვი, მაგრამ არ მიპასუხა. ღამის 2 საათი იყო, მაგდას დავურეკე, მოვიკითხე ომარი და ბავშვი. მითხრა, არ მოსულანო. ასევე, მითხრა, ეხლა მანქანით ვერ გავალ, პატრულის მეშინიაო, „პრავა“ არ ჰქონდა, ისე დადიოდა ქალაქში. ისე გავალ ფეხით, გავხედავო. კაი, მეც გამოგყვები-თქო, ვუთხარი. ამის თქმა იყო და ტელეფონი გამითიშა. როდესაც გასასვლელად მოვემზადე და გავედი, მაგდაც ამ დროს გამოვიდა. მითხრა, მესიჯი მომწერა და ეხლა მათ დასახვედრად გავდივარო... შედი და დაიძინე შენო. შევედი სახლში მეც. თუმცა ვერ დავიძინე, – იხსენებს მინდიკაური.

მისი თქმით, რამდენიმე ხნის შემდეგ კარზე ბრახუნმა გააღვიძა. მას მაგდამ უთხრა, რომ ომარი და თორნიკე გარეთ დასისხლიანებულები ეყარნენ.

– გასასვლელთან ეგდო ომარი. რომ მივედი, სულ მთლად გაყინული იყო. დავიწყე კივილი, ხალხს საშველად დავუძახე. ამ დროს მაგდა სად იყო და რას შვრებოდა, არ მახსოვს. რამდენიმე წუთში გამახსენდა ბავშვიც. ვიკითხე, თოკო სად არის-თქო და მანქანაშიაო, მითხრა. რომ მივედი ბავშვი „სიდენიების“ შუაში იყო ჩაკეცილი. იქიდან რომ ამოვიყვანე, ბავშვი ჯერ კიდევ თბილი იყო. სასწრაფო რომ მოვიდა თქვა, ორივე მკვდარიაო, – ამბობს მინდიკაური.

მკვლელობის მოტივზე იგი ვერაფერს ამბობს, თუმცა ერთ ჭორს იხსენებს, რომელიც რძალთან დაკავშირებით გაიგო.

– ჭორი გამოვიდა, რომ მაგდა და თავისი საყვარელი რამდენიმე დღეში გაპარვას აპირებდნენ, – ამბობს მინდიკაური.

## „ბრიტანეთის გასვლა ევროკავშირიდან მხოლოდ რუსეთს სურს“



– არც ერთ ჩვენს მოკავშირეს, არც აშშ-ს, არც ავსტრალიას, არც ზელანდიას, არც კანადას, არც სხვას არ სურს ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა. ფაქტობრივად, სიმართლე რომ ითქვას, ერთადერთი, ვისაც ეს სურს, არის რუსეთი. ამით ყველაფერია ნათქვამი, – განაცხადა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივანმა ფილიპ ჰემონდმა ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენის კამპანიის პრეზენტაციისას.

ჰემონდმა „ბიბისის“ რადიოსთან ინტერვიუში ასევე გააკრიტიკა ბრიტანეთის გასვლის მომხრეთა კამპანია:

– ისინი გვთავაზობენ მხოლოდ ევროკავშირის დატოვებას, მაგრამ არაფერს ამბობენ შედეგებზე, არც შემოთავაზებები აქვთ ალტერნატიული, არანაირი დეტალები, სანაცვლოდ პრაქტიკულად არაფერს გვათავაზობენ, – აცხადებს ჰემონდი. (euronews.ge)

## თამაზ მეჭიაური: არ არის საჭირო, ევროკავშირს დროშით სადგისი უჩხიკინო



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თამაზ მეჭიაური კოალიციაში მიმდინარე პროცესებს აფასებს და „რესპუბლიკელებისა“ და „მრეწველების“ დაპირისპირებას ზედმეტად დრამატიზებულს უწოდებს.

მისი განმარტებით, არავის აქვს იურიდიულად უფლება, გოგი თოფაძეს დაატოვებინოს პარლამენტი, გარდა პარლამენტისა და იმ კაცისა, რომელმაც ის საარჩევნო სიაში გაიყვანა.

ხოლო თინა ხიდაშელის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ გოგი თოფაძე რუსული ინტერესების გამტარებელია, ასე აფასებს:

– ერთნი მიდიან დასავლეთისკენ მაქსიმალურად წყნარად და უსაფრთხოდ გადაადგილდებიან. ითვალისწინებენ, ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან საფრთხეებს. მეორეებს ხელში უჭირავთ ევროკავშირის დროშა, მეორე ხელში წითელი ნაჭერი და უფრიალებენ ვიღაცებს, რომ იქნებ ჩაითრიონ ამით. მე წყნარად სიარულს ვარჩევ, ევროკავშირის დროშით, არ არის საჭირო უჩხიკინო კიდევ სადგისი, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა. (ipress.ge)



გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

# „ჰომოფობ“ „ალიას“ ტრანსგენდერები შველას სთხოვენ!

**ტრანსგენდერ მარიას ემუქრებიან და დახმარებას „ალიას“ სთხოვს! კინწურაშვილსა და მისთანებს ერთხელ მაინც უკითხავთ ამ ადამიანებისთვის, რა ხდება, რა უჭირთ? არა, არ უკითხავთ და არც აინტერესებთ, ისინი მხოლოდ „დანოსების“ წერით არიან დაკავებულნი და ამაში იღებენ ასი ათასობით დოლარს**

**წესით, როცა ხელისუფლება შეიცვალა და თითქოს „ნაცმოძრაობა“ გადაშენების გზას დაადგა, კინწურაშვილები კინწისკვრით უნდა გაერეკათ, მაგრამ ასე არ მოხდა, ისინი ისევ დიდ პატივში არიან, ეს არ იყო ჩვენი ოცნება და ამომრჩევლებმა ეს მნიშვნელოვანი დეტალი აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ 2016 წლის ოქტომბერში!**







„ნაციონალმა“ თამარ კინწურაშვილმა თავისი „მედიის განვითარების ფონდის“ საშუალებით და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებით კიდევ ერთხელ გვამხილა ჰომოფობიაში, სიძულვილის გაღვივებასა და რასიზმში. დიახ, მისი კვლევა ჩატარებულა რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისიის მეხუთე ციკლის გეგმით და მოიცავს 2012 წლიდან 2015 წლის 17 ივნისის ჩათვლით არსებულ ვითარებას. ანგარიშში ცალკე თავადაა გამოყოფილი მედია, სადაც ვკითხულობთ:

„მედიის განვითარების ფონდის“ მოპოვებული ინფორმაციით, 2013-2014 წლებში „ობიექტივმა“ მიიღო, სულ მცირე, 25000 აშშ დოლარი, ხოლო გაზეთებმა „ალიამ“ და „კვირის პალიტრამ“ ერთად დაახლოებით 20 000 აშშ დოლარამდე სამინისტროებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისგან სარეკლამო კონტრაქტებისა და სხვა ხელშეკრულებათა სახით. „მედიის განვითარების ფონდი“ იძლევა რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ გადახედოს მის კონტრაქტებს მედიასაშუალებებთან და გააუქმოს, ან განაახლოს ისინი, თუ მედია შეიმჩნევა რასისტულ ან ჰომო-ტრანსფობიულ სიძულვილის ენის გამოვლენაში. ხელისუფლებამ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მომავალი კონტრაქტები შეიცავდნენ დათქმას კონტრაქტის გაუქმების შესახებ, თუკი მედიაში გამოვლინდება რასისტული ან ჰომო-ტრანსფობიური სიძულვილის ენა.

ასევე ყურადღებაა გასამახვილებელი შემდეგ პრობლემურ ტენდენციებზე: მზარდია ისლამოფობიური სიძულვილის ენა, ეს უნდობლობა კარგად ჩანს, მაგალითად, მაშინ, როცა აჭარელ მუსლიმებს თურქეთის აგენტებად სახავენ. 2015 წლის იანვარში გაზეთი „კვირის ქრონიკა“ წერდა: „ყოფილმა პრეზიდენტმა ქართული პასპორტი მისცა 10 000-მდე უცხოელ მუსლიმს... აქცია, რომელიც ისედაც გათურქების საფრთხის წინაშე იდგა. დღეს ყველამ იცის, რომ ამ მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი ისლამური სახელმწიფოსთვის იბრძვის სირიაში“. ტელეარხი „ობიექტივი“ დიდი ხანია ატარებს ანტითურქულ სარედაქციო პოლიტიკას, რაც კარგად ჩანს სხვადასხვა ტოქშოუში წამყვანთა კომენტარებით და სტუმრების შერჩევითაც. ეს ტელევიზია ეწეოდა ასევე კამპანიას ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის წინააღმდეგ. სიძულვილის ენა სხვა რელიგიურ უმცირესობებსაც ეხება. მას შემდეგ, რაც მთავრობამ გადაწყვიტა, საკომპენსაციო დაფინანსება მიეცა მუსლიმების, სომხეთის აპოსტოლური ეკლესიის, კათოლიკებისა და იუდეველთათვის, ობიექტივის წარმომადგენელმა შენიშნა: მაშინ ბარემ სატანისტებიც დაგვეფინანსებინაო. 2014 წელს თბილისში საერთაშორისო ფესტივალი მოაწყო ქრისტიანულ-ევანგელისტურმა ეკლესიამ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ალია“ წერდა: „ეს ჩვეულებრივი ანტიქრისტიანული შეკრებაა და მას არავინ არ უნდა დაესწროს“. „მედიის განვითარების ფონდის“ მონიტორინგის პროექტმა 2014 წელს შემთხვევათა ყველაზე დიდი რიცხვი აღნუსხა „ლგბტ“-ს წინააღმდეგ სიძულვილის ენის სფეროში — 41 ინციდენტი სამი თვის განმავლობაში... ჟურნალმა(???! — რედ.) „ასავალ-დასავალმა“ ანტიდისკრიმინაციულ კანონს „პედერასტების კანონი“ უწოდა. სიძულვილის ენა ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა მიმართ, ასევე „ლგბტ“ პირების წინააღმდეგ, კვლავ ფართოდ გავრცელებული პრობლემაა საქართველოში“.

ისე, ჩვენ რომ ერთ მშვენიერ დღეს „გამოვსწორდეთ“ და „რასისტები“ გავხდეთ „ლიბერასტები“, ხომ დარჩებიან კინწურაშვილნი და მისნაირები უმუშევრები? რომ არა ჩვენ, ვეღარ მიიღებდნენ გრანტებს ნიდერლანდების სამეფოდან, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტიდან, საარჩევნო სისტემების განვითარების ცენტრიდან, გაეროს ასოციაციიდან, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოდან და ასე შემდეგ. ვერაფერს იტყვი, კინწურაშვილებს კარგად ეხერხებათ ცრუ „დანოსების“ წერა საერთაშორისო ორგანიზაციებში. სამწუხაროა, რომ ამაში ჩვენს ფულსაც იყენებენ, რადგან წურბელებივით ჩაასხდნენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და მთელ ქვეყანას აბოლებენ, საარჩევნო გარემოს ვაუმჯობესებთ, ამომრჩეველთა ცნობიერებას ვამაღლებთო. კინწურაშვილი ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევს, 2013-2014 წლებში „ალიას“ და „კვირის პალიტრას“ რეკლამისთვის 20 ათასი აშშ დოლარი მიუღიათ, არიქა, ხელშეკრულებებს გადახედეთ და გააუქმეთ, თუ არ გააუქმებთ, პირობა მაინც დაადებინეთ, რომ სექსუალურ უმცირესობებს შეურაცხყოფას აღარ მიაყენებენ და რასისტულ გამოხდომებს ადგილი აღარ ექნებაო... ამ თემაზე ჩვენ ადრეც დავწერეთ და ახლაც თვალებზე ავაფარებთ ქალბატონ თამარს ამ ციფრებს, რაც „ალიას“ სახელმწიფოსთვის აქვს გადახდილი და მკითხველმა განსაზღვროს, „ალიაა“ ვალში ხელისუფლებასთან თუ პირიქით!

**ამ „ბრალდებას“ „ალიამ“ მაშინვე გასცა საკადრისი პასუხი: პირველი — არაფერი მოუცია ხელისუფლებას, მაგრამ დავუშვათ, და თუკი ჩვენთან განათავსეს 48 ათას 600 ლარის რეკლამა, ამ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლოს სახით გადახდილი გვაქვს 267 ათას 897 ლარი და 53 თეთრი. ესე იგი, გავეცით გაცილებით მეტი, ვიდრე მივიღეთ; მეორე — საქართველოს მთავრობამ გააკეთა განცხადება, რომ ეს არის გაზეთების გამოწერის თანხა. დიახ, ეს ის გამოწერაა, რომელიც კინწურაშვილის მამამარჩენალმა, მიხეილ სააკაშვილმა აკრძალა სახელმწიფო უწყებებში. ეს ჩვენი გაზეთების გამოწერა აკრძალა, თორემ თავის ბუჭურა პრესას და ჟურნალისტებს ლამის მილიონებს აყრიდა.**

**რაც შეეხება მეორე ბრალდებას. მე მაქვს გონივრული ეჭვი, რომ სექსუალურ უმცირესობებს ამ ქვეყანაში ავიწროებენ და პრობლემებს უქმნიან ის ორგანიზაციები, რომლებიც ხეირობენ დაძაბული სიტუაციით. ჩვენ შეიძლება გვქონდეს განსხვავებული აზრი, მაგრამ არც ვინმეს დაშინება გვინდა, არც ვინმეს „მოკვდინების“ სურვილი გვაქვს და არც ვინმეს ლოგინში ვუძვრებით.**

**ტყუილი არ თქვა მიხეილ სააკაშვილმა, ჩვენი საერთაშორისო „მეგობრები“ ცოტა წაუდებილებენ, ფულს აძლევენ იმ მაფიოზურ წარმონაქმნებს, რომლებიც საერთოდ არ ზრუნავენ დაჩაგრულ სექსუალურ უმცირესობებზე, ესენი „დეპეშებს“ მხოლოდ იმის შესახებ აგზავნიან, ზედელაშვილმა სიტყვა „პედერასტი“ იხმარა თუ „მეტრაკე“. სინამდვილეში კი რა ხდება? მაგალითად, ტრანსგენდერი მარია კასენკო ორიოდე დღის წინ ასეთ რამეს მეუბნება:**

– წუხელ, 3 საათზე ბათუმში თავს დამესხა 2 ახალგაზრდა, როდესაც ქუჩაში ვმუშაობდი. ძალიან შემეშინდა. არ ვიცი, არც ერთმა ტაქსმა არ გამიჩერა, არც პატრულმა იმოქმედა. ბოლოს ერთმა ღვთისნიერმა ადამიანმა წამომიყვანა, – შვილო, მოგკლავენო. ძალიან მეშინია, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვიქცე, არანაირად არ გვაძლევენ მუშაობის საშუალებას. მე ბათუმში ერთადერთი ტრანსი ვარ, რომელიც ქუჩაში ვმუშაობ. ქუჩაში აღარ გავალ, მაგრამ როგორ ვიცხოვრო? ახლა სახლში ვარ, ღმერთის წყალობით ყველაფერი კარგადაა, არ მინდოდა, ამის შესახებ მეთქვა, მაგრამ როდემდე? ეს არ არის პირველი შემთხვევა!

**— მარია, შეგიძლია, მითხრა, რატომ დაგესხნენ თავს?**

– მუშაობის დროს მოვიდნენ, როდესაც ქუჩაში ვიყავი და ცემა დამიწყეს. ჩემი ერთადერთი სამუშაო ადგილი ქუჩაა, სად წავიდე?!

**— პოლიციას მიმართე?**

– იქ იყო პოლიციაც, ვითომ არაფერი, ვითომ ვერ დაინახეს. ერთადერთი ტრანსგენდერი ვარ ბათუმში, ძალიან ცუდ სიტუაციაში ჩავვარდი.

ადამიანი, რომელსაც თავის წრეში ადელინა-პაულინას ეძახიან, მწერს, რომ მას სიკვდილით ემუქრებიან და ქუჩაში გამოსვლასაც კი ვეღარ ბედავს. რატომ, რისთვის, კონკრეტულად ვინ ემუქრება? ადელინა ისეა შეშინებული, ერთ-ერთ სოფელში წავიდა საცხოვრებლად. კინწურაშვილსა და მისთანებს ერთხელ მაინც უკითხავთ ამ ადამიანებისთვის, რა ხდება, რა უჭირთ და რატომ დაწანწალებენ ღამით ქუჩაში თუ მიყრუებულ სოფლებში? არა, არ უკითხავთ და არც აინტერესებთ, ისინი მხოლოდ „დანოსების“ წერით არიან დაკავებულნი და ამაში იღებენ ასი ათასობით დოლარს. კინწურაშვილებს ისე აინტერესებთ სექსუალური უმცირესობების ბედი, როგორც ახლა მე მაინტერესებს, რა ხდება ჩრდილოეთ კორეის ქალაქ ჩონგძინში, მათთვის მთავარია, დააფიქსირონ, რა აზრი აქვთ ზედელაშვილებს გეებისა თუ ლესბოსელების შესახებ. უცებ გააშანშალებენ ცრუ განცხადებას, ცრუ „დანოსს“ საელჩოებში, უცებ დახატავენ, როგორ ერჩის გაზეთი „ალია“ სექსუალურ უმცირესობებს, ამოიღებენ ციტატებს, რომლებიც საერთო კონტექსტიდანაა ამოვარდნილი და მორჩა, გრანტიც მზადაა. ამით რა იცვლება? არაფერი, წლების განმავლობაში მაფიოზური წარმონაქმნები აკეთებენ ფულს, ხელისუფლებას მოუწოდებენ, რომ პრესაში საერთოდ არ განათავსოს რეკლამა (ან რას ათავსებენ, რო?), არ გაუწიოს არანაირი შეღავათი და ეს უბედური სექსუალური უმცირესობები ისევ რჩებიან უბედურებასა და გაჭირვებაში. ეს იგივეა, ამერიკელები მილიარდებს რომ დებენ რუსეთის გინებაში და ქვეყანა კი ისევ რჩება ჭაობში. აბა, ერთი რა ფულსაც ლაყბობაში ხარჯავენ, ფაბრიკა-ქარხნების აშენებაში დახარჯონ, ვინმე თუ გაიხედავს რუსეთისკენ? აბა, ერთი რა ფულსაც კინწურაშვილებს აძლევენ, სექსუალურ უმცირესობებს დაახარჯონ, ხელი შეუწყონ, დაასაქმონ, რაღაც ბიზნესი დააწყებინონ, ვინმე მამაძაღლი თუ იტყვის რამეს?

**საერთოდაც, როგორ შეიძლება, თამარ კინწურაშვილის ორგანიზაციას ერქვას „მედიის განვითარების ფონდი“ და არა „მედიის დასამარების ფონდი“? თურმე ხელისუფლებამ გადაწყვიტა, დააფინანსოს საქართველოში არსებული ყველა კონფესია და ჩვენ ერთი ამბავი ავტეხეთ, თურმე ყოფილმა პრეზიდენტმა 10 ათას თურქს საქართველოს მოქალაქეობა მისცა და აქაც ერთი ამბავი ავტეხეთ, რადგან ჰომოფობები და რასისტები ვართ. ჩვენ ერთი მხრიდან ჩაგვჩიჩინებენ, რომ გაგანია დემოკრატიაში ვცხოვრობთ და მეორე მხრიდან პირზე „სკოტჩს“ გვაკრავენ, რომ ტაბუდადებულ თემებზე ხმა არ ამოვიღოთ. დიახ, ჩვენი ვალდებულებაა, დავინტერესდეთ, რატომ გადაწყვიტა ხელისუფლებამ ყველა კონფესიის დაფინანსება, როცა ქართული მართლმადიდებლური რელიგია არც ერთ ქვეყანაში ხელისუფლების მხრიდან არ ფინანსდება. დიახ, ჩვენ ვალდებული ვართ, დავინტერესდეთ, რატომ მისცა სააკაშვილმა 10 ათას თურქს საქართველოს მოქალაქეობა. აბა, რისთვის ვარსებობთ?!**

**ჰმ... პატივცემულო მთავრობავ, „ალიას“ რაღაც კაპიკები მიუღია რეკლამის სახით და ხელშეკრულებები გააუქმეთო... სასაცილოა, ჩვენ მიერ გადახდილი 100 ათასობით ლარიდან რაღაცა მიგვიღია და ესეც ყელში გაეჩხირათ უცხო ქვეყნების აგენტებს. იგივე ჩვენ მიერ გადახდილი თანხებით რომ კინწურაშვილები „ბაირამობენ“, ეს ხელშეკრულებები ვითომ რატომ არ უნდა გაუქმდეს? მით უმეტეს, ეს თანხები 100 ათასობით ლარია. წესით, როცა ხელისუფლება შეიცვალა და თითქოს „ნაცმოძრაობა“ გადაშენების გზას დაადგა, კინწურაშვილები კინწისკვრით უნდა გაერეკათ, მაგრამ ასე არ მოხდა, ისინი ისევ დიდ პატივში არიან, ეს არ იყო ჩვენი ოცნება და ამომრჩევლებმა ეს მნიშვნელოვანი დეტალი აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ 2016 წლის ოქტომბერში!**

# „ყელში ამოვიდა სოსო ჯაჭვლიანის ამორალური საქციელი! უნდა გადადგეს!“

## რას პასუხობს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი 170 სპორტსმენის ბრალდებებს?!

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



170-მდე მკლავჭიდელი, უმრავლესობის დეპუტატის, სოსო ჯაჭვლიანის მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტობიდან გადადგომას ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი უარს აცხადებენ როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე.

„სოსო ჯაჭვლიანი არცხვენს საქართველოს სპორტს, საქართველოს მთავრობას, პარლამენტს. ჯაჭვლიანი არ არის ღირსი, იწოდებოდეს ფედერაციის პრეზიდენტად და მას მალე გავუშვებთ ისტორიულ სანაგვეზე!“ – აცხადებენ მკლავჭიდელები.

რას ედავებიან სპორტსმენები დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანს? რა შედეგით დასრულდება მათი პროტესტი? რას უცხადებს „ალიას“, თავის მხრივ, სოსო ჯაჭვლიანი და რას უკავშირებს სპორტსმენების პროტესტს?

**„ალიას“ მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში, ვასილ დაუთაშვილი ესაუბრა:**

– დიდი ხანია, ეჭვები გვაქვს ფედერაციის მმართველობასთან დაკავშირებით. კანონით, ფედერაციის წევრობის უფლება სპორტსმენს აქვს განცხადების საფუძველზე. ფედერაციას კი უარის თქმის უფლება არ აქვს. სწორედ ამიტომ, 170-მა შედეგიანმა სპორტსმენმა (ევროპის, საქართველოს ჩემპიონები და ა.შ.) დავწერეთ მიმართვა და ოფიციალურად მივაწოდეთ ფედერაციის გამგეობას, რითაც ვითხოვდით ფედერაციაში გაწევრიანებას. ფედერაციის პრეზიდენტმა, სოსო ჯაჭვლიანმა, პირადი გადაწყვეტილებით, ისე, რომ არც კი შეკრიბა გამგეობა, უარი გვითხრა წევრობაზე. მას მერე, რაც იურიდიული მხარე ამოვწურეთ, გამოვედით ქუჩაში აქციებზე.

**— ფედერაციაში გაწევრიანებით რას იღებდით, რის უფლება გეძლეოდათ?**

– ფედერაციის წევრობა არჩევნებში მონაწილეობის, ხმის მიცემის უფლებას გვაძლევს. სოსო ჯაჭვლიანს კი, ამ ეტაპზე, ფედერაციაში გაწევრიანებული ჰყავს 6-7 კაცი, სულ მისი ახლობლები. საუბარია ისეთ ადამიანებზე, რომლებსაც საერთოდ არაფერი აქვთ შეხება სპორტთან – ზოგიერთი მეზობელია, ზოგიერთი ძმაკაცი... ჩვენი მიზანი იყო, ჩვენვე მიგველო მონაწილეობა ფედერაციის მართვაში, ჩვენ, სპორტსმენებს, გადაგვეწყვიტა, ვინ უნდა იყოს პრეზიდენტი და ა.შ. ამათ რომ იციან, ასე იქნება, ამიტომ არ უნდათ ჩვენი მიღება.

**— უფლება, რომ წევრები ყოფილიყავით, ახლა არ დაწერილა. ამის მიუხედავად, ამდენი ხნის განმავლობაში არ მიგიმართავთ წევრობის თხოვნით. მაინცდამაინც ახლა რატომ გახდა ეს ყველაფერი აქტუალური არჩევნების წინ?**

– ქართველი კაცი ხომ იცით როგორია? – ითმენს, ითმენს... სანამ შეუძლია... ჩვენც ასე ვიყავით, ვითმენდით – იქნებ სიტუაცია გამოსწორდეს-თქო... დიდი ხანია ეს პროცესები დაიწყო, მაგრამ შიგნით, ოჯახში ვცდილობდით ამის გამოსწორებას, მაგრამ ბოლოს ყელში ამოვიდა...

**— რა პრობლემებია, რა ვერ მოგვარდა?**

– ფედერაცია – მარტო სახელი არსებობს. ფედერაცია რომ ჰქვია, რაიმე შენობა, ან ოთახი მაინც ხომ უნდა ჰქონდეს? უნდა იკრიბებოდეს პრეზიდიუმი, უნდა იმართებოდეს ჩემპიონატები, სპორტსმენებს უნდა უშვებდნენ „ზბორებზე“... დარბაზი უნდა იყოს, დარბაზში წყალი უნდა იყოს და გათბობა. არაფერი მსგავსი არ არსებობს. ჩვენვე ვიხდით კერძო დარბაზებში სავარჯიშოდ ფულს.

სოსო ჯაჭვლიანი ორი წელია პრეზიდენტია და ამ ორი წლის განმავლობაში საქართველოში არ ჩატარებულა არც ერთი ჩემპიონატი, ტურნირი... ამ ყველაფერს კიდევ ეშველება, ისეთი პრობლემებია, მაგრამ არსებობს ის, რასაც არ ეშველება და ეს არის სოსო ჯაჭვლიანის ამორალური საქციელი.

**— რას გულისხმობთ?**

– ის, რასაც სოსო მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ვერ გამოასწორებს, არის შემდეგი რამ: სოსო ჯაჭვლიანმა გასული წლის ბოლოს, სხვა მწვრთნელები ამოწერა და თავისი თავი გაიფორმა ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად.

**— ეს რაში დასჭირდა?**

– მიზეზი არის შემდეგი – მთელი წლის მანძილზე სპორტსმენების მეირ მოგებული თანხის 50%, პრემიის სახით, ეკუთვნის მწვრთნელს. ამიტომაც ამოწერა კონკრეტული მწვრთნელი სოსო ჯაჭვლიანმა და ჩაიწერა თავისი თავი. დაირიცხა კიდეც პრემია, 100 ათას ლარზეა ლაპარაკი. სამინისტროც გვიდასტურებს, რომ ამ ოდენობის პრემია ნამდვილად დაირიცხა მან. ამას მოჰყვა ჩვენი რეაქცია და სამინისტროს თითქმის სამი კვირაა მივწერეთ წერილი, სადაც ვასაბუთებდით, რომ სოსო ჯაჭვლიანს ჩვენთან არ უმუშავია და ეს პრემია მას არ ეკუთვნოდა. ველოდებით სამინისტროს რეაგირებას.

ფედერაციის დაფინანსება, ჩვენი ინფორმაციით, არის 200 ათასი ლარი, ხოლო ხელფასებსა და პრემიებს სახელმწიფო ცალკე იძლევა. როცა ასეთ პირობებში ვართ, არანაირი ჩემპიონატი არ ტარდება და ა.შ. ამავდროულად გაუგებარია, რაში იხარჯება ეს 200 ათასი ლარიც. ამ ყველაფერში ჩახედვა გვინდა და ამიტომაა, უარს რომ გვეუბნება ჯაჭვლიანი ფედერაციის წევრობაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს თანხა ჯიბეშია ჩადებული. მიმდინარე წლის ბიუჯეტი ნახევარი მილიონი გახდა და რაში აპირებენ ამ თანხის დახარჯვას, ესეც გაუგებარია, იმიტომ, რომ წლის არანაირი გეგმა არ არსებობს.

**— ამჯერად რა გეგმები გაქვთ?**

– ამჯერად ასეთი ამბავია – მას მერე, რაც ხმაური ავტეხეთ, მივიღეთ შეტყობინებები, რომ 26-27 მარტს დანიშნეს ჩემპიონატი. შემდეგ „ფეისბუკზე“ ჩაასწორეს ინფორმაცია, რომ არა მარტში, არამედ 9 აპრილს ტარდება. ჩვენთვის არ აქვს მნიშვნელობა, როდის ჩატარდება, იმიტომ, რომ 100%-ით არც ერთი არ გამოვა შეჯიბრზე. ფაქტობრივად, უკვე ჩაშლილია ეს ჩემპიონატი. სანამ სოსო ჯაჭვლიანი და მისი გუნდი იქნებიან ფედერაციაში, ჩათვალეთ, რომ ჩვენ სპორტს ამ პერიოდის მანძილზე თავს ვანებებთ.

**— რა პერიოდს აძლევთ?**

– მაგათი დრო უკვე ამოწურულია! მაისში უკვე ევროპის ჩემპიონატია, ჩვენ არც ერთი არ ვვარჯიშობთ, ყველანი აქციებზე, დღე და ღამ ქუჩაში ვართ, ხომ ხედავთ?! სანამ ეგენი არ წავლენ, ჩვენ, არც ერთი, ვარჯიშს არ ვაპირებთ. ხომ ამბობენ, რომ მკლავჭიდი უყვართ და ამიტომ არიან ამ სპორტში, თუ ეს ასეა, მაშინ დატოვონ თანამდებობები, იმიტომ რომ მათ ხელში ეს სპორტი საქართველოში მკვდარია. ჩვენ გვინდა ევროპის ჩემპიონატზე წასვლა ჯაჭვლიანის გარეშე. უჩვენოდ კი ამ ჩემპიონატზე გაიხარებს მსოფლიო, ისეთი სახელი გვაქვს იქ... მაგრამ ვერ მიდიან ამ ფედერაციიდან, იმიტომ, რომ მაგათ სპორტი კი არა, ფული უყვართ, რომელიც მკლავჭიდის ფედერაციაშია. ვიბრძოლებთ ბოლომდე, მივმართავთ პრემიერსაც, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს კაცი ამ თანამდებობიდან რაც შეიძლება მალე წავიდეს!

**ვასილ დაუთაშვილთან საუბრის შემდეგ, „ალია“ უმრავლესობის დეპუტატს, სოსო ჯაჭვლიანს დაუკავშირდა. ჯაჭვლიანი დაუთაშვილის მონათხრობის საქმის კურსში ჩავაყენეთ, რის შედეგადაც მისთვის საუბარი — არასასიამოვნო, ჩვენთვის კი ხანმოკლე აღმოჩნდა:**

### დეპუტატის კომენტარი

– მე ამ სისულელეებზე ვერ ვისაუბრებ, ამისთვის არსებობს პროკურატურა და სასამართლო.

**— სპორტსმენებს კონკრეტული მაგალითები მოჰყავთ. პროკურატურამდე და სასამართლომდე იქნება საზოგადოებისთვისაც აგეხსნათ რამე...**

– დაიღალა ხალხი ამ სისულელეებით, რა პრობლემებიც ჰქონდათ და აქვთ, წელს იმხელა დაფინანსება მივიღეთ, რომ ყველა პრობლემა შესრულებულია და შესრულდება კიდევაც.

**— თუ ყველა პრობლემა ამოწურულია და დარჩენილი გვარდება, მაშინ რას აპროტესტებენ სპორტსმენები?**

– 2016 წლის არჩევნები მოდის, ამას ვუკავშირებ ამ ყველაფერს.

**— თუ ამის თქმა შეგიძლიათ, მაშინ იქნებ ისიც დაგვისახელოთ, ვის ინტერესებს ატარებენ?**

– ამაზე ამ ეტაპზე ვერ ვისაუბრებ. სპორტსმენებმა მიხედონ მკლავჭიდს.

**— თუ არ გადადგებით, ისინი უარს აცხადებენ როგორც საქართველოს, ასევე ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობაზე. გიღირთ თქვენი თანამდებობა ამად?**

– ყველას თავისი ნება აქვს, ვისაც უნდა, მიიღებს მონაწილეობას. ნუ მელაპარაკებით ამ საკითხზე, მოვრჩეთ.

**„ალია“ სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსაც დაუკავშირდა. დავინტერესდით, რა ეტაპზეა მკლავჭიდელების მიერ გადაგზავნილი წერილის განხილვა და რას უპირებენ სოსო ჯაჭვლიანს.**

**„მკლავჭიდელების წერილი სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სპორტის დეპარტამენტშია. დეპარტამენტი განიხილავს ამ წერილს. ატარებს მოკვლევას თავისი კომპეტენციის ფარგლებში. გადაწყვეტილების შესახებ უახლოეს მომავალში ეცნობებათ მკლავჭიდელებს“. — გვითხრა უწყების პრესსამსახურის ხელმძღვანელმა სოფო ჩაკვეტაძემ.**






ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ამერიკის სპეცსამსახურებმა „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერი დააკავეს



ელიტურმა ამერიკულმა სპეცსამსახურმა ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელმძღვანელი დააკავა და ის ერაყში, ქალაქ ერბილის წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული.

აღნიშნულ ინფორმაციას ამერიკული გამოცემა „The New York Times“ აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებზე დაყრდნობით ავრცელებს.

როგორც გამოცემას სამინისტროს წარმომადგენლებმა განუცხადეს, დაკავებული ტერორისტი შესაძლოა, ერაყის ხელისუფლებას ან ერაყელ ქურთებს გადასცენ. (pia.ge)

## სოსო ცისკარიშვილი პრემიერის განცხადებაზე — კენჭები ნასროლია როგორც ერთი, ისე მეორე პარტიის ბაღში

– ჩემი აზრით, კენჭები ნასროლია როგორც ერთი, ისე მეორე პარტიის ბაღში. არ გამოვრიცხავ, რომ ამ განცხადების შემდეგ, ვინმეს ბაღში ყვავილების თაიგულიც აღმოჩნდეს, – ამის შესახებ ექსპერტმა სოსო ცისკარიშვილმა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებაზე კომენტირებისას განუცხადა. ექსპერტის თქმით, მისთვის მოულოდნელი იყო პრემიერ-მინისტრისგან მუქარის ტონი.

– ჩემი აზრით, კენჭები ნასროლია როგორც ერთი, ისე მეორე პარტიის ბაღში, არ გამოვრიცხავ, რომ ამ განცხადების შემდეგ, ვინმეს ბაღში ყვავილების თაიგულიც აღმოჩნდეს. ბევრად უკეთესი იქნებოდა, რომ ასეთი ინფორმაცია ჰქონოდათ დაპირისპირებულ მხარეებს თუნდაც ერთი თვით ადრე, ქვეყანაში ამ თემაზე ზედმეტი შფოთი არ ყოფილიყო მედიასივრცის ჩართულობით. ვფიქრობ, პრემიერი მხარეებთან ინდივიდუალურ შეხვედრებში შეძლებდა, უფრო მალე მიეღწია იმ შედეგისთვის, რომლის სურვილიც მას აქვს, – განაცხადა სოსო ცისკარიშვილმა.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ რაც უფრო მალე დასრულდება ამ გაუგებრობაში ჩართულ ადამიანთა კამათი, მათ მეტი შესაძლებლობა ექნებათ განაგრძონ საკუთარი ვალდებულებების შესრულება.

– მე მივესალმები პრემიერ-მინისტრის სრულიად მკაფიოდ ჩამოყალიბებულ აზრს როგორც მთავრობის წევრთა მიმართ, ასევე იმ მეოცნებათა მისამართით, რომლებსაც პერსპექტივაში ჯერ კიდევ ელანდებათ სტალინიზმისა და პუტინიზმის დიდებით სარგებლობა, – განაცხადა სოსო ცისკარიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ძიძა ბავშვის მკვლელობას არ ნანობს



აღსაზრდელის სასტიკი მკვლელობისთვის დაკავებულმა გიულჩეჰრ ბობოკულოვამ მედიასთან დანაშაული აღიარა. მისი ქცევებიდან კი ირკვევა, რომ მოკლული გოგონა არ ეცოდება და ჩადენილ დანაშაულს არ ნანობს.

მოსკოვის სასამართლომ ბობოკულოვას აღკვეთის ღონისძიების სახით ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

სასამართლო შენობაში შესვლისას, დაკავებულმა ჟურნალისტების შეკითხვაზე, მოკლა თუ არა 4 წლის გოგონა, დადებითი პასუხი გასცა, ხოლო კითხვაზე, ნანობს თუ არა ჩადენილ დანაშაულს, უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

სასამართლო სხდომისას, გისოსებს მიღმა მყოფი ბობოკულოვა იღიმებოდა და ჟურნალისტებს ხელს უქნევდა.

## „გაჩუმდეს პაპიძის ოჯახი, დადუმდნენ გადაწყვეტილების მიღებამდე მაინც!“ — მარიამ კუბლაშვილი

ადვოკატი, მარიამ კუბლაშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე, მაგდა პაპიძის საქმესთან დაკავშირებით საკუთარ აზრს გამოთქვამს და მის ოჯახს გაჩუმებას ურჩევს, თუნდაც გადაწყვეტილების მიღებამდე.

– ჩემო ძვირფასო კოლეგებო!

ვინ აგიკრძალათ თქვენც წარმოგედგინათ საზოგადოებისთვის საპირისპირო მტკიცებულებები? ან საპირისპიროდ ნაკლები ისაუბრეს და ვუსმინეთ პაპიძის ოჯახის თავის მართლებას? მათ არგუმენტებსაც? იქნებ ესეც ზეწოლაა სასამართლოზე... ხოლო რატომ გააკეთა ეს ბრალდების მხარემ? მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო! დიახ, ამ საშინელი დანაშაულის მოსმენის შემდგომ ადამიანები ვართ, შოკირებულია სრულიად საქართველო. ბავშვები კითხულობენ თავისდაუნებურად, ისმენენ. დედები ყველაზე მეტად მძიმედ განვიცდით და ა.შ. დიახ, ვალდებულია სამართალდამცავი ორგანო, პასუხი გაგვცეს, გაგვარკვიოს მცირედ დეტალებში მაინც. ბრალდების მხარემ გარკვევით გამოაცხადა, რომ ეს მხოლოდ ნაწილობრივი მტკიცებულებებია, მცირედი. ის ფაქტი, რომ დაუშვებელ მტკიცებულებად ცნოს სასამართლომ ეს ნივთმტკიცებები, კი არარეალობა. რამდენი რამის თქმა მინდა... უდანაშაულობის პრეზუმფცია და ჩემი სამართლებრივი ცოდნა მაჩუმებს ამ ეტაპზე, რომ წინასწარ როგორმე გავჩუმდე. ერთს ვითხოვდი – თვალში ნაცარს ნუ აყრით ხალხს, გამაღიზიანებელია! ვინც იცის და ხვდება, რეალურად რაც ხდება, სწორედ მათთვის... გაჩუმდეს პაპიძის ოჯახი, დადუმდნენ გადაწყვეტილების მიღებამდე მაინც! – წერს მარიამ კუბლაშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე.

(ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# რატომ „გაღარიბდა“ ბიძინა ივანიშვილი 400 მილიონით?








**„ფორბსის“ 2016 წლის რეიტინგის მიხედვით, ბიძინა ივანიშვილის ქონება 400 000 000 დოლარით შემცირდა. „ფორბსის“ ცნობით, ქართველი მილიარდერი 2015 წელს მსოფლიოს მილიარდერთა სიაში 291-ე ადგილს იკავებდა 5.2 მილიარდი დოლარის ქონებით, ამჟამად კი მისი ქონება 4.8 მილიარდ დოლარადაა შეფასებული და შესაბამისად, 498-ე ადგილზე გადაინაცვლა.**

**„ფორბსის“ 2016 წლის მილიარდერების რეიტინგში მაიკროსოფტის დამფუძნებელი ბილ გეიტსი ლიდერობს 75 მილიარდი დოლარით, მეორეზე „ზარას“ დამფუძნებელი ამანსიო ორტეგაა... მოკლედ, ივანიშვილი ამ ერთ წელიწადში 400 მილიონი დოლარით გაღარიბდა. ბუნებრივად ჩნდება კითხვები და ამათგან ორი უმთავრესი: 1. ივანიშვილის სიმდიდრის შემცირება მის ბიზნესაქტივობის ნაკლებობას უკავშირდება? 2. ეს ის ფული ხომ არ არის, რაც ივანიშვილს ქართულ პოლიტიკაში მოსვლა დაუჯდა? ამ კითხვებით „ალიამ“ ექსპერტებს, გია ხუხაშვილსა და სოსო ცისკარიშვილს მიმართა.**

**გია ხუხაშვილი:**

– თუ ვინმე პოლიტიკას უკავშირებს ბიძინა ივანიშვილის ქონების ამ 400 მილიონი დოლარით შემცირებას, ის ხალხი უნდა გავაწბილო. ჩემი ვარაუდით, ბოლო პერიოდში დაფიქსირდა უძრავ ქონებაზე ფასების შემცირება, რამდენადაც ვიცი, ივანიშვილს უძრავ ქონებაში საკმაოდ სერიოზული თანხები ჰქონდა დაბანდებული და შესაძლოა, ეს ზარალიც ამით იყოს გამოწვეული.

**— ბატონო გია, ბიძინა ივანიშვილი საქართველოში არაერთ სახელმწიფო და საქველმოქმედო პროექტს აფინანსებს და ეს 400 მილიონი დოლარი ის ფული ხომ არ არის, რომელიც მან ქართულ ეკონომიკას ან ქველმოქმედებას შესწირა?**

– არა მგონია... მას აქვს გარკვეული საქველმოქმედო და სხვა სახის აქტივობები საქართველოში, მაგრამ მოდით, ასე თქვათ, ეს ყველაფერი პროექტების დონეზეა. ამ დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ივანიშვილის ქონებას ფული უკვე მოაკლდა. ლოგიკურად გამოდის, რომ ეს 400 000 000 დოლარი ჯერ არ მოხმარებია ამ პერსპექტიულ პროექტებს და ივანიშვილმა ეს ფული რაღაც გზით მაინც იზარალა. მე არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ ასე ვფიქრობ, რომ ეს ფული სწორედ უძრავი ქონების ბიზნესით იზარალა ივანიშვილმა. აქვე განვმარტავ: სავარაუდოდ, ივანიშვილმა ფული უძრავი ქონების ბიზნესში ჩადო და მოხდა აქტივების გაუფასურება.

**სოსო ცისკარიშვილი:**

– მედიის საშუალებით ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ბატონ ივანიშვილს წამოწყებული აქვს სასამართლო დავა კონკრეტული ფინანსური ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელიც მართავდა მის ფინანსურ ორგანიზაციებს და სავარაუდოდ, 100 მილიონი დოლარი მოხმარდა ამ საქმეს. ვიმეორებ, ეს დასავლური მედიისგან ვიცი. ეს დარწმუნებით შემიძლია გითხრათ და საკუთარი სურვილით სად რა გახარჯა, არ ვიცი. იმედია, ბატონი ბიძინა თქვენს გაზეთს არ დააყვედრის ამ საჯარო ინფორმაციას და სად დახარჯა ეს დანარჩენი 300 მილიონი, გეტყვით.

**— სანამ ბიძინა ივანიშვილი გვეტყვის, მანამდე იქნებ თქვენ აგვიხსნათ, ეს 300 მილიონი სად დახარჯა?**

– ჯერ არგანხორციელებულ პროექტებში, სადაც ივანიშვილი მოიაზრება დამფინანსებლად, ჯერ ფული არ დაბანდებულა და მართლა ვერ ვიტყვი, რომ ამ პროექტებში მან ფული ჩადო. ნურც იმას დავიჯერებთ, რომ სადმე უხილავ სეიფში გადაიტანა მან ეს თანხა. არ მიყვარს სხვის ჯიბეში ყურება და ფათური, თავდაჯერებით ვერ გეტყვით, სად დახარჯა ამ კაცმა ეს ფული.

**— ბატონო სოსო, ლარის დევალვაციის პერიოდში, სადღაც 6 თვეში, ბიძინა ივანიშვილის მხოლოდ ერთმა ბიზნესსტრუქტურამ, რაც ვიცით, „ქართუ ბანკმა“ 11,5 მილიონის მოგება ნახა... რაღაც ალოგიკური ხომ არ არის ეს 400-მილიონიანი ზარალი?**

### ფორბსი

– „ქართუ ბანკმა“ მართლა იხეირა ლარის გაუფასურების გამო და საკმაოდ დიდი მოგებაც ნახა, ისევე, როგორც სხვა ბანკებმა. ახლა რაც შეეხება „ქართუ ბანკის“ პერსპექტივას. უკანასკნელ ხანებში უკვე გამოიკვეთა, რომ, რასაც ადრე სხვადასხვა ბანკებში იხდიდა ხალხი, ახლა „ქართუ ბანკში“ იხდის. რაღა დარჩა? ის, რომ „ლიბერთი ბანკს“ პენსიის დარიგების უფლებას ჩამოართმევენ და „ქართუ ბანკს“ დაეკისრება ეს „მძიმე“ მოვალეობა. შესაბამისად, სოლიდურ ფულსაც იშოვის. აი, ამის შემდეგ ვილაპარაკოთ ბიძინა ივანიშვილის ბიზნესპატიოსნებაზე.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



### მთავრი

# ვინ ავიწროებს გადასასვლელ მდებარე ავტოსადგურის

**„კახი კალაძესა და ეკა ბესელიას თურქული კომპანია საქართველოს მიმართულებით ამ კომპანიის**



**რამდენიმე დღის წინ ვაგზლის მოედნიდან, გადასასვლელ ხიდთან მდებარე ავტოსადგურიდან სამარშრუტო ავტობუსების მძღოლებმა დამირეკეს. აღშფოთებულები იყვნენ, იგინებოდნენ და იფურთხებოდნენ, ვერ გავიგეთ, ამ „ქართულ ოცნებას“ არჩევნების მოგება არ უნდა, ასე რატომ იქცევიანო? მოკლედ, ჩვენს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:**

– ბატონო გელა, ახლა იყვნენ მოსულები, გვითხრეს, თბილისის მერიიდან ვართო, თადარიგი დაიჭირეთ, ცოტა ხანში აქედან გახვალთო.

**— რატომ, რა გვინდაო?**

– კახი კალაძესა და ეკა ბესელიას თურქული კომპანია შემოჰყავთ, დასავლეთ საქართველოს მიმართულებით ამ კომპანიის „მარშრუტკები“ იმუშავებენო. ხელმძღვანელი ვინც იქნება, ის შეგხვდებათ, თავის პირობებს წამოგიყენებთ, თუ დასთანხმდებით, შეიძლება იმუშაოთ, თუ არა და დარჩებით მშივრებიო.

**— კონკრეტულად რამე შემოგთავაზეს?**

– არა, ჯერ არაფერი... უბრალოდ, გაფრთხილებთ, შემოდის ახალი კომპანია, შემოჰყავთ ახალი მანქანები.

**— ეს კონკრეტულად ვინ გითხრათ?**

– რა ვიცი, მოვიდნენ ვიღაცები და გვითხრეს.

**— როდესაც ვიღაცა მოდის და ასეთ რამეს გეუბნებათ, ხომ უნდა ჰკითხოთ, ვინ ხართ, კონკრეტულად საიდან ხართ?!**

– მარტო ეს თქვეს, მერიიდან ვართო. თქვენ ხელი მიგიწვდებათ, ვისაც ეს საქმე ეხება და იქნებ გაარკვიოთ?

**— კი, ბატონო, საინტერესოა, ეკა ბესელიას ვკითხავ, რა ავტობუსები შემოჰყავს და თვითონ გაარკვევს. თუ თქვენთან კიდევ მოვიდა ვინმე, საბუთი და ტელეფონის ნომერი მოსთხოვეთ და შემეხმიანეთ.**

– კი, მოვთხოვთ.

რა თქმა უნდა, ეს ამბავი უცვლელად გადავეცი ეკა ბესელიას, რომელისგანაც ასეთი კომენტარი მოვისმინე: „ღმერთო ჩემო, ეს რაღაა, რა ავტობუსები, რის ავტობუსე-

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

# იქნებ დედა გაგიჟდა და თქვა, ჩემი შვილი საზღვარგარეთ უნდა წავიყვანოო, მამას აღარაფერს ეკითხებიან? დიახ, თუ ამ ცვლილებებს პარლამენტი მიიღებს, ასე გამოდის!



იცით თუ არა, რომ პარლამენტში უახლოეს ხანში უნდა დაიწყოს ინიციატივის განხილვა საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის შესახებ? ასევე, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ? როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, ცვლილებების მიზანია ბავშვთა და ორივე მშობლის უფლებების თანაბრად და უკეთ დაცვა. თურმე დღეს არსებული რეგულაციების მიხედვით, არ არსებობს მექანიზმი, რომლითაც ბავშვის ინტერესი იქნება დაცული იმ შემთხვევაში, თუკი ერთ-ერთი მშობელი გადაწყვეტს, რომ მეორე მშობლის უკითხავად ბავშვი წაიყვანოს საზღვარგარეთ. რატომ? დღევანდელი კანონის თანახმად, არასრულწლოვანი შვილისთვის პასპორტის აღება საჭიროებს ორივე მშობლის თანხმობას, მაგრამ, თუკი პასპორტის აღების შემდეგ მშობლებს შორის მოხდება უთანხმოება და ერთ-ერთი გადაწყვეტს, არასრულწლოვანი შვილი სამუდამოდ გაიყვანოს საზღვარგარეთ, აქ (თურმე) ბავშვი არ არის დაცული, რომ არ გახდება ამ უთანხმოების მსხვერპლი. რას გვთავაზობენ ინიციატივის ავტორები? უნდა შეიცვალოს თანხმობის ფორმა, ანუ როდესაც მშობლები აიღებენ არასრულწლოვანი შვილისთვის პასპორტს, შეავსებენ სპეციალურ ფორმას, სადაც გააკეთებენ გათვითცნობიერებულ და ინფორმირებულ არჩევანს იმის შესახებ, რომ პასპორტი არის სამგზავრო დოკუმენტი და ეს ნიშნავს იმას, რომ ერთმა მშობელმა ბავშვი შეიძლება საზღვარგარეთ გაიყვანოს მეორე მშობლის თანხმობის გარეშე. აღნიშნული თანხმობის ფორმა დამტკიცდება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. უკაცრავად, აქ ცოტა დავიბენი და კანონპროექტის „მიზანი" ხელახლა გადავიკითხე... ესე იგი, აქ შავით თეთრზე წერია:

„კანონპროექტის მიზანია არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა და იმ საფუძვლების დაზუსტება, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, მასზე საქართველოს მოქალაქის პასპორტის გასაცემად, ნაცვლად ორივე კანონიერი წარმომადგენლის თანხმობისა, საკმარისია, ერთ-ერთი კანონიერი წარმომადგენლის კანონით დადგენილი წესით გამოხატული თანხმობის არსებობა". ნამდვილად არ გვეჩვენება, თუ დღეს არსებული კანონის თანახმად არასრულწლოვანზე პასპორტის გაცემას სჭირდება ორივე მშობლის თანხმობა, ცვლილებების შემთხვევაში საკმარისი იქნება ერთის თანხმობაც. კი, მაგრამ აქ ბავშვის უფლებების დაცვა უმჯობესდება თუ უარესდება? იქნებ დედა გაგიჟდა და თქვა, ჩემი შვილი საზღვარგარეთ უნდა წავიყვანოო, მამას აღარაფერს ეკითხებიან? დიახ, თუ ამ ცვლილებებს პარლამენტი მიიღებს, ასე გამოდის. მართალია, დასაწყისში გვამშვიდებენ, მშობლები სპეციალურ ფორმას შეავსებენ, რომელიც დამტკიცებული იქნება იუსტიციის მინისტრის ბრძანებითო, მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ აშკარად ილახება ერთ-ერთი მშობლის უფლებები? არა, ასე არ გამოვა, აქ რაღაც უკეთესი გამოსავალი უნდა მოიძებნოს, ან კიდევ კანონი დარჩეს ხელუხლებელი. ასევე შედის ცვლილებები „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონში. როგორც გვატყობინებენ, კანონპროექტის მომზადება განაპირობა იმ პრობლემურმა ვითარებამ, რომელიც საქართველოში ექსტრაკორპორული განაყოფიერების (სუროგაციის) გზით დაბადებული ბავშვის გაყვანასთან დაკავშირებით შეიქმნა. თურმე უკვე ყოფილა 6 კონკრეტული შემთხვევა, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის გაყვანა უცხოეთში მოხდა მოქმედი კანონმდებლობის გვერდის ავლით, სხვა ქვეყნების მიერ გაცემული დოკუმენტებით, კერძოდ, დიდ ბრიტანეთსა და ისრაელში. ამ გზით ბავშვის გაყვანისას კი იქმნება მისი ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევის რეალური საფრთხე. მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანების მე-19 მუხლით დადგენილია ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად გაჩენილი ბავშვის დაბადების რეგისტრაციის წესი, თურმე მაინც ახერხებენ და ქვეყნიდან გაჰყავთ ბავშვები. როგორ? მშობლების იდენტიფიცირება უნდა განხორციელდეს სასამართლოსთვის მიმართვის გზით, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის (ბავშვთან ნათესაური კავშირის – დედობის ან მამობის) დადგენის მოთხოვნით. სასამართლოს გადაწყვეტილება საკმარისი საფუძველია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის, რათა განახორციელოს ბავშვის დაბადების რეგისტრაცია და მშობლებიც დააფიქსიროს, მაგრამ, თუ სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, ასეთ სურათს მივიღებთ: 2015 წელს სერვისების განვითარების სააგენტოში 225 განცხადება დარეგისტრირდა. სრული შესაბამისობიდან გამომდინარე, მშობლების მონაცემების მითითებით განხორციელდა 169 ბავშვის დაბადების რეგისტრაცია. არ ყოფილა არანაირი პრობლემა. 225 განცხადებიდან 45 დაბადების აქტი დარეგისტრირდა მშობლების მონაცემების მითითების გარეშე, აქედან 11 დაბადების აქტს, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მომდევნო 3-4 თვეში ჩაემატა მშობლების შესახებ მონაცემები. დავების დანარჩენი ნაწილის სასამართლოში განხილვის პროცესი კი ჯერ არ დასრულებულა. აქედან 6 წყვილი არ დაელოდა სასამართლოს გადაწყვეტილებას, დაუკავშირდნენ თავიანთი ქვეყნების შესაბამის ორგანოებს, მოკლე დროში მოიპოვეს ბავშვისთვის საბუთები და ეს ბავშვები საქართველოდან გაიყვანეს, როგორც თავიანთი ქვეყნების მოქალაქეები (4 ისრაელში, 2 დიდ ბრიტანეთში). ამჟამად საქართველოს სამართალდამცავების მიერ მიმდინარეობს პროცესი იმის გასარკვევად, როგორ და რა პროცედურების შედეგად გახდა ამგვარი საბუთების მოპოვება შესაძლებელი. ერთი ნახეთ, რააა... ესე იგი, მხოლოდ 2015 წელს 225-მა ქალმა გააჩინა ბავშვი უცხოელი მოქალაქეებისთვის, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე ჩაისახა ამდენი ბავშვი და აქედან 6 აქვე დაარეგისტრირეს, როგორც დიდი ბრიტანეთისა და ისრაელის მოქალაქეები. ჩვენი ქვეყანა რა გამოდის, ინკუბატორი, სადაც შობადობა ყოველდღიურად მცირდება? კი, ბატონო, თუ კანონში ცვლილებები შევა, დაბადების სააქტო ჩანაწერში საკმარისი აღარ იქნება უცხო ქვეყნის მიერ ბავშვის სახელზე გაცემული რაიმე სახის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის არსებობა, მაგრამ ეს არის კი გამოსავალი? ბოლოს და ბოლოს, დაელოდებიან სასამართლოს გადაწყვეტილებას და ისე გაიყვანენ ბავშვებს...

## რას ჰპირდებიან?!

ბი, ეს ხომ სრული სიცრუეა"?! კი, ბატონო, მით უკეთესი, თუ სიცრუეა, მაგრამ მაშინ ასეთი პროვოკატორები უნდა მოიძებნონ და დაისაჯონ... თუ ამ ამბავს გაგრძელება ექნება, თუ ამ

## მუქარა

ხალხთან მსგავსი წინადადებით კვლავ მივა ვინმე, ისინი აუცილებლად დამიკავშირდებიან და ამ თემას უკვე უფრო სერიოზულად დავუბრუნდებით.

# ხიდთან მძღოლებს?

**შემოჰყავთ დასავლეთ „მარშრუტკები" იმუშავებენო..."**



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# პარლამენტმა მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციას მხარი არ დაუჭირა — ვინ წავიდა წინააღმდეგ



მარიხუანის დეკრიმინალიზაციის კანონპროექტის მიღებას 3 ხმა დააკლდა. ახალი პოლიტიკური ცენტრის „გირჩის" წევრის გოგა ხაჩიძის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს 47 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, მისი მიღებისთვის კი 50 ხმა იყო საჭირო.

მომხრე დეპუტატები:

ფოფხაძე გედევან, ქავთარაძე გიორგი, ყეინიშვილი ნანა, ჩხეტიანი დარეჯანი, ხალვაში ფატი, ნიშნიანიძე ომარი, მეჭიაური თამაზი, მაღრაძე გუგული, ბესელია ეკა, ბერძენიშვილი ლევანი, ბერძენიშვილი დავითი, ებანოიძე ნოდარი, საყვარელიძე ფრიდონი, კორძაია თამარი, ნერგაძე თეიმურაზი, წერეთელი მალხაზი, დოლიძე ვიქტორი, აბაშიძე ზურაბი, სუბელიანი კობა, ბაქრაძე დავითი, ბარამიძე გიორგი, ბოკუჩავა თინათინი, გაბაშვილი გიორგი, დარჩიაშვილი დავითი, რატიანი სერგო, კანდელაკი გიორგი, თაქთაქიშვილი ჩიორა, თარხნიშვილი ლევანი, თარგამაძე გიორგი(გივი), მაჭავარიანი მიხეილი, ცისკარიშვილი პეტრე, წერეთელი გიორგი(გიგი), ლონდარიძე ტარიელი, მკოიანი ენზელი, ბუკია გოდერძი, გოზალიშვილი გიორგი, სეხნიაშვილი გიორგი, ვახტანგაშვილი მალხაზი, ხაჩიძე გიორგი, ჯაფარიძე ზურაბი, დუმბაძე მურმანი, კუბლაშვილი პავლე, ვერულაშვილი მარიკა, ბოლქვაძე ანზორი, მისაბიშვილი გურამი, ფეიქრიშვილი გიორგი, ღვინიაშვილი გიორგი.

დეპუტატები, რომლებმაც კანონპროექტს მხარი არ დაუჭირეს:

ნუკრი ქანთარია, თემურ ჭკუასელი, შოთა ხაბარელი, ლერი ხაბელოვი, რუსლან პოღოსიანი, ზაზა პაპუაშვილი, ალი მამედოვი, ელდარ კურტანიძე, გოგლა ჟვანია, გია ჟორჟოლიანი, ივანე კიღურაძე, გიორგი ვოლსკი, ვლადიმერ აჩბა, მანანა კობახიძე, გიგა ბუკია, ბიძინა გუჯაბიძე, ზურაბ კაჭახიძე, პაატა კვიჟინაძე, ზვიად ძიძიგური, ანი მიროტაძე, თემურ მაისურაძე.

„გირჩის" განცხადებით, კანონპროექტის ჩაგდება მოსალოდნელი იყო, ამიტომ ისინი მარიხუანის მოხმარების გამო საპატიმრო სასჯელის გაუქმებას საკონსტიტუციო სასამართლოსგან მოითხოვენ. ამასთან დაკავშირებით აპც „გირჩს" სასამართლოში სარჩელი შეაქვს. (ნიუპოსტი)

## ჩვენ, პოეტები საქართველოს!





გელა ზედელაშვილი
555 48-48-61


# ნატოში არ გვიღებენ, სად ჩვენ და სად ევროკავშირი, რუსეთს კიდევ ისე უნდა, ჩვენ რომ არ გვინდა და რა გამოდის?!

მოკლედ, დღეს საკითხი ასე დგას – ნატო, ევროკავშირი თუ რუსეთი? არა, საკითხი არასწორად დგას, მაგრამ ვინაიდან ჩვენ ვერ ვართ ჩვენს „მატორზე“ ჯერ კიდევ ოდითგან, ფაქტია, დგას! ნატო-ში არ გვიღებენ, სად ჩვენ და სად ევროკავშირი, რუსეთს კიდევ ისე უნდა, ჩვენ რომ არ გვინდა და რა გამოდის? არაფერი, საქართველოს მოსახლეობა ღატაკდება, ქვეყნის ეკონომიკა უფრო ინგრევა, მილიონობით დოლარს ჩვენი ე.წ. მეგობრები ხარჯავენ იდეოლოგიურ ლაყბობაში და როგორც სოსო ჯაჭვლიანი იტყვის ხოლმე, სტაგნაცია სახეზეა. რაც მთავარია, პოეტები ღელავენ, განიცდიან, ნერვიულობენ და თავიანთებურად ხატავენ სიტუაციას. მაგალითად, არის ასეთი პოეტი – სელინი, რომელსაც ძალიან ბინძური ენა აქვს, მაგრამ ძნელია, რაღაც-რაღაცებში არ დაეთანხმო:

**„აღსდექ, ლაზარე და მოუვლინე**
**მსოფლიოს**
**იმპერიული ყ...ის ძლევამოსილება.**
**მიწა შენი შიშველი**
**მუტ...ითა მოსავლიანითა იკრიჭება,**
**აიწიე ნიფხავი,**
**რათა არ აცდუნო აგრესორის**
**კუტუები, ჩამოიბანე სხეულიდან**
**დამპყრობლის ფურთხი ბინძური,**
**აისხი აბჯარი,**
**გახსენ სათოფურები და**
**მწუხარების ნარღვევებს მიღმა**
**ტყანი მილიტარიზმის**
**ავტორიტარული ბოზები...**
**გაიჭიმე ლულით,**
**გაქაჩული ხიდით,**
**ქვეყნებში ბოზურში,**
**ჩაფლულებში სიმრუშეში და**
**ცოდვაში...**
**ახალი ქალაქების გეგმები მწიფდება**
**დემოკრატიის ტრაკში და**
**მისი არომატით მოჯადოებული**
**ღვთისმოსავი „მანდავოშკები“**
**ყოველ თმის ღერზე ევროკავშირის**
**დროშებს აფრიალებენ“.**

როდესაც ამერიკელები რუსეთის წინააღმდეგ წელიწადში 1 მილიარდ დოლარს ხარჯავენ, რათა არ გადავუხვიოთ პროდასავლური კურსიდან და ეს 1 მილიარდი დოლარი მიდის არა ხალხთან, არამედ რამდენიმე ჯაშუშურ ორგანიზაციასთან, ანუ მოღალატურ არასამთავრობოსთან, ბუნებრივია, ეს იწვევს უკიდურეს აგრესიას. რუსები საქართველოში არ ხარჯავენ მილიარდობით დოლარს, ისინი იარაღდებიან, რათა ერთ დღესაც, თუ საჭიროდ ჩათვლიან, ქვა ქვაზე დაგვიდუღონ. რუსეთი თითქმის არასოდეს ხარჯავდა ფულს იდეოლოგიაში, რადგან მოსკოვს არასოდეს სჯეროდა ცრემლების. ჩვენ დაგვაჩმორეს, ერთი მხრიდან ფულით გვიტევენ, მეორე მხრიდან – იარაღით. ერთით გვაცდუნებენ, მეორეთი – გვაშინებენ. პირველი უფრო მომხიბლავია, ვიდრე მეორე,





**„ნუთუ დაიწყო ახალი ერა?**
**ვერ დავიჯერებ, ვერა და ვერა!**
**სცენაზე კვლავ დგას და მღერის ბერა,**
**ზოგს კი თოფაძის ბოდვისაც სჯერა.**
**ოთახში დავკიდოთ სტალინის**
**პორტრეტი,**
**კვლავ ახატია ჟირაფი ასანთზე,**
**საქართველოს დამსახურებული პოეტი**
**გახდება ლევან ვასაძე!..“**

მაგრამ ძალა მაინც აღმართს ხნავს. ჩვენ საკუთარ წვენში გვხარშავენ, ეს წვენი უკვე იმდენადაა დაბინძურებული და მოსაქაფი, უკვე ველარ ვარკვევთ, რა ხდება გარშემო (ავტორი „მენემო“):

**„ნუთუ დაიწყო ახალი ერა?**
**ვერ დავიჯერებ, ვერა და ვერა!**
**სცენაზე კვლავ დგას და მღერის ბერა,**
**ზოგს კი თოფაძის ბოდვისაც სჯერა.**
**ოთახში დავკიდოთ სტალინის პორტრეტი,**
**კვლავ ახატია ჟირაფი ასანთზე,**
**საქართველოს დამსახურებული პოეტი**
**გახდება ლევან ვასაძე!**
**უკვე ათასჯერ გავიმეორე,**
**ჩემი კუმირია ილია მეორე,**
**მიყვარს „პროფილი“ და ჩხეიძე ნინო,**
**კრუასანები და ფრანგული ღვინო.**
**ვარ ორმოცი წლის, აღარ ვარ ბავშვი.**
**შვილო, ჩაგეგდო ჯიბეში ვაშლი,**
**არ გამიცივდე, ჩაიცვი წინდები,**
**დედა შემოგევლოს, თბილად იქნები.**
**ამხელა კაცები ზიან და ანძრევენ,**
**რუსეთში ნაშები ეგრევე გაძლევენ.**
**თუ ძმა ხარ, არ მკითხო, ვიცი საიდან,**
**კაკუშა იყო წასული ვანიდან.**
**ვაიმეე... რამდენჯერ გავიმეორე?**
**ჩემი კუმირია ილია მეორე,**
**მიყვარს „პროფილი“ და ჩხეიძე ნინო,**
**კრუასანები და ფრანგული ღვინო.**
**ამ დროს მოგევლინეთ ახალი მესია,**
**ჩემი სახელია ლევან მესია,**
**ხალხი ქუჩაში ერთად დამესია,**
**სულ ყველას ჩაგწერთ,**
**მომეცით მე სია!**
**დღეიდან შენ იქნები მონასტრის ბერი,**
**მოდი, შენ გახდები ქალაქის მერი.**
**შენ კი იქნები მთავარი მეღორე.**
**არ გინდა? ნუ გინდა, კარგად მეყოლე.**
**მესიავ! გამხადეთ მე თქვენი თუქსუსი,**
**აქამდე ვიყავი ქალების მუსუსი.**
**მე, მე გამხადეთ თქვენი მეზობელი,**
**ღმერთო, რატომ ხარ ასეთი ულმობელი?**
**ვაიმეე... ბოლოჯერ გავიმეორებ,**
**ჩემი კუმირია ილია მეორე,**
**მიყვარს „პროფილი“ და ჩხეიძე ნინო,**
**კრუასანები და ფრანგული ღვინო“.**

როგორც ამბობენ, ახლა 21-საუკუნეა. თუმცა ჩვენ ისევ იმაზე ვფიქრობთ, კაბინეტებში სტალინის სურათი უნდა გვეკიდოს, ედუარდ შევარდნაძის თუ ვასილ მჟავანაძის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფესვები გვაქვს კაი გვარიანად მომპალი. აი, რატომ ვერ ვაშენებთ მომავალს, როდის იყო, დამპალ ფესვებზე ახალი ნერგი ხარობდა? არა, ისე, მართლაც საინტერესოა, მაია ასათიანის „პროფილი“ უფრო მაგარია თუ ინგა გრიგოლიას „რეაქცია“? ნინო ჩხეიძე უფრო მაგარი მომღერალია თუ თინა ტერნერი? ჩემს ოთახში რომ გალაკტიონის სურათი დავკიდო, ხომ არავის ეწყინება, იქნებ სტალინის სურათი სჯობდეს? თინა ხიდაშელი ამტკიცებს, 2015 წლამდე ქართული ჯარი გოგი თოფაძის ლიმონათით მარაგდებოდა, მერე ტენდერი წააგო და ამიტომაც მიტრაკებსო. რა საჭიროა ჯარისთვის ლიმონათი, როცა გაზიანი სასმელი ორგანიზმს აფუებს? ხედავთ, რამდენი საშინაო პრობლემა გვაქვს მისახედი?!

---


ლაურა აბრამია
591 97-67-09



# „რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, სადისტი მართავს ქვეყანას თუ მატყუარა მთავრობა? ორივე უბედურებაა!“

**„შეხედეთ, რას ჰგავს დღეს ჩემი ქვეყანა, რას ჰგავს დღეს ჩემი თბილისი, ეს ის თბილისია? სააკაშვილი აშენებდა მაინც, ამათ დაანგრიეს მისი აშენებულიც და ახალსაც არაფერს აკეთებენ“**

**ჩვენი რუბრიკის სტუმარი, ბიზნესმენი თამაზ ელიზბარაშვილი, განათლებით ინჟინერია, ავტომატიკა-ტელემექანიკის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ამბობს, რომ პატარა ასაკიდან შრომობს, საღამოს სწავლობდა და დღე მშენებლობაზე მუშაობდა, ბავშვობის ოცნება იმდროინდელი მოდური მფრინავი, კოსმონავტი, ექიმი და ა.შ. არ ყოფილა, მისი ოცნება იყო, მდიდარი ადამიანი გამხდარიყო. ჰყავს მეუღლე, 10 შვილი და ორი შვილიშვილი.**

– ბავშვობიდან ვცდილობდი, ვყოფილიყავი დამოუკიდებელი, მქონოდა ჩემი შემოსავალი და მქონდა კიდეც. რაც შეეხება ჰობის, ჩემი მთავარი ჰობი არის ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ, აქედან მომდინარეობს ჩემი საქვეყნოდ ცნობილი საქმიანობა – ბრძოლა ცხოველთა უფლებების დასაცავად. ამას თავისი წინაპირობა ჰქონდა, ადრეულ წლებში, სწავლის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი ე.წ. პროფილით, ქარხანა „ელვაში“. აქ იყვნენ განვითარებადი ქვეყნებიდან უცხოელი სტუდენტები, ამ სტუდენტებთან ურთიერთობისას ჩამომიყალიბდა ალღო ბიზნესის კეთებისა და ხშირად მიხდებოდა ევროპის ძალიან ბევრ ქვეყანაში გამგზავრება შეხვედრებზე.

**— როდის და რამ გადაგაწყვეტინათ უპატრონო ძაღლებზე ზრუნვა?**

– ჩვენ ყოველთვის გვყავდა სახლში ძაღლები და ქუჩაში ამდენი უპატრონო ძაღლი იყო, გაოცებას იწვევდა და პარალელებს ვავლებდი. უცხოელ მეგობრებზე საუბარიც იმიტომ დავიწყე, რომ კავშირშია ამასთან. უცხოეთში ქუჩის ძაღლს, უბრალოდ, ვერ ნახავდი, მაოცებდა ევროპელების დამოკიდებულება საკუთარ ცხოველთან. შემდეგ სრულიად შემთხვევით შვეიცარიაში მოვხვდი ცხოველების თავშესაფარში და გაოგნებული დავრჩი, იქ რიგი იყო ადამიანების, რომ გამოეყვანათ საპატიო მიზეზით ჩაბარებული ძაღლები, ისეთები, ვთქვათ, პატრონი თუ ჰყავდა გარდაცვლილი, ან პატრონი მძიმედ ჰყავდა ავად და ვერ უვლიდა. ასეთ ძაღლებს პატრონის გარეშე თავი მიტოვებულად რომ არ ეგრძნოთ, ხალხი რიგში იდგა, რომ ეს ძაღლები გაესეირნებინათ, წარმოგიდგენიათ? მაშინ გამიჩნდა კითხვა – განა ჩვენც ადამიანები არ ვართ? ჩვენ რა გვჭირს?



**„სრულიად შემთხვევით შვეიცარიაში მოვხვდი ცხოველების თავშესაფარში და გაოგნებული დავრჩი... მაშინ გამიჩნდა კითხვა — განა ჩვენც ადამიანები არ ვართ? ჩვენ რა გვჭირს?“**

**— და რა გვჭირს?**

– ქართველებს იცით, რა სჭირთ? ვერ გაძლა ამათი კუჭები, არა მხოლოდ მთავრობა, ბიზნესმენები ბალიშებში რომ ტენიან ფულებს და საზღვარგარეთიდან მართავენ ბიზნესებს და იქ მიდიან და ყიდულობენ სახლებს, რა ცხოველებზე ზრუნვაზეა ლაპარაკი, ძაღლი კი არა, კაცი რომ ნახონ ქუჩაში წაქცეული, ხელს არ შეაშველებენ. მე ამ ჩემი საქმით, ჩემი ცხოვრების მთავარი გატაცებით მინდა დავანახო ჩემს მოსახლეობას, ჩინოვნიკებს, რომ, თუ სიკეთით და სიყვარულით არ ვიცხოვრეთ, ეს ქვეყანა გადაშენდება. 14 წელია მე ვარ პროტესტანტი, ვებრძვი სისასტიკეს, ჩვენ გვაქვს პრესსამსახური და ოფიციალური ვებგვერდები, სადაც ყოველდღე ქვეყნდება სხვადასხვა ისტორიები, სულისშემძვრელი ამბები, ცხოველებთან დაკავშირებული. პატრონისგან არასაპატიო მიზეზით მიტოვებული ძაღლი ისეთი მგრძნობიარეა, ზოგი დარდისგანაც კვდება.

**— სხვა გატაცებებზე რას გვეტყვით?**

– მე ბევრს ვმოგზაურობ, ჩემი საქმიანობებიდან გამომდინარე და შეიძლება ითქვას, რომ არ მღლის ეს, ვნახულობ ყველაფერს, რისი ნახვაც საინ-

## ჰობი

ტერესოა. ამდენად, ესეც ჩემი გატაცებაა. რაც შეეხება სპორტით გატაცებას, ერთი დღე არაა სპორტის გარეშე ჩემს ცხოვრებაში. ასე რომ, ესეც ჩემი ჰობია. ნადირობასთან რა დამოკიდებულება მექნება, ალბათ, მიხვდებით, ჩემთვის ძალადობასთან ასოცირდება და ვერ ვიტან. თევზაობასთან დაკავშირებით უტკბილესი მოგონებები მაქვს ბავშვობიდან, ხშირად დავყავდი მამას და ბიძას, ახლაც მიყვარს, დრო არ მაქვს, თორემ... და ისევ და ისევ განვმეორდები, ჩემი მთავარი ჰობი უსამართლობასთან, ძალადობასთან ბრძოლაა. ცხოველთა დაცვას რაც შეეხება, და ადამიანთა ურთიერთ-

# „რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ამაზე უარესი თუ რამე შეიძლება, არ ვიცი"

## „ეუუუჰ! დღე და ღამე გარეთ, ქუჩაში რომ გდიხარ ადამიანი, ამას რა შეიძლება დაერქვას?"

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33

**ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე არაერთ თვითდასაქმებულ ადამიანს ნახავთ. რისი ყიდვა არ შეიძლება აქ — სათამაშო ტარაკნებით დაწყებული, ოჯახიდან გამოტანილი ნივთებით დამთავრებული... არის რამდენიმე ადგილი, სადაც გარემოვაჭრეები ღია ცის ქვეშ წიგნებს ყიდიან. „პროფესიას" დღეს ორი რესპონდენტი ჰყავს და ორივე მათგანი სწორედ წიგნებით ვაჭრობს. როცა გაიგეს, რომ „ალიადან" ვიყავი, ინტერვიუზე სიხარულით დამთანხმდნენ, თუმცა ერთმა მათგანმა გვარის გამხელისგან თავი შეიკავა, ფოტოების გადაღებისას კი ორივემ ერთსულოვნად განაცხადა უარი, — არაა საჭირო, ისე ვისაუბროთო...**





**კახა ასათიანი, წიგნებით მოვაჭრე:**

– 7-8 წელია, რაც აქ ვარ, თუ მეტი არა. ღია ცის ქვეშ ვყიდი წიგნებს. სხვა შემოსავალი არაფერია და ვდგავართ აქ, რა ვქნათ, აბა? სამსახური არ გვაქვს და თვითდასაქმების პოლიტიკას ვეწევით, ბატონო.

— **კონკრეტულად წიგნების გაყიდვა რატომ გადაწყვიტეთ?**

– სხვა ვარიანტებიც მოსინჯულია ჩემგან, მაგრამ... წიგნებთან შეხება ისედაც მქონდა და აქედან გამომდინარე, ძალები უკვე აქ მოვსინჯე. ადრე წიგნების მაღაზია გვქონდა, იქ გადასახადები იყო, ვერ მოვახერხეთ ამდენი და წამოვედი. აქ არაფერს არ ვიხდი დგომაში ამ ეტაპზე... „ნაციონალური მოძრაობის" დროს აკრძალეს ერთი პერიოდი წიგნების გაყიდვა, მაგრამ მერე აღდგა და დღესდღეობით, წიგნების გაყიდვას არ გვიშლიან. წიგნებს, გაზეთებს, ყვავილებს არ ეხებიან, სხვა რაღაცების გაყიდვა კი არის აკრძალული, მაგრამ ახლა დგანან მაინც.

— **როგორია თქვენი ერთი სამუშაო დღე? საშუალოდ რამდენი ლარი გრჩებათ?**

– რა უნდა დარჩეს... პურის ფული შეიძლება იშოვოს ასე ადამიანმა. ვიბარებთ მეორად წიგნებს და ვყიდით. დღეში კარგ შემთხვევაში, 20 ლარია შემოსავალი, დილიდან საღამომდე აქ ვარ, სანამ ძალიან არ შემცივდება. ნებისმიერ ამინდში გარეთ ვდგავარ, ესაა უბედურება.

— **აქაურობა რომ გადახუროთ, თუნდაც ცელოფნებით, ამის უფლებას არ გაძლევენ?**

– რაღაც ისეთი რომ გააკეთო და გადახურო, არა, ამის უფლებას არ გვაძლევენ. როცა წვიმს ქოლგა კი გვაქვს ხოლმე, მაგრამ წიგნები ხომ მაინც ფუჭდება?

— **თქვენი ძირითადი პროფესია რა არის?**

– მე გახლავართ ინჟინერ-მექანიკოსი, სასწავლებელი 1994 წელს დავამთავრე, მაგრამ ჩემი სპეციალობით არ მიმუშავია. ისე, სკოლაშიც ვიმუშავე რამდენიმე წელი პედაგოგად, ტექნიკური განათლება მაქვს და ხაზვასა და მათემატიკას ვასწავლიდი, მაღალმთიანი ზონიდან ვარ და ამის უფლება მქონდა. როცა ვასწავლიდი, ჩემი ხელფასი 35 ლარი იყო, ახლა კი მოუმატეს პედაგოგებს ხელფასი, მაგრამ ჩემს დროს იმ მცირე თანხით თავის რჩენა ძნელი იყო და დავანებე თავი.

— **თქვენს ოჯახზე რას მეტყვით?**

– მყავს მეუღლე და ორი შვილი.

— **ძალიან კარგი. ყველაზე მეტად რომელი წიგნები იყიდება? რა უფრო მოთხოვნადია?**

– იყიდება მარტო მოსამზადებლები, საატესტატო, „აბიტურიენტები", სასაუბროები, ლექსიკონები... სკოლის წიგნები საჩუქრად გადაეცათ სკოლებს და აქედან გამომდინარე, აღარ იყიდება. მხატვრული წიგნები, ფაქტობრივად, არ იყიდება. თუმცა მათში ყველაზე მოთხოვნადია დათა თუთაშხია, დოჩანაშვილი, ჭილაძე...

— **რამდენად განათლებული თაობა გვყავს, როგორ ფიქრობთ?**

– რას მეუბნები! ეს ცოტა რთული შეკითხვაა (იღიმის). კითხვა არავის უყვარს და თუ ვინმე წიგნს ყიდულობს აქ, პენსიონერი ყიდულობს და ჩემი ხნის ხალხი. ახალგაზრდებს მხატვრული ლიტერატურა არ აინტერესებთ ნამდვილად.

— **თქვენთან წიგნის ფასი როგორია? მინიმუმი და მაქსიმუმი რომ ვთქვათ.**

– სასწავლო წიგნს ჩვენ ვყიდით 2 ლარიდან 5 ლარამდე, მეორადს. მხატვრულები კიდევ უფრო იაფია – 50 თეთრიდან დაწყებული, 2-3 ლარამდე. მე რომელი კლასიკოსებიც წეღან ჩამოვთვალე, მათი წიგნები შეიძლება ცოტა ძვირად გაყიდო, დანარჩენი ასეთ ფასებში... სიმართლე გითხრათ, წიგნს ფასი არ აქვს დღეს... ახალი წიგნები რაც იბეჭდება, ის კი არის ძვირი, მაგრამ მეორადი წიგნები ძალიან იაფია.

— **როგორ შეაფასებთ დღევანდელ სიტუაციას ქვეყანაში?**

– საერთო სიტუაციას? – ეუუუჰ! დღე და ღამე გარეთ ქუჩაში რომ გდიხარ ადამიანი, ამას რა შეიძლება დაერქვას? წლებია აქ ვარ და იმდენი ვინმე დაავადდა ჩემს ირგვლივ აქ, იმდენს შეექმნა პრობლემები... თუნდაც ბანკები ავიღოთ... აქ ვინც დგას, ყველა გაჭირვებულია, ყველას ერთი და იგივე პრობლემა აწუხებს.

ამ დროს ერთი ახალგაზრდა გოგონა მოდის და ჩემს რესპონდენტს ეკითხება – „ანა საოცრებათა ქვეყანაში" გაქვთო? ანა არა, მაგრამ ალისა კი მაქვსო, ღიმილით პასუხობს კახა და თავის ქნევით მეუბნება, აი, ბატონო, ამ ქალბატონს მაინცდამაინც ანა უნდოდაო...

**გოჩა, წიგნებით მოვაჭრე:**

– 7 წელი იქნება, რაც აქ ვარ და წიგნებს ვყიდი. შემთხვევით მოხდა, რომ აქ დავიწყე მუშაობა: ბავშვს წიგნები უნდოდა და რომ მოვიტანე, ჩაბარება მინდოდა და ასე შევყევი. იძულებული ვარ, აქ ვიდგე, სახლში ჯდომა არ გამოდის.

— **რა შემოსავალს გაძლევთ წიგნების გაყიდვა, მაგალითად, ერთი დღის განმავლობაში?**

– ეს უფრო სეზონურია, ასე ვერ ვიტყვი... ხან 15 ლარი გამოდის, ხან 20, ხან საერთოდ არაფერი არ შემოდის... სტაბილური შემოსავალი არ აქვს, მით უმეტეს ახლა და ზაფხული საერთოდ ძნელია. ხალხსაც უჭირს, უნდათ წიგნების ყიდვა, მაგრამ ფული არ აქვთ. აი, 5 ზღაპარი 2 ლარში გავატანე ახლა ამ ბიჭს... ვისაც კითხვა უნდა, ეძვირებათ წიგნები და იშვიათად ყიდულობენ. ვისაც ფული აქვს, იმას წიგნი არ უნდა. არიან ახალგაზრდები, რომლებიც ყიდულობენ, კითხულობენ, კიდევ კარგი და ეს ჯერ ბოლომდე არ მოშლილა.

— **როგორი წიგნები არ იყიდება უფრო?**

– რუსული წიგნები არ იყიდება, არ იციან რუსული... ისე, რუსეთი სულ ჩვენი მეზობელი იქნება, არსად არ წავა, ურთიერთობა ყველა ვარიანტში გექნება, ხომ სწორია? რა ვიცი... ხან მხატვრული ლიტერატურა იყიდება, ხან სკოლის მოსამზადებელი წიგნები...

— **რამდენად ნაკითხია დღევანდელი თაობა, როგორ ფიქრობთ?**

– იცით, რა არის? არის რაღაც პატარა პროცენტი, რომლებიც ყველაფერს კითხულობენ, მაგრამ ზოგს საერთოდ არ აინტერესებს, ზოგმა კითხვაც არ იცის... უმრავლესობა, სამწუხაროდ, არ არის წიგნის კითხვის მოყვარული.

— **უჩვეულო თხოვნებით თუ მოუმართავთ?**

– ზოგმა არ იცის, რა უნდა და მე გუმანით უნდა მივხვდე (იცინის). ბევრი სახალისო პატარ-პატარა შემთხვევა ხდება, ხან ჩხუბობენ...

— **და რა აჩხუბებთ?**

– რა ვიცი, რა უნდათ, თავად არ იციან ეს... ზოგი ზევიდან იყურება, ზოგი ქვევიდან, რას გაიგებ. აქ დასადგომად არავინ დაბადებულა, მაგრამ რას იზამ, როცა ცხოვრება გაიძულებს, დგახარ.

— **თქვენს ოჯახზე რას მეტყვით?**

– მყავს მეუღლე და შვილები... რამდენი შვილი და ასეთი რაღაცების დაკონკრეტება არ გვინდა (იღიმის).

— **კი, ბატონო. თქვენი ძირითადი პროფესია რა არის?**

– „გეპეი" მაქვს დამთავრებული, ინჟინერი ვარ. ვმუშაობდი კიდეც კარგ ადგილზე, მაგრამ ახლა აი, ასე ვარ... რომ არ იმუშაო, სახლში უნდა დაჯდე, ალბათ, სასმელს შეჰყვები... წვიმაში, ქარში აქ ვარ, ამინდი წიგნებსაც გვიფუჭებს... მოკლედ, საწვალებელია, მაგრამ სხვა გზა არ არის.

— **ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე რას ფიქრობთ?**

– რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ამაზე უარესი თუ რამე შეიძლება, არ ვიცი... არავის არაფერი არ აინტერესებს, საკუთარი თავის გარდა. მე ამირჩიეო, ხმა მომეციო, ყველაფერი მეო, მაგრამ ხალხისთვის არაფერია, სულ უარესობაა. უჭირს ხალხს... გეუბნებით, ცოტა ხანი აქ რომ დადგეთ, მოდიან ხოლმე 5-10 თეთრს გთხოვენ... ასე დადის ძველი ინტელიგენციაც და ახალგაზრდებიც. ყველა მეცოდება, მაგრამ ყველას ხომ ვერ აუხვალ?

— **როგორ ფიქრობთ, შეიცვლება რამე უკეთესობისკენ?**

– მუდმივი არაფერია, ყველაფერი შეიცვლება თავისთავად, მაგრამ ყველაფერი ხომ მთავრობაზე არ არის დამოკიდებული? ჩვენც ბევრს ვაშავებთ. ელემენტარულად, ნაგავს რომ დავყრით ქუჩაში, ეს ჩვენი ბრალი არ არის? ყველაფერს თავის დრო აქვს, აღმართს დაღმართი მოსდევს და პირიქით. მე კომუნისტების დროს გავიზარდე, კი, ის მოსაშორებელი იყო, მაგრამ ბევრი რამ ჰქონდათ ისეთი... დისციპლინა მაინც იყო. ახლა ოქროს შუალედი არ არის, ან ყველაფერია, ან არაფერი. ტელევიზია ავიღოთ, სულ გინებაა, ლანძღვაა. ოჯახში რომ ხარ, ტელევიზორს უყურებ შვილებთან ერთად და არის გადაცემებში ერთი ამბავი... ეს არის ხელოვნება? ეს არაა ნორმალური და უნდა გადავეჩვიოთ ასეთ რაღაცებს. ერთმანეთის პატივისცემა უნდა ვისწავლოთ, მაგრამ პირიქით ხდება, ხალხი ერთმანეთს ჭამს... ბანკები ხომ საერთოდ, საზიზღრობაა. 9 მილიარდი აქვს „საქართველოს ბანკსო", იმ დღეს გავიგე და ექნება, აბა რა, ისეთ პირობებს გიყენებს, თან იძულებული ხარ, დასთანხმდე... უპროცენტო სესხიო, გეუბნებიან, მაგრამ საკომისიოს გახდევინებენ იმდენს, რა მნიშვნელობა აქვს, ამას რას დაარქმევ? ვნახოთ. ყველაფერი ღმერთის ნებაა და ალბათ, უკეთესობისკენ შეიცვლება, მოვა მაგის დროც, აბა, ამათი იმედი ჩემს მტერს ჰქონდეს.

დამოკიდებულებას, უნდა ვიყოთ ტოლერანტები. აბა, მე სააკაშვილს რისთვის ვებრძოდი? მისი სასტიკი მეთოდის მმართველობა, ნულოვანი ტოლერანტობა ჩემთვის მიუღებელი იყო. ამიტომ მოვხვდი გლდანის ციხეში და არამხოლოდ მე, მთელი ჩემი ოჯახი, რადგან ვერ გამაჩერა და ვერ გამაჩერებდა და ვერც ერთი მთავრობა ვერ გამაჩერებს.

— **სიტყვამ მოიტანა და როგორია თქვენი დამოკიდებულება დღევანდელი ხელისუფლების მიმართ?**

– ჩემო კარგო, ასე გიპასუხებთ, რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, სადისტი მართავს ქვეყანას თუ მატყუარა მთავრობა? ორივე უბედურებაა! შეიძლება ის პირველი უფრო დიდი უბედურება იყო, მაგრამ არც ერთს ვისურვებდი და არც მეორეს, მე მინდა ნორმალური მთავრობა, რომელიც ქვეყანაზე და ხალხზე იზრუნებს. მინდა ახლანდელი მთავრობის წევრების გასაგონად ვთქვა, ის დანაპირები, ჩემო კარგო ადამიანებო, რომელიც ასე დაარიგეთ 2012 წელს, კეთილი ინებეთ და შეასრულეთ. თქვენ დღეს ხალხში გაქვთ მატყუარა მთავრობის იარლიყი, თქვენ სიტყვა გატეხეთ, კეთილი ინებეთ და აღადგინეთ სამართლიანობა, ადამიანებს წართმეული დაუბრუნეთ,

### ჭორი

მოახდინეთ იმ ხალხის რეაბილიტაცია, ვინც უკანონოდ მოხვდა ციხეში, თუ არადა არჩევნები აგერ კარსაა მომდგარი და ვერაფერი გადაგარჩენთ!

— **უკვე გვიანი ხომ არ არის?..**

– გვიანი არასდროს არაა, სააკაშვილისთვისაც არ იყო გვიანი, ის რომ არჩევნების წინ 2-3 თვით ადრე გამოსულიყო, საკუთარი ხალხისთვის ბოდიში მოეხადა და ეღიარებინა, რომ ბევრი შეცდომა დაუშვა, ასე არ დაამთავრებდა. ქართველები ხომ მიმტევებლები ვართ, მან ეს არ გააკეთა. სააკაშვილს შანსი არა აქვს ხელისუფლებაში დაბრუნების, რაც არ უნდა წააქეზოს ევროპაში თავისი მხარდამჭერები. ძალადობა, სისასტიკე ფეხს ვერ მოიკიდებს, როგორც ტყუილი ვერ გასტანს დიდხანს, მატყუარას ეტყვიან პირში სათქმელს, მიუჩენენ ადგილს. ეს ორი უკიდურესობა უნდა დამთავრდეს საქართველოში, უნდა მოვიდეს ისეთი მთავრობა, რომელიც ხელფასებსა და დანამატებზე კი არა, ქვეყანაზე იფიქრებს. შეხედეთ, რას ჰგავს დღეს ჩემი ქვეყანა, რას ჰგავს დღეს ჩემი თბილისი, ეს ის თბილისია? სააკაშვილი აშენებდა მაინც, ამათ დაანგრიეს მისი აშენებულიც და ახალსაც არაფერს აკეთებენ.

## 7-13 მარტის ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული –** შესაშური ენერგია გაქვთ მოზღვავებული, რომელიც უნდა მიმართოთ იქითკენ, რომ საყვარელი ადამიანი თავს ბედნიერად გრძნობდეს. ვარსკვლავები გირჩევენ, გამოიჩინოთ ინიციატივა, რათა საწინააღმდეგო სქესის ყურადღება და მოწონება დაიმსახუროთ. მიმდინარე კვირაში რეალური პერსპექტივა გაქვთ, განავითაროთ ურთიერთობა, თუმცა მიღწეულზე არ შეჩერდეთ.

**სამსახური –** მზაობა, აიღოთ პასუხისმგებლობა, საქმეში ძალიან დიდ შედეგებს მოგიტანთ.

**სასიკეთო დღეები:** 8, 9 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 7 მარტი.

### კურო 22.04-21.05



**სიყვარული –** ჩრდილში უნდა გადაინაცვლოთ, რათა ყველაფერი კარგად აწონ-დაწონოთ. გაითვალისწინეთ, რომ პარტნიორისთვის საკუთარი აზრის მოხვევის მცდელობა ცუდად დამთავრდება. უმჯობესია, ცოტა ხანს გაყუჩდეთ და ხელსაყრელ მომენტს დაელოდოთ. ნუ შეეცდებით ძველი ურთიერთობების აღდგენას და ნურც ახალ პარტნიორზე იფიქრებთ – მიმდინარე კვირა ამისთვის არც ისე მომგებიანია, რადგან შესაძლოა, უპატიებელი შეცდომა დაუშვათ.

**სამსახური –** თქვენდა უნებურად ბიზნესში შეფერხებები გექნებათ, გარკვეული უსიამოვნებებია მოსალოდნელი სამსახურშიც, თუმცა რადიკალური ნაბიჯების გადადგმა არ ღირს – დაელოდეთ ხელსაყრელ მომენტს და ყველაფერი დალაგდება!..

**სასიკეთო დღეები:** 7, 11, 12 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 9 მარტი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული –** დაამყარეთ ურთიერთობები, შეხვდით, შეიყვარეთ. იყავით შინაგანად თავისუფალი – ყველაფერი კარგი თავისით მოვა. თუ გსურთ შთაბეჭდილებები, ახალი რომანები, მაგრამ გაწუხებთ კითხვა: შეგიძლიათ, თავს ამის უფლება მისცეთ? პასუხი ასეთია: დიახ! იცოდეთ, რომ საუკეთესო დრო დაგიდგათ პირადი ცხოვრების მოსაწყობად და შეეცადეთ, შანსი გამოიყენოთ. თქვენი სექსუალური აქტიურობა შესანიშნავი განწყობის გარანტი იქნება.

**სამსახური –** თქვენს საქმეებს აშკარად რაღაც სიახლე სჭირდება, მიიღეთ არასტანდარტული გადაწყვეტილებები.

**სასიკეთო დღეები:** 9, 13 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 11 მარტი.





მაია იასეშვილი
599 94-64-58

**რუბრიკის სტუმარია ნათელმხილველი და პარაფსიქოლოგი მადონა ჯაში:**

**— ქალბატონო მადონა, გვიამბეთ, როგორია თქვენი წინასწარმეტყველების პროცესი და რამდენად სანდო და საიმედოა ის ატრიბუტები, რაც წინასწარმეტყველებას ეხმარება?**

– პირველეს ყოვლისა, მჭირდება იმ პიროვნების ფოტოსურათი, ვინც ჩემთან აწმყოს ან მომავლის შესაცნობად მოვიდა. ნათელმხილველისთვის მრავალი ინფორმაციის მომტანია ფოტო, მაშინაც კი, როცა წინ უზის ფოტოზე გამოსახული პიროვნება ცოცხლად. თუმცა ნივთებიც არის გარკვეული ინფორმაციის მატარებელი და ბევრჯერ ამხელს მისი ენერგეტიკა უამრავ დაფარულ ენერგეტიკას, რა ხდება აწმყოში ან რა არის მოსალოდნელი მომავალში. ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს ადამიანის საინფორმაციო ველში შესვლა ნივთების გარეშეც, მაგრამ ნივთებზე დაგროვილი ენერგეტიკა უტყუარ ინფორმაციას იძლევა, ხოლო საინფორმაციო ველი ყველა მოსალოდნელ, ან შესაძლო შემთხვევითობასაც წარმოაჩენს. იმდენად ვრცელი ინფორმაცია მოდის ჩემთან, რომ შესაძლოა, ადამიანს მისი ნახევარიც არ აინტერესებდეს. ადამიანის პირადი ნივთები იმ ენერგიას ირეკლავს, რაც იმ წუთში წარმოადგენს პრობლემას და რაზეც გამუდმებით ფიქრობს. ამიტომაც ვუფრთხილდებით დროს და ვაწვდით იმ ინფორმაციას, რისი ცოდნაც იმ დროისთვის არის საჭირო და აუცილებელი. მახსოვს, ერთხელ 20 წლის გოგო მოვიდა ჩემთან, რომელიც 2 წლის გათხოვილი იყო და შვილი არ ჰყავდა, თან ჰქონდა მეუღლის ბეჭედი. ვუთხარი, რომ შვილი არ ეყოლებოდა 30 წლამდე, რადგან მის საინფორმაციო ველში დავინახე დაქვრივება. აქედან გამომდინარე, დავინახე, რომ შვილი საზღვარგარეთ შეეძინებოდა, მეორედ ქორწინების შემთხვევაში. მისთვის არ მითქვამს, რომ დაქვრივდებოდა. მეუღლის ბეჭდის ენერგეტიკით კი ვიგრძენი ბიჭზე განხორციელებული ჯადო. ვთხოვე, მეუღლე მოეყვანა, რომ მისთვის ჯადო გამენეიტრალებინა. საჭირო იყო საგანგებო რიტუალის ჩატარება. მისთვის მოსალოდნელი საფრთხის შესახებ არ მითქვამს, მაგრამ ჯადოს მოხსნის აუცილებლობაზე ვესაუბრე. აქვე განგიმარტავთ, რომ გოგოს თანხმობითაც შემეძლო მისი ქმრისთვის ჯადოს განეიტრალება, მაგრამ არ არის რეკომენდებული, ადამიანს თავს მოახვიო შენი შესაძლებლობები, თუ თავად არ მოისურვა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება და სასიკეთო ცვლილებები. როგორც მისგან გავიგე, როცა ჩემი ნათქვამი ქმარს უამბო, ქმარი გაბრაზდა და ჩემთან ხელახალი ვიზიტი საერთოდ აუკრძალა. ამ ამბიდან სამ თვეში ამ გოგოს მეუღლე ახალი წლის ღამეს გარდაიცვალა. რაოდენ გასაკვირადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, იმ ბიჭის დაკრძალვის წინა დღეს სახლში რამდენიმე ადგილას აღმოაჩინეს ჯადოს ნივთმტკიცება. ეს იყო დამშრალი, გაფუჭებული კვერცხები, რომლის ნაჭუჭზეც არაბული წარწერები იყო, კვერცხს გვერდით ედო პატარა ტომარა, რომელშიც იდო დაგრეხილი სანთლები და მუქი ფერის შავი მიწა. ეს ყველაფერი მის გარდაცვალებამდე რომ განადგურებულიყო, თუნდაც ერთი კვირით ადრე, აუცილებლად ავიცილებდით თავიდან ახალგაზრდა კაცის სიკვდილს. ქმრის დაკრძალვის დღიდან გოგო მომეჯაჭვა და ჩემივე რჩევით რამდენიმე წლის შემდეგ საზღვარგარეთ წავიდა. მინდა გითხრათ, რომ დაქვრივების შემდეგ ოჯახის წევრებმა ეს გოგო აითვალწუნეს და საყვედურს არ ულევდნენ ჯადოს მოუხსნელობაზე და მას სდებდნენ ბრალს ამ უბედურებაში. მე მას ვხედავდი ახალი, დიდი სახლის დიასახლისად. ვურჩიე, რომ მისი ქვეყანა იყო იტალია, ეს მის კარმულ დიაგნოსტიკაშიც ჩანდა. საზღვარგარეთ წასვლის შემდეგ მირეკავდა, სამუშაოს ვერ ვშოულობ და თავს საშინლად ვგრძნობო. მე ვუთხარი, ორი კვირა კიდევ მოეთმინა, წინ დიდი ბედნიერება და მატერიალური კეთილდღეობა ელოდა. ასეც მოხდა, რომელ ოჯახშიც დაიწყო მუშაობა მოხუცის მომვლელად, იმ ოჯახის ვაჟს შეუყვარდა მშობლების მომვლელი და დაქორწინდნენ. ის გოგო დღეს ძალიან ბედნიერია და ჩემს ყველა რჩევას ითვალისწინებს, რადგან დარწმუნებულია, რომ ჩემი ნებისმიერი კლიენტისთვის სიკეთე მინდა. ასეთი შემთხვევა უამრავია, თუმცა ისეთი შემთხვევაც მახსენდება, როცა ჯადოს განეიტრალების შემდეგ ადამიანთა ბედისწერაში ბევრი სასიკეთო ცვლილება მომხდარა და რადიკალურად შეცვლილა მათი ცხოვრება უკეთესობისკენ. შორს რომ არ წავიდე, ერთ შეცდომას გავიხსენებ და ჩემი ოჯახის ისტორიას მოვყვები: როცა ჩემმა ძმამ სკოლა დაამთავრა, გადაწყვიტა, სამ ბიჭთან ერთად ქობულეთში წასულიყო დასასვენებლად, ყველა მათგანს ვურჩიე, ეს მოგზაურობა და ზღვაზე დასვენება გადაეფიქრებინა, ჩემი ძმის გადაბირება მოვახერხე, დანარჩენებმა არ დამიჯერეს და უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა ორი მათგანი, ერთი კი სამუდამოდ დაინვალიდდა. თუმცა არის შემთხვევები, როცა ადამიანს გადარჩენა არ უწერია და ვერც გადაარჩენ, ამ დროს ის არ დაგიჯერებს, ან რაიმე ხელს შეუშლის, ეს უკვე უფლის გადაწყვეტილებაა, რომელიც შენს ჩარევას არ საჭიროებს. მაგრამ, როგორც გითხარით, ბევრისთვის ამიცილებია მოსალოდნელი საფრთხე და უბედურება. და საერთოდ, ღმერთი იმიტომ აძლევს ადამიანს წინასწარმეტყველების უნარს, ხალხის

# როგორ უნდა გავარჩიოთ პროფესიონალი პარაფსიქოლოგი თვითმარქვიასგან?



**„კვერცხს გვერდით ედო პატარა ტომარა, რომელშიც იდო დაგრეხილი სანთლები და მუქი ფერის შავი მიწა. ეს ყველაფერი მის გარდაცვალებამდე რომ განადგურებულიყო, თუნდაც ერთი კვირით ადრე, აუცილებლად ავიცილებდით თავიდან ახალგაზრდა კაცის სიკვდილს"**

კეთილდღეობისთვის გამოიყენოს. ამასვე ემსახურება მეცნიერება პარაფსიქოლოგია, რომელიც ძალიან აქტუალურია და ყოვლისშემძლე ხდება იმ ადამიანთა ხელში, ვინც წინასწარმეტყველების ნიჭითაც არის დაჯილდოებული.

**— შეიძლება თუ არა პარაფსიქოლოგიის შესწავლა ნებისმიერი ადამიანისთვის?**

– რასაკვირველია, შესაძლებელია და დღესაც ძალიან ამდიდრებს ადამიანის ცნობიერებას საგანგებო სტატიები და ინფორმაციები, რომ არაფერი ვთქვათ, ეზოთერულ ლიტერატურაზე ან ინტერნეტსივრცეში განთავსებულ საიტებზე, მაგრამ მთავარი პრობლემის დანახვაა. ხშირად ადამიანმა იცის ის, რომ პესიმისტურადაა განწყობილი და არაფერი აინტერესებს, საჭიროა დადგენა მისი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზებისა. რაკი პაციენტმა არ იცის და პარაფსიქოლოგამდე ვერ მიაქვს სწორი დიაგნოზი, მას ჰგონია, რომ აქვს ნევროზი, ან კლინიკური დეპრესია, ასეთ დროს მნიშვნელოვანია ზუსტი მიგნება, რით არის გამომწვევი ამ ადამიანის წარუმატებლობა, მარცხი, უიღბლობა. ადამიანის ბედში პარაფსიქოლოგის ჩარევა სწორედ მაშინ არის ეფექტური, თუ მან იცის ზუსტი მიზეზი ადამიანის ბიოველის დარღვევის, აურის დასუსტების, ან სხვა ნეგატივის გარეგნულად გამოვლინების. ამიტომაც არის, რომ პარაფსიქოლოგიურ ცენტრებში სწავლობენ ძირითადად ნათელხილვის ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს. იშვიათად არის ვინმე ამ ნიჭის გარეშე და ისინიც ძირითადად საკუთარი კეთილდღეობისთვის ეუფლებიან ამ პროფესიას, რომ თავიანთი ბედის მართვა შეძლონ. წარმატების ნახევარზე მეტი ლომის წილი კი სწორად დასმული დიაგნოზია, რასაც ნათელმხილველი თავისი ნიჭის წყალობით ხედავს.

**— დღეს ძალიან მომრავლდნენ ცრუ ნათელმხილველები, ეს გაჭირვებამ და მძიმე სოციალურმა ფაქტორმა განაპირობა. მე, რიგითმა მოქალაქემ, როგორ გავიგო, ესა თუ ის ადამიანი თვითმარქვიაა, თუ არა?**

– ყოველი დღე თავისი ნაყოფით შეიცნობა, ასეა ნებისმიერი პროფესიის ადამიანიც. მე მაგალითად, ვის შესახებაც ვსაუბრობ, ზოგადი ფრაზებით არ მივანიშნებ, პირდაპირ ვუხატავ მას, ეს შეიძლება იყოს მისი ცხოვრების თანამგზავრი, ან მტერი, მაგრამ ეს აუცილებლად მისი პორტრეტია, ვისთვისაც მოვიდა ესა თუ ის ადამიანი. ერთხელ მქონდა ასეთი შემთხვევა, ზეძალამ დამახატვინა პორტრეტი და ჩემს კლიენტს ვუთხარი: სანამ ამ ადამიანს არ დაშორდები, შენს ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებებს არ დაელოდო-მეთქი. პორტრეტი, ვისზეც ვსაუბრობდით, ამ გოგოს ევლინებოდა ვამპირად, იყენებდა, ატყუებდა. დღეს თუ ხვალ დაქორწინდებოდნენ, ჯერ გამიწია წინააღმდეგობა ჩემმა კლიენტმა, რადგან ვამპირულ წნეხს შეჩვეული იყო და თითქოს არ უნდოდა სიმართლისთვის თვალის გასწორება. ის თავის სავალალო მდგომარეობას და დაბეჩავებას სიყვარულის სახელით ხსნიდა, მაგრამ ძალიან უთავმოყვარეო როლში იყო და ამაოდ ელოდა მდგომარეობის გამოსწორებას. როცა ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვალა, ამ გოგომ მითხრა, პორტრეტი რომ არ დაგეხატა, ვერც კი მივხვდებოდი, ვისზე მელაპარაკებოდი, რადგანაც ამ ბიჭს ჩემს შეყვარებულად ვთვლიდი და ყველაზე ახლობლად მიმაჩნდაო. ის იყო მონუსხული, მოჯადოებული და, ცოტაც და, უფსკრულში ჩავარდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დამიჯერა, გარეგნობითაც შეიცვალა სასიკეთოდ, პლასტიკური ქირურგიის ჩაურევლად. ბედნიერ და იღბლიან ადამიანად იქცა და მის ცხოვრებაში ნამდვილი სიყვარული მოვიდა, გათხოვდა კიდეც. როგორც თვითონ ამბობს, იმ დროის გახსენებაც არ უნდა, როცა მის ფინანსებს, ენერგიასა და მშვიდ ცხოვრებას სიყვარულის სახელით ქურდავდა ერთი თაღლითი და არამზადა ახალგაზრდა კაცი. მინდა ყველას გასაგონად ვთქვა, რომ ანგარებიანი ურთიერთობის ინიციატორი დაუსჯელი არასოდეს დარჩება.




## 7-13 მარტის ჰოროსკოპი

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული –** საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში შესაძლოა, ისეთი მომენტი დადგეს, როცა ორივე შეეცდებით იმის გარკვევას, ვინ არის პირველი და ვინ – მეორე. მოგიწევთ მოთმინების გამოჩენა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორი ენერგეტიკულად უფრო ძლიერია. თუ ოჯახში მშვიდობის შენარჩუნება გსურთ, მეორე ნახევრის კრიტიკული მოსაზრებების გათვალისწინებაზეც უარი არ თქვათ და შედეგით ორივე კმაყოფილი დარჩებით.

**სამსახური –** სამწუხაროდ, არც ისე ხელსაყრელი პერიოდია კარიერული წინსვლისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 11, 12 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 13 მარტი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული –** მიმდინარე კვირაში საწინააღმდეგო სქესზე წარმოუდგენლად ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენა შეგიძლიათ. თქვენი ავტორიტეტი და ლომის ქარიზმა მოწოდების სიმაღლეზეა. გარდა ამისა, ბრწყინვალე პერიოდია ნებისმიერი მგზავრობისთვის და რომანტიკული ურთიერთობის წამოწყებისთვის. გელით სასიამოვნო ნაცნობობა. მოკლედ, სასიყვარულო ფრონტზე გამოიყენეთ მაქსიმალური ძალისხმევა, გულების დაპყრობას აუცილებლად შეძლებთ.

**სამსახური –** გაემგზავრეთ მივლინებებში საზღვარგარეთ, მოინახულეთ გამოფენები და გაიჩინეთ ახალი საქმიანი პარტნიორები.

**სასიკეთო დღეები:** 13 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 9 მარტი.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული –** თუ გგონიათ, რომ თქვენს ურთიერთობებში კრიზისმა იჩინა თავი, შეეცადეთ, ყველას და ყველაფერს გაერიდოთ და განმარტოვდეთ. სამწუხაროდ, ცოტა არ იყოს, მძიმე კვირა გელით. ამიტომ სჯობს, მთელი ძალ-ღონე მოიკრიბოთ, ჩასაფრდეთ და თქვენს ვარსკვლავურ საათს დაელოდოთ, რომელიც სულ მალე დადგება. მიუშვით სიტუაცია თვითდინებით ისე, რომ არაფრის შეგეშინდეთ.

**სამსახური –** თუ მზად ხართ ფინანსური რისკებისთვის, შეგიძლიათ, ბედი სწორედ ახლა გამოსცადოთ.

**სასიკეთო დღეები:** 7 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 11 მარტი.

## 7-13 მარტის ჰოროსკოპი

### სასწორი 23.09-22.10



**სიყვარული –** საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში ჯერჯერობით ისევ გამყინვარებაა. ეს სიტუაცია საკუთარი ქცევების გასააზრებლად უნდა გამოიყენოთ. არ არის გამორიცხული, პარტნიორთან სერიოზული კამათი და დროებით განშორებაც კი. მიმდინარე კვირაში ნუ დაიწყებთ ახალი სიყვარულის ძებნას, რადგან არცთუ საუკეთესო პერიოდია ახალი ნაცნობობისა და რომანტიკული შეხვედრებისთვის.

**სამსახური –** წარუმატებელი პერიოდია კრედიტების ალებისა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარების მხრივ.

**სასიკეთო დღეები:** 8, 10 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 7 მარტი.

### მორიელი 23.10-21.11



**სიყვარული –** სიყვარულის გრძნობა მინავლულია, რადგან პარტნიორმა ძალიან გადაგღალათ. თუ თქვენთვის ურთიერთობა ძვირფასია, შეეცადეთ, სიტუაცია უარესად არ დაძაბოთ. თქვენი პერსონის მიმართ ყურადღებას ამ კვირაში ნუ დაელოდებით. უბრალოდ, ეცადეთ, რომ იყოთ საჭირო და სასარგებლო, რაც შესაძლოა, არც ისე მარტივად გამოგივიდეთ. შეეგუეთ სირთულეებს და მიიღეთ ყველაფერი ისე, როგორც არის და ისიც გახსოვდეთ, სულ მალე სიტუაცია თქვენს სასიკეთოდ შეიცვლება.

**სამსახური –** ყურადღება მიაქციეთ საქმისწარმოებას და ანგარიშგებას.

**სასიკეთო დღეები:** 7, 11 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 8 მარტი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12



**სიყვარული –** მიმდინარე კვირა შესანიშნავი პერიოდია სიყვარულისთვის, რომანტიკული ურთიერთობებისთვის, შეხვედრებისთვის, გასეირნებისთვის და მოკლედ, დროის შესანიშნავად გატარებისთვის. შეეცადეთ, მიიქციოთ ყურადღება, გაანებივრეთ საკუთარი თავი ახალი შენაძენებით, საყვარელი ადამიანი – საჩუქრებით. არ გაუშვათ ხელიდან ახალი ნაცნობობის შესაძლებლობა. გამოავლინეთ საკუთარი თავი ნათლად, შემოქმედებითად და აუცილებლად შეგამჩნევენ. ფორტუნა თქვენს მხარესაა.

**სამსახური –** თუკი თქვენი საქმიანობა შემოქმედებას უკავშირდება, სწორედ თქვენი დრო მოვიდა – წინ, წარმატებებისკენ!..

**სასიკეთო დღეები:** 8, 9, 10 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 11 მარტი.





**მაია იასეშვილი**

599 94-64-58

**რუბრიკის სტუმარია მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე.**

# როგორ იცავს თავს უარყოფითი ენერგიისგან თამრიკო ჭოხონელიძე?

**— ქალბატონო თამრიკო, როგორ და რა ვითარებაში დაინტერესდით იდუმალების სამყაროთი?**

– იდუმალების სამყარო ჩემთვის ღმერთის ძიებით დაიწყო და როცა ტაძარში პირველად მივედი, ღმერთთან სათხოვრის გამო არ მივსულვარ, მივედი მადლობის გადასახდელად, ჩემი ბედისწერისა და იღბლისთვის. ყველაზე მეტად მაშინ გამიმართლა, როცა გავჩნდი ოჯახში, სადაც დიდი სიყვარული სუფევდა ერთმანეთის მიმართ. ამ სიყვარულით ძალიან დიდი მემკვიდრეობა გამომყვა, გადმომეცა ადამიანური ღირებულებები, რამაც ძალიან საინტერესო გახადა ჩემი ცხოვრება. ჩემს მშობლებს ისე უყვარდათ ერთმანეთი, რომ 40 წლის განმავლობაში მათი ისეთი ურთიერთობის მოწმე ვიყავი, ეს სიყვარული ჩემს ცხოვრებაშიც აისახა. კარგი სტარტი კარგი მომავლის საწინდარია. გამიმართლა, რომ მყავდა არაჩვეულებრივი მშობლები და ბებია-ბაბუები. მათი წყალობით ჩემს ოჯახში იკრიბებოდნენ რეზო ლაღიძე, სულხან ცინცაძე, არჩილ კერესელიძე, გიორგი ცაბაძე... ჩემს დაბადების დღეზე გაშლილ სუფრას ყოველთვის რეზო ლაღიძე უძღვებოდა. ეს ბედის დიდი საჩუქარი იყო. ჩემი მეორე ბაბუა ვალიკო კალანდაძე სუხიშვილების ანსამბლის სოლისტი იყო. ამბობდნენ, რომ საოცრად კარგად ცეკვავდა და „კინტოურში" თავზე შემოდგმული ბოთლი მისი შემოტანილი იყო. ალბათ, ამ გარემოებამაც განსაზღვრა, რომ კარიერა ჩემს ცხოვრებაში საკმაოდ იოლად მოვიდა. ჩემი ბედისწერა სასიამოვნო სიურპრიზებით იყო სავსე და იღბალი მიწყობს ამ სიურპრიზებს. ამას ჩემი საყვარელი ადამიანებიც უწყობდნენ ხელს, მეხმარებოდნენ. ამბობენ, არაფერი ხდება შემთხვევითო, მაგრამ მაინც ვამბობ, რომ სცენაზე შემთხვევით მოვხვდი. 4 წლის ვიყავი, როცა საბავშვო ბაღში მოვიდნენ უცხო ადამიანები, პატარა ბიჭს ეძებდნენ პუჩინის ოპერისთვის. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მე დამადგეს თვალი, გამიკეთეს პარიკი და წამიყვანეს ოპერაში... როცა ოჯახში მიხვდნენ, რომ სიმღერა შემეძლო, ბაბუამ ციცინო ციცქიშვილთან მიმიყვანა, მან პირველ კონცერტზე გამიყვანა და სიმღერა სამჯერ გამამეორებინეს. ტირილი დავიწყე, მეგონა, ამ ადამიანებს ჩემი სიმღერა არ მოეწონათ. ასე რომ, ჯერ კიდევ მაშინ აღმოვჩნდი სცენაზე, როცა ჯერ არც ბედისწერის, არც იღბლის და არც სცენაზე დგომის მნიშვნელობის გამაგებოდა რამე... შემდეგ იყო „მზიურის" პერიოდი, „მზიურის" ბავშვები ძალიან პოპულარულები ვიყავით, გვაჩერებდნენ და გვეფერებოდნენ, ჩემი მშობლები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ცუდი გავლენა არ მოეხდინა ჩემზე პოპულარობას. ძალიან უპრეტენზიო ვიყავი, მამას არ უნდოდა, მემღერა. ამბობდა, არ მიყვარს ზედმეტი ტაშ-ფანდურაო. დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ მამას ერთი კვირით გავეშვი გემზე, სადაც ფილმს იღებდნენ „მზიურზე". ბათუმში ერთკვირიან გასტროლს მოჰყვა გასტროლი ლენინგრადში, შემდეგ ჰოლანდიაში, მაგრამ 13 წლის ასაკში ყველაზე ადრე დავტოვე მზიური, თუმცა ამ პერიოდმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემს ცხოვრებაში, რადგან ბევრი კარგი მეგობარი და საუკეთესო მოგონება მაკავშირებს.

**— ქალბატონო თამრიკო, გჯერათ თუ არა ციფრული მაგიის და გაქვთ თუ არა ბედნიერი რიცხვი?**

– ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი დამთხვევა და სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ის, რომ ორივე შვილი ერთსა და იმავე დღეს გამიჩნდა, მარიამი დაიბადა 9 დეკემბერს, ზუსტად ერთი წლის შემდეგ იმავე რიცხვში გაჩნდა ჩემი შვილი კონსტანტინე. მადლობელი ვარ უფლის შვილების გამო და 9 დეკემბერი არის ჩემი უსაყვარლესი დღე. ორი დიდი სიხარული სწორედ ამ დღესთან მაკავშირებს.



**— ანიჭებთ თუ არა სიზმრებს მნიშვნელობას?**

– სიზმრისეულ მნიშვნელობას, ალბათ, ყველა აქცევს ყურადღებას, ხშირად ვგრძნობ, რა დროს რისი მომასწავებელია. გარდა ამისა, ყველამ ვიცით, როგორ გავანეიტრალოთ ავის მომასწავებელი სიზმარი, რომ არ აცხადდეს, თუმცა რაც მოსალოდნელია და რაც განგების ნებაა, მაინც მოხდება. არც სიზმარმა და არც ფაქტმა, რომელიც ჩვენს სურვილს ეწინააღმდეგება, არ უნდა დაგვაკარგვინოს სულიერი სიმშვიდე, არ უნდა ვიცხოვროთ ბოლმითა და წყენით.

> **„ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი დამთხვევა და სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ის, რომ ორივე შვილი ერთსა და იმავე დღეს გამიჩნდა"**

**— ცრურწმენებზე რას იტყვით?**

– არის ცრურწმენები, რომლებიც ბავშვობიდან მოგვყვება, უფრო სწორი ვიქნებით, თუ ვიტყვით, ქვეცნობიერად ვაქცევთ ყურადღებას ნებით თუ უნებლიეთ, ეს შესაძლოა, ცრურწმენა კი არა, რაღაც სხვა, დაფარული მისტიკური ცოდნის ნაწილია, რასაც ჩვენი ქვეცნობიერი სამყარო გვახსენებს.

**— გჯერათ თუ არა ისეთი ნეგატიური პროგრამების, როგორიცაა — ჯადო, გათვალვა, ენერგოვამპირიზმი?**

– დიდი ძალა აქვს ავისმოსურნეთაგან მოყენებულ ენერგოვამპირიზმს, ზემოქმედებას, მაგრამ დაცულია ადამიანი, თუ ღვთის რწმენასაა შეფარებული, ასეთ დროს რწმენითაა შეიარაღებული ადამიანი ნებისმიერი ბოროტი ძალის წინაშე.

**— კონცერტების წინ თავს როგორ იცავთ ენერგოთავდასხმებისგან?**

– უფლის წყალობით ჩემს გარემოცვაში მოკეთე და გულშემატკივარი გაცილებით მეტია, ვიდრე მოშურნე, მაგრამ რაკი მაინც არსებობენ ისეთები, ვისთვისაც შურის სამიზნე ვარ, ვცდილობ, კონცერტის წინ მარტო ვიყო, ან უახლოეს ადამიანებთან. ტელეფონს ვრთავ, რომ არასასურველმა ინფორმაციებმა არ დამტვირთოს.

**— იქნებ გაიხსენოთ ყველაზე მძაფრი შთაბეჭდილება, რასაც ქრისტიანულ სასწაულად მიიჩნევთ?**

– ძალიან მინდოდა იერუსალიმში მაცხოვრის საფლავის მოლოცვა, მოხდა ისე, რომ იქ ყოფნის დროს მე და ჩემმა დებმა იერუსალიმის პატრიარქის კურთხევით უფლის სადიდებელი საგალობლები შევასრულეთ მაცხოვრის საფლავზე, პატრიარქმა დაგვლოცა, ჩვენ კი კომპაქტდისკი ვაჩუქეთ. ეს იყო ენით აუწერელი ბედნიერება.



საერთოდაც, როგორც ქალი, ვარ ძალიან ბედნიერი, ჩემი შვილებით, შვილიშვილებით, დიდი სიყვარულით, ჩემს ცხოვრებაში იყო იმედგაცრუებაც ოჯახის დანგრევის გამო, მაგრამ არც მაშინ წამომცდენია ბედთან სამდურავი. დღემდე შემომრჩა კეთილგანწყობა ყოფილი მეუღლის მიმართ და ტრაგედია არ შემიქმნია განქორწინების გამო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ადამიანი ჩემთვის პატივსაცემი არ არის, მაგრამ ადამიანები უნდა შევეგოთ იმას, რომ ამქვეყანაზე არის რაღაც ურთიერთობის დასასრული, მათ შორის, ოჯახური თანაცხოვრებისაც. არასოდეს არ უნდა დააკნინო ადამიანმა საკუთარი ღირსება და არ უნდა გაგაბოროტოს ისეთმა ფაქტმა, რასაც ოჯახის დანგრევა ჰქვია.

**— ვინ ხართ ზოდიაქოთი და ითვალისწინებთ თუ არა ვარსკვლავთა რჩევებს?**

– ჰოროსკოპით თხის რქა ვარ, მიწერია, რომ ასაკის მატებასთან ერთად უფრო მიმზიდველი და ქალური ხდება. არ ვიცი, რამდენად მშვენიერი ვხდები, მაგრამ რაც დრო გადის, ჩემში ქალის განცდა უფრო მიმძაფრდება. 16 წლის ასაკში ვგიჟდებოდი სწავლაზე, არც პრანჭიაობა მიყვარდა, არც პაემანზე დავდიოდი, შესაბამისად, არც ბიჭების ყურადღებით ვიყავი განებივრებული. შემდეგ იყო მსუბუქი, მაგრამ რამდენიმე ურთიერთობა, რომელიც ზედაპირული შეხვედრებით შემოიფარგლებოდა. შემდეგ მოვიდა ნამდვილი, დიდი სიყვარული, რაც ქორწინებით დამთავრდა. დღემდე ვფიქრობ, რომ სიყვარულის ნიჭიც ბედისწერის წყალობაა და მისი შემადგენელი ნაწილია.

## 7-13 მარტის ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01



**სიყვარული –** არც ისე იოლი პერიოდი გიდგათ. თითქოს გულზე კლიტე გადევთ. შეეცადეთ, ურთიერთობები არ გაამწვავოთ. შესაძლოა, სახლის საკითხებმა სიყვარული კიდევ უფრო დაასუსტოს, დაგავიწყოთ მიწიერი სიამოვნება. სამაგიეროდ, შეგიძლიათ ყურადღება დაუთმოთ მშობლებს, მოინახულოთ, დაიმუხტოთ მათგან განსაკუთრებული სითბოთი, მზრუნველობით, დადებითი ემოციებით. სულ მალე სიტუაცია თქვენს სასიკეთოდ შეიცვლება.

**სამსახური –** კარგი მომენტია ახალი პროექტის წამოწყებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 11, 12 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 7 მარტი.

### მერწყული 20.01-18.02



**სიყვარული –** ნუ გაჩერდებით ერთ ადგილზე, იაქტიურეთ, შეხვდით მეგობრებს. ამაზე საუკეთესო დროს ნაცნობობისთვის და ძალდაუტანებელი ურთიერთობისთვის უბრალოდ, ვერ იპოვით. მთავარია, არ გაჩერდეთ და იმოძრაოთ. არ დაგავიწყდეთ მნიშვნელოვანი სიტყვები, კომპლიმენტები. განმარტოება სასურველი არ არის. თუ ეს შანსი ხელიდან გაუშვით, შემდეგ დიდხანს ინანებთ.

**სამსახური –** თქვენს მობილობაზეა დამოკიდებული მომდევნო თვეების წარმატება.

**სასიკეთო დღეები:** 13 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 8 მარტი.

### თევზები 19.02-20.03



**სიყვარული –** კარგი დროა ნაცნობობისთვის და ლამაზი ურთიერთობისთვის. სასიყვარულო სფეროს ინვესტიციები ესაჭიროება. თქვენთვის საყვარელ ადამიანთან კავშირი კომპლიმენტებითა და საჩუქრებით გაამყარეთ, არ მოაკლოთ ყურადღება. რაც უფრო ბევრი იქნება ემოციური და მატერიალური შენატანი ურთიერთობის მოგვარებაში, მით საუკეთესო შედეგს მიიღებთ. და კიდევ ერთი – შესანიშნავი პერიოდია მსხვილი შენაძენებისთვის: საიუველირო ნაკეთობები, ავტომობილი, უძრავი ქონება.

**სამსახური –** ბრწყინვალე დროა ახალი ალჭურვილობის შეძენისთვის, ახალი პროექტების წამოწყებისთვის.

**სასიკეთო დღეები:** 7 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 10 მარტი.



ილიკო მონადირე იყო, მაგრამ მას ცხოველებიც უყვარდა, ეცოდებოდა და ხშირად არ კლავდა. ამიტომაც ტყე სავსე იყო დაჭრილი გარეული ცხოველებითა და ფრინველებით.

****

– თუ იცი, ყველაზე ცუდი რა არის, როცა გაყინულ პელმენს ხარშავ?

– კი, როცა ქვაბში ჩაყრი და იშლება.

– არა, არ გცოდნია, ყველაზე ცუდი ისაა, ქვაბში წყალი რომ ამოდუღდება და მაცივარში პელმენები აღარ არის.

*****



– რობიზონ გავიგე შენს სიდედრს, შენი ცოლი კარატეზე მიუყვანია, როგორ არის?

– არის რა, ვარჯიშობს.

– შენ როგორ ხარ?

– მე არა მიჭირს, სამზარეულოში ფუსფუსი მეხერხება, თეთრეულის რეცხვა, გაუთოება კარგად გამომდის, იატაკის მოხეხვას ნელ-ნელა ვეუფლები.

*****

პარლამენტარს ეკითხებიან

– თქვენ ხომ ქვეყნის პატრიოტები ბრძანდებით?

– დიახ, რა თქმა უნდა.

– მაშინ რატომ დაბრძანდებით ძვირად ღირებული მანქანებით სამსახურში და არა ფეხით?

– თქვენ პატრიოტიზმი იდიოტიზმში ხომ არ გერევათ?

*****

– ბიჭი შემეძინა.

– გილოცავ, ზოსიმიჩ, და მეუღლე როგორაა?

– რომ გაიგებს, გაგიჟდება.

*****



ინტელექტუალთა კლუბი „რა? სად? როდის?“

– რას ფიქრობთ, ბატონო ანზორ, მეუღლე თუ გღალატობთ?

– რა სისულელეა, რა თქმა უნდა, არა.

– ახლა კი ყურადღებით ეკრანზე .........

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## რევოლუციური კვლევა: სოციალური ქსელები აბერებს!




Merz Aesthetics მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კოსმეტიკური ბრენდია, მისი მკვლევარები აცხადებენ, რომ ნაოჭების პროფილაქტიკისთვის სოციალური ქსელების თვალიერება მინიმუმამდე უნდა დაიყვანოთ. რადგან ეს ქუთუთოების შესიებას, კანის გამოშრობას, ნიკაპის მიდამოებში კანის ჩამოწელვას იწვევს და შესაბამისად, თქვენს ასაკზე გაცილებით უფროსად გაჩენთ.

ჩვეულებრივ, როდესაც კომპიუტერთან ვსხედვართ, ან სმარტფონში ვიქექებით სახე ეკრანთან ახლოს მიგვაქვს და თავიც დახრილ მდგომარეობაშია. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ დიდი ხნის განმავლობაში სახის სერიოზული გამომეტყველებით ვსხედვართ, თითქმის არ ვმოძრაობთ და მზერაც გაშეშებული გვაქვს. ალბათ, შეგიმჩნევიათ, რომ კომპიუტერთან ჯდომის შემდეგ დაღლილი ხართ – არ გეჩვენებათ. საქმე ისაა, რომ ამ დროს სახის კუნთები სტატიკური დაძაბულობის მდგომარეობაში იმყოფება, სისხლის მიმოქცევა ირღვევა, სახე უბრალოდ იღლება.



კარგი იქნება, კომპიუტერთან თავდახრილი თუ არ დავსხდებით, მაგრამ სმარტფონის შემთხვევაში, მისი პატარა ეკრანის გამო ამის გათვალისწინება საკმაოდ რთულია.

კვლევაში, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ჩატარდა, მონაწილეობა 6 ქვეყნის წარმომადგენელმა 5340-მა მამაკაცმა და ქალმა (საფრანგეთი, რუსეთი, სამხრეთ კორეა, ესპანეთი, ტაივანი, იტალია) მიიღო. მათ 1 თვის განმავლობაში შეკითხვას უსვამდნენ, აქვთ თუ არა სოციალური ქსელების მოხმარების საჭიროება, რაზეც 80 პროცენტი დადებითად პასუხობდა, ასევე, კვლევის მონაწილეებს ჰკითხეს გაუღრმავდათ თუ არა ნაოჭები თვალების გარშემო, რაზეც ასევე დადებითი პასუხი მიიღეს.

კომპანია Google-მა კი გამოთვალა, რომ 1 ადამიანს, საშუალოდ, 3 გაჯეტი აქვს და დღეში თავს დაახლოებით 150-ჯერ ხრის, კვირაში კომპიუტერთან, საშუალოდ, 40 საათს ატარებს, შედეგად, იტანჯება კისრის ტკივილით, თვალების სიმშრალით, კანის გამოშრობითა და სახის მიდამოში მოდუნებით.

თუ მზად არ ხართ, სოციალურ ქსელებს შეეშვათ, შეეცადეთ, საათში თავი რამდენჯერმე მაინც წამოწიოთ და წინ იყუროთ, ეს თვალების ძველი სავარჯიშოა, რომელიც საკმაოდ ეფექტურია და რასაკვირველია, უფრო ხშირად შეხვდით იმ ადამიანებს, რომლებსაც სოციალურ ქსელებში ეკონტაქტებით და პრობლემაც მოგვარდება!

**daijesti.pia.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მეცნიერების დასკვნა: დილის 10 საათზე ადრე მუშაობის დაწყება ორგანიზმისთვის მავნებელია



ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა კვლევა ჩაატარეს, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ დილის ათ საათამდე მუშაობის დაწყება ორგანიზმისთვის მავნებელია.

ექსპერიმენტის ფარგლებში ჯგუფების ნაწილს ლექციები – დილის 8:30 საათზე, ჯგუფების ნაწილს კი 10:00 საათზე გადაუტანეს.

კვლევებმა ცხადყო, რომ 10:00 საათზე დაწყებული სწავლება ბევრად უფრო შედეგიანი იყო და სტუდენტებიც მუშაობისას ბევრად პროდუქტიულები იყვნენ. ხოლო სტუდენტების ის ნაწილი, ვისაც სწავლა 11 საათზე ეწყებოდა, ლექციებზე ძალიან კარგი განწყობით მიდიოდა და დავალებების შესრულებას თავს უკეთ ართმევდა. მეცნიერების განმარტებით, ადამიანის სასიცოცხლო ორგანოები - გული და ღვიძლი მუშაობის ნორმალურ რეჟიმზე დილის ათ საათზე გადადის. თუკი ადამიანი მანამდე საკუთარ თავს საქმეებით დატვირთავს და მუშაობას ნაადრევად შეუდგება, ეს ნეგატიურად აისახება როგორც მისი ორგანოების მდგომარეობაზე, ასევე მის ფსიქიკაზეც. ეს აქვეითებს ასევე სამუშაო განწყობას და ადამიანის პროდუქტიულობის დონეს მკვეთრად ამცირებს. მეცნიერების განცხადებით, ეს როგორც სტუდენტებს, ისე დასაქმებულ ადამიანებს ეხებათ.

**plus.kvira.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ჯონ ლენონის ქვრივი საავადმყოფოში მოათავსეს



ლეგენდარული ჯონ ლენონის ქვრივი, მხატვარი და აქტივისტი 83 წლის იოკო ონო საავადმყოფოში გადაიყვანეს. იოკოს საავადმყოფოში მოთავსების მიზეზი ინსულტზე ეჭვი გახდა – მას საუბარი უჭირდა. საბედნიეროდ, დიაგნოზი არ დადასტურდა. იოკო ონოს ვაჟმა შონმა სოციალურ ქსელში მოგვიანებით დაწერა:

„მეგობრებო, ეს მხოლოდ პრესის მიერ გამოგონილი ჭორია. დედაჩემს ინსულტი არ აქვს. მისი საავადმყოფოში მოხვედრის მიზეზი ორგანიზმის გაუწყლოება და დაღლილობა გახდა. ახლა ის თავს უკეთ გრძნობს. ყველას დიდი მადლობა“.

როგორც ირკვევა, იოკო ონოს გრიპი ჰქონდა, რომელიც გაურთულდა. სულ მალე მას სახლში გაწერენ.

**okmagazine.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## რატომ არ დაესწრნენ „ოსკარებს“ ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი



„ოსკარების“ დაჯილდოებას მოუთმენლად არა მარტო კინომოყვარულები, არამედ მსოფლიოს ულამაზეს წყვილად აღიარებული ანჯელინა ჯოლისა და ბრედ ბიტის თაყვანისმცემლებიც ელოდნენ.

როგორც დასავლური ტაბლოიდები აქტიურად წერდნენ, წყვილის შესაძლო განქორწინების შესახებ არსებულ ეჭვებს, დაჯილდოებაზე მათი ერთად გამოჩენა გააქარწყლებდა. თუმცა, კინოინდუსტრიის მთავარ მოვლენას წყვილი არ დასწრებია. ოფიციალურ მიზეზად ორივე მათგანის მოუცლელობა დასახელდა, მაგრამ ამის არავის სჯერა. სოციალურ ქსელში „ბრანგელინას“ გულშემატკივრები აქტიურად საუბრობენ ათწლეულის განშორებაზე. წყვილის ურთიერთობაში არსებულ კრიზისზე პირველად In Touch-მა დაწერა. გამოცემა ირწმუნებოდა, რომ წყვილი განქორწინების შესახებ ოფიციალურ განცხადებას თებერვლის შუა რიცხვებში გააკეთებდა. თუმცა ამ დრომდე მსახიობები ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებენ.

ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტის რომანი 2005 წელს, ფილმ „მისტერ და მისის სმიტების“ გადაღებაზე დაიწყო, რომელშიც მსახიობები მთავარ როლებს ასრულებდნენ.

თანაცხოვრების პერიოდში წყვილს სამი შვილი გაუჩნდა. ბრედმა ანჯელინას 2 შვილობილი, შემდეგ კი ერთად კიდევ ბიჭი იშვილეს.

**newposts.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## რატომ უკრძალავენ ამერიკის ერთ-ერთ კოლეჯში სტუდენტებს ენერგეტიკულ სასმელს?




ამერიკის შტატ ვერმონტის ერთ-ერთ კოლეჯში 7 მარტიდან სტუდენტებს ენერგეტიკული სასმელის მიღებას აუკრძალავენ.

თურმე, კოლეჯის თანამშრომლებმა ენერგეტიკულ სასმელსა და შემთხვევით სექსუალურ ურთიერთობას შორის კავშირი დაინახეს. აღნიშნული აკრძალვით სტუდენტები, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო არიან, ვინაიდან ტკბილი გაზირებული სასმელი გამოცდების წინ დიდი ინფორმაციის ერთბაშად ათვისებაში ეხმარებათ.

„ურჩევნიათ, უფრო მნიშვნელოვან საქმეებს მიხედონ“, – განაცხადა ადმინისტრაციის მოცლილობით გაღიზიანებულმა ერთ-ერთმა სტუდენტმა.

კოლეჯის სამეცნიერო ჯგუფის 2014 წლის კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ ენერგეტიკული სასმელი ახალგაზრდებთან დაუცველი სქესობრივი ურთიერთობის რისკს ზრდის.

„მიმაჩნია, რომ ეს იგივეა, რაც მოწევის აკრძალვა“, – აღნიშნა კოლეჯში კვებაზე პასუხისმგებელმა პირმა, დენ დეტორმა.

**lenta.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## თვითმფრინავი, რომელიც ნიუ-იორკიდან ლონდონში 11 წუთში ჩავა



კანადელი ინჟინერი ზებგერითი თვითმფრინავის მოდელზე მუშაობს, რომელსაც ლონდონიდან ნიუ-იორკში ჩასვლა 11 წუთში შეეძლება. ამის შესახებ „სი-ენ-ენი“ წერს.

კონცეფცია „ანტიპოდის“ იდეა და დიზაინი ინჟინერმა ჩარლზ ბომბარდიერმა განავითარა. თეორიულად ახალი მოდელის თვითმფრინავს ათი მგზავრის გადაყვანა შეეძლება და ის 12 430 მილს ერთ საათში დაფარავს.

„მინდოდა ისეთი საფრენი აპარატი შემექმნა, რომელიც რაც შეიძლება სწრაფი იქნებოდა“, – აღნიშნა ბომბარდიერმა.

თუმცა, მისივე თქმით, ჯერ არ არსებობს ისეთი მასალა, რომელსაც „სიმხურვალის, წნევისა და სტრუქტურული სტრესის ატანა“ შეეძლება. ნასას ინჟინერი, ჟოზეფ ჰეიზელტაინი კი ამბობს, რომ გამოსავალი არსებობს.

„ანტიპოდის“ ავტორი ჩარლზ ბომბარდიერი აცხადებს, რომ სუპერსწრაფი თვითმფრინავის შექმნა 150 მილიონ დოლარზე მეტი დაჯდება.

**bpn.ge**

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99

## ქალი, რომელმაც მსოფლიოში დედის დღე დააწესა, უშვილო გარდაიცვალა



დედის დღე პირველად ამერიკაში, მე-20 საუკუნის დასაწყისში, მშვიდობის აქტივისტის, ანა ჯარვისის ძალისხმევით დაწესდა. მან კამპანია 1905 წლის 10 მაისიდან, საკუთარი დედის გარდაცვალების დღიდან დაიწყო და 1908 წელს მიაღწია იმას, რომ დედის დღე ოფიციალურ დღესასწაულად იქნა აღიარებული. შემდგომში ანა ჯარვისი ამ დღის კომერციალიზაციის წინააღმდეგ გამოდიოდა, რადგან მრავალმა კომპანიამ მისალოცი ბარათების, ყვავილებისა და სხვა საჩუქრების რეალიზაციით სერიოზული მოგება ნახა.

ანა ჯარვისი სასტიკად ბრაზობდა. ამბობდა, რომ დედის დღე უნდა ყოფილიყო ომში დაღუპული ჯარისკაცების დედების პატივის მისაგები და არა საჩუქრების ყიდვის დღე. მას უნდოდა, რომ ამ დღეს დედებს შვილებისგან ხელით ნაკეთი საჩუქრები და ხელნაწერი მისალოცი ბარათები მიეღოთ:„ნაბეჭდი მისალოცი ბარათები იმის ნიშანია, რომ გეზარებათ, მიწეროთ ქალს, რომელმაც ყველაზე დიდი რამ გაჩუქათ, ვიდრე მსოფლიოში სხვა ვინმემ. კანფეტები! ყიდულობთ მისთვის და მერე მთელ კოლოფს თავად მიირთმევთ!“ – ანა ჯარვისი.

„დღე, რომლისთვისაც ამდენი ვიბრძოლე, კომპანიებმა საკუთარი მოგების წყაროდ გადააქციეს“ – ამბობდა ანა და აქციებით მოუწოდებდა, ბოიკოტი გამოეცხადებინათ სხვადასხვა კომპანიებისთვის. 1923 წელს ის მშვიდობის დარღვევისთვის დაპატიმრებულიც კი იყო. ანა ჯარვისი 87 წლის ასაკში მარტოხელა და უშვილო გარდაიცვალა.

ჯარვისის დღესასწაული მალე სხვა ქვეყნებმაც დააწესეს და ახლა ის მთელ მსოფლიოში აღინიშნება.

საქართველოში ამ დღის ინიციატორი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იყო.

პირველი პრეზიდენტის გადაწყვეტილება 1991 წელს საქართველოს უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა. 3 მარტი უქმე დღეა.

*postalioni.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რატომ არ უტოვებს ელტონ ჯონი შვილებს მთელ ქონებას



მსოფლიო ვარსკვლავმა, მუსიკოსმა ელტონ ჯონმა განაცხადა, რომ ვაჟებს მთელ ქონებას არ დაუტოვებს. ელტონ ჯონის ქონება 200 მილიონია.

ის პარტნიორთან, დევიდ ფერნიშთან ერთად, ორ ბიჭს – ზაკარის და ელაიჯას ზრდის. მათთვის კი ქონების ნაწილის დატოვებას აპირებს.

„საშინელებაა სიმდიდრის მიცემა ბავშვებისათვის. ეს მათ ცხოვრებას დაუნგრევს“, – განაცხადა ელტონ ჯონმა.

ის და მისი პარტნიორი ამჟამად ანდერძს ადგენენ. მათი თქმით, შვილებს საბაზისო ქონებას დაუტოვებენ, დანარჩენი კი თავად უნდა გამოიმუშაონ.

*info9.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მეცნიერები შიმპანზეების რელიგიაზე ალაპარაკდნენ



გერმანიის ევოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერები აცხადებენ, რომ შიმპანზეები საკუთარ რელიგიას ქმნიან. გარდა ამისა, პრიმატებს ადამიანური ევოლუციაც აღენიშნებათ.

მედიის ცნობით, დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ მაიმუნები ხეების ფუღუროებში ქვებს აგროვებენ და უცნაურ კონსტრუქციებს აგებენ, რომელსაც საკვების მოპოვებასთან საერთო არაფერი აქვს.

მეცნიერების აზრით, ქვის პირამიდებს საკულტო მნიშვნელობა აქვს და გარკვეულწილად, დაკრძალვის რიტუალს ჰგავს, რომელიც უწინ ადამიანებს ახასიათებდათ.

სპეციალური კამერების დახმარებით, მეცნიერებმა მაიმუნების ქცევის დაფიქსირება შეძლეს, თუ როგორ ყვიროდნენ და აწყობდნენ ისინი ქვებს ფუღუროებში.

გარდა ამისა, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მსგავსი რიტუალები შეიძლება გახდეს იმის მტკიცებულება, როგორ ხდება შიმპანზეების ევოლუცია.

*info9.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დიდ ბრიტანეთში ბენედიქტ კამბერბეტჩის სახიანი შოკოლადის ფიგურები შექმნეს



ვის არ უყვარს შერლოკის როლის შემსრულებელი ბენედიქტ კამბერბეტჩი, ჩასაყლაპია პირდაპირ. ჰოდა, ჯენ ლინდსენ-კლარკიც ადგა და შოკოლადის კურდღლის სერია გამოუშვა, რომელსაც ბენედიქტის სახე აქვს. ახლა ყველას შეეძლება თავისი წილი ბენედიქტი ჰყავდეს და დააგემოვნოს.

თითოეული ფიგურა 400 გრამს იწონის და 70 დოლარი ღირს.

37 წლის ბრიტანელმა კონდიტერმა შოკოლადის ფიგურებს კამბერბანი დაარქვა. მსურველებს არჩევანის საშუალება აქვთ და შეუძლიათ თეთრი შოკოლადის, შავი შოკოლადისა და რძიანი კამბერბანი დააგემოვნონ.

„ვის იტყვის ბენედიქტზე უარს. ვაპირებ, რომ ერთი ცალი მსახიობის დედას გავუგზავნო, მაგრამ მას არა. უცნაური იქნება, საკუთარი სახის ჭამა რომ დაიწყოს“, – აღნიშნა ლინდსენ-კლარკსმა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა „ფეისბუკის“ წინააღმდეგ საქმე აღძრა




მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების ბოროტად გამოყენების ბრალდებით, გერმანიის ფედერალურმა ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა „ფეისბუკის“ წინააღმდეგ საქმის წარმოება დაიწყო.

როგორც ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, სოციალური ქსელი მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემებს კონკურენტების მონაცემების მოპოვებისთვის იყენებს.

უწყების მაღალჩინოსანთა მოსაზრებით, ის პირობები, რომელსაც „ფეისბუკი“ საკუთარ მომხმარებლებს სთავაზობს უკანონოა.

„რადგან „ფეისბუკი“ სხვა სოციალურ ქსელებთან დომინირებს, ასეთი მიდგომა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის რეგულაციებში მოხვდება. დომინანტ კომპანიებს გარკვეული მოვალეობები აქვთ და გარკვეულ წესებს უნდა დაექვემდებარონ“, – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გამოძიება აშშ-ში „ფეისბუკის“ ჯგუფის, ასევე მისი შვილობილი ირლანდიური კომპანიისა და გერმანიაში, სოცქსელის ჰამბურგის ოფისის წინააღმდეგ ჩატარდება.

*pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ჩინეთში პრობლემებზე უცნაური რეკლამით საუბრობენ



ცნობილია, რომ რეკლამა, რომელიც ხუმრობაზეა აგებული და მნახველს აცინებს, უკეთ მოქმედებს, მეხსიერებაშიც დიდხანს რჩება და უფრო შედეგიანიცაა.

სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ჩინურმა კომპანიამ რეკლამა გადაიღო, სადაც ჩანს, როგორ ეზრდებათ ადამიანებს და ცხოველებს ცხვირში თმა. კომპანიის თქმით, უახლოეს მომავალში თმის ასეთი ტემპით ზრდა გარდაუვალი იქნება, რათა დაბინძურებული ჰაერის პირობებში გადარჩენა შევძლოთ.



„ჩვენ გვინდოდა, რომ პრობლემის საჩვენებლად რამე სასაცილო ხერხი მოგვეძებნა“, – აღნიშნა კომპანიის წარმომადგენელმა.

რეკლამის მთავარი მესიჯი კი ასეთი იყო – „შეცვალე დაბინძურებული ჰაერის დონე, სანამ ჰაერს არ შეუცვლიხარ“.

დაბინძურებული ჰაერი ჩინეთისთვის სერიოზული პრობლემაა. უახლესი მონაცემებით ამ მიზეზით ჩინეთში ყოველდღიურად 4 ათასზე მეტი ადამიანი კვდება.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## 23 წლის სტილისტმა შეყვარებული „ფეისბუკის“ გამო მოკლა



ეჭვიანმა სტილისტმა, 23 წლის ტერი-მარი პალმერმა შეყვარებული, 24 წლის დეიმონ სირსონი ჩხუბისას სამზარეულოს დანით მოკლა.

ჩხუბის მიზეზი დეიმონის „ფეისბუკზე“ დამოკიდებულება აღმოჩნდა. გოგონა უკმაყოფილო იყო, რადგან მისი შეყვარებული სოციალურ ქსელში ძალიან დიდ დროს ატარებდა.

პალმერმა სირსონს დანა მაშინ ჩაარტყა, როდესაც ის ტელეფონით „ფეისბუკის“ სიახლეებს ამოწმებდა. სასწრაფო დახმარება თავად პალმერმა გამოიძახა. თუმცა მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

თავდაპირველად პალმერმა პოლიციას უთხრა, რომ დეიმონმა დანა შემთხვევით თავად ჩაირტყა. მოგვიანებით კი დანაშაული აღიარა, თუმცა განაცხადა, რომ შეყვარებულის მოკვლა არ უნდოდა.

*newposts.ge*



თინიკო მასწავლებელს წინა დღით მოსწავლეები ჰყავდა ექსკურსიაზე სოფლის ფერმაში.

– აბა, ბავშვებო, გავიხსენოთ, რა ხმები დაგამახსოვრდათ?

შოთა: მუუუუუუ... ეს ძროხებია.

ნიკა: ბეეეეე... ეს ცხვრებია.

თემო: ღრუტ-ღრუტ... ეს ღორებია.

კოტე: ტრაქტორიდან ჩამოეთრიეთ, თქვე მამაძაღლებო, არაფერი გააფუჭოთ... ეს ფერმის გამგე გელაა, მასწ.

*****

– კოტიკო, რას აკეთებ დღეს?

– არაფერს.

– კაცო, გუშინ არ მითხარი, არაფერს ვაკეთებო? წამო მომეხმარე.

– კი გითხარი, მაგრამ გუშინ ვერ დავამთავრე და დღესაც მომიწევს არაფრის კეთება.

*****

– ექიმო, ჩემს ცოლს ახველებს, რა წამალი არ ვცადეთ, მაგრამ არაფერმა უშველა.

– რაიმე ბალახეული გეცადათ.

– კი, ექიმო, ვცადეთ. სიძემ მოუტანა რაღაც ბალახი.

– მერე შედეგი თუ აქვს?

– რა ვიცი, იცინის, მაგრამ მაინც ახველებს.

*****



– ბიკენტი, რით მიხვდი, ის დათვი კაციჭამია რომ იყო?

– თვალებით... გამოხედვა ჰქონდა ჩემი სიდედრივით.

*****

კოტე ბარში შევიდა.

– თქვენ ყავა კონიაკით გნებავთ?

– არა, გარეშე.

– აა ყავა კონიაკის გარეშე?

– არა, ყავის გარეშე.

*****



გოგონა მარჩიელთან მივიდა.

– ორ ვაჟკაცს მოვწონვარ საცოლედ. კოტეს და ვაჟას, მინდა გავიგო, რომელს გაუმართლებს?

მარჩიელმა ბანქო გაშალა.

– ოოო, ვხედავ, კოტეს გაუმართლებს. ვაჟა კი ცოლად მოგიყვანს.

*მომზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);



მიკრობიოლოგ მჭედლიძისა და ბეგაშვილის ფიტოთერაპიულ კაბინეტში მკურნალობენ საგვარეულო რეცეპტით: თმის ცვენა და მასთან დაკავშირებული დაავადებები: ალოპეცია, სებორეა, ფსორიაზი, ეგზემა, დემოდეკოზი, პედიკულოზი (ტილების მოსპობა). სოკოს ყველა სახეობა. ფეხის ქუსლებზე ნახეთქები, ნაწოლები, დამწვრობა, ჰემორიო (ბუასილი). ნევრალგიები და სახსრების მკურნალობა იაპონური აპარატით.

**ტელ.: 555-200-341; 593-918-917; 214-47-80**

**მის.: ვ. ფშაველას №47. მე-2 სტომატოლოგიური კლინიკა, II სართ., ოთახი 28.**



სამონასტრო მედიცინის ფუძემდებელთა შთამომავალი, სახალხო მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს ძვალ-სახსართან დაკავშირებულ დაავადებებს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, ნერვის ანთებას, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლ-სახსრის ართროზს, დისკოზს, კოქსართროზს, სახსრების ანთებას, ჰაიმორიტს, კიდურების სიცივეს, ტერფის, ქუსლის ტკივილს და ყველა დაავადებას, რაც ძვალ-სახსარს უკავშირდება. მრავალრიცხოვანია მისი მადლიერი პაციენტების სია, რომელიც დღითი დღე არნახულ მასშტაბებს აღწევს.

გიორგი გოგიჩაიშვილი, ტელეწამყვანი: მაწუხებდა კისრის მალების ოსტეოქონდროზი, ტკივილები მხრის არეშიც გადამეცემოდა, შეზღუდული მქონდა მოძრაობის უნარი. კლასიკურმა მედიცინამ რომ ვერ მიშველა, მივმართე ქალბატონ ნანას. მალამოს მოხმარებიდან მესამე-მეოთხე დღეს ტკივილებისგან გავთავისუფლდი და დამიბრუნდა მოძრაობის უნარი და ძალიან მალე გამოვჯანმრთელდი. მინდა საჯაროდ გადავუხადო მადლობა არაჩვეულებრივ მკურნალს.

**ტელ: 599-54-64-81, 593-000-826.**


## რომელი კერძი აიძულებს მამაკაცს... დაქორწინდეს?



კუჭზე გადისო გზა მამაკაცის გულისკენო... ნეტავ, მართლა ასეა, ეს ოხერი?! რა ვიცით, მშვენიერი სქესის წარმომადგენლების უმრავლესობის მოსაზრება ასეთია და ლამის ყველა კვლევაც ანალოგიურ შედეგს იძლევა.

როგორც ირკვევა, ამერიკელმა მეცნიერებმა გადაწყვიტეს, ის კერძი დაედგინათ, რომელიც მამაკაცს დაქორწინების სურვილს აღუძრავდა. საიდან გაუჩნდათ მათ ასეთი იდეა, კაცმა არ იცის, მაგრამ შედეგზე კი მოგახსენებთ:

აღმოჩნდა, რომ ასეთ სურვილს მამაკაცს შემწვარი ქათამი აღუძრავს. ბუნებრივია, განსაკუთრებულად და გემრიელად მომზადებული.

კვლევის ავტორები ამტკიცებენ, რომ როგორც კი ძლიერი სქესი შემწვარ ქათამს აგემოვნებს, მაშინვე ოჯახზე იწყებს ფიქრს.

რატომ ქმნის სითბოს და სიმყუდროვის შეგრძნებას შემწვარი ქათამი, პასუხს კვლევის ავტორები ვერ აკონკრეტებენ.

მოკლედ, ძვირფასო მამაკაცებო, თუკი გსურთ, ისევ თქვენს გემოზე იცხოვროთ, შემწვარ ქათამს არ გაეკაროთ!..

*myjane.ru*

## „დაყენებული“ ღიმილი ფსიქიკის დაუძინებელი მტერია?



ვინც ფიქრობს, რომ მომსახურების სფეროში სერიოზულად მოვიკოჭლებთ და არ შეიძლება, მომხმარებელს შუბლშეჭმუხნული გამყიდველი, ოფიციანტი ან გნებავთ, ბენზინის ჩამსხმელი ემსახურებოდეს, აბსოლუტურად ვეთანხმებით.

როგორც ამბობენ, ამ მხრივ ძალიან ბევრი ქვეყანაა გამორჩეული და მომსახურების სფერო უმაღლეს დონეზე აქვს აყვანილი. ყოველ შემთხვევაში, მომსახურე პერსონალს თავაზიანი ღიმილი მაინც აქვს სახეზე და წაქცეული ბუღასავით სულაც არ იბღვირება. მაგრამ რის ფასად? საკითხავი აი, ეს არის!

ფსიქოლოგებს თუ დავუჯერებთ, „დაყენებული“ ღიმილის სანაცვლოდ გამყიდველებს, სასტუმროების ადმინისტრატორებს ან გნებავთ, ბენზინის გამყიდველებს, ძალიან დიდი საფასურის გადახდა უწევთ.

– უმიზეზოდ, არაგულღიად გაღიმება ფსიქიკის დაუძინებელი მტერია და მას უდიდეს ზიანს აყენებს, – ამტკიცებენ სპეციალისტები.

გერმანელი ფსიქოლოგების აზრით, ასეთი ყალბი ღიმილი სტრესსა და დეპრესიასაც კი იწვევს. მიზეზი ის ყოფილა, რომ ადამიანი მუდმივად გამოხატავს ემოციებს, რომლებსაც სინამდვილეში ის არ განიცდის.

– ეს ორგანიზმისთვის ნამდვილი წამებაა და ჯანმრთელობაზე ადრე თუ გვიან აუცილებლად აისახება, – განმარტავენ მოსაზრების ავტორები.

ადამიანებს, რომლებსაც დღეების მანძილზე დადებითი განწყობის იძულებითი დემონსტრირება უხდებათ, ფსიქოლოგები ურჩევენ, რაც შეიძლება, დიდხანს დაისვენონ და გამოიყენონ მოდუნების სხვადასხვა ხერხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარ ჯანმრთელობას უდიდეს ზიანს მიაყენებენ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*myjane.ru*


გაზეთი „ყოველკვირეული ალია“

**სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

**577 435 553**

რედაქტორი **მანანა გიორგაძე**



## განცხადება

შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

**555 125 770; 596 777 773**


## შვეიცარიელმა სპეციალისტებმა სიმაღლის შიშისგან გასათავისუფლებელი აბები შექმნეს



თუკი სიმაღლის შიში ერთხელ მაინც განგიცდიათ, ისიც კარგად გემახსოვრებათ, რამდენად უსიამოვნო შეგრძნებაა და როგორი რთულია მისი გადალახვა. თუმცაღა, თუკი შვეიცარიელების მიერ შექმნილი პრეპარატი მართლაც ისეთი ეფექტურია, როგორც თავად ამბობენ, ერთ-ერთ ყველაზე საშინელ ფობიას ყველა სამუდამოდ დაემშვიდობება.

შვეიცარიელი ფიზიოლოგების ორგანიზებით ჩატარებულ ექსპერიმენტებში 40 მოხალისე მონაწილეობდა, რომლებიც ვირტუალურ მაღალ შენობებსა და ხიდებზე დადიოდნენ, თუმცა შეგრძნებები ზუსტად ისეთივე ჰქონდათ, როგორც რეალურ ცხოვრებაში ხდება ხოლმე.

შედეგად დადგინდა, რომ სტრესულ მდგომარეობაში, რომელსაც სიმაღლის შიში იწვევდა, მოხალისეების ორგანიზმი დიდი რაოდენობით ჰორმონ კორტიზოლს გამოიმუშავებდა. პრეპარატიც აღნიშნულის გათვალისწინებით შეიქმნა – ის სწორედ კორტიზოლის გამოყოფას უშლის ხელს.

ვირტუალურ სიმაღლეზე ხელმეორედ გასვლის შემდეგ, იმავე მოხალისეებს, რომლებიც მანამდე შიშს ვერაფრით ერეოდნენ, პრობლემები მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც მოუგვარდათ.

შეგახსენებთ, რომ სიმაღლის შიშს აკროფობია ეწოდება და ის მშვენიერი სქესის – ოთხ, ხოლო ძლიერი სქესის 5 პროცენტს სტანჯავს.

ახლა შვეიცარიელ ფიზიოლოგებს ისღა დარჩენიათ, რომ მათი პრეპარატი მაკონტროლებელმა ორგანოებმა შეამოწმონ და გაყიდვებისთვის მწვანე შუქი აუნთონ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*mndg.ru*



– კოტე, არჩევანი, რომ გქონდეს, ყოველ დილით სად ივლიდი – სკოლაში, ინსტიტუტში თუ სამსახურში?

– სად და საბავშვო ბაღში.

*****

სვანმა დათვი მოკლა: ხორცი შეინახა, ტყავი ცოლს მიართვა ქურქისთვის, ცირკის ველოსიპედი კი მის პატარა ბიჭს ერგო.

*****

– კოტე, როგორაა შენი სიმამრი?

– ნუ იტყვი.

– რა მოხდა, ავად გახდა?

– არა.

– რა იყო, მოკვდა?

– არა, უარესი.

– სქესი შეიცვალა და ახლა სახლში ორი სიდედრი მყავს.

– აუჰ, დაღუპულხარ, შე საცოდავო.

*****



– ნახე, ზახარიჩს სულ დაუნებებია სასმელისთვის თავი.

– რა იცი?

– რა ვიცი კი არა, ნახე, გაზეთში რამხელა ნეკროლოგია განთავსებული.

*****

შუახნის ქალი სექსშოპში შევიდა:

– თუ შეიძლება, მომეცით აი, ის თეთრი, აი, ის შავი და აი, ის წითელი ვიბრატორი.

– ქალბატონო, ინებეთ ეს თეთრი და ესეც შავი ვიბრატორი და ის წითელი ცეცხლმაქრია, არ იყიდება!..

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*


სარეკლამო სამსახური

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

21 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



გაზეთი „ყოველკვირეული ალია“

გამოდის ორშაბათობით

გამომცემელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: მანანა გიორგაძე

(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე

599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე

(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი **ილია ჭაქვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი **ლევან ბანეთიშვილი**



**გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



ISSN 2346-8424

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 0.48